

დავის ალტერნატიული  
გადაწყვეტა



ALTERNATIVE DISPUTE  
RESOLUTION

წელიწდული  
Yearbook

2016

**გ ე ზ ო ნ ზ ე უ ზ ო**

2016

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
NATIONAL CENTER FOR ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION

# Alternative Dispute Resolution

Yearbook

2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი

## დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელწილეული

2016



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**მთავარი რედაქტორი**

ირაკლი ბურდული (პროფ., თსუ)

**Chief Editor**

Irakli Burduli (Prof., TSU)

**სარედაქციოკოლეგია:**

ქეთრინ გ. ბარნეტი (პროფ., სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა)

ჯეიმს ჯ. ალფინი (პროფ., სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა)

ელიზაბეთ ა. დენისი (პროფ., სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა)

გიორგი ცერცვაძე (ასოც. პროფ., თსუ)

ნათია ჩიტაშვილი (ასისტ. პროფ., თსუ)

ლევან ჯანაშია (ასისტ. თსუ)

**Editorial Board:**

Catherine G. Burnett  
(Prof., South Texas College of Law, USA)

James J. Alfini  
(Prof., South Texas College of Law, USA)

Elizabeth A. Dennis (Prof., South Texas College of Law, USA)

Giorgi Tsertsvadze (Assoc. Prof., TSU)

Natia Chitashvili (Assis. Prof., TSU)

Levan Janashia (Assis. TSU)

*ნელინდელის გამოცემა ამერიკელი ხალხის გულისხმიერების შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.*

*ჟურნალში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ისა და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.*

**Publication of the yearbook is enabled by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID).**

**The contents are the responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of USAID or the United States Government.**



მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017

ISSN 1987-9199

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ნათია ჩიტაშვილი სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი.....7 Natia Chitashvili Fair Settlement as Basis for Ethical Integrity of Mediation ..... 24
Steven Austermiller Rescuing Arbitration in the Developing World: The Extraordinary Case of Georgia ..... 38 სტივენ ოსტერმილერი არბიტრაჟის გადარჩენა განვითარებად მსოფლიოში: საქართველოს განსაკუთრებული შემთხვევა ..... 73
ანა გურიელი ადვოკატის როლი სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში ..... 121 Ana Gurieli Advocate Role in the Mediation Process of Civil Legal Disputes ..... 153
ლადო ჯავახიშვილი არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმოხილვა..... 179 Lado Javakhishvili Overview of the Juvenile Diversion and Mediation Program ..... 193
Catherine Green Burnett, Tasha Willis Mediation ..... 205
ქეთრინ გრინ ბარნეთი, თაშა უილისი მედიაცია ..... 249



## სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი

სტატიაში შემოთავაზებულია მედიაციის სამართლიანი შეთანხმების, როგორც ეთიკური და ნორმატიული კატეგორიის, მედიაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის, კვლევა ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ის მედიაციის აქტებისა და ეთიკის კოდექსების ანალიზის საფუძველზე. საქართველოში მედიაციის საკანონმდებლო მონესრულების სრულყოფისა და ეთიკის რეგულირების ეტაპზე უმნიშვნელოვანესია, შემუშავდეს მეცნიერულ კვლევაზე დამყარებული რეკომენდაციები ევროკავშირის სამართალთან შიდასახელმწიფოებრივი სამართლის აპროქსიმაციის მიზნით. საზოგადოების მედიაციისადმი ნდობის დაცვის საჯარო ინტერესი განაპირობებს მედიატორისათვის სამართლიანი შეთანხმების გარანტიის ფუნქციის მინიჭებას.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაციის ეთიკა, მხარეთა თვითგამორკვევის უფლება, მედიაციის სამართლიანი შეთანხმება, მედიაციის უსამართლო შედეგი, მედიაციის ეთიკური ურღვეობა, მედიატორის პროფესიული როლი, მედიაციის უკანონო შეთანხმება, ნეიტრალური მესამე პირი.

### I. შესავალი

სამართლიანობა მედიაციის ფუნდამენტური პრინციპი<sup>1</sup> და, უმთავრესად, ნორმატიული და ეთიკური სტანდარტია.<sup>2</sup> თუმცა მისი უნიფიცირებული მნიშვნელობა დამკვიდრებული არ არის, – ერთი მხრივ, ეს კონცეფცია მედიაციის ბევრ კანონსა<sup>3</sup> და ეთიკის კოდექსში არის განსაზღვრული,<sup>4</sup> მეორე მხრივ, ცალკეულ აქტებში საერთოდ არ აისახება.<sup>5</sup>

\* სამართლის დოქტორი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სერტიფიცირებული მედიატორი, თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

მადლობას ვუხდის გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურს (DAAD) მონიჭებული კვლევითი სტიპენდიისთვის, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკის და ჰამბურგის მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის კვლევითი რესურსების გამოყენებით ნინამდებარე პუბლიკაციის მომზადება.

<sup>1</sup> Steffek F., Unberath H. (eds.), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C., *Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads*, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.

<sup>2</sup> Nolan-Haley J. M., *Informed Consent in Mediation: A Guiding Principle for Truly Educated Decisionmaking*, 74, *Notre Dame L. Rev.*, 775, №12, 1999, 778, <[http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1273&context=faculty\\_scholarship](http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1273&context=faculty_scholarship)>; Woo M.Y.K., *Collagher M. E.*, *Chinese Justice Civil Dispute Resolution in Contemporary China*, Cambridge University Press, United States of America, 2011, 38.

<sup>3</sup> Chinese Civil Procedure Law, Art. 9, <[http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content\\_1383880.htm](http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383880.htm)>; Woo M.Y.K., *Callagher M.E.*, *Civil Procedure Law of the People's Republic of China*, 1991, 38; People's Mediation Law of the People's Republic of China, promulgated in 2010, active in 2011, Art. 3 (2), <[http://www.cspil.org/Uploadfiles/attachment/Laws%20and%20Regulations/\[en\]guojifalvwenjian/PeoplesMediationLawofthePeoplesRepublicofChina.pdf](http://www.cspil.org/Uploadfiles/attachment/Laws%20and%20Regulations/[en]guojifalvwenjian/PeoplesMediationLawofthePeoplesRepublicofChina.pdf)>; Trevor M.B., Palo G., *EU Mediation Law and Practice*, Oxford University Press, 2012, 183; Draft General Scheme of Mediation Bill 2012, Ireland, Head 2, <<http://www.justice.ie/en/JELR/MedBillGSFinal.pdf/Files/MedBillGSFinal.pdf>>; Finland Act on Mediation in Civil Matters and Confirmation of Settlements in General Courts, 394/2011, Art. 23, <<http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2011/en20110394.pdf>>.

<sup>4</sup> Malta Code of Conduct for Mediators, MJCL, Art. 9, <<https://mjcl.gov.mt/en/mmc/Pages/Code-of-Conduct-Mediators.aspx>>. Standards of Practice For California Mediators, Preamble, <<http://www.cdrc.net/mediator>>.



მედიაციის ეთიკის კოდექსების თანახმად, სამართლიანობა მიემართება მედიაციის პროცესს,<sup>6</sup> რომლის ჩატარებაც უნდა უზრუნველყოს პროვაიდერმა ორგანიზაციამ,<sup>7</sup> მედიატორმა გულმოდგინების,<sup>8</sup> სათანადო წინდახედულების,<sup>9</sup> მიუკერძოებლობის,<sup>10</sup> ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის,<sup>11</sup> მხარეთა ნებაყოფლობითი,<sup>12</sup> გაცნობიერებული,<sup>13</sup> სამართლიანი<sup>14</sup> და თანაბარი მონაწილეობის,<sup>15</sup> მონაწილეობის შესაძლებლობის<sup>16</sup> და მათი თვითგამორკვევის უფლების<sup>17</sup> რეალიზების პრინციპთა დაცვით.<sup>18</sup> ცალკეული ქვეყნის სამართალი მედიატორის როლს ხედავს სწორედ მხარეთა დახმარებაში, მიაღწიონ სამართლიან შეთანხმებას.<sup>19</sup>

- 
- standards#stdspreamble>; Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Florida Dispute Resolution Center, § 10230 (c), 10.300, <<http://www.mediate.com/articles/floridarules.cfm>>; Standards of Conduct for New York State CMTY, Dispute Resolution Center, Mediators, Office of Alternative Dispute Resolution & Court Improvement Programs 2009, §4 Cmt, <[https://www.nycourts.gov/ip/adr/Publications/Info\\_for\\_Programs/Standards\\_of\\_Conduct.pdf](https://www.nycourts.gov/ip/adr/Publications/Info_for_Programs/Standards_of_Conduct.pdf)>; Core Standards of Mediation Practice, §III (Oregon Mediation Association, 2005), <<http://www.omediate.org/docs/2005CoreStandardsFinalP.pdf>>; Virginia Standards, Virginia Standards of Ethics and Professional Responsibility for Certified Mediators, §K.1. K.4, 2011, 7-8, <<http://www.courts.state.va.us/courtadmin/aoc/djs/programs/drs/mediation/soe.pdf>>; Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, §VI, <[http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011\\_build/dispute\\_resolution/model\\_standards\\_conduct\\_april2007.authcheckdam.pdf](http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011_build/dispute_resolution/model_standards_conduct_april2007.authcheckdam.pdf)>; Georgia Ethical Standards for Mediators, §IV. A, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/mediator\\_ethics\\_information/APPENDIX%20C%20CHAP%201%20C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/mediator_ethics_information/APPENDIX%20C%20CHAP%201%20C%206-18-2013.pdf)>. Sead. Code of Conduct for Mediators, ADR Institute of Canada, 2011.
- <sup>5</sup> Code of Conduct for Mediators, ADR Institute of Canada, 2011, <[http://adric.ca/pdf/ADRMEDIA\\_TION-RULES2014.pdf](http://adric.ca/pdf/ADRMEDIA_TION-RULES2014.pdf)>; Ethical Guidelines for Mediators, Law Council of Australia, 2002, <<http://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1166&context=adr>>.
- <sup>6</sup> Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, §IV, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20C%206-18-2013.pdf)>.
- <sup>7</sup> Trevor M. B., Palo G., EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 93.
- <sup>8</sup> Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, §V, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20C%206-18-2013.pdf)>.
- <sup>9</sup> Hopt K. J., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 74.
- <sup>10</sup> Draft General Scheme of Mediation Bill 2012, Ireland, Head 2, <<http://www.justice.ie/en/JELR/MedBillGSFinal.pdf/Files/MedBillGSFinal.pdf>>; Austrian Mediation Act, June 6, 2003, Art. 16(2), <<http://bgarf.ru/science/baltic-center-of-mediation-and-conflictology/publikacii/avstriya.pdf>>; Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 9 (1), <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg)>; Core Standards of Mediation Practice, §III (Oregon Mediation Association, 2005), <<http://www.omediate.org/docs/2005CoreStandardsFinalP.pdf>>.
- <sup>11</sup> Standards of Conduct for New York State CMTY. Dispute Resolution CTR. Mediators, Office of Alt. Dispute Resolution & Court Improvement Programs 2009, §III. B, <[http://www.courts.state.ny.us/ip/adr/Publications/Info\\_for\\_Programs/Standards\\_of\\_Conduct.pdf](http://www.courts.state.ny.us/ip/adr/Publications/Info_for_Programs/Standards_of_Conduct.pdf)>.
- <sup>12</sup> Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 5, <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg)>; Chinese Civil Procedure Law, Art. 9, მითითებულია: Woo M.Y.K., Callaghan M. E., Civil Procedure Law of the People's Republic of China, 1991, 38.
- <sup>13</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.2, 9.3, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>.
- <sup>14</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (3), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>; Rützel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, München, 2016, 202.
- <sup>15</sup> Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 5, <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg)>.
- <sup>16</sup> Malta Code of Conduct for Mediators, MJCL, Art. 9, <<https://mjcl.gov.mt/en/mmc/Pages/Code-of-Conduct-Mediators.aspx>>.
- <sup>17</sup> Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, Introduction, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20C%206-18-2013.pdf)>; Rützel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, München, 2016, 207.

სამართლიანობა გულისხმობს, რომ მხარეებმა მედიაციის პროცესის ძირითადი პრინციპების ცოდნის,<sup>20</sup> არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებების გაცნობიერების,<sup>21</sup> ხელშეკრულების პირობების გააზრებისა<sup>22</sup> და ინფორმირებული თანხმობის<sup>23</sup> საფუძველზე მიიღონ არაიძულებითი,<sup>24</sup> ნებაყოფლობითი<sup>25</sup> გადაწყვეტილება მისი მოსალოდნელი შედეგების<sup>26</sup> გაცნობიერებით,<sup>27</sup> ან, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეწყვიტონ<sup>28</sup> მედიაცია.<sup>29</sup> პროცესის სამართლიანობა დაცულია ასევე, თუ მასში მონაწილეობა არ ემსახურება უსამართლო უპირატესობის მოპოვებას<sup>30</sup> და არ ეფუძნება მოლაპარაკების მანიპულაციურ და დამაშინებელ მეთოდებს<sup>31</sup>.

- 
- <sup>18</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 285.
- <sup>19</sup> Malta Mediation Act, MJCL, 2004, Art. 26 (1), <[https://mjcl.gov.mt/en/mmc/Documents/Chapter\\_474t.pdf](https://mjcl.gov.mt/en/mmc/Documents/Chapter_474t.pdf)>; Royal Decree Law 5/2012, of March 5, on Mediation in Civil and Commercial Matters, Statement of Reasons I, მითითებულია: *Trevor M. B., Palo G.*, EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 560.
- <sup>20</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (2), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>.
- <sup>21</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (6), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>; Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 13 (1), <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg)>; *Rützel S., Wegen G., Wilske S.*, Commercial Dispute Resolution in Germany, München, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, 2016, 202.
- <sup>22</sup> Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, §IV. A, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf)>; German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (6), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>; *Rützel S., Wegen G., Wilske S.*, Commercial Dispute Resolution in Germany, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, München, 2016, 202.
- <sup>23</sup> Mediation Council of Illinois (MCI) Professional Standards of Practice for Mediators, 1999, §III. E, <<http://www.mediate.com/articles/illstds.cfm>>.
- <sup>24</sup> The California Rules of Court, 3.857(b), <[http://www.courts.ca.gov/documents/title\\_3.pdf](http://www.courts.ca.gov/documents/title_3.pdf)>.
- <sup>25</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.1. <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>; European Mediation Training for Practitioners of Justice, A Guide to European Mediation, Association of International Arbitration (ed.), Antwerpen, Apeldoorn, Portland, Maklu, 2012, 143.
- <sup>26</sup> *Hopt K. J., Steffek F.*, Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 74.
- <sup>27</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.5, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>; Austrian Mediation Act, June 6, 2003, Art. 16(2), <<http://bgarf.ru/science/baltic-center-of-mediation-and-conflictology/publikacii/avstriya.pdf>>; Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 9 (1), <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg)>.
- <sup>28</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (5), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>; Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 5, <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg)>; Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, §V, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf)>; *Steffek F., Unberath H. (eds.), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C.*, Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 284; European Mediation Training for Practitioners of Justice, A Guide to European Mediation, Association of International Arbitration (ed.), Antwerpen, Apeldoorn, Portland, Maklu, 2012, 143.
- <sup>29</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 285.
- <sup>30</sup> Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, § XI. A. 6, <<https://www.afccnet.org/Portals/0/PublicDocuments/CEFCP/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf>>; *Folberg J., Milne A.L., Salem P.*, Divorce and Family Mediation, Models, Techniques and Applications, The Guilford Press, New York, London, 2004, 540; *Waldman E.*, Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 13.
- <sup>31</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.4, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>.

სტატიის მიზანია, მედიაციის შეთანხმების სამართლიანობის, როგორც ეთიკური და ნორმატიული კატეგორიის, კვლევა ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ის მედიაციის აქტებისა და ეთიკის კოდექსების ანალიზის საფუძველზე. კვლევა ორიენტირებულია, საქართველოში მედიაციის საკანონმდებლო ბაზის ფორმირებისა და ეთიკის რეგულირების ეტაპზე შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები ევროკავშირის სამართალთან ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაციის მიზნით.

## 2. მედიაციის სამართლიანი შეთანხმება, როგორც სამართლიანი პროცესის შედეგი

მედიაციის სამართლიანი შედეგის განმარტებას არ შეიცავს საზღვარგარეთის ქვეყნების მედიატორთა ქცევის უმრავლესი კოდექსი, ამიტომ იგი მედიაციის პროცესისა და თანამდევნი შეთანხმების დოქტრინული ანალიზის გზით არის შესაძლებელი.<sup>32</sup>

ჯორჯიის მედიატორთა ქცევის ეთიკური სტანდარტების<sup>33</sup> თანახმად, ნეიტრალური მესამე პირი მედიაციის სამართლიანი პროცესის გარანტია<sup>34</sup> და მასვე ეკისრება სამართლიანი შედეგის უზრუნველყოფის ვალდებულება.<sup>35</sup>

სამართლიანობა მედიაციის პროცესში დარღვეულია, თუ შეთანხმება არსებითად და ფუნდამენტურად უსამართლოა,<sup>36</sup> უკანონოა,<sup>37</sup> შეუძლებელია მისი აღსრულება,<sup>38</sup> მხარეებს არ აქვთ გაცნობიერებული შეთანხმების შინაარსი, ასევე მათზე<sup>39</sup> ან/და მესამე პირებზე შეთანხმების შედეგების შესაძლო გავლენა.<sup>40 41</sup>

სამართლიანია შეთანხმება, რომელიც: ა) სულ მცირე, მისაღებია ან სამართლიანია შეთანხმების განმახორციელებელი მხარეებისათვის; ბ) აღადგენს ჰარმონიას ან ინტერესთა ბალანსს მედიაციის მონაწილეებს შორის; გ) ზრდის ურთიერთგაგებისა და უკეთესი ურთიერთობის შესაძლებლობას; დ) უახლოვდება იმ ზღვარს, რომელსაც მხარეები მათი ზიანის ადეკვატურ კომპენსირებად მიიჩნევენ; ე) როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე თანხისა და დროის დამზოგველია; ვ) ამცირებს სტრესსა და გაღიზიანებას; ზ) აუმჯობესებს კომუნიკაციას საზოგადოების წევრებს შორის (სამეზობლოში, ბიზნესსამყაროში, დასაქმებულთა სივრცეში და სხვ.); ლ) ქმნის სოციალურ პრეცედენტებს ურთიერთობების უკეთ მოწესრიგებისათვის.<sup>42</sup>

<sup>32</sup> მედიაციის სამართლიანი შეთანხმების საკითხზე იხილეთ ნაშრომები: *Marlow L., Sauber S. R., Handbook of Divorce Mediation*, Springer Science – Business Media, LLC, New York, 1990, 45-62; *Dworkin J., London W., What Is a Fair Agreement?*, 7 *Mediation Q.* 3, 5, 1989; *Hyman J. M., Love L. P., If Portia Were a Mediator: An Inquiry into Justice in Mediation*, 9 *Clinical L. Rev.*, 157, 2002, 186; *Gibson K., Mediator Attitudes Toward Outcomes: A Philosophical View*, 17 *Mediation Q.* 197, 1999, 207–209; *Bercovitch J., Mediation Success or Failure: A Search for the Elusive Criteria*, 7 *Cardozo J. Conflict Resolution*, 289, 2006, 291; *Isabelle R., Gunning, Know Justice, Know Peace: Further Reflections on Justice, Equality and Impartiality in Settlement Oriented and Transformative Mediations*, 5 *Cardozo J. Conflict Resolution*, Vol. 5, 2004, 87.

<sup>33</sup> *Ethical Standards for Mediators*, Georgia Commission on Dispute Resolution, § IV. A, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf)>.

<sup>34</sup> იხ. ასევე, *Rützel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany*, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, 2016, 202.

<sup>35</sup> *Hopt K. J., Steffek F., Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, Oxford, 2013, 664.

<sup>36</sup> *Ethical Standards for Mediators*, Georgia Commission on Dispute Resolution, § IV. A, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf)>.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> *Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct*, Art. 9.6, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>.

<sup>40</sup> *Ethical Standards for Mediators*, Georgia Commission on Dispute Resolution, § IV. A, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%20CHAP%201%20%206-18-2013.pdf)>.

<sup>41</sup> *Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 *South Tex. L. Rev.*, 2012, 285.

<sup>42</sup> *Hyman J. M., Love L. P., If Portia Were a Mediator: An Inquiry into Justice in Mediation*, 9 *Clinical L. Rev.*, 157, 2002, 186.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, უსამართლოა შეთანხმება, როდესაც: ა) თუნდაც ერთი მხარე აკეთებს არანებაყოფლობით არჩევანს; ბ) ვერ განხორციელდა მხარის ფუნდამენტური ინტერესი, რომ ადამიანის რწმენა არ შეიძლება უარყოფის საგანი გახდეს; გ) მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები ეწინააღმდეგება პოზიტიურ სამართალს; დ) შეთანხმების პირობები მნიშვნელოვანი ხარისხით არღვევს ან უგულებელყოფს პიროვნების ღირსებას; ე) იგი არ არის მიღწეული საქმის შესაძლო ალტერნატიული შედეგების სრული გაცნობიერების პირობებში; ვ) ხელშეკრულების პირობები შეუთავსებელია ადამიანის იმ ფუნდამენტურ ღირებულებებთან, რომლებიც აღიარებულია ფართო საზოგადოების მიერ.<sup>43</sup> დოქტრინაში არსებული ზემოჩამოთვლილი მახასიათებლები, ბუნებრივია, არ შეიძლება იყოს ამომწურავი და სამართლიანობის სტანდარტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეთიკური პრინციპების ურთიერთკავშირში მოქმედების გზით უნდა შეფასდეს.

მედიაციის პროცესსა და შედეგს შორის ურთიერთგანმაპირობებელი კავშირი არსებობს. კერძოდ, სამართლიანი შედეგის მისაღწევად აუცილებელია, მედიაციის პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს: ნებაყოფლობითობა, მხარეთა მიერ ურთიერთსანაცვლო ინტერესების გაზიარება, შედეგების საჯარო მნიშვნელობის აღიარება, ღირსეული მოპყრობა და პატივისცემა, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა<sup>44</sup> მხარეთა მიერ, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების არარსებობა მედიატორისათვის,<sup>45</sup> წინააღმდეგობრივი და ურთიერთსაპირისპირო ფუნდამენტური ღირებულებების მიმღებლობა.<sup>46</sup>

მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, მხარეთა მიერ სამართლიანობის სუბიექტური შეფასება,<sup>47</sup> აღქმა არის მთავარი კრიტერიუმი მედიაციის შედეგის სამართლიანად მიჩნევისთვის.<sup>48</sup> ამ დოქტრინული შეხედულების მომხრეები მედიატორს აკისრებენ ვალდებულებას, გამოიკვილოს და მხარეებთან განიხილოს მათი წარმოდგენები სამართლიანობაზე და შემდგომ დაეხმაროს მათ ამ სამართლიანობის შესატყვისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>49</sup> ამ მიდგომის თანახმად, სამართლიანობის შეფასებისთვის საჭიროა მედიაციის კონკრეტული მონაწილეების სუბიექტური ხედვა და არა ის, თუ ობიექტურად რას მიიჩნევდა სამართლიანად ნებისმიერი საყოველთაოდ მიღებული მორალური ღირებულებების მქონე პირი, ამ პროცესის მონაწილე რომ ყოფილიყო. ამ მიდგომის თანახმად, თვითგამორკვევის უფლების რეალიზების საფუძველზე მხარეები თავად არიან საკუთარი სამართლიანობის განმსჯელი მოსამართლეები.<sup>50</sup>

ნებაყოფლობითობა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება,<sup>51</sup> მართალია, არის თვითგამორკვევის უფლების საძირკველი,<sup>52</sup> თუმცა მის საფუძველზე მიღწეულ შეთანხმებას სამართლიანობაზე პრეტენზია მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს, თუ

<sup>43</sup> *Stulberg J. B., Mediation and Justice: What Standards Govern?*, 6 *Cardozo J. Conflict Resolution*, 2005, 222-227.

<sup>44</sup> *Irving H. H., Family Mediation, Theory and Practice with Chinese Families*, Hong Kong University Press, Hong Kong, 2002, 94.

<sup>45</sup> *Rützel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany*, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, München, 2016, 201.

<sup>46</sup> *Stulberg J. B., Mediation and Justice: What Standards Govern?*, 6 *Cardozo J. Conflict Resolution*, 2005, 227-228.

<sup>47</sup> *Marlow L., Sauber S. R., Handbook of Divorce Mediation*, Springer Science – Business Media, LLC, New York, 1990, 52-53.

<sup>48</sup> *Hyman J. M., Love L. P., If Portia Were a Mediator: An Inquiry into Justice in Mediation*, 9 *Clinical L. Rev.*, 157, 2002, 164, *შეად. Marlow L., Sauber S. R., Handbook of Divorce Mediation*, Springer Science – Business Media, LLC, New York, 1990, 52-62; *Stulberg J. B., Mediation and Justice: What Standards Govern?*, 6 *Cardozo J. Conflict Resolution*, 2005, 241-242.

<sup>49</sup> *Hyman J. M., Love L. P., If Portia Were a Mediator: An Inquiry into Justice in Mediation*, 9 *Clinical L. Rev.*, 157, 2002, 192, მითითებულია: *Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 *South Tex. L. Rev.*, 2012, 314.

<sup>50</sup> *Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 *South Tex. L. Rev.*, 2012, 315.

<sup>51</sup> *Irving H. H., Family Mediation, Theory and Practice with Chinese Families*, Hong Kong University Press, Hong Kong, 2002, 94.

<sup>52</sup> *Stulberg J. B., Mediation and Justice: What Standards Govern?*, 6 *Cardozo J. Conflict Resolution*, 2005, 227-228.

ხელშეკრულების შედგენა მოხდება ეთიკის კოდექსთა ნორმატიული მოთხოვნების<sup>53</sup> დაცვით და, ამასთან, თავსებადი იქნება მედიაციის არამონაწილე მესამე პირთა ინტერესებთან.

ლიტერატურაში ასევე ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მედიაციის უკანონო შეთანხმება ვერ იქნება სამართლიანი, რამეთუ ამით მედიაციის მხარეები საკუთარ თავს უპირატეს მდგომარეობაში იყენებენ, კანონმორჩილ მოქალაქეებთან შედარებით.<sup>54</sup> თუ მედიაცია მხარეთათვის გახდება პრივილეგია – კანონისგან გვერდის ავლის საშუალება „სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით, ბუნებრივია, ეს გამოიწვევს არაკანონიერი პრაქტიკის დაწერგვას.<sup>55</sup> ამ შემთხვევაში სამართლიანობისთვის განმსაზღვრელი ხდება არა მხოლოდ მხარეთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზება, ე.წ. „ქვემოდან (მხარეებისგან) მომდინარე“<sup>56</sup> „ინდივიდუალური სამართლიანობა“,<sup>57</sup> არამედ იმ წესების შესრულება, რომელთა დაცვის ვალდებულება აქვს მთელ საზოგადოებას. ეთიკის კოდექსებით მედიაციაში ხდება კანონისა და მორალის ნორმების ინკორპორირება და უკანონო შეთანხმება სამართლიანად არ ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის მხარეთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზეა მიღწეული და მათთვის მისაღებია.<sup>58</sup>

### 3. არასამართლიანი შეთანხმება – მედიაციის ინსტიტუტის დისკრედიტაციის საფრთხე და საჯარო ინტერესის ხელყოფის წყარო

სამართლებრივი ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირება უნდა ეფუძნებოდეს გარკვეულ ფუნდამენტურ წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობას.<sup>59</sup>

ვინაიდან მედიაცია, უმთავრესად, ნებაყოფლობითი ინსტიტუტია, დავის გადანყვევის სხვა მექანიზმებთან მისი თანაარსებობა უნდა განაპირობოს თავად ამ ინსტიტუტის არსმა და არა სახელმწიფოს იძულებითმა მექანიზმმა. სავალდებულო მედიაციაც სრულად ვერ იქნება სახელმწიფოს მიერ შენარჩუნებული, თუ ამ ინსტიტუტის არსებობის საჭიროება და აუცილებლობა მისმა სარგებლიანობამ არ დაუდასტურა საზოგადოებას.

სავალდებულო მედიაციის შემთხვევაშიც კი მხარეები ნებაყოფლობითობის საფუძველზე აწარმოებენ მოლაპარაკებას. ვინაიდან არ არსებობს შეთანხმების მიღწევის ვალდებულება,<sup>60</sup> მათ შეუძლიათ, პროცესის მიმდინარეობის დროსაც შეწყვიტონ იგი და უარყონ მედიაციის შემდგომი გამოყენება. დაუშვებელია მოხდეს მხარეთა იძულება და თავისუფლების შეზღუდვა, მაგრამ, როგორც კი ისინი ირჩევენ მედიაციას მათი განსხვავებულობის შეთანხმების

<sup>53</sup> Georgia Ethical Standards for Mediators, IV. A, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/mediator\\_ethics\\_information/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/mediator_ethics_information/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf)>.

<sup>54</sup> იხ. *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 316, შემდგომი მითითებით.

<sup>55</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 316; *Carr C. L.*, Fairness and Political Obligation – Again: A Reply to Lefkowitz, 33 Social Theory and Practice, 33, 2004, 40, <[https://www.pdcnet.org/pdc/bvdb.nsf/purchase?openform&fp=soctheorpract&id=soctheorpract\\_2004\\_0030\\_0001\\_0033\\_0058](https://www.pdcnet.org/pdc/bvdb.nsf/purchase?openform&fp=soctheorpract&id=soctheorpract_2004_0030_0001_0033_0058)>.

<sup>56</sup> *Hyman J. M., Love L. P.*, If Portia Were a Mediator: An Inquiry into Justice in Mediation, 9 Clinical L. Rev., 157, 2002, 160-162, <<http://www.law.newark.rutgers.edu/files/If%20Portia%20Were%20a%20Mediator%209%20Clinical%20L%20Rev%20157.pdf>>.

<sup>57</sup> *Trevor M. B., Palo G.*, EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 257.

<sup>58</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 317, შემდგომი მითითებით.

<sup>59</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 321.

<sup>60</sup> *Steffek F., Unberath H. (eds.), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C.*, Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 284.

საშუალებად, მათ არ აქვთ უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც დააზიანებს თავად მედიაციის ინსტიტუტს.

არასამართლიანი შედეგის დაუშვებლობა მედიაციის ნორმატიული წესია, მისი პირდაპირი ბენეფიციარია ფართო და კონკრეტულად მედიაციის პროფესიული საზოგადოება, რომლის ინტერესია, მედიაცია რჩებოდეს დავის გადაწყვეტის მოთხოვნად საშუალებად.<sup>61</sup>

მედიაციის ინსტიტუტი მხარდაჭერილია სახელმწიფო პოლიტიკით და მისი წარმატებული ფუნქციონირება დავის გადაწყვეტის მექანიზმების ერთიან სისტემაში საჯარო ინტერესის გამომხატულებაა. მედიაცია სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მექანიზმი და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების აპოლიტიკური საშუალებაა.<sup>62</sup> მისი საჯარო ინტერესად მიჩნევის საფუძველია ასევე შემდეგი: მედიაციის შეთანხმება უფრო მეტად ასახავს მხარეთა ინტერესებს, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილება და ამიტომაც უფრო მეტად ექვემდებარება ნებაყოფლობით აღსრულებას. მედიაცია, მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილებასთან ერთად, ზოგავს სასამართლოს ხარჯებს და ამცირებს მის გადატვირთულობას.<sup>63</sup> მედიაციას აქვს უნარი, განახორციელოს არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ საზოგადოების ტრანსფორმაცია.<sup>64</sup> მედიაციას მედიატორის დახმარებით შესწევს უნარი, გარდაქმნას სამყარო ისეთ ადგილად, სადაც საზოგადოებას უკეთესად შეეძლება ცხოვრება.<sup>65</sup>

მედიაციის ისეთი შეთანხმება, რომელიც ახდენს მედიაციის ინსტიტუტის დისკრედიტაციას, იმავდროულად ხელყოფს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. არასამართლიანმა შეთანხმებამ შეიძლება განაპირობოს საზოგადოების მხრიდან ნდობისა და რწმენის დაკარგვა მედიაციის ინსტიტუტის მიმართ.

მედიატორთა პროფესიული ქცევის ჩრდილოეთ კაროლინის სტანდარტების პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ ეთიკის სტანდარტების მიზანია, დაამკვიდროს და განამტკიცოს საზოგადოების ნდობა მედიაციის პროცესის მიმართ... მედიაცია უნდა დაეფუძნოს საჯარო აღიარებასა და ნდობას.<sup>66</sup> პოლონეთში მედიაციის კანონმდებლობის რეფორმირების დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სამოქალაქო საბჭომ განსაზღვრა მედიაციისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისათვის აუცილებელი საფუძვლები: მედიატორთა პროფესიონალიზმი და მათი მაღალი სააკრედიტაციო მოთხოვნები,<sup>67</sup> სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა და უფასო მედიაციის სერვისები დაბალი შემოსავლის მქონე პირებისათვის.<sup>68</sup> ასევე კალიფორნიის მედიატორთა პრაქტიკის სტანდარტების პრეამბულაში მითითებულია, რომ მედიაციის ინსტიტუტის წარმატებისთვის აუცილებელია ფართო საზოგადოების ნდობა მედიაციის პროცესის სამართლიანობისა და ეთიკური ურღვევობის მიმართ.<sup>69</sup>

იურიდიულ დოქტრინაში განასხვავებენ მხარეთა პერსონალურ და საზოგადოების ნდობას მედიაციის მიმართ. საჯარო ნდობის მოპოვებისათვის მედიატორს ეკისრება მისი

<sup>61</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 322.

<sup>62</sup> *Zekoll J., Bälz M., Amelung I. (eds.)*, Formalisation and Flexibilisation in Dispute Resolution, Brill Nijhoff, Leiden/Boston, 2014, 128.

<sup>63</sup> *Rosenberg J. D.*, In Defense of Mediation, 33 Ariz. L. Rev., 467, 1991, 467, <[https://www.researchgate.net/publication/228024514\\_In\\_Defense\\_of\\_Mediation](https://www.researchgate.net/publication/228024514_In_Defense_of_Mediation)>.

<sup>64</sup> *Bush R.A.B., Folger J. P.*, The Promise of Mediation, The Transformative Approach to Conflict, Jossey-Bass, San Francisco, 2005, 13-14, 21, 53-54, 65.

<sup>65</sup> *Bush R.A.B., Folger J. P.*, Mediation and Social Justice: Risks and Opportunities, 27 Ohio St. J. on Disp. Resol., 1, 2012, 19-20, მითითებულია: *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 333.

<sup>66</sup> Orth Carolina Revised Standards of Professional Conduct for Mediators, Preamble, <[https://www.sog.unc.edu/sites/www.sog.unc.edu/files/course\\_materials/R13.4%20Standards%20of%20Professional%20Conduct%20for%20Mediators.pdf](https://www.sog.unc.edu/sites/www.sog.unc.edu/files/course_materials/R13.4%20Standards%20of%20Professional%20Conduct%20for%20Mediators.pdf)>.

<sup>67</sup> *Roberts M.*, A-Z of Mediation, Palgrave Macmillan, 2013.

<sup>68</sup> *Trevor M. B., Palo G.*, EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 272.

<sup>69</sup> Standards of Practice For California Mediators, Preamble, <<http://www.cdrc.net/mediator-standards#stds-preamble>>.

კვალიფიკაციის, პრაქტიკის, მედიაციის ასოციაციების წევრობის შესახებ საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირება.<sup>70</sup> ქმედება, რომელიც ხელყოფს საზოგადოების ნდობას მედიაციის ინსტიტუტის მიმართ, ნორმატიულად უსამართლოდ მიიჩნევა.<sup>71</sup>

#### 4. მედიატორის პროფესიული როლი – მედიაციის ინსტიტუტის ეთიკური ურღვეობის დაცვა

ნებისმიერ პროფესიულ როლს – ექიმის, იურისტის, მშობლისა თუ მასწავლებლის – თან სდევს ვალდებულებები და პროფესიონალის მორალური ვალია, შეასრულოს ისინი.<sup>72</sup> ზოგიერთი მორალური ვალდებულება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას კონკრეტული პროფესიული როლის შემთხვევაში.

პროფესიულ უფლებამოსილებას თან ახლავს მორალური გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობა.<sup>73</sup> თითოეული პროფესია განსხვავებული შინაარსის მორალურ ვალდებულებებს მოიაზრებს, მაგრამ მათ წარმომადგენლებს აერთიანებთ თანაბარი პასუხისმგებლობა – მორალური თვალსაზრისით გამართლებული შედეგის მიღწევაზე იყვნენ ორიენტირებულნი.<sup>74</sup>

ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენლისათვის, უპირველესად, აუცილებელია თავად ამ პროფესიის ეთიკური მთლიანობის დაცვა და გაფრთხილება, იმ წესების განუხრელი შესრულება, რომელთაც მისი პროფესია არსობრივად ემყარება. „ეთიკის ნორმების განმტკიცება შესაბამისი სფეროს პროფესიად ჩამოყალიბების მანიშნებელია“.<sup>75</sup> მედიატორებს, რომლებსაც გავლილი აქვთ განსაზღვრული სააკრედიტაციო მომზადება და ასრულებენ სამედიაციო საქმიანობას, მიიჩნევიან მედიაციის პრაქტიკის განმახორციელებლებად და მათ აერთიანებთ გარკვეული პროფესიული როლი, ეთიკური უფლება-მოვალეობები და პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტები. ამ ეთიკური სტანდარტებით მედიატორებს ეკისრებათ გარკვეული ვალდებულებები, როგორც მხარეების, მედიაციის არამონაწილე პირების, საზოგადოების, სასამართლოს<sup>76</sup> მიმართ, ასევე თავად პროფესიის მიმართ.<sup>77</sup>

სუბიექტი როცა კისრულობს მედიატორის როლს, ის იმთავითვე იზიარებს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას, დაიცვას მედიაციის ინსტიტუტი შესაძლო ზიანისაგან. ამიტომ ეს მორალური ვალდებულება არსებობს, მიუხედავად იმისა, ის ასეთად მედიაციის ეთიკის კოდექსში განმტკიცებულია, თუ არა.<sup>78</sup>

პირი ნებაყოფლობით უკავშირებს თავის პროფესიულ საქმიანობას მედიაციას, და ამით იძენს გარკვეულ სოციალურ სტატუსს, აღიარებას, თვითკმაყოფილებას, შესაძლებლობებსა და უპირატესობას.<sup>79</sup> მედიატორები საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნებართვით ასრულებენ

<sup>70</sup> James E. A., Monagan Sh. L., Participant's Guide Problem Solving Mediation Training, James and Monagan, 2010, 26.

<sup>71</sup> Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 323.

<sup>72</sup> Gert B., Common Morality, Oxford University Press, 2004, 50.

<sup>73</sup> Fallows S., Chandramohan B. (eds.), Interdisciplinary Learning and Teaching in Higher Education, Theory and Practice, Routledge, New York, London, 2009, 26-27.

<sup>74</sup> Fallows S., Chandramohan B. (eds.), Interdisciplinary Learning and Teaching in Higher Education, Theory and Practice, Routledge, New York, London, 2009, 26-27.

<sup>75</sup> Kovach K. K., Mediation, Principles and Practice, 3<sup>rd</sup> ed., Thomson West, United States of America, 2004, 395.

<sup>76</sup> Standards of Practice For California Mediators, Preamble, <<http://www.cdrc.net/mediator-standards#stdsp-reamble>>.

<sup>77</sup> მედიატორის ეთიკური ვალდებულების ადრესატების შესახებ იხილეთ: Susskind L., Expanding the Ethical Obligations of the Mediator: Mediator Accountability to Parties Not at the Table, წიგნში: Menkel-Meadow C., Wheeler M., What's Fair: Ethics for Negotiators, 2004, 513-516.

<sup>78</sup> Gibson K., Contrasting Role Morality and Professional Morality: Implications for Practice, 20 J. Applied Phil. 17, 2003, 28, <<http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/1468-5930.00232/pdf>>.

<sup>79</sup> Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 326-327. იხ. ასევე, Cohen E.D., Davis M., Professionalism Means Putting Your Profession First, in Ethics and the Legal Profession, 2<sup>nd</sup> ed., 2009, 166.

მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას, რაც მათ ანიჭებს საზოგადოებაზე გავლენის მომხდენ ძალაუფლებას. თუმცა ამ სოციალურ გავლენას თან ახლავს თანამდევნი უფლება-მოვალეობები საზოგადოების მიმართ.<sup>80</sup> მედიატორთა გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე და სხვებზე ზემოქმედების შესაძლებლობა აყალიბებს მორალურ პასუხისმგებლობას.<sup>81</sup> მედიატორს ეკრძალება უკანონო, ამორალური და არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელება ან მისი ხელშეწყობა.<sup>82</sup>

სერტიფიცირებული და სასამართლო მედიატორების შესახებ ფლორიდის წესები განამტკიცებს მედიატორის ვალდებულებას, დაიცვას და გაუფრთხილდეს პროფესიის ხარისხს.<sup>83</sup> მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტების<sup>84</sup> თანახმად, მედიატორმა უნდა იმოქმედოს იმ სახით, რომ ხელი შეუწყოს მედიაციის პრაქტიკის განვითარებას.<sup>85</sup> მედიატორის ვალდებულებას პროფესიის მიმართ, შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა, განამტკიცებს ჩრდილოეთ კაროლინის პროფესიული ქცევის სტანდარტები მედიატორებისათვის,<sup>86</sup> მედიაციის პრაქტიკის ორეგონის ძირითადი სტანდარტები,<sup>87</sup> ალაბამის კოდექსი<sup>88</sup> და სხვ.

კალიფორნიის მედიატორთა პრაქტიკის სტანდარტები განამტკიცებს მედიატორის ვალდებულებას, მაღალი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად წარმართოს მედიაცია, რომელიც გააღვივებს მედიაციის პროცესისადმი რწმენას და დაწინაურებს ნდობას ამ ნეიტრალური მესამე პირების კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების მიმართ.<sup>89</sup> ფლორიდის წესების თანახმად, საზოგადოების მიერ მედიაციის გამოყენება, ცნობიერების ამაღლება და მედიაციით კმაყოფილება მიიღწევა მედიატორთა მიერ მაღალი ეთიკური სტანდარტების გამოყენების შემთხვევაში.<sup>90</sup>

მედიატორი, რომელიც არ უფრთხილდება საზოგადოების აზრს, არ იცავს მისი პროფესიის წარმომადგენლებისათვის დადგენილ საერთო წესებს, ზიანს აყენებს კოლეგებსა და მედიაციის ინსტიტუტს.

კალიფორნიის სასამართლო წესების მიხედვით, მედიატორმა იმგვარად უნდა წარმართოს მედიაციის პროცესი, რომ დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოების ნდობაზე მედიაციის პროცესის სამართლიანობისა და ეთიკური ურღვევობის მიმართ.<sup>91</sup>

<sup>80</sup> *Beauchamp T. L., Childress J. F., Principles of Biomedical, Ethics, 6<sup>th</sup> ed., 2009, 206.*

<sup>81</sup> *Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 331, შემდგომი მითითებებით.*

<sup>82</sup> *Bar Code of Conduct, Finland, იხ. Trevor M. B., Palo G., EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 108.*

<sup>83</sup> *Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, §10:600, <<http://www.mediate.com/articles/floridarules.cfm>>.*

<sup>84</sup> *Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, <[http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011\\_build/dispute\\_resolution/model\\_standards\\_conduct\\_april2007.authcheckdam.pdf](http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011_build/dispute_resolution/model_standards_conduct_april2007.authcheckdam.pdf)>.*

<sup>85</sup> *Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, IX. A, <[http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011\\_build/dispute\\_resolution/model\\_standards\\_conduct\\_april2007.authcheckdam.pdf](http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011_build/dispute_resolution/model_standards_conduct_april2007.authcheckdam.pdf)>.*

<sup>86</sup> *North Carolina Revised Standards of Professional Conduct for Mediators, Preamble, <[https://www.sog.unc.edu/sites/www.sog.unc.edu/files/course\\_materials/R13.4%20Standards%20of%20Professional%20Conduct%20for%20Mediators.pdf](https://www.sog.unc.edu/sites/www.sog.unc.edu/files/course_materials/R13.4%20Standards%20of%20Professional%20Conduct%20for%20Mediators.pdf)>.*

<sup>87</sup> *Core Standards of Mediation Practice, §X (Oregon Mediation Association, 2005), <<http://www.omediate.org/docs/2005CoreStandardsFinalP.pdf>>.*

<sup>88</sup> *Alabama Code of Ethics for Mediators, Alabama Center of Dispute Resolution, 1997, §12, <[http://alabamaadr.org/web/roster-documents/documents/med\\_Mediator\\_Code\\_of\\_Ethics\\_150501\\_updated.pdf](http://alabamaadr.org/web/roster-documents/documents/med_Mediator_Code_of_Ethics_150501_updated.pdf)>.*

<sup>89</sup> *Standards of Practice For California Mediators, Preamble, <<http://www.cdrc.net/mediator-standards#stdspreamble>>.*

<sup>90</sup> *Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, §10:200, <<http://www.mediate.com/articles/floridarules.cfm>>.*

<sup>91</sup> *The California Rules of Court, §3.850 (a), <[http://www.courts.ca.gov/documents/title\\_3.pdf](http://www.courts.ca.gov/documents/title_3.pdf)>.*



## 5. მხარეთა თვითგამორკვევისა და შეთანხმების სამართლიანობის პრინციპთა ურთიერთქმედება

მხარეთა თვითგამორკვევის ფუნდამენტური წესი მედიაციის შეთანხმების სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპთან კავშირში უნდა განიმარტოს. ამ შემთხვევაში აუცილებელია მხარეთა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების ბალანსირება, რაც შეუძლებელია, მარტივი მათემატიკური ალგორითმის საფუძველზე განხორციელდეს – ის მოითხოვს გონივრულ და დასაბუთებულ განსჯას.<sup>92</sup>

კერძოდ, თუ მხარეები მედიაციის ფარგლებში შეუთანხმდებიან ექიმს, რომ თავიანთ არასრულწლოვან შვილს ჩაუტარონ კანონით აკრძალული გენიტალური მანიპულაცია, ასეთი შეთანხმება, ბუნებრივია, ვერ იქნება სამართლიანი. სადავოა საკითხი, რამდენად შეეძლო არასრულწლოვან შვილს, მედიაციაში ჩართულობის შემთხვევაშიც კი, სრულად გაეცნობიერებინა მედიაციის შედეგით მისალწვევი მიზანი. მისი გაცნობიერებული თანხმობა მაინც არ შეიძლება იყოს საკმარისი მედიაციის შედეგის სამართლიანად შესაფასებლად – მხარეთა თვითგამორკვევის უფლების სრულად რეალიზება ვერ ამართლებს არაკანონიერი და ამორალური შეთანხმების დასაშვებობას.<sup>93</sup> ამ შემთხვევაში მედიაციის შედეგის კანონიერების მოთხოვნა ფარავს მხარეთა თვითგამორკვევის უფლებას.<sup>94</sup> ამიტომ მხარეთა თვითგამორკვევის უფლებისა და გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილების მოქმედების ფარგლები შეიძლება შემცირდეს მედიაციის არასამართლიანი შედეგის დაუშვებლობის ნორმატიული წესით.

შრომის მედიატორებისათვის დადგენილი პროფესიული ქცევის წესების თანახმად, მედიატორებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათი უფლება-მოვალეობები მიემართება მთელ საზოგადოებას.<sup>95</sup> მედიატორებს აკისრიათ ვალდებულება განქორწინების მედიაციის მხარეთა შვილების მიმართ,<sup>96</sup> იმ პირის მიმართ, რომელიც ძალადობის მუქარის მსხვერპლია,<sup>97</sup> ან, რომელმაც შეიძლება განიცადოს მნიშვნელოვანი ზიანი.<sup>98</sup> რეალურად მედიაციის შედეგმა პირდაპირი გავლენა შეიძლება მოახდინოს მედიაციის არამონაწილე პირთა ფართო წრეზე – მომხმარებლებზე, დასაქმებულებზე, მეზობლებზე, ოჯახის სხვა წევრებზე და ა. შ. მხარეთა ინტერესების რეალიზება დასაშვებია მათი თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე იმ დოზით, სადამდეც მესამე პირების ინტერესების ხელყოფა არ მოხდება.

## 6. უკანონო შეთანხმება, როგორც მედიაციის არასამართლიანი შედეგი

იურიდიულ დოქტრინაში მედიაციის შეთანხმების კანონიერება და საჯარო პოლიტიკისადმი მისი შესაბამისობა<sup>99</sup> თანაბარი მნიშვნელობის, ხშირად ურთიერთმომცველ მოთხოვნებად და ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობებად განიხილება. მედიაციის შეთანხმება უკანონოა,

<sup>92</sup> Steffek F., Unberath H. (eds.), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C., *Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads*, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.

<sup>93</sup> Shapira O., *Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 South Tex. L. Rev., 2012, 320.

<sup>94</sup> იქვე, გვ. 318.

<sup>95</sup> Code of Professional Conduct for Labor Mediators, 29 C.F.R. pt. 1400 app., 2012, <<https://www.law.cornell.edu/cft/text/29/part-1400/appendix-1ii3>>.

<sup>96</sup> Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, 2000, §VIII, IX, <<https://www.afcnet.org/Portals/0/PublicDocuments/CEFCP/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf>>; Standards of Practice For California Mediators, §3, <<http://www.cdrc.net/mediator-standards#stdspreamble>>; Mediation Council of Illinois (MCI) Professional Standards of Practice for Mediators, 1999, §IV.C., <<http://www.mediate.com/articles/illstds.cfm>>.

<sup>97</sup> Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, 2000, §VII. C, <<https://www.afcnet.org/Portals/0/PublicDocuments/CEFCP/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf>>.

<sup>98</sup> The California Rules of Court, 3.857(i)(3), <[http://www.courts.ca.gov/documents/title\\_3.pdf](http://www.courts.ca.gov/documents/title_3.pdf)>.

<sup>99</sup> James E. A., Monagan Sh. L., *Participant's Guide Problem Solving Mediation Training*, James and Monagan, 2010, 60.

თუ მისი დებულებები ეწინააღმდეგება სამართლის სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებს, საჯარო წესრიგს, კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.<sup>100</sup> მსგავსად, რუმინეთის მედიაციის კანონის თანახმად, მედიაციის შეთანხმება ვერ იქნება ისეთი პირობების შემცველი, რომლებიც კანონის ან საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოა.<sup>101</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში აქცენტირებულია, რომ მედიაციის შეთანხმება დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს მიღებული, რადგან ზღვარი კანონიერებასა და უკანონობას შორის ძალიან მცირეა.<sup>102</sup>

ბულგარეთის მედიაციის კანონი მედიატორს აკისრებს კანონის, კეთილსინდისიერების, მაღალი მორალური პრინციპების, მედიატორთა ქცევის ეთიკური და პროცედურული წესების შესაბამისი მოქმედების ვალდებულებას.<sup>103</sup> ხშირად მედიაციის ეთიკის კოდექსებით კანონის უზენაესობის პრინციპი<sup>104</sup> ინტეგრირებულია მედიაციის წესებში. მაგალითად, სერტიფიცირებული და სასამართლო მედიაციის შესახებ ფლორიდის წესების თანახმად, მედიატორი უნდა ემორჩილებოდეს ყველა აქტს, ადგილობრივი სასამართლოს წესებს და ადმინისტრაციულ ბრძანებებს, რომლებიც კავშირშია მედიაციის პრაქტიკასთან.<sup>105</sup>

ირლანდიის მედიატორთა ინსტიტუტის ქცევის კოდექსის<sup>106</sup> საფუძველზე ნეიტრალური მესამე პირი არ შეიძლება იყოს იმ შეთანხმების მონაწილე, რომელიც უკანონო ან არააღსრულებადია.

საზოგადოების მიმართ მედიატორის ვალდებულება იწყებს ამოქმედებას მაშინ, როდესაც მხარე მედიაციას იყენებს სამომავლო უკანონო ქმედებისთვის,<sup>107</sup> მედიატორი ახორციელებს მისი საქმიანობის რეკლამირებას<sup>108</sup> და როდესაც წარმოიშობა ინფორმაციის გამჟღავნების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.<sup>109</sup> ამიტომ მედიაციის უკანონო შედეგის ამკრძალავი წესი ემსახურება მედიაციის ინსტიტუტის დაცვას და, შედეგობრივად, საჯარო ინტერესის განხორციელებას.<sup>110</sup>

<sup>100</sup> *Esplugues C., Louis M., New Developments in Civil and Commercial Mediation, Global Comparative Perspectives, Ius Comparatum, Springer International Publishing Switzerland, 2015, 286.*

<sup>101</sup> Romania Law №.192/2006 on Mediation and Organizing the Mediator Profession as modified and added by the law №. 370/2009 and by government Ordinance no.13/2010 Regarding the transporting the Directive Services, Art. 46(2), <[http://www.edumondemediation.ro/uploads\\_ro/images/515/Law192\\_EN.pdf](http://www.edumondemediation.ro/uploads_ro/images/515/Law192_EN.pdf)>.

<sup>102</sup> *Neamtu B., Dragos D. C., Alternative Dispute Resolution in European Administrative Law, Springer Verlag, Berlin, Heidelberg, 2014, 447.*

<sup>103</sup> Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 9 (1), <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3AAactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3AAactsformediation&Itemid=74&lang=bg)>.

<sup>104</sup> კანონის უზენაესობის პრინციპის შესახებ მედიაციის პროცესში იხ. *Marlow L., Sauber S.R., Handbook of Divorce Mediation, Springer Science – Business Media, LLC, New York, 1990, 63-73.*

<sup>105</sup> Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, §10:520, <<http://www.mediate.com/articles/floridarules.cfm>>.

<sup>106</sup> Mediators' Institute of Ireland (MII), Code of Ethics and Practice, <<http://www.themii.ie/code-of-ethics-and-practice>>.

<sup>107</sup> The California Rules of Court, 3,857 (I) (1), <[http://www.courts.ca.gov/documents/title\\_3.pdf](http://www.courts.ca.gov/documents/title_3.pdf)>; Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, 2000, §XI. A. 5, <<https://www.afcnet.org/Portals/0/Public Documents/CEFCP/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf>>; Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, §VI.A.9; Jams Mediators Ethics Guidelines, §V, 2013, <<http://www.jamsadr.com/mediators-ethics/>>; *Waldman E., Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 195.*

<sup>108</sup> The California Rules of Court, §3.858, <[http://www.courts.ca.gov/documents/title\\_3.pdf](http://www.courts.ca.gov/documents/title_3.pdf)>; Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, 2000 §XII, <<https://www.afcnet.org/Portals/0/Public Documents/CEFCP/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf>>; Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, §VII. A.

<sup>109</sup> Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, §V. A.

<sup>110</sup> *Shapira O., Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 322.*

თუ კანონმდებლობით მედიატორს მინიჭებული ექნება უფლებამოსილება, შეწყვიტოს მედიაცია, მაშინ მან ეს აუცილებლად უნდა განახორციელოს უკანონო შედეგის პრევენციის მიზნით.<sup>111</sup>

ევროკავშირის უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობა მედიაციის შეთანხმების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველად განიხილავს არასამართლიანი მედიაციის შეთანხმების არსებობას მისი უკანონობის, საჯარო და მესამე პირთა ინტერესების ხელყოფის საფუძველით.

მედიაციის შეთანხმების დამტკიცებისას ხშირად მოსამართლეები ხელმძღვანელობენ საჯარო ინტერესის დაცვის კრიტერიუმით და უფლებამოსილნი არიან, უარი თქვან სააღსრულებო ბრძანების გაცემაზე შეთანხმების არაკანონიერებისა<sup>112</sup> და საჯარო ინტერესის ხელყოფის საფუძველით.<sup>113</sup> ბელგიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სასამართლო არ განახორციელებს ისეთი მედიაციის შეთანხმების აღსრულებას, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო ან არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესებს;<sup>114</sup> ფინეთის მედიაციის კანონი მესამე პირთა ინტერესების საწინააღმდეგო, უკანონო და არსებითად არასამართლიან შეთანხმებას აღსრულებაზე უარის ნორმატიულ საფუძველად განიხილავს.<sup>115</sup>

ვინაიდან მედიაციის შედეგი ფორმდება ხელშეკრულების სახით, სახელშეკრულებო სამართალშიც აღსრულებას<sup>116</sup> არ ექვემდებარება შეთანხმება, რომელიც არღვევს სახელშეკრულებო თანახმობისა და სამართლიანობის პრინციპს.<sup>117</sup>

ამრიგად, უკანონო და ამორალური შეთანხმება ზიანს აყენებს საზოგადოებას, ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს და ამიტომ ვერ იქნება აღსრულებადი მედიაციის ამგვარი შედეგი.<sup>118</sup> შესაძლებელია, უკანონო შეთანხმება არ არღვევდეს საზოგადოების ნდობას მედიაციის ინსტიტუტის მიმართ, მაგრამ ის მაინც აკრძალული უნდა იყოს მედიაციის მიზნებიდან გამომდინარე.

## 7. მედიატორის პასუხისმგებლობა მედიაციის შედეგზე

მედიატორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მას მედიაციის შედეგის მიმართ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რა ზომების მიღების ვალდებულება ეკისრება მას მედიაციის უკანონო შედეგის პრევენციისათვის. შესაბამისად, მედიატორის პასუხისმგებლობა სწორედ იმ ბერკეტების გათვალისწინებით შესაძლებელია გაანალიზდეს, რაც მას აქვს უკანონო შედეგის თავიდან აცილებისათვის მინიჭებული კანონის თუ ეთიკის ნორმების საფუძველზე.

<sup>111</sup> *Waldman E.*, *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 13; *Shapira O.*, *Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 *South Tex. Law Rev.*, 2012, 333.

<sup>112</sup> *Zekoll J., Bälz M., Amelung I (eds.)*, *Formalisation and Flexibilisation in Dispute Resolution*, Brill Nijhoff, Leiden/Boston, 2014, 106.

<sup>113</sup> *Higgs S.*, *Mediating Sustainability, The Public Interest Mediator in the New Zealand Environmental Court*, *Environmental Law*, Vol. 37:61, 2007, 83, <<https://law.lclark.edu/live/files/283-371higgs>>.

<sup>114</sup> *Belgium Judicial Code*, Art. 1736; იხ. ასევე, *European Mediation Training for Practitioners of Justice, A Guide to European Mediation*, Association of International Arbitration (ed.), Antwerpen, Apeldoorn, Portland, Maklu, 2012, 221.

<sup>115</sup> *Finland Act on Mediation in Civil Matters and Confirmation of Settlements in General Courts*, 394/2011, Art. 23, <<http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2011/en20110394.pdf>>. *Esplugues C., Louis M.*, *New Developments in Civil and Commercial Mediation, Global Comparative Perspectives*, *Ius Comparatum*, Springer International Publishing Switzerland, 2015, 286.

<sup>116</sup> მედიაციის შეთანხმების აღსრულების საკითხზე იხილეთ: *Burns R.P.*, *The Enforceability of Mediated Agreements: An Essay on Legitimation and Process Integrity*, *Journal on Dispute Resolution*, Vol. 2:1, 1986, 93-116, <[https://kb.osu.edu/dspace/bitstream/handle/1811/76169/OSJDR\\_V2N1\\_093.pdf?sequence=1](https://kb.osu.edu/dspace/bitstream/handle/1811/76169/OSJDR_V2N1_093.pdf?sequence=1)>; *Siddik A.E.*, *Enforceability of the Mediation Outcome*, *E Law Journal: Murdoch University Electronic Journal of Law*, 17(2) 2010, 13-22, <<file:///C:/Users/user/Desktop/curret%20research/62-260-1-PB%20enforceability.pdf>>.

<sup>117</sup> *Stulberg J. B.*, *Mediation and Justice: What Standards Govern?*, 6 *Cardozo J. Conflict Resolution*, 2005, 242.

<sup>118</sup> *Shapira O.*, *Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 *South Tex. L. Rev.*, 2012, 333.

მედიატორმა უნდა გააფრთხილოს მხარეები იმ შესაძლო გავლენის შესახებ, რომელიც შეთანხმებამ შეიძლება მოახდინოს მედიაციის არამონაწილე მესამე პირებზე,<sup>119</sup> ასევე აცნობოს მათ იმ პრობლემების თაობაზე, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას, თუკი მედიაციის შეთანხმების ეფექტურობა დამოკიდებული იქნება გარეშე პირების ნებაზე.

მედიატორს ეკისრება ვალდებულება, თავიდან აიცილოს შეთანხმების მიღწევა, რომელზეც მხარე აცხადებს თანხმობას თვითგამორკვევის უფლების რეალიზების გარეშე.<sup>120</sup> კერძოდ, როდესაც მხარე იღებს არანებაყოფლობით, არაინფორმირებულ ან იძულებით გადაწყვეტილებას, ან როდესაც ის იმყოფება სუსტ პოზიციაში, უუნარო მდგომარეობაში მეორე მხარესთან შეთანხმებისას.<sup>121</sup> ნიუ-იორკის სტანდარტების თანახმად, როდესაც მხარეებს შორის არსებობს ძალთა არათანაზომიერება, რის გამოც ერთი ან ორივე მხარე ვერ ახორციელებს თვითგამორკვევის უფლების რეალიზებას, მედიატორმა უნდა გადადოს სესია, გავიდეს პროცესიდან, შეწყვიტოს მედიაცია, ან კონსულტაცია გაიაროს მედიაციის ცენტრის თანამშრომლებთან.<sup>122</sup>

ტეხასის მედიატორთა სტანდარტები აკისრებს ნეიტრალურ მესამე პირს ვალდებულებას, გადადოს მედიაცია, როდესაც მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, გაცნობიერებულად მიიღოს მონაწილეობა პროცესში.<sup>123</sup> ვირჯინიის სტანდარტები განსაზღვრავს მედიატორის ვალდებულებას, გავიდეს პროცესიდან, როდესაც ერთ-ერთი მხარე ვერ აცნობიერებს მედიაციის შეთანხმების პირობებს.<sup>124</sup>

კალიფორნიის სასამართლო წესები განსაზღვრავს, რომ მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს პროცესში მხარეთა მონაწილეობას ნებაყოფლობითობისა და თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე.<sup>125</sup> მედიატორმა არ უნდა დაუშვას ისეთი შეთანხმება, რომელიც უკანონოა, ან მედიაციის ინსტიტუტის ურღვევობას უქმნის საფრთხეს. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ისეთ მოქმედებათა დაუშვებლობა, რომლებიც საზოგადოების რწმენასა და ნდობას აკარგვენ მედიაციის ინსტიტუტის მიმართ და ამით ხელყოფს ინსტიტუტის ეთიკურ ურღვევობას.

## 8. მედიაციის შეწყვეტის დისკრეციული უფლებამოსილება თუ ვალდებულება?

ცალკეული მედიაციის ეთიკის კოდექსით და საკანონმდებლო აქტით<sup>126</sup> დადგენილია, რომ მხარეთა მიერ უკანონო, ამორალური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეთანხმება არაალსრულებადი იქნება და მედიატორმა ან უნდა შეწყვიტოს მედიაცია, ან უარი თქვას მასში მონაწილეობაზე.<sup>127</sup> როდესაც მედიატორს ან მედიაციის გარეშე პირებს მიაჩნიათ, ან შესაბამისი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ მედიაციის შეთანხ-

<sup>119</sup> Finland Act on Mediation in Civil Matters and Confirmation of Settlements in General Courts, 394/2011, Art. 23, <<http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2011/en20110394.pdf>>. იხ. ასევე, *Esplugues C., Louis M.*, New Developments in Civil and Commercial Mediation, Global Comparative Perspectives, Ius Comparatum, Springer International Publishing Switzerland, 2015, 286.

<sup>120</sup> *Stulberg J. B.*, Mediation and Justice: What Standards Govern?, 6 *Cardozo J. Conflict Resolution*, 2005, 242-243.

<sup>121</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 *South Tex. L. Rev.*, 2012, 336.

<sup>122</sup> Standards of Conduct for New York State CMTY. Dispute Resolution CTR. Mediators, Office of Alt. Dispute Resolution & Court Improvement Programs 2009, §I cmt. 4, <[http://www.courts.state.ny.us/ip/adr/Publications/Info\\_for\\_Programs/Standards\\_of\\_Conduct.pdf](http://www.courts.state.ny.us/ip/adr/Publications/Info_for_Programs/Standards_of_Conduct.pdf)>.

<sup>123</sup> Texas Ethical Guidelines for Mediators, §13, Advisory Committee on Court-Annexed Mediations 2005, <[http://www.txcourts.gov/All\\_Archived\\_Documents/SupremeCourt/AdministrativeOrders/miscdocket/05/05910700.pdf](http://www.txcourts.gov/All_Archived_Documents/SupremeCourt/AdministrativeOrders/miscdocket/05/05910700.pdf)>.

<sup>124</sup> Virginia Standards of Ethics and Professional Responsibility for Certified Mediators, 2011, §I.3, <<http://www.courts.state.va.us/courtadmin/aoc/djs/programs/drs/mediation/soe.pdf>>.

<sup>125</sup> The California Rules of Court, §3.853 (a), <[http://www.courts.ca.gov/documents/title\\_3.pdf](http://www.courts.ca.gov/documents/title_3.pdf)>.

<sup>126</sup> Law of Lithuania on Conciliatory Mediation in Civil Disputes, 2008, Art. 5 (4).

<sup>127</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 *South Tex. L. Rev.*, 2012, 317.

მება უკანონოა, არსებითად არათანაბარზომიერია მხარეებისთვის, ემყარება მცდარ ინფორმაციას, მაშინ მედიატორმა უნდა აცნობოს მხარეებს ამ პრობლემის შესახებ, მიმართულება მისცეს მათ ძალისხმევას, შეცვალონ და ჩამოაყალიბონ ახალი შეთავაზებები. თუ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ნეიტრალური მესამე პირი ვერ უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობას, ის უფლებამოსილია, გავიდეს პროცესიდან, ან შეწყვიტოს იგი.<sup>128</sup> ნებრასკის სახელმძღვანელო სტანდარტები განსაზღვრავს, რომ მედიატორმა გააზრებულად და გაცნობიერებულად არ უნდა დაუშვას მხარეთა მიერ უკანონო გადანყვეტილების მიღება.<sup>129</sup>

მედიატორს შეუძლია, უარი თქვას მედიაციის შეთანხმების შედგენასა ან ხელმოწერაზე, თუ ის ფუნდამენტურად არასამართლიანია<sup>130</sup> ერთი მხარისთვის,<sup>131</sup> არამეგობრულია,<sup>132</sup> ან მისი შინაარსი არ იქნება აღიარებული, მხარდაჭერილი საზოგადოების მიერ.<sup>133</sup> ამ შემთხვევაში თუ მედიატორი არ შეეცდება ამკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებას,<sup>134</sup> და მოგვიანებით გამოვლინდება მედიაციის შეთანხმების უკანონობა, ეს მედიაციის ინსტიტუტის რეპუტაციას დიდ ზიანს მიაყენებს.<sup>135</sup>

ცალკეული ეთიკის კოდექსები<sup>136</sup> მედიატორს ანიჭებს დისკრეციას, გადანყვიტოს, უარი თქვას მედიაციაზე, თუ დარჩეს აღნიშნულ პროცესში. მაგალითად, კანადის საოჯახო მედიაციის კოდექსი<sup>137</sup> ადგენს, რომ მედიატორს არ აქვს უფლება, პატივსადები მიზეზისა და მხარეებისათვის სათანადო შეტყობინების გარეშე, გავიდეს პროცესისაგან.<sup>138</sup> ის უფლებამოსილია, შეწყვიტოს მედიაციის პროცესი, თუ, მისი რწმენით, მოსალოდნელია, რომ მხარეთა მიერ გადანყვეტილების მიღება არ მოხდება ავტონომიურობის პრინციპის<sup>139</sup> დაცვით,<sup>140</sup> ან ის უკანონ-

<sup>128</sup> *Cooley J.W.*, A Classical Approach to Mediation - Part I: Classical Rhetoric and The Art of Persuasion in Mediation, 19 Dayton L. Rev., 83, 1993, 130.

<sup>129</sup> Manual of Standards and Ethics for ODR- Approved Mediation Center Mediators, Directors and Staff, § III. E. 3, Nebraska Office of Dispute Resolution, <[www.supremecourt.ne.gov/5553/statutes-rules-policies-and-standards](http://www.supremecourt.ne.gov/5553/statutes-rules-policies-and-standards)>.

<sup>130</sup> Jams Mediators Ethics Guidelines, §VII, 2013, <<http://www.jamsadr.com/mediators-ethics/>>; *Waldman E.*, Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 394.

<sup>131</sup> Georgia Ethical Standards for Mediators, §IV. A, 30, Georgia Commission on Dispute Resolution, 2012, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/mediator\\_ethics\\_information/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/mediator_ethics_information/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf)>.

<sup>132</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (5), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>; *Rützel S., Wegen G., Wilske S.*, Commercial Dispute Resolution in Germany, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, München, 2016, 206.

<sup>133</sup> *Gibson K.*, Mediator Attitudes Toward Outcomes: A Philosophical View, 17 Mediation Q., 197, 1999, 209.

<sup>134</sup> *Judith J. L.*, Maute, Mediator Accountability: Responding to Fairness Concerns, Vol. 19990, Issue 2, J. Disp. Resol., 1990, 349, <<http://scholarship.law.missouri.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1196&context=jdr>>.

<sup>135</sup> *Bush R.A.B.*, The Dilemmas of Mediation Practice: A Study of Ethical Dilemmas and Policy Implications, J. Disp. Resol., Issue 1, 1994, 25-26, <<http://scholarship.law.missouri.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1267&context=jdr>>.

<sup>136</sup> Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, Standard IV.A, <<http://www.godr.org/files/APPENDIX%20C,%20Chap%201,%201-19-2010.pdf>>; Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, §XI. A.4, <<https://www.afcnet.org/Portals/0/Public Documents/ CEFCP/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf>>.

<sup>137</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>.

<sup>138</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 13.3, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>.

<sup>139</sup> კერძო ავტონომია მიჩნეულია ერთ-ერთ უმთავრეს ფუნდამენტურ პრინციპად მედიაციის პროცესში. იხ. *Steffek F., Unberath H. (eds.), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C.*, Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 284.

<sup>140</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (5), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>.

ნო იქნება.<sup>141</sup> ეს დებულება თითქოს ფაკულტატიურია, მაგრამ ის უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის იმ დებულებასთან კავშირში, სადაც აღნიშნულია, რომ მედიატორმა უნდა შეაჩეროს ან შეწყვიტოს მედიაციის პროცესი, თუ ის აღარ შეიძლება იყოს სარგებლიანობის მომტანი.<sup>142</sup> ძნელია განიმარტოს, აქ მხარეთათვის მისაღები სარგებელი იგულისხმება, თუ, ზოგადად, მთელი საზოგადოებისათვის სასიკეთო შედეგი. მაგრამ ზემოაღნიშნული დებულებების სისტემური ანალიზის საფუძველზე მაინც შეიძლება ითქვას, რომ უკანონო გადანყვეტილება არ შეიძლება სიკეთის მომტანად განიხილებოდეს, რომელსაც მხარს დაუჭერდა მედიაციის ეთიკის კოდექსი, როგორც მედიაციის სასარგებლო შედეგს.

ფლორიდის წესები სერტიფიცირებული და სასამართლო მედიატორებისთვის მედიატორს აკისრებს ვალდებულებას, დროულად შეწყვიტოს მედიაციის პროცესი, რომელიც მხარეებს უკანონო შედეგამდე მიჰყავთ.<sup>143</sup>

ვირჯინიის ეთიკისა და პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტები სერტიფიცირებული მედიატორებისთვის ადგენს: მედიატორმა უნდა შეწყვიტოს მედიაცია, თუ მისი შეფასებით პროცესის სამართლიანობის ხელყოფა ხდება. ეს შესაძლებელია განხორციელდეს: მხარის უუნარობით ან სურვილის არარსებობით, მიიღოს აქტიური მონაწილეობა პროცესში; მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობის ფუნდამენტური არათანასწორობით ან მხარეთა შესაძლებლობების არათანაზომიერებით; ინფორმაციის გაუმჟღავნელობით გამონკვეული უსამართლობით, მხარის თაღლითობით, ანდა, თუ არსებობს კანონისმიერი ვალდებულება კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისა მედიატორის მხრიდან.<sup>144</sup>

მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტების<sup>145</sup> თანახმად, თუ მედიატორის ინტერესთა კონფლიქტი გონივრულად შესაძლებელია ხელყოფდეს მედიაციის ეთიკურ ურღვევობას, პროცესის სამართლიანობას, მაშინ მედიატორმა სასურველია, შეწყვიტოს მედიაცია, ან უარი თქვას მასში მონაწილეობაზე, მიუხედავად მედიატორის მონაწილეობასთან დაკავშირებით მხარეთა გამოკვეთილი ინტერესისა ან მათი შეთანხმებისა.<sup>146</sup> ამ შემთხვევაში საზოგადოების მედიაციისადმი ნდობის დაცვის ინტერესი აღემატება მხარეთა თვითგამორკვევის უფლებას.

თუ მედიატორმა თავიდან არ აიცილა შეთანხმების იძულების, მოტყუების ან არაკეთილსინდისიერი მოლაპარაკების პრინციპების საფუძველზე მიღება, მაშინ ეს არა მხოლოდ დააზიანებს მედიაციის ინსტიტუტს, არამედ ჩაითვლება მხარეთა მიმართ მედიატორის ვალდებულების დარღვევად.<sup>147</sup>

საზოგადოების მიმართ მედიატორის ვალდებულებაა, დაიცვას საჯარო ინტერესი შესაძლო ზიანისაგან, რომელიც იმავდროულად განაპირობებს პროფესიის მიმართ მისი ვალდებულებას შესრულებას, თავიდან აიცილოს მედიაციის საქმიანობის ეთიკური დისკრედიტაცია.<sup>148</sup>

<sup>141</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 13.4, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>.

<sup>142</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 13.2, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>.

<sup>143</sup> Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, §10. 420 (ბ)(4), <<http://www.mediate.com/articles/floridarules.cfm>>.

<sup>144</sup> Virginia Standards, Virginia Standards of Ethics and Professional Responsibility for Certified Mediators, §K. 4, 2011, 8, <<http://www.courts.state.va.us/courtadmin/aoc/djs/programs/drs/mediation/soe.pdf>>.

<sup>145</sup> Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005f.

<sup>146</sup> Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, §III, E.

<sup>147</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 339.

<sup>148</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 339.

პროფესიის მიმართ არსებული მედიატორის ვალდებულების ფარგლებში ფოკუსირებულია საზოგადოების აზრი, მისი შეფასებითი დამოკიდებულება მედიაციის შედეგის მიმართ. საჯარო ინტერესი არის ცალკეული ინდივიდის შეხედულებების, რწმენის აბსტრაქცია ამა თუ მოვლენის ავკარგიანობის შესახებ.<sup>149</sup> ამ კონტექსტში მედიატორი ვალდებულია, თავიდან აიცილოს ისეთი ქმედება, რომელიც საზოგადოებას უკარგავს ნდობას მედიაციის ინსტიტუტის მიმართ. საზოგადოების მიმართ არსებული მედიატორის ვალდებულება განისაზღვრება არა მედიაციის მიმართ დადებითი საზოგადოებრივი აზრის შექმნით, არამედ ის გულისხმობს საჯარო ინტერესის დაცვის ვალდებულებას მედიატორის მხრიდან. სწორედ საზოგადოების მიმართ არსებული ვალდებულების ფარგლებში მედიატორი ვალდებულია, არ დაუშვას არაკანონიერი შეთანხმების მიღწევა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საერთოდ არ არის მოსალოდნელი, რომ საზოგადოება დაკარგავს რწმენას მედიაციის ინსტიტუტის მიმართ, რამეთუ, საქმის კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, ის ვერასდროს შეიტყობს შეთანხმების არაკანონიერების შესახებ.<sup>150</sup> რადგან მედიაციის შეთანხმება მიიღწევა კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით, დახურულ კარს მიღმა, ბუნებრივია, იზრდება საჯარო ინტერესის ხელყოფის რისკი.<sup>151</sup> ამ შემთხვევაში რისკის პროპორციულად იზრდება მედიატორის ვალდებულება, არ დაუშვას უკანონო შეთანხმების მიღწევა, საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე.<sup>152</sup>

მედიატორისათვის პროცესის შეწყვეტის მხოლოდ უფლებამოსილების მინიჭება არაერთგვაროვანი პრაქტიკის წყარო შეიძლება გახდეს. ამასთან, თუ მხარეები მიიღებენ უკანონო გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულებაზეც სასამართლო შემდგომში უარს განაცხადებს, მაშინ მხარეებს სამართლიანად შეიძლება წარმოეშვათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მედიატორის მიმართ, რომელსაც შესაძლებელია, დამატებითი გასამრჯელოს მიღების მიზნით ჰქონოდა პროცესის გახანგრძლივების ინტერესი. მედიაციის კანონიერების პრინციპთან ერთად, მედიატორი მხარეთა და სახელმწიფოს რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და ხარჯვის ვალდებულების დამრღვევადაც ჩაითვლება.

უმჯობესი იქნება, საქართველოს მომავალმა მედიაციის კანონმა და ეთიკის კოდექსებმა ცალსახად განამტკიცონ მედიატორის მკაცრი ვალდებულება და სავალდებულო ქცევის წესი უკანონო, არასამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში.

## 9. დასკვნა

ეთიკის კოდექსთა და საკანონმდებლო აქტების მიმოხილვის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ნორმატიულად სამართლიანი მედიაციის შეთანხმება უმთავრესად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ის უნდა იყოს მხარეთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე მიღებული; ბ) არ უნდა აყენებდეს ზიანს მედიაციის ინსტიტუტს მისდამი საზოგადოების ნდობისა და რწმენის შემცირებით; გ) არ უნდა იყოს უკანონო, უკანონო საქმიანობის ხელშემწყობი<sup>153</sup> და დ) არ უნდა იყოს ამორალური.

<sup>149</sup> *Higgs S.*, *Mediating Sustainability, The Public Interest Mediator in the New Zealand Environmental Court*, *Environmental Law*, Vol. 37:61, 2007, 82, <<https://law.lclark.edu/live/files/283-371higgs>>.

<sup>150</sup> *Shapira O.*, *Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 *South Tex. L. Rev.*, 2012, 340.

<sup>151</sup> *Zekoll J., Bälz M., Amelung I. (eds.)*, *Formalisation and Flexibilisation in Dispute Resolution*, Brill Nijhoff, Leiden/Boston, 2014, 65-66.

<sup>152</sup> *Shapira O.*, *Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation*, 54 *South Tex. L. Rev.*, 2012, 340.

<sup>153</sup> *Waldman E.*, *Mediation Ethics, Cases and Commentaries*, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 195.

მედიაციის კანონიერების პრინციპი,<sup>154</sup> როგორც ნორმატიული და დოქტრინული კატეგორია, გულისხმობს არა მხოლოდ მედიაციის პროცესის წარმართვას დადგენილი პროცედურების მიხედვით, არამედ მიღწეული შეთანხმების შინაარსის კანონიერებას, რაც მკაცრი და პირდაპირი გაგებით გულისხმობს სამართლის ნორმატიულ მოთხოვნებთან ზუსტ შესაბამისობას.

უფრო გავრცელებული ინტერპრეტაციის თანახმად, მედიაციის კანონშესაბამისობის პრინციპი გულისხმობს, რომ შეთანხმება არ უნდა არღვევდეს სამართლის იმპერატიულ ნორმებს, შიდასახელმწიფოებრივ, საჯარო, ასევე მესამე პირთა ინტერესებს. კანონის ნორმებთან სრული შესატყვისობა და იდენტურობა სავალდებულო არ არის.<sup>155</sup> მედიაციის, როგორც ინტერესებზე დაფუძნებული პროცესის, კანონიერების პრინციპი სწორედ ასეთ ინტერპრეტაციას მოითხოვს, რაც აღიარებულია კიდევ საერთაშორისო პრაქტიკაში. იმის გათვალისწინებით, რომ მედიაცია ორიენტირებულია მხარეთა შეთანხმებით ურთიერთსასარგებლო შედეგის მიღწევაზე და არა მხარეთა უფლება-მოვალეობების კანონის შესაბამისად განაწილებაზე, გონივრულია, რომ მხარეთათვის დასაშვები იყოს კანონის ნორმებისგან მცირედი გადახვევა<sup>156</sup> იმ ფარგლებით, რომელთაც გონივრულად განსაზღვრავს სამართლიანობა, მესამე პირთა და, ზოგადად, საჯარო ინტერესები, სახელმწიფო პოლიტიკა და საზოგადოების მორალური პრინციპები.

ამასთან, მედიაციის ნებისმიერი შეთანხმება, ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს მედიაციის ინსტიტუტს, უკანონო და ამორალურია, და უნდა ჩაითვალოს ნორმატიული თვალსაზრისით უსამართლოდ,<sup>157</sup> რამეთუ არღვევს კანონით, ეთიკის კოდექსით დადგენილ სტანდარტებს, პროფესიისა და საზოგადოების მიმართ არსებულ მორალურ ნორმებს.

კვლევის საფუძველზე წარმოდგენილი კონცეპტუალური მიგნებები, მიზანშეწონილია, სათანადოდ აისახოს საქართველოს მომავალი მედიაციის კანონსა და ეთიკის კოდექსებში, მედიაციის ინსტიტუტის ეთიკური მთლიანობის შენარჩუნებისა და სამართლიანი პრაქტიკის განვითარებისათვის.

<sup>154</sup> *Cao L., Sun I.Y., Heberton B.*, The Routledge Handbook of Chinese Criminology, New York, 2014, 121.

<sup>155</sup> *Jiang B.*, Civil Procedure Law of the People's Republic of China: A Practical Guide to Understanding and its Application, Law Press, Beijing, 2012, 246, მითითებულია: *Esplugues C., Louis M.*, New Developments in Civil and Commercial Mediation, Global Comparative Perspectives, Ius Comparatum, Springer International Publishing Switzerland, 2015, 212.

<sup>156</sup> *Esplugues C., Louis M.*, New Developments in Civil and Commercial Mediation, Global Comparative Perspectives, Ius Comparatum, Springer International Publishing Switzerland, 2015, 212.

<sup>157</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. L. Rev., 2012, 341.



## Fair Settlement as Basis for Ethical Integrity of Mediation\*

*The article offers study of fair mediation settlement, as an ethical and normative category, as one of the fundamental principles of mediation, on the basis of review of mediation acts and Codes of Ethics of EU countries and USA. At the stage of improving mediation legal framework and formation of ethical regulations in Georgia, it is essential to develop research-based recommendations for the purpose of approximation of domestic legal framework with EU legislation. Public interest for protecting trust of society towards mediation stipulates assigning to a mediator the function of a guarantor of fair settlement.*

**Key words:** *mediation ethic, parties' right of self-determination, fair mediation settlement, unfair outcome of mediation, ethical integrity of mediation, professional role of a mediator, illegal mediation settlement, neutral third party.*

### I. Introduction

Fairness is a fundamental principle of mediation,<sup>1</sup> its main normative and ethical standard.<sup>2</sup> Though its uniform meaning is not still established – on one hand this concept is defined in many mediation laws<sup>3</sup> and Codes of Ethics,<sup>4</sup> on the other hand it is not reflected in individual legal acts.<sup>5</sup>

---

\* Doctor of Law, Assistant Professor, TSU Faculty of Law, certified Mediator, Executive Director at Ivane Javakishvili TSU National Center for Alternative Dispute Resolution.

\* The author would like to thank German Academic Exchange Service (DAAD) for awarding academic scholarship through which this research has been conducted at Humboldt University of Berlin and Max Planck Institute for Comparative and International Private Law in Hamburg.

<sup>1</sup> Steffek F., Unberath H. (eds.), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C., *Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads*, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.

<sup>2</sup> Nolan-Haley J.M., *Informed Consent in Mediation: A Guiding Principle for Truly Educated Decisionmaking*, 74 Notre Dame L. Rev., 775, №.12, 1999, 778, <[http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1273&context=faculty\\_scholarship](http://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1273&context=faculty_scholarship)>; Woo M.Y.K., *Collagher M.E.*, *Chinese Justice Civil Dispute Resolution in Contemporary China*, Cambridge University Press, United States of America, 2011, 38.

<sup>3</sup> Chinese Civil Procedure Law, Art. 9, <[http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content\\_1383880.htm](http://www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383880.htm)>; Woo M.Y.K., *Callagher M.E.*, *Civil Procedure Law of the People's Republic of China*, 1991, 38; People's Mediation Law of the People's Republic of China, promulgated in 2010, active in 2011, Art. 3 (2), <[http://www.cspil.org/Uploadfiles/attachment/Laws%20and%20Regulations/\[en\]guojifalvwenjian/PeoplesMediationLawofthePeoplesRepublicofChina.pdf](http://www.cspil.org/Uploadfiles/attachment/Laws%20and%20Regulations/[en]guojifalvwenjian/PeoplesMediationLawofthePeoplesRepublicofChina.pdf)>; Trevor M.B., *Palo G.*, *EU Mediation Law and Practice*, Oxford University Press, 2012, 183; Draft General Scheme of Mediation Bill 2012, Ireland, Head 2, <<http://www.justice.ie/en/JELR/MedBillGSFinal.pdf/Files/MedBillGSFinal.pdf>>; Finland Act on Mediation in Civil Matters and Confirmation of Settlements in General Courts, 394/2011, Art. 23, <<http://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2011/en20110394.pdf>>.

<sup>4</sup> Malta Code of Conduct for Mediators, MJCL, Art. 9, <<https://mjcl.gov.mt/en/mmc/Pages/Code-of-Conduct-Mediators.aspx>>. Standards of Practice For California Mediators, Preamble, <<http://www.cdrc.net/mediator-standards#stdspreamble>>; Florida Rules for Certified and Court-Appointed Mediators, Florida Dispute Resolution Center, §§10230 (c), 10.300, <<http://www.mediate.com/articles/floridarules.cfm>>; Standards of Conduct for New York State CMTY, Dispute Resolution Center, Mediators, Office of Alternative Dispute Resolution & Court Improvement Programs 2009, §4 Cmt, <[https://www.nycourts.gov/ip/adr/Publications/Info\\_for\\_Programs/Standards\\_of\\_Conduct.pdf](https://www.nycourts.gov/ip/adr/Publications/Info_for_Programs/Standards_of_Conduct.pdf)>; Core Standards of Mediation Practice, §III (Oregon Mediation Association, 2005), <<http://www.omediate.org/docs/2005CoreStandardsFinalP.pdf>>; Virginia Standards, Virginia Standards of Ethics and Professional Responsibility for Certified Mediators, §§K.1. K.4, 2011, 7-8, <<http://www.courts.state.va.us/courtadmin/aoc/djs/programs/drs/mediation/soe.pdf>>; Model Standards of Conduct for Mediators, AAA, ABA, ACR, 1994, Revised 2005, §VI, <[24](http://www.americanbar.org/content/dam/aba/mig-</a></p></div><div data-bbox=)

According to Ethical Codes of mediation fairness is related to mediation process,<sup>6</sup> which should be implemented by provider organization,<sup>7</sup> according to the principles of mediator's diligence,<sup>8</sup> due prudence,<sup>9</sup> impartiality,<sup>10</sup> unacceptability of conflict of interests,<sup>11</sup> voluntary,<sup>12</sup> conscious,<sup>13</sup> fair<sup>14</sup> and equal participation of parties,<sup>15</sup> opportunity of participation<sup>16</sup> of parties and realization of the right<sup>17</sup> of their self-determination.<sup>18</sup> This is how laws of certain countries view mediators' role, i.e. that they assist parties to achieve fair settlement.<sup>19</sup>

Fairness implies that on the basis of knowledge of main principles of mediation,<sup>20</sup> understanding actual significant circumstances,<sup>21</sup> analyzing agreement terms and conditions<sup>22</sup> and informed consent<sup>23</sup> par-

---

rated/2011\_build/dispute\_resolution/model\_standards\_conduct\_april2007.authcheckdam.pdf>; Georgia Ethical Standards for Mediators, §IV. A, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/mediator\\_ethics\\_information/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/mediator_ethics_information/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf)>, Compare: Code of Conduct for Mediators, ADR Institute of Canada, 2011.

<sup>5</sup> Code of Conduct for Mediators, ADR Institute of Canada, 2011, <<http://adric.ca/pdf/ADRMEDIATIONRULES2014.pdf>>; Ethical Guidelines for Mediators, Law Council of Australia, 2002, <<http://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1166&context=adr>>.

<sup>6</sup> Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, §IV, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf)>.

<sup>7</sup> *Trevor M.B., Palo G.*, EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 93.

<sup>8</sup> Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, §V, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf)>.

<sup>9</sup> *Hopt K.J., Steffek F.*, Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 74.

<sup>10</sup> Draft General Scheme of Mediation Bill 2012, Ireland, Head 2, <<http://www.justice.ie/en/JELR/MedBillGSFinal.pdf/Files/MedBillGSFinal.pdf>>; Austrian Mediation Act, June 6, 2003, Art. 16(2), <<http://bgarf.ru/science/baltic-center-of-mediation-and-conflictology/publikacii/avstriya.pdf>>; Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 9 (1), <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg)>; Core Standards of Mediation Practice, §III (Oregon Mediation Association, 2005), <<http://www.omediate.org/docs/2005CoreStandardsFinalP.pdf>>.

<sup>11</sup> Standards of Conduct for New York State CMTY. Dispute Resolution CTR. Mediators, Office of Alt. Dispute Resolution & Court Improvement Programs 2009, §III. B, <[http://www.courts.state.ny.us/ip/adr/Publications/Info\\_for\\_Programs/Standards\\_of\\_Conduct.pdf](http://www.courts.state.ny.us/ip/adr/Publications/Info_for_Programs/Standards_of_Conduct.pdf)>.

<sup>12</sup> Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 5, <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg)>; Chinese Civil Procedure Law, Art. 9, მოთხოვნები: *Woo M.Y.K., Callaghan M.E.*, Civil Procedure Law of the People's Republic of China, 1991, 38.

<sup>13</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.2, 9.3, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>.

<sup>14</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (3), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>; *Rützel S., Wegen G., Wilske S.*, Commercial Dispute Resolution in Germany, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, München, 2016, 202.

<sup>15</sup> Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 5, <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3Aactsformediation&Itemid=74&lang=bg)>.

<sup>16</sup> Malta Code of Conduct for Mediators, MJCL, Art. 9, <<https://mjcl.gov.mt/en/mmc/Pages/Code-of-Conduct-Mediators.aspx>>.

<sup>17</sup> Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, Introduction, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf)>; *Rützel S., Wegen G., Wilske S.*, Commercial Dispute Resolution in Germany, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, München, 2016, 207.

<sup>18</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. Law Rev., 2012, 285.

<sup>19</sup> Malta Mediation Act, MJCL, 2004, Art. 26 (1), <[https://mjcl.gov.mt/en/mmc/Documents/Chapter\\_474t.pdf](https://mjcl.gov.mt/en/mmc/Documents/Chapter_474t.pdf)>; Royal Decree Law 5/2012, of March 5, on Mediation in Civil and Commercial Matters, Statement of Reasons I, მოთხოვნები: *Trevor M.B., Palo G.*, EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, 2012, 560.

<sup>20</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (2), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>.

ties make non-coercive,<sup>24</sup> voluntary<sup>25</sup> decision, realizing<sup>26</sup> anticipated outcomes<sup>27</sup> or, if they wish so, can stop<sup>28</sup> mediation at any moment.<sup>29</sup> Fairness of the process is also ensured, unless participation in the process does not serve to gaining unfair advantage<sup>30</sup> and it is not based on manipulative and intimidating methods of negotiation.<sup>31</sup>

The present article aims at studying fairness of settlement of mediation, as ethical and normative category on the basis of analysis of mediation acts and Ethical Codes of EU countries and USA. The study will attempt to develop specifications for the purpose of approximation of domestic legislation with EU law at the stage of formation of legal basis and ethical regulations of mediation in Georgia.

- 
- <sup>21</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (6), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>; Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 13 (1), <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3AAactsformeditation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3AAactsformeditation&Itemid=74&lang=bg)>; *Rützel S., Wegen G., Wilske S.*, Commercial Dispute Resolution in Germany, München, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, 2016, 202.
- <sup>22</sup> Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, §IV. A, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf)>; German Mediation Act, 21 July, 2012, § 2 (6), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>; *Rützel S., Wegen G., Wilske S.*, Commercial Dispute Resolution in Germany, 2<sup>nd</sup> ed., C.H. Beck, München, 2016, 202.
- <sup>23</sup> Mediation Council of Illinois (MCI) Professional Standards of Practice for Mediators, 1999, §III. E, <<http://www.mediate.com/articles/illstds.cfm>>.
- <sup>24</sup> The California Rules of Court, 3.857(b), <[http://www.courts.ca.gov/documents/title\\_3.pdf](http://www.courts.ca.gov/documents/title_3.pdf)>.
- <sup>25</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.1. <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>; European Mediation Training for Practitioners of Justice, A Guide to European Mediation, Association of International Arbitration (ed.), Antwerpen, Apeldoorn, Portland, Maklu, 2012, 143.
- <sup>26</sup> *Hopt K.J., Steffek F.*, Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 74.
- <sup>27</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.5, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>; Austrian Mediation Act, June 6, 2003, Art. 16(2), <<http://bgarf.ru/science/baltic-center-of-mediation-and-conflictology/publikacii/avstriya.pdf>>; Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 9 (1), <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3AAactsformeditation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3AAactsformeditation&Itemid=74&lang=bg)>.
- <sup>28</sup> German Mediation Act, 21 July, 2012, §2 (5), <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_mediationsg/englisch\\_mediationsg.html](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_mediationsg/englisch_mediationsg.html)>; Bulgaria Mediation Act, (promulgated 2004, amended 2011) Art. 5, <[http://www.pamb.info/index.php?option=com\\_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3AAactsformeditation&Itemid=74&lang=bg](http://www.pamb.info/index.php?option=com_content&view=article&id=112%3Amediation-act&catid=30%3AAactsformeditation&Itemid=74&lang=bg)>; Georgia Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution 2012, §V, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf)>; *Steffek F., Unberath H. (eds.), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C.*, Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 284; European Mediation Training for Practitioners of Justice, A Guide to European Mediation, Association of International Arbitration (ed.), Antwerpen, Apeldoorn, Portland, Maklu, 2012, 143.
- <sup>29</sup> *Shapira O.*, Conceptions and Perceptions of Fairness in Mediation, 54 South Tex. Law Rev., 2012, 285.
- <sup>30</sup> Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, §XI. A. 6, <<https://www.afccnet.org/Portals/0/PublicDocuments/CEFCP/ModelStandardsOfPracticeForFamilyAndDivorceMediation.pdf>> *Folberg J., Milne A.L., Salem P.*, Divorce and Family Mediation, Models, Techniques and Applications, The Guilford Press, New York, London, 2004, 540; *Waldman E.*, Mediation Ethics, Cases and Commentaries, Jossey-Bass, A Wiley Imprint, United States of America, 2011, 13.
- <sup>31</sup> Family Mediation Canada Members Code of Professional Conduct, Art. 9.4, <[http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct\\_0.pdf](http://fmc.ca/sites/default/files/sites/all/themes/fmc/images-user/Members%20Code%20of%20Professional%20Conduct_0.pdf)>.

## 2. Fair Settlement of Mediation, as a Result of Fair Process

Definition of fair outcome of mediation is not provided in most of the Codes of Conduct for Mediators of foreign countries, therefore the above is possible through doctrinal analysis of mediation process and consequent settlement.<sup>32</sup>

According to Ethical Standards of Conduct for Mediators' of Georgia State (US)<sup>33</sup> neutral third party is a guarantor of fair process of mediation and<sup>34</sup> he / he is also responsible for ensuring fair outcome.<sup>35</sup>

Fairness in the process of mediation is infringed if settlement is substantially and fundamentally unjust,<sup>36</sup> illegitimate,<sup>37</sup> unenforceable,<sup>38</sup> if parties have not realized the content of settlement, as well as possible impact of outcome of settlement on them<sup>39</sup> and / or third parties.<sup>40 41</sup>

Settlement is fair in case: a) Is at least acceptable or just for parties of settlement; b) Restores harmony or balance of interests between participants of mediation; c) Increases opportunities for mutual understanding and better relations; d) Approximates to the boundary, which is viewed by parties as adequate compensation for their damage; e) Saves money and time on both individual and institutional level; f) Reduces stress and irritation; g) improves communication between members of society (in neighborhood, business environment, employment field, etc.); h) Creates social precedents for better regulation of relations.<sup>42</sup>

Contrary to the above settlement is unfair in case: a) Even if one of the parties makes involuntary decision; b) Fundamental interest of a party, that belief of a person shall not be denied, has not been realized; c) Terms and conditions agreed by parties contradict positive law; d) Terms and condition of settlement substantially violate or ignore dignity of a person; e) It is not achieved in conditions of full understanding of possible alternative outcomes of the case; f) Terms of the agreement are incompatible with the fundamental values of an individual, recognised by broad society;<sup>43</sup> The above mentioned features of the doctrine naturally cannot be comprehensive and standard of fairness should be assessed for each specific case through interaction of ethical principles.

There is mutually stipulating link between mediation process and outcome. Namely, in order to achieve fair outcome, it is essential to ensure in the process of mediation: voluntariness, sharing mutual interests between parties, acknowledgement of public importance of the outcome, dignified treatment and

<sup>32</sup> On the issue of fair mediation settlement see: *Marlow L., Sauber S.R.*, Handbook of Divorce Mediation, Springer Science – Business Media, LLC, New York, 1990, 45-62; *Dworkin J., London W.*, What Is a Fair Agreement?, 7 Mediation Q. 3, 5, 1989; *Hyman J.M., Love L.P.*, If Portia Were a Mediator: An Inquiry into Justice in Mediation, 9 Clinical L. Rev., 157, 2002, 186; *Gibson K.*, Mediator Attitudes Toward Outcomes: A Philosophical View, 17 Mediation Q. 197, 1999, 207–209; *Bercovitch J.*, Mediation Success or Failure: A Search for the Elusive Criteria, 7 Cardozo J. Conflict Resolution, 289, 2006, 291; *Isabelle R.*, Gunning, Know Justice, Know Peace: Further Reflections on Justice, Equality and Impartiality in Settlement Oriented and Transformative Mediations, 5 Cardozo J. Conflict Resolution, Vol. 5, 2004, 87.

<sup>33</sup> Ethical Standards for Mediators, Georgia Commission on Dispute Resolution, §IV. A, <[http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme\\_court\\_adr\\_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf](http://godr.org/sites/default/files/Godr/supreme_court_adr_rules/APPENDIX%20C%2C%20CHAP%201%2C%206-18-2013.pdf)>.

უმრავლესობა დაკავშირებულია საფინანსო ან სადაზღვევო კომპანიებთან, რომლებიც მომხმარებლების საპირისპიროდ აგროვებენ ვალებს,<sup>311</sup> რაც ყველაზე დიდი დარღვევების სფეროა შეერთებულ შტატებში. თუმცა არ არსებობს მტკიცებულება, რომ ქართული არბიტრაჟის პროვაიდერები ანუ არბიტრები ჩაბმულნი არიან რაიმე არაკანონიერში, აქტივობები ჩანს მომხმარებლის საწინააღმდეგოდ. ერთ-ერთმა უმსხვილესმა ქართულმა პროვაიდერმა აღიარა, რომ ჰქონდა 100%-იანი მოგება თავისი ბანკის კლიენტებისთვის.<sup>312</sup> საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს პერსონალურ დაცვას გაკოტრებისას, ამრიგად, ვალების დაგროვებაზე ბევრი ეს გადაწყვეტილება რჩება სესხის ამლებებთან მთელი სიცოცხლის განმავლობაში.<sup>313</sup>

## ა. დავის არბიტრაჟის წესით გადაწყვეტის შესაძლებლობა

სუსტი მხარეების დაცვის მიზნით საქართველომ შეიძლება შეზღუდოს დავის არბიტრაჟის წესით გადაწყვეტის შესაძლებლობა დავების კონკრეტული ჯგუფების არბიტრაჟიდან გამორიცხვის დაკანონებით.<sup>314</sup> მაგალითად, კანონმდებლობას შეუძლია, გამორიცხოს ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება მომხმარებლის დაგროვილ ვალს საკრედიტო ბარათთან ან საბანკო სესხთან დაკავშირებით. ამ მიდგომის უპირატესობა არის სიმარტივე – მოსახლეობა მიხვდება, რომ ეს დავები არ ექვემდებარება საარბიტრაჟო წესით განხილვას. შეერთებულმა შტატებმა ასეთი მიდგომა შეიტანა: დოდ-ფრენკის კანონში (კანონი აშშ-ის საფინანსო სექტორის რეფორმაზე), რომელიც გამორიცხავს მომხმარებელთა უძრავი ქონების კონტრაქტებში არსებულ სავალდებულო არბიტრაჟის პუნქტებს,<sup>315</sup> და არბიტრაჟის მიუკერძოებლობის კანონებში, რომლებიც კრძალავენ დავამდე საარბიტრაჟო ხელშეკრულებებს დასაქმებაში, მომხმარებლის, ანტიტრესტულ და მოქალაქის უფლებებთან დაკავშირებულ დავებში.<sup>316</sup> საფრანგეთი კრძალავს დავებამდე სავალდებულო არბიტრაჟის პუნქტებს მომხმარებელთა კონტრაქტებში.<sup>317</sup> გერმანია კრძალავს საცხოვრებელ იჯარასა და დასაქმებასთან დაკავშირებული დავების საკითხებს,<sup>318</sup> ხოლო ინგლისი კრძალავს არბიტრაჟს, თუ სარჩელის თანხა არის 5 000 ევროზე ნაკლები.<sup>319</sup> ამ მიდგომით სახელმწიფო მაინც კარგავს არბიტრაჟის სარგებელს. ბიზნესები, სავარაუდოდ, გამოინ-

<sup>311</sup> Michael D. Blechman, *Assessment of ADR in Georgia*, East West Management Institute at 4-6 (Oct. 2011), <http://www.ewmi-jilep.org/images/stories/books/assessment-of-adr-in-georgia.pdf>, (last visited Sept. 13, 2015).

<sup>312</sup> იქვე, 4.

<sup>313</sup> იქვე.

<sup>314</sup> ერთ-ერთი ქართველი სპეციალისტი იძლევა არბიტრაჟის აკრძალვას ქართველი მომხმარებლები-სათვის. *Tkemaladze, New Law*, ზემოაღნიშნული სქოლიო 733, 671.

<sup>315</sup> დოდ-ფრენკი, ზემოაღნიშნული სქოლიო 306, 15 U.S.C. §1639c(e) 2010. იხ., აგრეთვე, Todd Zywicki, *The Consumer Financial Protection Bureau: Savior or Menace?*, 81 *Geo. Wash. L. Rev.* 856, 2013, 907, („დოდ-ფრენკი კრძალავს არბიტრაჟის სავალდებულო ნორმებს იპოთეკურ ხელშეკრულებაში და საკუთარი კაპიტალის სასესხო კონტრაქტებში.“).

<sup>316</sup> არბიტრაჟის სამართლიანობის აქტი, 2013, S. 878, 113-ე კონგრესი (2013-2014), C.R.S., ხელმისაწვდომია: at <<https://www.congress.gov/bill/113th-congress/senate-bill/878>> (7.10.2015). იხ. ზოგადად, Peter B. Rutledge, *Who Can Be Against Fairness? The Case Against the Arbitration Fairness Act*, 9 *Cardozo J. Conflict. Resol.* 2008, 267; *Mandelbaum J.T.*, *Stuck in a Bind: Can the Arbitration Fairness Act Solve the Problems of Mandatory Binding Arbitration in the Consumer Context?*, 94 *Iowa L. Rev.* 2008, 1075; Sarah Rudolph Cole, *On Babies and Bathwater: The Arbitration Fairness Act and the Supreme Court's Recent Arbitration Jurisprudence*, 48 *Hous. L. Rev.* 2011, 457.

<sup>317</sup> Shelley McGill, *Consumer Arbitration Clause Enforcement: A Balanced Legislative Response*, 47 *Am. Bus. L.J.* 361, 391 (2010)(citing French laws); Peter B. Rutledge & Anna W. Howard, *Arbitrating Disputes Between Companies And Individuals: Lessons From Abroad*, 65 *Disp. Resol. J.*, 30, 34 (2010)(citing French laws).

<sup>318</sup> Niedermaier, ზემოაღნიშნული სქოლიო 305, 17 (ციტირებულია: *Zivilproziessordnung (ZPO)*, სამოქალაქო პროცესის კოდექსი, 30 იანვარი, 1877, *Reichsgesetzblatt (RGBt)* 97, შესწორებული, §§ 1025 et seq., <[http://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html](http://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html)>(ბოლოს შესწორდა 13 სექტემბერს, 2015).

<sup>319</sup> *Schmitz A.J.*, *Exceptionalism*, ზემოაღნიშნული სქოლიო 305, 98 (ინგლისის 1996 წლის არბიტრაჟის კანონი კრძალავს დავამდე და დავის შემდეგ არბიტრაჟის პუნქტებს, რათა დაიცვას ცალკეული პირების ხელმისაწვდომობა წვრილმანი დავების სასამართლოებზე).

ვევს გაზრდილ ხარჯებს, რაც ან შეამცირებს მათ მოგებიანობას, ან ის გადავა მომხმარებელზე უფრო მაღალი ფასების სახით.<sup>320</sup> ის ყველა ამ დავას მიაღებინებს სასამართლო სისტემას, რაც გაზრდის საქმეებით გადატვირთვას და დავის გადანეგებისათვის საჭირო დროს.<sup>321</sup> ნაცვლად მცოდნე სპეციალისტებისა, ფართო პროფილის მოსამართლეები შეეცდებიან დავების განხილვას. უფრო მეტიც, როგორც რამდენიმე კვლევა აჩვენებს, არ არის ნათელი, რომ მომხმარებლის შედეგები უმჯობესდება სასამართლო პროცესში.<sup>322</sup> საქმეების უმრავლესობას შეადგენს ვალების დაგროვებასთან დაკავშირებული დავების საკითხები და ასეთი ტიპის საქმეების წარმატებით დასრულების ხარისხი სასამართლოებში, საზოგადოდ, არის აგრეთვე მაღალი.<sup>323</sup> საბოლოოდ, ამან შეიძლება დარტყმა მიაყენოს ქართულ არბიტრაჟს ზოგადად, ზიანი მიაყენოს არბიტრაჟის რეპუტაციას, ბევრი პროვადერი ჩამოაშოროს ბიზნესს და შეამციროს არბიტრაჟის ხელმისაწვდომობა სხვა სამართლებრივ საკითხებში.

## ბ. მოთხოვნების ფორმა და სასამართლო კონტროლი

დავის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა არის ფორმის სავალდებულობის დანესება სა-მომხმარებლო კონტრაქტებისთვის, სასამართლოს მიერ ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გათვალისწინება და მომხმარებლის ინფორმირებულობის გაზრდა. მაგალითად, გერმანიის მომხმარებლის საარბიტრაჟო ხელშეკრულებები უნდა იყოს გამოყოფილი ცალკეულ დოკუმენტად და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.<sup>324</sup> შეერთებულ შტატებში ასეთი ტიპის მოთხოვნა დაუშვებელია კონტრაქტების უმრავლესობაში.<sup>325</sup> თუმცა CFPB (მომხმარებლის ფინანსური დაცვის ბიურო) უფლებამოსილია, შეისწავლოს მომხმარებელთა არბიტრაჟი ფინანსურ ხელშეკრულებებში და მომავალში სხვა რეგულაციებთან ერთად გამოსცეს მოთხოვნების ფორმა.<sup>326</sup> პუნქტებში, რომლებსაც CFPB განიხილავს, არის ხელშეკრულებიდან გამოსვლება,<sup>327</sup> გამოყოფები,<sup>328</sup> გადასახადებისა და ხარჯების განაწილება<sup>329</sup> და გასაჯაროება.<sup>330</sup>

<sup>320</sup> იხ. Ware, ზემოაღნიშნული სქოლიო 282 (არბიტრაჟი ამცირებს ბიზნესის ხარჯებს და კონკურენცია იძულებულს ხდის ბიზნესებს, გადავიდეს დაზოგვებზე მომხმარებლების მიმართ). მაგ. იხ. არბიტრაჟის კვლევა, ზემოაღნიშნული სქოლიო 306, მე-10 ნაწილი, 16-17 („ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მტკიცებულება იმ ჰიპოთეზის დასადასტურებლად, რომ კომპანიები აცნობიერებენ და მომხმარებლების მიმართ ფასების დანევის ფორმით ატარებენ ხარჯების დაზოგვებს, რაც უკავშირდება მათ მიერ დავამდე არბიტრაჟის გამოყენების პუნქტებს“).

<sup>321</sup> ქართული საარბიტრაჟო გარჩევის პროცესი საშუალოდ გრძელდება ერთიდან სამ თვემდე, ხოლო სასამართლო გარჩევის პროცესი ერთ წლამდე. *Blechman M.D.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 314, 4.

<sup>322</sup> იხ. მაგ., Searle Study, ზემოაღნიშნული სქოლიო 308. სასამართლო პროცესშიც შეიძლება იყოს განმეორებით მოთამაშესთან დაკავშირებული იგივე გადახრები, რაც სავალდებულო არბიტრაჟში. Marc Galanter, *Why the Haves Still Come Out Ahead: Speculations on the Limits of Legal Change*, 9 *Law & Soc'y Rev.* 95 (1974), (განიხილავს სასამართლო სისტემის დადებით შედეგებს განმეორებით მოთამაშესთან დაკავშირებით). იხ., აგრეთვე, გორდონი, ზემოაღნიშნული სქოლიო 3033, 274-275 (სასამართლო პროცესმა ვითარება შეატრიალა მომხმარებლების საწინააღმდეგოდ).

<sup>323</sup> იხ. Gordon, ზემოაღნიშნული სქოლიო 3033, 282-იდან (ციტირებულია: რამდენიმე ემპირიული შესწავლა შეერთებულ შტატებში).

<sup>324</sup> Niedermaier, ზემოაღნიშნული სქოლიო 305, 18; ZPO, ზემოაღნიშნული სქოლიო 321, § 1031(5).

<sup>325</sup> იხ. Margaret L. Moses, *Privatized "Justice,"* 36 *Loy. U. Chi. L.J.* 535, 545-47 (2005).

<sup>326</sup> იხ. არბიტრაჟის შესწავლა, ზემოაღნიშნული სქოლიო 306.

<sup>327</sup> იქვე, მე-2 ნაწილი, 31 (მომხმარებელს ეძლევა შეზღუდული დრო საარბიტრაჟო ხელშეკრულებიდან გამოსვლაზე განცხადების წარსადგენად).

<sup>328</sup> იქვე, მე-2 ნაწილი, 32 (კონკრეტული ტიპის საჩივრები „გამოყოფილია“ საარბიტრაჟო ხელშეკრულებიდან, ანუ არ ექვემდებარება საარბიტრაჟო წესით განხილვას).

<sup>329</sup> იქვე, მე-2 ნაწილი, 57 (რწმუნებულის ჰონორარი და ხარჯები კონტრაქტის საფუძველზე ნაწილდება მხარეებს შორის).

<sup>330</sup> იქვე, მე-2 ნაწილი, 51 (კონტრაქტი ასაჯაროებს არბიტრაჟის რისკებს, როგორებიცაა შეზღუდული გასაჩივრებები).

სასამართლო განხილვა ფორმის სავალდებულობის მოთხოვნის ბუნებრივი გაძლიერებაა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროკავშირის საბჭოს დირექტივამ 93/13/EEC (საბჭოს დირექტივა 93)<sup>331</sup>. საბჭოს დირექტივა 93 აცხადებს, რომ ნებისმიერი სავალდებულო საარბიტრაჟო შესწორება, სავარაუდოდ, არ არის სამართლიანი.<sup>332</sup> რამდენადაც ეს შესწორებები ოფიციალურად არ არის გამორიცხული, ევროპული თანამეგობრობის სასამართლოს შემდგომ გადაწყვეტილებებში ისინი ფიგურირებენ როგორც საჯარო წესრიგის ნაწილი და განხილული უნდა იქნეს ევროკავშირის ეროვნული სასამართლოების მიერ *sua sponte* (ნებაყოფლობით) მიუკერძოებლობისთვის და საბჭოს 93-ე დირექტივის შესაბამისად.<sup>333</sup>

ერთ-ერთი პრობლემა მოთხოვნის ფორმულირებისა და მასთან დაკავშირებული სასამართლო კონტროლის გაფართოებისას არის გაზრდილი ხარჯები. გაფართოებული სასამართლო მიმოხილვა თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში გაახანგრძლივებდა დავის გადაწყვეტისათვის საჭირო დროს და ძირს გამოუთხრიდა არბიტრაჟის დასრულებულობის მნიშვნელოვან პრინციპს.<sup>334</sup> უფრო მეტიც, ზოგადი სამართლის პრინციპის – *stare decisis* („გადაწყვეტილზე დგომა“) გარეშე სხვადასხვა ქართველი მოსამართლის შედეგები შეიძლება ყოფილიყო ურთიერთსაწინააღმდეგო. ეს გამოიწვევდა დაბნეულობას და ხელშეკრულების შემუშავებლებს გაუძნელებოდათ მართებული ხელშეკრულებების ჩამოყალიბება. ქართული სასამართლო სისტემა ისევ ეწყობა კანონს არბიტრაჟზე და მის ნორმებს სასამართლოს შეზღუდულ ჩარევასთან დაკავშირებით. გაფართოებული სასამართლო კონტროლი საწინააღმდეგოდ მოაბრუნებდა ამ ტენდენციას და გამოიწვევდა დაბნეულობას.

## გ. საკითხის გადაწყვეტა „L“-ის („გასაჯაროება, არბიტრის დანიშვნა, ლიცენზირება“) ღონისძიებებით

არბიტრაჟის საკითხის გადაჭრის საუკეთესო საშუალებები აერთიანებს ღონისძიებებს, რომლებიც განკუთვნილია არბიტრაჟის პროცესის სრულყოფისათვის, მომხმარებლების გამორიცხვის გარეშე. გადაჭრა ფოკუსირდება სამ საკითხზე: გასაჯაროება, არბიტრის დანიშვნა და ლიცენზირება.

### 1. გასაჯაროება

არბიტრაჟის პროვაიდერებს უნდა მოეთხოვებოდეს სავალდებულო არბიტრაჟთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემების შეზღუდული რაოდენობის გასაჯაროება. ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს: (I) არამომხმარებელი მხარის იდენტიფიკაციას; (II) დავის ტიპს; (III) არბიტრ(ებ)ის იდენტიფიკაციას; და (IV) შედეგს. იდეალურ შემთხვევაში პროვაიდერებმა ეს ინფორმაცია უნდა გახადონ საჯარო ვებგვერდებზე ან მოთხოვნისამებრ. როგორც მინიმუმ, ის უნდა მიეწოდოს სათანადო სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე დამოუკიდებელ ინსტანციას (IAA, ქვემოთ). კალიფორნიამ ამ ბოლო დროს დაადგინა ანალოგიური გასაჯაროების რეჟიმი<sup>335</sup> დადებითი შედეგების მისაღებად.<sup>336</sup> თუმცა მხოლოდ გასაჯაროება ვერ შეცვლის მომხმარებლის ქცევას, ის ხელს შეუწყობდა გამჭვირვალობას და გააუმჯობესებდა ტრიბუნალის ქმე-

<sup>331</sup> საბჭოს დირექტივა 93/13/EEC, 5 აპრილი, 1993, არასამართლიან პირობებზე მომხმარებელთა კონტრაქტებში, 1993 O.J. (L 095) 29-34, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31993L0013:en:HTML>>.

<sup>332</sup> მე-3(1) მუხლი, დანართი.

<sup>333</sup> ნიდერმეიერი, ზემოაღნიშნული სქოლიო 3055, 18.

<sup>334</sup> ფერმერი, ზემოაღნიშნული სქოლიო 2899, 2363-2364.

<sup>335</sup> იხ. კალიფორნიის სამოქალაქო პროცესულური კოდექსი §1281.96(ა) (დასავლეთი, 2015).

<sup>336</sup> იგი საშუალებას აძლევდა საზოგადოებას, უკეთ შეესწავლა არბიტრაჟის მუშაობა. იხ. *Fellows M., The Same Result as in Court, More Efficiently: Comparing Arbitration and Court Litigation Outcomes*, Metro. Corp. Couns. 2006, 32 <<http://www.metrocorpocounsel.com/pdf/2006/July/32.pdf>>. (არბიტრაჟის მონაცემების გაანალიზების შესაძლებლობა განპირობებული იყო წესების გასაჯაროებით.)

დებას,<sup>337</sup> საშუალებას მისცემდა ხალხს, შეეფასებინა, სისტემატური პრობლემა იყო თუ არა კონკრეტულ პროვაიდერთან. მას შეიძლება, იძულებული გაეხადა კიდევ ზოგი კომპანია, თავიდან მოეცილებინა საექვო პროვაიდერი. I-ს, აგრეთვე, მიაწვდიდა ინფორმაციას IAA-ს (ქვემოთ) მოსალოდნელ მიუკერძოებლობაზე და ინდივიდუალურ პირებს მოამარაგებდა უკეთესი ინფორმაციით პროვაიდერის დანიშვნის პროცესში.

## 2. არბიტრის დანიშვნა

კანონი არბიტრაჟზე იცავს ტიპური კანონის წესებს არბიტრის დანიშვნაზე. ეს წესები არის სათანადო საერთაშორისო არბიტრაჟისთვის და შიდასახელმწიფოებრივი არბიტრაჟისათვის კომერციულ მონაწილეებს შორის,<sup>338</sup> მაგრამ დანიშვნის პროცესი საჭიროებს მოდიფიცირებას სავალდებულო სამომხმარებლო არბიტრაჟისათვის, სადაც ცალკეული არბიტრი ინიშნება პროვაიდერის მიერ. მიუკერძოებლობა მოითხოვს, რომ ცალკეული არბიტრი იყოს ნამდვილად ნეიტრალური და ობიექტური. კანონი უნდა აუზღოვებდეს არბიტრის მიუკერძოებლობას პროვაიდერის ჩამოშორებით დანიშვნის პროცესიდან. კანონი არბიტრაჟზე უკვე უზრუნველყოფს პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრას: როდესაც არის ერთი არბიტრი, მხარეები უნდა ეცადონ, დასთანხმდნენ მის დანიშვნას, მაგრამ თუ შეთანხმება ვერ ხერხდება, მხარემ შეიძლება მოითხოვოს სასამართლოს დანიშვნა.<sup>339</sup> ეს ძალაში იქნება, თუ მხარეები არ თანხმდებიან სხვადასხვა პროცესზე. პრობლემის ერთი გადაწყვეტა არის მხარეებისთვის არჩევანის შესაძლებლობის ჩამორთმევა სხვაგვარად შესათანხმებლად და ეს უნდა გახდეს წესი, რომელიც მოითხოვება სამომხმარებლო არბიტრაჟის დასანიშნავად.<sup>340</sup> სასამართლოს დანიშვნას აქვს ხარვეზები. სასამართლოები არ არიან ჩართულნი არბიტრაჟში რეგულარულად და შეიძლება არ გააჩნდეთ შესაბამისი არბიტრაჟის არჩევის უნარი.<sup>341</sup> სასამართლოები არიან აგრეთვე დაკავებული და მართლმსაჯულების „ბორბალს“ დიდი დრო სჭირდება, რომ იმოქმედოს დანიშვნაზე.<sup>342</sup> საბოლოოდ, ერთ-ერთი სპეციალისტის თანახმად, საქართველოს სასამართლოები არ არიან მონდომებულები დანიშვნის პროცესში მონაწილეობის მისაღებად.<sup>343</sup>

თუ მხარეები ვერ თანხმდებიან, უკეთესი გადაწყვეტა არის დანიშვნის სიმძიმის გადატანა IAA-ზე (თანამდებობაზე დანიშვნის დამოუკიდებელ ინსტანციაზე). IAA შეიძლება იყოს პიროვნება ან ინსტიტუტი, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (GBA) პრეზიდენტი ან თვით GBA.<sup>344</sup> ის შეიძლება იყოს საქართველოს საარბიტრაჟო ასოციაცია ან გარე ორგანიზაცია; აგრეთვე, შეიძლება იყოს სპეციალურად მომზადებული და სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო, დანიშნული იუსტიციის სამინისტროს მიერ. მთავარია არბიტრების დანიშვნის უფლებამოსილების ჩამორთმევა დისკრედიტებული ინსტიტუტებისთვის. არბიტრაჟის კანონის 2015 წლის შესწორებებმა გააფართოვა დანიშვნის უფლებამოსილებები და სასამართლოებთან ერთად უფლება მიეცა „ნებისმიერ ინსტიტუტს“. ასე რომ, კანონი ამ მიმართულებით ხორციელდება.<sup>345</sup>

<sup>337</sup> მეორე მხრივ, ზოგი შეიძლება ამაყად აგრძელებდეს ფასიან მომსახურებას, როგორც დაკავშირებული საქმიან მოღვაწეობასთან.

<sup>338</sup> ერთ-ერთი ადგილობრივი სპეციალისტი რეკომენდაციას უწევდა ქართველი არბიტრების ერთობლივ შერჩევას. Giorgi Narmania, *Party-Appointed Arbitrators: Past, Present and Future*, 2014 Alt. Disp. Resol. Y.B. Tbilisi St. U., 106, 120-21.

<sup>339</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, მე-11(3) (ბ) მუხლი.

<sup>340</sup> *გორდონი*, ზემოაღნიშნული სქოლიო 3033, 285 (სამომხმარებლო არბიტრაჟის დანიშვნისათვის რეკომენდირებს სასამართლოს მხრიდან და ერთობლივ დადასტურებას).

<sup>341</sup> Akseli, ზემოაღნიშნული სქოლიო, 126, 252.

<sup>342</sup> იქვე.

<sup>343</sup> იხ. *Tsertsvadze, Commentary*, ზემოაღნიშნული სქოლიო 77, 105-06.

<sup>344</sup> იხ. *Redfern A., Hunter M., Law and Practice of International Commercial Arbitration* 3<sup>rd</sup> ed., 1999, 200.

<sup>345</sup> იხ. განმარტებითი ბარათი, ზემოაღნიშნული სქოლიო 125, §(ა) (ა.გ.) („არბიტრ(ებ)ის დანიშვნის წესებთან დაკავშირებული მეორე ცვლილება კონკრეტულად ადგენს, რომ არბიტრები შეიძლება ინიშნებოდნენ“).

მხარის ავტონომიის პრინციპის შესანარჩუნებლად გამოყენებული უნდა იქნეს სიების სისტემა. ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაცია და სხვა გაერთიანებები იყენებენ სიების სისტემას.<sup>346</sup> UNCITRAL-ის არბიტრაჟის მოდელური წესებით, მაგალითად, თუ მხარეები ვერ თანხმდებიან ცალკეულ არბიტრზე, დანიშვნის უფლების მქონე დამოუკიდებელი ორგანიზაცია თითოეულ მხარეს გადასცემს პოტენციური არბიტრების იდენტიურ სიას.<sup>347</sup> თითოეულ მხარეს ეძლევა დროის შეზღუდული პერიოდი, რა დროშიც უნდა დააბრუნოს სია, საიდანაც ამოღებული ექნება გვარები (მიზეზის გარეშე),<sup>348</sup> დარჩენილი გვარები რანჟირებული იქნება უპირატესობის მინიჭებით.<sup>349</sup> შემდეგ ეს დამოუკიდებელი უფლებამოსილი ორგანიზაცია მხარეების უპირატესობებზე დაყრდნობით ნიშნავს არბიტრს.<sup>350</sup> თუ საერთო გვარები არ ფიგურირებს ორივე მხარის მიერ დაბრუნებულ სიებში, უფლებამოსილი ორგანიზაცია საკუთარი ნებით ნიშნავს არბიტრს.<sup>351</sup> თუმცა სიით დანიშვნის სისტემა უფრო ნელია, ვიდრე უშუალოდ პროვაიდერის დანიშვნა. მხარეებს საშუალება ეძლევა, გამოხატონ საკუთარი არჩევანი და თავი იგრძნონ პროცესის ნაწილად, რაც მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც გამოტოვებულია ქართულ სამომხმარებლო არბიტრაჟში.<sup>352</sup> სიების სისტემა მხარეებს იცავს აგრეთვე IAA-ს გამოვლენილი მიუკერძოებლობისაგან. ის არბილებს განმეორებითი მოთამაშის პრობლემას, ვინაიდან პროვაიდერები არ აკონტროლებენ არბიტრების სიას და არბიტრებს არ გააჩნიათ სტიმული, დახმარება გაუწიონ ინსტიტუციურ მხარეებს. ის, აგრეთვე, გააუმჯობესებს არბიტრაჟის აღქმებს მოსახლეობაში.

IAA-სთვის ძალაუფლების მინიჭებას აქვს ორი ნაკლი: პირველი – ის შეანელებს პროცესს, როდესაც შევადარებთ უშუალოდ პროვაიდერის დანიშვნას, განსაკუთრებით, სიების სისტემის გამოყენებისას.<sup>353</sup> მაგრამ სამართლიანობის ზრდა და მისი აღქმა შეიძლება ღირდეს იმ გაზრდილ დროდ, რომელიც იხარჯება დანიშვნაზე; მეორე – ის არ იქნება პოპულარული პროვაიდერებში, ვინაიდან ისინი დაკარგავენ კონტროლს არბიტრის დანიშვნაზე.<sup>354</sup> ამავე დროს, თუ ამ ინსტიტუტებს სურთ, განაგრძონ მსხვილმასშტაბიანი სამომხმარებლო საქმიანობის მიღება, ეს შეიძლება მათთვის იყოს ერთადერთი განხორციელებადი გზა გასაგრძელებლად. ალტერნატივა შეიძლება იყოს ბლანკეტური სამომხმარებლო არბიტრაჟის აკრძალვა.

---

ნებოდეს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ, არამედ ნებისმიერი დაწესებულების მიერ (თუ მხარეები არიან ამაზე შეთანხმებული)“).

<sup>346</sup> იხ., აგრეთვე, AAA-ს წესები, ზემოაღნიშნული სქოლიო 143, at R. 2013, 12.

<sup>347</sup> G.A. Res. 65/22, UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესები, 2010-ე მუხლი, 8, <<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules-revised/arb-rules-revised-2010-e.pdf>>, (ბოლოს ნანახია 7 ოქტომბერს, 2015), (შემდგომში – UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესები).

<sup>348</sup> შეერთებულ შტატებში გვარის ამოღებას (მიზეზის გარეშე) ზოგჯერ უწოდებენ არამოტივირებულ აცილებას.

<sup>349</sup> UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესები, ზემოაღნიშნული სქოლიო 350, მე-8 (2) მუხლი. არამოტივირებული აცილებების (არა აცილებები კონკრეტული მიზეზით) რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, რათა იყოს უფრო მაღალი ალბათობა, რომ დასახელდება მინიმუმ ერთი სათანადო პიროვნება და, ამრიგად, შემცირდება არბიტრის დანიშვნის შესაძლებლობები. იხ. მაგ., AAA Securities Arbitration Supplementary Procedures, R. 2009, 3(a), <[https://www.adr.org/cs/groups/commercial/documents/document/dgdf/mda0/~edisp/adrstg\\_004107~1.pdf](https://www.adr.org/cs/groups/commercial/documents/document/dgdf/mda0/~edisp/adrstg_004107~1.pdf)>. (ბოლოს ნანახია 23 თებერვალს, 2015).

<sup>350</sup> UNCITRAL-ის არბიტრაჟის ნორმები, ზემოაღნიშნული სქოლიო 350, მე-8(2) მუხლი.

<sup>351</sup> იქვე, მე-8 (2) (d) მუხლი.

<sup>352</sup> MacNeil, ზემოაღნიშნული სქოლიო 127, §27:3:6:1 (რომელიც აღნიშნავს მხარეთა თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობას შერჩევის პროცესში).

<sup>353</sup> Douglas Earl McLaren, *Party-Appointed vs. List-Appointed Arbitrators: A Comparison*, 20 J. Int'l Arb. 233, 236 (2003).

<sup>354</sup> ერთ-ერთი ალტერნატივაა, მიეცეს პროვაიდერებს შესაძლებლობა, მართონ არბიტრის დანიშვნის პროცესი, მაგრამ გამოიყენონ სიების პროცედურა, რომელიც ღია იქნებოდა ყველა ლიცენზირებული არბიტრისა და მომხმარებლისთვის, გამოეყოთ საჯარო ხარჯებით დაფინანსებული ადვოკატი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა, დახმარებოდა მომხმარებლებს პროცედურის წარმართვაში. ეს შეიძლება, უფრო მეტად სასიამოვნო იყოს პროვაიდერებისთვის, თუმცა ნაკლებად იდეალური მომხმარებლებისთვის.

საბოლოოდ, IAA შეიძლება დაეხმაროს ამ ინსტიტუტებს რეპუტაციის ამაღლებაში, არბიტრაჟზე შემდგომი მოთხოვნის სტიმულირებით მომავალში.

### 3. ლიცენზირება

საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს არბიტრის ლიცენზირების რეჟიმი. საქართველოს საარბიტრაჟო ასოციაცია იქნებოდა ბუნებრივი მხარე ამ პროგრამის დასაწესებლად, მაგრამ ის შეიძლება იმართებოდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (NCADR)<sup>355</sup> ან სხვა პრესტიჟული ინსტიტუტის მიერ. ამ რეჟიმის მთავარი კომპონენტები იქნებოდა: შესასვლელი ტესტი უნარებსა და ეთიკაში, უწყვეტი განათლება, მკაცრი სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა ეთიკასა და კომპეტენციაში, და დისციპლინური პროცედურა. ლიცენზირების რეჟიმი ხელს შეუწყობდა კომპეტენციასა და პროფესიონალიზმს, ისევე როგორც საზოგადოებრივ ნდობას.<sup>356</sup> არბიტრების მომზადებით ძირითად სამედიატორო უნარებში არბიტრაჟის კანონის განხორციელების პირობას<sup>357</sup> მეტი ყურადღება მიექცეოდა და მხარეებს ექნებოდა უკეთესი შესაძლებლობები თავიანთი ფინანსური ურთიერთობების ურთიერთმოგებიანად მოსაწესრიგებლად.<sup>358</sup>

DAL-ის (გასაჯაროება, არბიტრის დანიშვნა და ლიცენზირება) სამივე კომპონენტი ერთმანეთს აძლიერებს. მაგალითად, ინფორმაციის გასაჯაროება მნიშვნელოვანი იქნებოდა IAA-სთვის მხარეების უზრუნველსაყოფად საარბიტრაჟო ნეიტრალური სიით, ხოლო ლიცენზირება იქნებოდა IAA-ს არბიტრთა სიის ხარისხის ძირითადი საკონტროლო მექანიზმი.

DAL განკუთვნილია არბიტრაჟის გასაუმჯობესებლად და არა მის შესაზღუდავად. ეს შესაბამეა ევროკავშირის ახალ დირექტივას დავების ალტერნატიულ გადაწყვეტაზე სამომხმარებლო დავებისათვის.<sup>359</sup> DAL ხელს უწყობს საზოგადოებრივ ნდობას არბიტრაჟისადმი, იცავს მომხმარებლებს ტენდენციურობისაგან და ინარჩუნებს არბიტრაჟის მნიშვნელოვან უპირატესობებს: ეფექტურობას, ღირებულებას, მოქნილობასა და პროცესის დასრულებულობას. გადაწყვეტილება ნაკლებად მავნებლური იყო, ვიდრე სრული აკრძალვა ან მოთხოვნების რთული ფორმა არაპროგნოზირებადი სასამართლო გადახედვით.

მაგრამ DAL არ არის სრულყოფილი. მონაცემების გასაჯაროება ინვესტს ახალი აღრიცხვების ხარჯებს, თუმცა ისინი უნდა იყოს მინიმალური. გასაჯაროება შეამცირებს კონფიდენციალობის დაცვას, თუმცა დაცვები, ძირითადად, ემსახურება განმეორებით მხარეს. მონაცემების გასაჯაროება შეიძლება გაერთიანდეს საკონტროლო უფლებამოსილებასთან, სისტემატური შეცდომების შემთხვევების გადახედვისა და დასჯის მიზნით,<sup>360</sup> თუმცა ეს უფრო გაართულებდა საკითხს და შეიძლება, არც კი ღირდეს მიღებული მოგება. გასაჯაროებით არბიტრები და პროვაიდერები შეცვლიან თავიანთ ქმედებებს (საჭირო დონემდე) შეცდომების ან მიუკერძოებლობის აღქმის თავიდან ასაცილებლად. ამ საკითხის ნათელყოფა საგრძნობ სარგებელს მოიტანს.

<sup>355</sup> The NCADR is located at Tbilisi State University. Its website is available at <<http://ncadr.tsu.ge/eng/2/news/52-ncadr-initiatives-for-business-law-reform>> (ბოლოს ნანახია 2015 წლის 23 თებერვალს).

<sup>356</sup> იხ. *Blechman M.D.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 314, 13.

<sup>357</sup> კანონი არბიტრაჟზე, ზემოაღნიშნული სქოლიო 104, 38-ე მუხლი.

<sup>358</sup> Teo Kvirikashvili, *Med-Arb / Arb-Med and Prospects of Their Development in Georgia*, 2014 *Alt. Disp. Resol. Y.B. Tbilisi St. U.* 51; *Raeschke-Kessler H.*, *The Arbitrator as Settlement Facilitator*, 21 *Arb. Int'l* 2005, 523, (discussing windows of settlement opportunity during arbitration).

<sup>359</sup> ევროპარლამენტის დირექტივა 2013/11/EU და საბჭოს 2013 წლის 21 მაისის დავების ალტერნატიული გადაწყვეტა მომხმარებელთა დავებისათვის, №2006/2004 და დირექტივა 209/22 EC, 2013 O.J. (L 165) 63 (წვერი სახელმწიფოებისგან მოითხოვს ADR-ის (დავების ალტერნატიული გადაწყვეტა) მექანიზმების განვითარებას მომხმარებელთა კონფლიქტებისთვის).

<sup>360</sup> იხ. *Farmer*, *supra* note 299, at 2369-93 (recommending provider liability for systemic bias). However, systemic bias would be difficult to define and penalize. Civil liability would also achieve little for Georgian consumers. Georgian law already provides for criminal liability for arbitrators. იხ. *Tsertsvadze*, *Commentary*, *supra* note 77, at 115.



დანიშვნის პროცესის ჩამორთმევა პროვაიდერებისთვის იქნება მკაცრი საშუალება, მაგრამ გადაწყვეტილება არის განხორციელებადი და არ უნდა გამოიწვიოს ეკონომიკური ზარალი პროვაიდერებისთვის ან არბიტრებისთვის. რამდენადაც ეს გადაწყვეტილება იძლევა სავალდებულო სამომხმარებლო არბიტრაჟის გადარჩენის საშუალებას, იგი არის სარგებლის მომტანი პროვაიდერებისთვის დრაკონულ ალტერნატივებთან შედარებით.<sup>361</sup> ლიცენზირება, აგრეთვე, გამოიწვევს კონტროლისა და დისციპლინური რეჟიმის შემოტანასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს, რასაც გადაიხდიან არბიტრები ისე, რომ ჯამური შედეგი მათ მიმართ იყოს მინიმალური; ასევე იქნება ადმინისტრაციული ხარჯებიც, მიმართული არბიტრაჟის დახვეწისაკენ.

## VII. დასკვნა

მიუხედავად ქვეყნის არბიტრაჟის პრობლემური ისტორიისა, ქართველები მაინც მიმართავენ არბიტრაჟს დავების გადასაწყვეტად. ეს კარგი ნიშანია. რეკომენდებული ცვლილებებით არბიტრაჟის კანონმა უნდა წაახალისოს საერთაშორისო ინვესტიციები, ხელი შეუწყოს ქვეყნის შიდა ეკონომიკურ აქტივობას და შეამსუბუქოს განსახილველი საქმეებით გადატვირთული სასამართლოები. კანონი არსებითად გაუმჯობესებულია წინა არბიტრაჟის სისტემასთან შედარებით, მაგრამ იგი კვალავ განვითარების პროცესშია. კანონის მსგავსებები UN-CITRAL-ის ტიპურ კანონთან ადგენს ნაცნობ სტრუქტურას ბევრი მონაწილისათვის.

კანონის ნაკლოვან მხარეებზე რეაგირება შეიძლება კანონიერი შესწორებებით. თუ კანონი იძლევა უფრო მეტ სიცხადეს, ნაკლები იქნება გაუგებრობა, შეუსაბამობა და მისი არასწორად გამოყენება. მნიშვნელოვანი საკითხები უკავშირდება სასამართლოების როლს. ისტორიის მიხედვით, ქართული სასამართლოები ეჭვით უყურებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით მომხმარებლებთან დაკავშირებულთ. რამდენიმე დამატებითი შესწორება, როგორცაა, მაგალითად, რემისიის პროცესისა და საჯარო წესრიგის განმარტების დამატება, დაეხმარება სასამართლოებს, დაიცვას მხარეები კანონის არასწორად გამოყენებისაგან, არბიტრაჟის განვითარებისათვის ზიანის მიუყენებლად. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა მზაობა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე საშინაო ფირმების მიმართ. საჯარო წესრიგზე შემდგომი სიცხადის შემოტანით სასამართლო პრაქტიკა გახდება ბრწყინვალე მაგალითი სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის.

არბიტრაჟისათვის ძირითადი მუქარა საქართველოში და სადმე სხვაგანაც არის სავალდებულო სამომხმარებლო არბიტრაჟის გამოყენება. თუმცა არსებობს მკაცრი გადაწყვეტილებები, როგორცაა სარგებლის მიღების მიზნით მოქმედი პროვაიდერების აკრძალვა ან გამორიცხვა, უფრო დაზუსტებულ მიდგომას შეიძლება ჰქონოდა უფრო მეტი აზრი. ყველაზე დიდი ალბათობით წარმატებული იქნებოდა გადაწყვეტილება, რომელიც დააბალანსებდა ყველა დაინტერესებული მხარის გათვალისწინებებს და ძირეულ მიზეზებზე (განმეორებითი მოთამაშისა და არბიტრის დანიშვნის პრობლემები) რეაგირების მცდელობებს.

სხვა განვითარებადმა ქვეყნებმა შეიძლება ისწავლონ საქართველოს გამოცდილებიდან. არბიტრაჟი იქნება მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტურობასა და ეკონომიკურ აქტივობას. ის შეიძლება, აგრეთვე, გახდეს იარაღი, რომელიც უარყოფს ინდივიდუალური პირების ფუნდამენტურ უფლებებს. როგორც საქართველო სწავლობს, მომხმარებელთა მნიშვნელოვანი დაცვა უნდა დადგეს საშინაო არბიტრაჟში სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. განმეორებითი მოთამაშის პრობლემებზე რეაგირება უნდა ხდებოდეს პროექტირების ეტაპზე. განმარტებული და კონტროლირებადი უნდა იყოს სასამართლოების განსაკუთრებული როლი. ეთიკის ნორმები მიღებული და აღსრულებული უნდა იყოს დასაწყისიდანვე. ფართო პროფესიონალური განათლება და მუდმივი გადამზადება იქნება მთავარი ინგრედიენტი. გარკვეული შესწორებებით საქართველოს არბიტრაჟი შეიძლება გახდეს მოდეული განვითარებადი მსოფლიოსთვის.

<sup>361</sup> იხ. *Blechman M.D.*, ზემოაღნიშნული სქოლიო 314, 14-15 (რეკომენდირებს იმ პროვაიდერების აკრძალვის შესახებ, რომლებიც მოქმედებენ მოგების მიზნით); *ტყემალაძე ს.*, ახალი კანონი, ზემოაღნიშნული სქოლიო 733, 671 (რეკომენდირებს სამომხმარებლო არბიტრაჟის შეზღუდვის შესახებ).

## აღმოკაბის როლი სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში

სტატიაში განხილულია ქართულ სამართალში სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში ადვოკატთა წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხები. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის მიზანშეწონილობის შეფასებას; აგრეთვე განხილულია ადვოკატის მიერ მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმის, ინიცირების საკითხი; განისაზღვრა ადვოკატის მიერ კლიენტის საუკეთესო ინტერესების გამოკვლევის შედეგად საკუთარი სამოქმედო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების მეთოდოლოგია; ნაშრომში აგრეთვე განისაზღვრა ადვოკატის მიერ საქმისა და კლიენტის მომზადებისათვის განსახორციელებელი პროცედურები. საბოლოოდ, მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბდა საკანონმდებლო რეკომენდაციები.

**საკანონო სიტყვები:** მედიაცია, ადვოკატი, საკანონმდებლო რეგულირება, ეთიკა.

### 1. შესავალი

მედიაცია დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი არაფორმალური საშუალებაა. „ეს არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცედურა, რომლის დროსაც დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლების არქონე მედიატორი სისტემატურად უწყობს ხელს მხარეთა შორის კომუნიკაციას, რათა შესაძლებელი გახადოს მოდავეთა თვითპასუხისმგებლობაზე დამყარებული შეთანხმების მიღწევა“.<sup>1</sup> საერთაშორისო მედიაციის პრაქტიკას უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე თეორიულს.<sup>2</sup> მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლებში ეს ინსტიტუტი სწრაფად განვითარდა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: აშშ, ავსტრალია, კანადა, ინგლისი და უელსი.<sup>3</sup>

საქართველოში მედიაციის ინსტიტუტი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (შემდგომში – სსსკ) განსაზღვრავს სავალდებულო სასამართლო მედიაციის საშუალებით განსახილველ დავებს, თუმცა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო მედიაცია ნებისმიერ კერძო სამართლებრივ დავას განიხილავს.<sup>4</sup>

\* სამართლის მაგისტრი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი.

<sup>1</sup> Hopt K. J., Steffek F., Mediation: Rechtsvergleich, Regelungsmodelle, Grundsatzprobleme, in: Hopt K. J., Steffek F., Mediation, Rechtstatsachen. Rechtsvergleich, Regelungen, “Mohr Siebeck”, Tübingen, 2008, 12. ციტირებულია: ცერცვაძე გ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა – მედიაცია (ზოგადი მიმოხილვა), დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2010, 37, <[http://d252441.u-telcom.net/books/Full\\_Version/sajaro/mediacia.pdf](http://d252441.u-telcom.net/books/Full_Version/sajaro/mediacia.pdf)>.

<sup>2</sup> Kleiboer M., Understanding Success and Failure of International Mediation, Journal of Conflict Resolution, VOL. 40. No. 2, 1996, 360, <<http://www.engagingconflict.it/ec/wp-content/uploads/2012/06/Kleiboer-understanding-Success-and-Failure-of-International-Mediation.pdf>>.

<sup>3</sup> Alexander N.M., Global Trends in Mediation: Riding the Third Wave, Centrale für Mediation, Otto Schmidt Verlag DE, 2003, 7.

<sup>4</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, სსსკ-ის 187<sup>3</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეზღუდულია სასამართლო მედიაციის კომპეტენცია და განსაზღვრულია, რომ სასამართლო მედიაციის ფარგლებში შესაძლებელია განიხილებოდეს საოჯახო სამართლიდან წარმოშობილი დავები, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა. სასამართლო მედიაცია უფლებამოსილია, განიხილოს სამეზობლო და სამემკვიდრეო სამართლიდან წარ-

მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტა გამართლებულია, თუკი ამ გზით ხერხდება მხარეთა საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილება და პროცესი არ იქცევა ფინანსური და დროის რესურსის კლიენტის ინტერესთა საწინააღმდეგოდ ფლანგვად. ამის მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული პროცესში ადვოკატთა მონაწილეობაზე.

ადამიანები, რომლებიც ფრთხილად ემზადებიან მედიაციისათვის, როგორც წესი, აღწევენ უკეთეს შედეგებს, ვიდრე ისინი, ვინც ამას არ აკეთებენ.<sup>5</sup> ამდენად, გასაოცარია, თუ რატომ იწყებენ ადამიანები მოლაპარაკებას სათანადო მომზადების გარეშე.<sup>6</sup> ამ ეტაპზე ადვოკატის სწორად განხორციელებული ქმედებები განსაზღვრავს არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესების განხორციელებას, არამედ საზოგადოების მხრიდან მედიაციისადმი ნდობის დამკვიდრებას, ინსტიტუტის განვითარებას.

„ჯერჯერობით ქართველი კანონმდებელი მხოლოდ ეპიზოდური რეგულირებით შემოიფარგლება“<sup>7</sup> და მედიაციის რეგულირებასთან დაკავშირებული დისკუსია საქართველოში მხოლოდ ახლა იწყება.<sup>8</sup> შესაბამისად, სამოქალაქოსამართლებრივი დავების მოსამზადებელ ეტაპზე ადვოკატთა როლის საკითხიც უპასუხოდაა დარჩენილი, სახეზეა კანონმდებლობის ხარვეზი. ეს ზრდის საკითხის კვლევის მნიშვნელობას, საქართველოს კანონმდებლობაში შემდგომში განსახორციელებელი ცვლილებების წარმოჩენის მიზნით“.

ნაშრომის მიზანია ქართულ სამართალში სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე ადვოკატთა წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, ადვოკატთა მიმართ ვალდებულებათა, მოთხოვნათა დადგენა. შემუშავდება კანონმდებლობის სრულყოფის რეკომენდაციები.

მიზანი მიიღწევა კვლევის ანალიტიკური, ისტორიული, შედარებითსამართლებრივი მეთოდების გამოყენებით. გაანალიზდება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვნად მიჩნეული რეგულაციები.

შესავლის შემდგომ, ნაშრომის მეორე თავი დაეთმობა მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის მიზანშეწონილობის შეფასებას; მესამე თავში განიხილება ადვოკატის მიერ მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმის, ინიცირების საკითხი; მეოთხე თავი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტის საუკეთესო ინტერესების გამოკვლევის შედეგად საკუთარი სამოქმედო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას; მეხუთე თავი შეეხე-

---

მოშობილი დავა, და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში ნებისმიერი სხვა დავა. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (შემდგომში – სსმ), 1106-ის, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011]; სსსკ-ის 187<sup>3</sup> მუხლი, სსმ, 1106-ის, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011]; კანონმდებელი ითვალისწინებს სხვა სახის მედიაციასაც, როგორც არის სანოტარო, სამედიცინო, საგადასახადო და სხვ. განსახილველი დავის საგნები თითოეულ შემთხვევაში კანონმდებლობით ცალკეულად არის განსაზღვრული. სანოტარო მედიაციით განსახილველი დავები დადგენილია ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის 38<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ამ შემთხვევაში სანოტარო მედიაცია უფრო შეზღუდულია და ამ მედიაციის საშუალებით არ განიხილება ის დავა, რომელზეც კანონმდებლობით მედიაციის სპეციალური წესი არის დადგენილი. სსმ, 04.12.2009, 2283-III [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5851-ის, 16.03.2012]; სამედიცინო მედიაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის მე-80 დადგენილების მე-2 მუხლის ე) პუნქტით განისაზღვრება სამედიცინო მედიაციით განსახილველი დავა. სსმ, 29.02.2012; საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსის 48<sup>1</sup>-ე მუხლი ითვალისწინებს კოლექტიური დავის განხილვას მედიაციის გზით, სსმ, 4113-რს, 17.12.2010, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 729-III, 12.06.2013]; საგადასახადო მედიაცია განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დამტკიცების თაობაზე უფროსის ბრძანებით, 2742, მე-12<sup>1</sup> მუხლი, 02.06.2011, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 21623, 20.05.2013].

<sup>5</sup> Lewicki & Hiam, 2006, 41-70, ციტირებულია: Craver C. B., *Effective Legal Negotiation and Settlement*, Sixth edition, 2009, 46.

<sup>6</sup> Craver C. B., *Effective Legal Negotiation and Settlement*, Sixth Edition, 2009, 46.

<sup>7</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 18, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>, [05.07.2013].

<sup>8</sup> იქვე.

ბა ადვოკატის მიერ საქმის შესაბამის მომზადებას; მეექვსე თავში განიხილება კლიენტის მომზადება პროცესისათვის; დასკვნაში ჩამოყალიბდება კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები.

## 2. მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართვის მიზანშეწონილობის შეფასება

სტატისტიკის თანახმად, სამოქალაქოსამართლებრივი დავების უმრავლესობა გადაიჭრება მედიაციის საშუალებით.<sup>9</sup> მედიაციის სტანდარტულ შემთხვევებში მოიაზრება პროცესის მიმდინარეობა მხოლოდ მხარეთა მონაწილეობით, თუმცა წარმომადგენელთა, ადვოკატთა ჩართულობას მედიაციის პროცესში ითვალისწინებს *Uniform Mediation Act*.<sup>10</sup> კერძოდ, ამ აქტის მე-10 მუხლის თანახმად, „ადვოკატს ან სხვა ინდივიდს, რომელსაც აქვს მინიჭებული უფლება-მოსილება, არის დანიშნული მხარის მიერ, შეუძლია, მხარესთან ერთად მიიღოს მონაწილეობა მედიაციის პროცესში“.<sup>11</sup> აქტი მხარეებს ანიჭებს არჩევანის თავისუფლებას. არ არის დადგენილი მოთხოვნა, რომ წარმომადგენელი ჩაერთოს პროცესში, თუმცა ეს შესაძლებელია.

დღესდღეობით, ზოგიერთ სახელმწიფოში, მედიაციის პროცესზე ადვოკატისა და კლიენტის ერთობლივი დასწრება ნორმად ითვლება. ასეთ დროს მოლაპარაკებებს, ძირითადად, ადვოკატი აწარმოებს (მაგალითად, განქორწინების საკითხთან დაკავშირებული მედიაციისას). ის, თუ როგორ გადაწყდება ეს საკითხი, მიიჩნევა ადგილობრივი კულტურის, ასევე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებათა გაერთიანებების გავლენის შედეგად.<sup>12</sup> თუმცა ფაქტია, რომ 21-ე საუკუნის სამოქალაქოსამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში დომინირებენ ადვოკატები, რომლებიც სხვა სახის პროცესებში წარმომადგენლობას „გაურბიან“.<sup>13</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, მხარეთა წარმომადგენლები ადვოკატები არიან, და ისინი, ალტერნატიული განსაკუთრებული უფლებამოსილებებით, იცავენ მარწმუნებელთა კანონიერ ინტერესებს. სამოქალაქო სამართლის თეორიაში დღეს აღიარებულია შეხედულება, რომ გარიგებას დებს წარმომადგენლის პიროვნება, ხოლო შედეგები წარმოდგენილი პირის მიმართ დგება. ის, რომ წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების შედეგები წარმოდგენილ პირს ეხება, ემყარება მოქმედი პირების ნებას და კანონს, რომელიც აღიარებს ამ პირთა ნებას.<sup>14</sup>

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლო მედიაციის თავში არაფერს ამბობს მხარეთა წარმომადგენლებზე (ადვოკატებზე), თუმცა კანონის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან თუ ამოვალთ, გამოდის, რომ სიტყვა „მხარეში“ იგულისხმება როგორც უშუალოდ დავის მონაწილე პირი, ასევე მისი წარმომადგენელიც. შესაბამისად, რაიმე განსაკუთრებული ხაზგასმა ადვოკატის მონაწილეობის შესახებ მედიაციის პროცესში ცალკე საკანონმდებლო ნორმის სახით საჭირო არ არის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის პროცესში თავისუფლად შესაძლებელია ადვოკატების მონაწილეობა“.<sup>15</sup>

<sup>9</sup> *Melnick J. D.*, Lost Opportunities in Mediation, *Westlaw Journal Securities Litigation and Regulation*, Vol. 19, issue 4, 2013, 1, <<http://www.jamsadr.com/files/Uploads/Documents/Articles/Melnick-Opportunities-Mediation-2013-06-25.pdf>>.

<sup>10</sup> აღნიშნული აქტი მიღებულ იქნა 2001 წელს.

<sup>11</sup> *Uniform Mediation Act*, მუხლი 1, <<http://www.mediate.com/articles/umafinalstyled.cfm>>.

<sup>12</sup> *Coltri L. S.*, *Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach*, 2nd Edition, University of Maryland, University College, 2010, 78.

<sup>13</sup> *Rubin M. A.*, *Spector B. F.*, Ethical Conundrums For the 21<sup>st</sup> Century Lawyer/Mediator “Toto I’ve got a Feeling We’re Not in Kansas Any More”, *American Journal of Mediation*, Vol. 2, 2008, 75.

<sup>14</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, 422.

<sup>15</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 238, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>, [05.07.2013].

საქართველოში საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს „საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ.“ „ადვოკატს უფლება აქვს, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან“.<sup>16</sup> ამ ნორმითაც უშუალოდ მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობა არ არის გათვალისწინებული, თუმცა, ვინაიდან დაშვებულია კლიენტის წარდგენა „სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან“, დგინდება, რომ ადვოკატს აქვს უფლება, იყოს წარმომადგენელი მედიაციის პროცესში.

*Model Rules of Professional Conduct*<sup>17</sup> განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც ადვოკატმა არ უნდა წარმოადგინოს კლიენტი, ხოლო როდესაც ურთიერთობა უკვე არსებობს, შეწყვიტოს იგი.<sup>18</sup> აქედან გამომდინარე, დგინდება, რომ საქმეში წარმომადგენლად დანიშვნამდე, მოსამზადებელ ეტაპზე, ადვოკატი ვალდებულია, გამოიკვლიოს მისი წარმომადგენლად ჩართვის მიზანშეწონილობა, არსებობს თუ არა წარმომადგენლობაზე უარის თქმის საფუძველი. თუ პასუხი აღმოჩნდება დადებითი, შემდგომი ნაბიჯები უნდა იყოს ამ გარემოების შესაბამისი. აღნიშნული მოთხოვნის გაუთვალისწინებლობა უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება კლიენტისათვის, ვინაიდან იგი უშედეგოდ დაკარგავს დროსა და ფინანსურ რესურსს.

როგორც აღინიშნა, მანამ, სანამ განისაზღვრება მედიაციის პროცესში ადვოკატის წარმომადგენლობის საკითხი, აუცილებელია დადგინდეს, რამდენად მიზანშეწონილია ეს. რა მოიზარება „მიზანშეწონილობის“ ცნებაში? ამის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია კონკრეტული ფაქტორები. კერძოდ: ის დადებითი თუ უარყოფითი შედეგები, რაც ზოგადად არის დამახასიათებელი მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართულობისათვის; ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებები, სპეციფიკა; იმ ადვოკატის პიროვნული თუ საკვალიფიკაციო მახასიათებლები, რომელიც წარმომადგენლად მოიზარება.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია, ვინაიდან მხარეთა წარმომადგენლების მოქმედება, როგორც წესი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პროცესის შედეგებს.

## 2.1. მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის შესაძლო დადებითი შედეგები

ადვოკატთა უმთავრესი როლი მედიაციის პროცესში გამოიხატება მხარეთათვის (წარმოდგენილ პირთათვის) რჩევა-დარიგების მიცემით, მხარეთა ინფორმირებით განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.<sup>19</sup> ადვოკატებს შეუძლიათ, აუხსნან კლიენტს მედიაციის პროცესის არსი და ამ პროცესის დადებითი მხარეები; მოამზადონ კლიენტი თანამშრომლობითი მოლაპარაკებისათვის; ეფექტურ ადვოკატს შეუძლია, დაეხმაროს კლიენტს სანდო მედიატორის მოძიებაში, რომელიც თავს გაართმევს დავის საგანს.<sup>20</sup> ეთიკური თვალსაზრისით, მედიატორს ეკრძალება მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას სამართლებრივი რჩევების გაცემა.<sup>21</sup> ე.ი. ადვოკატთა ჩართულობა საჭიროა იმისათვის, რათა განუმარტონ მხარეებს მათი სამართლებრივი მდგომარეობა, რაც მათ დაეხმარება საკუთარი ინტერესების უკეთ გაცნობიერებაში.<sup>22</sup> გარდა ამისა, წარმომადგენლები ვალდებული არიან, მხარეებს მიაწოდონ ინფორმაცია პროცე-

<sup>16</sup> საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, მე-4 მუხლი, 1-ლი ნაწილი. № 976 20.06.2001.

<sup>17</sup> The ABA Model Rules of Professional Conduct მიღებული 1983 წელს. ეს აქტი წარმოადგენს ეთიკურ წესებს. მან ჩაანაცვლა 1969 მიღებული აქტი “Model Code of Professional Responsibility”.

<sup>18</sup> ABA Model Rules of Professional Conduct, 1.16 მუხლი.

<sup>19</sup> ცერცვაძე ვ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 236, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>[05.07.2013].

<sup>20</sup> Coltri L.S., Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, Second edition, University of Maryland, University College, 2010, 79.

<sup>21</sup> იქვე, 80.

<sup>22</sup> იქვე, 79.

სის მიმდინარეობის შესახებ.<sup>23</sup> ამის გათვალისწინებით, დგინდება, რომ კლიენტის სამართლებრივი დაცულობისა და პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია ადვოკატის ჩართულობა.

უნდა აღინიშნოს, მედიაციის პროცესში ადვოკატთა მონაწილეობის ერთ-ერთ საუკეთესო შედეგად მოიაზრება ის, რომ ადვოკატის დახმარებით, ინტერესთა ანალიზისა და მომზადების საფუძველზე, მარტივად ხდება ურთიერთობის შედეგად მიღწეული შეთანხმების საუკეთესო ალტერნატივის (შემდგომში – BATNA) ნათელყოფა. იურისტი ეხმარება კლიენტს, გამოარკვიოს მისი ქვეცნობიერი ინტერესი, ღირებულებები, საჭიროებები და პრინციპები.<sup>24</sup>

იურისტს შეუძლია, დაამშვიდოს აღელვებული და შეშინებული კლიენტი. იმ შემთხვევაში, თუკი გამოიყენება შეფასებითი მედიაცია,<sup>25</sup> წარმომადგენელი კიდევ უფრო მეტად მუშაობს კლიენტთან იმისათვის, რათა დაარეგულიროს მისი არაკეთილგონივრული მოლოდინები.<sup>26</sup>

მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართულობის კიდევ ერთი დადებითი შედეგი არის ის, რომ ეს გარემოება აბალანსებს მხარეთა უთანასწორობას. ნარჩუნდება „ნეიტრალურობა“<sup>27</sup> პროცესში.<sup>28</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ხაზგასმული დადებითი ფაქტორების გათვალისწინებით დგინდება, რომ, იმისათვის, რათა საზოგადოებამ მიიღოს მაქსიმალური სარგებელი მედიაციისაგან, საჭიროა პროცესში წარმომადგენელთა ჩართვა, თუმცა ფრთხილად.<sup>29</sup> პირები, რომლებიც პროცესში არ სარგებლობენ ადვოკატის წარმომადგენლობით, სავარაუდოდ, ვერ მოემზადებიან და ვერ მოახერხებენ საკუთარი პოზიციების ეფექტურ წარმოჩენას.<sup>30</sup>

## 2.2. მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის შესაძლო უარყოფითი შედეგები

ზოგიერთი ინდივიდის მხრიდან ადვოკატის წარმომადგენლობა მედიაციის პროცესში უარყოფით შედეგებს იმსახურებს.<sup>31</sup> ასეთი დამოკიდებულების საფუძველად რიგი ქვემოთ განხილული გარემოებებისა სახელდება:

<sup>23</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 236, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>, [05.07.2013].

<sup>24</sup> *Coltri L. S.* Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, 2<sup>nd</sup> Edition, University of Maryland, University College, 2010, 80.

<sup>25</sup> თეორიაში განასხვავებენ სამი ძირითადი სახის მედიაციას. ესენია: შეფასებითი (evaluative), ხელისშემწყობი (facilitative) და ტრანსფორმაციული (transformative). ხელისშემწყობი მედიაციის დროს მედიატორი აადვილებს მხარეთა შორის ურთიერთობებს. მას შეუძლია, დასვას შეკითხვები, უზრუნველყოს პროცესის მიმდინარეობა. იგი თავს იკავებს შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაცემისაგან და მხარეებს საშუალებას აძლევს, თავად მიიღონ გადაწყვეტილება. მედიატორის ძირითადი მიზანია მხარეთა ინტერესების გამოკვეთა. ტრანსფორმაციული მედიაციის მეთოდის გამოყენებით მხარეებს საშუალება ეძლევათ, ორიენტირებული იყვნენ არა მხოლოდ მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებაზე, არამედ გაითვალისწინონ მეორე მხარის მოთხოვნები. მედიატორი საშუალებას აძლევს მხარეებს, გაიგონ დაპირისპირებული მხარის საჭიროებები. რაც შეეხება შემაჯამებელ მედიაციას, ამ დროს მედიატორი აფასებს არსებულ ვითარებას, აძლევს რჩევებს მხარეებს, სთავაზობს დავის გადაწყვეტის გზებს, აქტიურ გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილების შინაარსის ჩამოყალიბებაზე.

<sup>26</sup> *Coltri L. S.*, Alternative dispute resolution a Conflict Diagnosis Approach, Second edition, University of Maryland, University College, 2010, 80.

<sup>27</sup> ნეიტრალურობა მიიჩნევა მედიაციის პროცესის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად.

<sup>28</sup> *Helm B., Scott S.*, Advocacy in Mediation, ციტირებულია: *Kestner P.B.* Education and Mediation: Exploring the Alternatives, American Bar Association, 1988, 382.

<sup>29</sup> *Riskin L.L.*, Mediation and lawyers, Ohio State Law Journal, Vol. 43:29, 1982, 41, <<http://Heinonline.org>>.

<sup>30</sup> *Folberg J., Rosenberg J., Barret R.*, Use of ADR in California Courts: Findings & Proposals, University of San Francisco law review, Vol. 26, 1992, 394.

<sup>31</sup> *Clark B.*, Lawyers and mediation, United Kingdom, 2012, 105.

ზოგჯერ მედიაციის პროცესში მონაწილეობა ადვოკატებმა შესაძლებელია, ბოროტად გამოიყენონ და, არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, დავა, გარკვეული მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით შეგნებულად განელონ დროში.<sup>32</sup> ამასთან, ზოგიერთი იურისტი, ანგარების ან იურისტთა სტანდარტული მსოფლმხედველობის გამო შესაძლებელია, შეეცადოს კლიენტის ყურადღების გადატანას დავის გადანყვეტის წინააღმდეგობრივ მეთოდზე.<sup>33</sup> იურისტს შეუძლია, მედიაცია აქციოს დაპირისპირებულ მდგომარეობად, რომელიც მოლაპარაკებას გადაიყვანს შეჯიბრებით და მწვავე კონფლიქტში.<sup>34</sup> აგრეთვე, ადვოკატებს შესაძლებელია, გაუჭირდეთ მედიაციის პროცესში წარმომადგენლის როლთან ადაპტაცია.<sup>35</sup>

ადვოკატის ჩართულობის ერთ-ერთ უარყოფით შედეგად აგრეთვე მიიჩნევა ის, რომ კლიენტი, პრობლემისათვის თვალის გასწორების ნაცვლად, შესაძლებელია, დამოკიდებული გახდეს ადვოკატზე. მოლაპარაკებას აწარმოებდეს მხოლოდ იურისტი, და არა მხარე.<sup>36</sup>

აგრეთვე, ადვოკატს შეუძლია, მედიაცია გამოიყენოს როგორც მონაწილემდეგე მხარის კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების საშუალება.<sup>37</sup>

ხსენებულ მიზეზთა გამო, ზოგიერთ შემთხვევაში მედიატორი შეგნებულად ცდილობს, შეამციროს ან გამორიცხოს იურისტთა მონაწილეობა პროცესში. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია გაყრის, ბავშვის მეურვეობის და სხვა ოჯახური დავების მედიაციის დროს.<sup>38</sup>

### **2.3. ადვოკატის მიერ მედიაციის საშუალებით დავის გადანყვეტის გონივრულობის შეფასება, როგორც აუცილებლობა, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით**

ზოგადად, კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს აქვთ საკითხის გადანყვეტის სამი შესაძლო ალტერნატივა: 1. დავისათვის თავის შეგნებულად არიდება, კონფლიქტის არსებობის იგნორირება; 2. თავდასხმითი რეაგირება, რაც მოიცავს სამართლებრივ დავას, ფიზიკურ ან სიტყვიერ კამათს, დაშინებას; 3. შემრიგებლური რეაგირება, რაც მოიაზრებს მოლაპარაკების წარმოებას, მედიაციას.<sup>39</sup>

ე.ი. მოლაპარაკების წარმოება ყოველთვის არ არის საუკეთესო არჩევანი. ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, საუკეთესო გადანყვეტა შესაძლებელია იყოს არა მორიგება, არამედ მათი დავის მესამე პირის (მოსამართლის ან არბიტრის) მიერ გადანყვეტა.<sup>40</sup>

ამ საკითხის გადასაწყვეტად – არის თუ არა მედიაცია კონკრეტულ შემთხვევაში დავის გადაჭრის შესაბამისი საშუალება, აუცილებელია ყოველი მოცემული მდგომარეობის მახასიათებლების გათვალისწინება.<sup>41</sup>

<sup>32</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადანყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 240, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [05.07.2013].

<sup>33</sup> *Coltri L. S.*, *Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach*, Second edition, University of Maryland, University College, 2010, 80.

<sup>34</sup> იქვე, 81.

<sup>35</sup> *Clark B.*, *Lawyers and mediation*, United Kingdom, 2012, 106.

<sup>36</sup> *Coltri L. S.*, *Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach*, Second edition, University of Maryland, University College, 2010, 80.

<sup>37</sup> იქვე, 81.

<sup>38</sup> *Ware S. J.*, *Principles of Alternative Dispute Resolution*, Second edition, Printed in the United States of America, 2003, 274.

<sup>39</sup> *Jernigan M., Lord R. B.*, *The Mediator's Role in the Family Business*, *American Journal of mediation*, Vol. 2, 2008, 53, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>40</sup> *Glick T.*, *Creative Mediation*, North Charleston, 2012, 99.

<sup>41</sup> *Hames D. S.*, *Negotiation Closing Deals, Settling disputes and Making Team Decisions*, Printed in the United States of America, 2012, 11.

შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, მედიაციის წარმატების ალბათობა მატულობს: მოდავე მხარეთა შორის უკვე არსებობს ურთიერთანამშრომლობის სხვა შემთხვევა; დავა არ გრძელდებოდა ხანგრძლივად; არსებობს მორიგების „იძულების“ გარე ფაქტორები, ზენოლა; დავა არის დაბალი ან საშუალო სიმწვავის;<sup>42</sup> მხარეებს აქვთ გაცნობიერებული საკუთარი მიზნები;<sup>43</sup> არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ კლიენტი მედიაციის საშუალებით მიიღებს უფრო ფასეულ შედეგებს, ვიდრე ეს მოხდება კონფლიქტის გაგრძელების შემთხვევაში; მხარეთათვის ძნელია ან შეუძლებელი პირდაპირი მოლაპარაკების<sup>44</sup> წარმოება.<sup>45</sup> მოლაპარაკება აგრეთვე მაშინაა მიზანშეწონილი, თუკი ორივე მხარეს სურს ერთმანეთისაგან რაიმეს მიღება.<sup>46</sup> ასევე გამართლებულია მაშინ, როდესაც: მხარეთა შორის არსებობს კომუნიკაციის პრობლემა; სახეზეა მათ კულტურათა შორის არსებითი სხვაობა; ამავე საქმეზე დავის გადაწყვეტის სხვა საშუალება აღმოჩნდა წარუმატებელი.<sup>47</sup>

საყურადღებოა, რომ მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტა არ არის შესაფერისი იმ კლიენტისათვის, რომლის ინტერესთა დაკმაყოფილებაც მხოლოდ სასამართლოსათვის მიმართვის გზითაა შესაძლებელი.<sup>48</sup> მედიაცია ვერ იქნება წარმატებული ვერც არათანასწორი მხარეების დავის შემთხვევაში.<sup>49</sup>

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ადვოკატს, კლიენტთან კონსულტაციების გავლის შემდგომ, ყოველი კონკრეტული საქმის სპეციფიკისა და დეტალების გათვალისწინებით, უნდა ჰქონდეს ამ საკითხის სწორად გადაწყვეტის უნარი.<sup>50</sup> გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადვოკატი უნდა მოქმედებდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>51</sup>

## 2.4. მედიაციის მიმართ ადვოკატის დამოკიდებულების შეფასების აუცილებლობა, როგორც მისი წარმომადგენლად დანიშვნის წინაპირობა

იურისტთა უმრავლესობას არც ესმის მედიაცია და არც აქვთ ამის სურვილი. როგორც მინიმუმ, არსებობს ამის სამი მიზეზი: იურისტთა მსოფლმხედველობა სამყაროს მიმართ, ეკონომიკური ფაქტორები და თანამედროვე სამართლის პრაქტიკის სტრუქტურა, მედიაციის სფეროში ტრენინგების სიმცირე.<sup>52</sup>

სტატისტიკურად არსებობს დაახლოებით 85%-იანი შანსი იმისა, რომ მედიაციის საშუალებით დავა მოგვარდება. ამის გათვალისწინებით, ადვოკატი აღნიშნულ ინსტიტუტს უნდა აღიქვამდეს როგორც დავის განხილვის საბოლოო ინსტანციას, და კლიენტიც შესაბამისად უნდა მოამზადოს.<sup>53</sup>

<sup>42</sup> *Domenici K., Littlejohn S.W.*, Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, 2<sup>nd</sup> ed., 2001, 41.

<sup>43</sup> იქვე, 42.

<sup>44</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი მახასიათებელი, რაც განასხვავებს მედიაციასა და პირდაპირ მოლაპარაკებებს, არის მედიატორის ჩართულობა.

<sup>45</sup> *Folberg G.*, Mediation The Roles of Advocate and Neutral, Second edition, Printed in the United States of America, 2011, 242.

<sup>46</sup> *Hames D. S.*, Negotiation, Closing Deals, Settling Disputes, and Making Team Decisions, Printed in the United States of America, 2012, 11.

<sup>47</sup> *Folberg J., Rosenberg J., Barrett R.*, Use of ADR in California Courts: Findings & Proposals, University of San Francisco Law Review, Vol 26, 1992, 410.

<sup>48</sup> *Ware S.J.*, Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, 2003, 311.

<sup>49</sup> *Leviton S. C., Greenstone J. L.*, Elements of Mediation, Printed in the United States of America. 2004, 38.

<sup>50</sup> *Berman L.J.*, Mediations's Evolution in Social: Where it has been and where it is going, Published in Advocate Magazine, 2012, 2, <<http://www.mediationtools.com/articles/EvolutionMediationSoCal.html>>.

<sup>51</sup> *Garner B.*, (Editor), Black's Law Dictionary, 2<sup>nd</sup> ed., Thomson West, 2004, 1315.

<sup>52</sup> *Riskin L.L.*, Mediation and Lawyers, Ohio State Law Journal, Vol. 43:29, 1982,43, <<http://Heilonline.org>>.

<sup>53</sup> *Mann V. J.*, The Mediation Paradox: Collaborative Combat, 2011, 10, <<http://www.jamsadr.com/files/Uploads/Documents/Articles/Mann-Mediation-Paradox-2011.pdf>>.



ABA Model Rules of Professional Conduct-ის 1.1 მუხლი ადგენს, რომ ადვოკატი უნდა ფლობდეს შესაბამის „უნარებს“ იმისათვის, რათა გახდეს წარმომადგენელი მედიაციის პროცესში. აქვე ისმის კითხვა: რა მოიაზრება „უნარების“ ცნებაში? განმარტება არის შემდეგი: იმისათვის, რათა ადვოკატმა ჯეროვნად განახორციელოს საკუთარი წარმომადგენლობითი ხასიათის უფლებამოსილება მედიაციის პროცესში, საკმარისი არ არის მხოლოდ სამართლის ცოდნა, პრაქტიკა, და ის ჩვევები, რაც დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებების გამოყენებისას არის საჭირო; არც ისაა საკმარისი, რომ დავის გადაწყვეტა შინაარსობრივად გადაწყვეტადი იყოს მედიაციის საშუალებით.

ადვოკატი ვალდებულია, იცნობდეს მედიაციის სპეციფიკას, აცნობიერებდეს მისი გამოყენების თანმდევ შესაძლო დადებით თუ უარყოფით შედეგებს; ჰქონდეს პიროვნული თუ პროფესიული მახასიათებლები, რაც მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის წინაპირობად მიიჩნევა; თავად იყოს მედიაციის პროცესის მიმართ ნდობით განწყობილი.

ე.ი. ადვოკატებს, მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის შემთხვევაში, გარდა მათ მიმართ ზოგადად დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა დაეკისროთ დამატებითი ვალდებულება, რაც გამოიხატება მათი პიროვნული დამოკიდებულების შეფასებით მედიაციის მიმართ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა ახალ თაობას ბოლო დროს მეტი ცოდნა აქვს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის შესახებ.<sup>54</sup> კვლევების თანახმად, ისინი მედიაციას იმიტომ ირჩევენ, რომ სჯერათ ამ ინსტიტუტისა და ამას არ აკეთებენ ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით.<sup>55</sup> სწორედ ასეთი უნდა იყოს ადვოკატის პიროვნული დამოკიდებულება მედიაციის პროცესისადმი, რათა შეითავსოს და ჯეროვნად განახორციელოს ამ პროცესში წარმომადგენლის ფუნქცია.

### 3. მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის ინიცირება ადვოკატის მიერ

ზოგადად, მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის ინიცირება შესაძლებელია შემდეგი საშუალებებით:

1. მხარეთა მოთხოვნით.
2. ადვოკატის (წარმომადგენლის) ინიციატივით.
3. სხვა, იმ პირთა ინიციატივით, რომელთაც მხარეებთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.
4. სასამართლოს რეკომენდაციით.
5. კონტრაქტში გათვალისწინებული პირობით.<sup>56</sup>

ე.ი., შესაძლებელია, კლიენტები თავად ფლობდნენ ინფორმაციას დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების შესახებ, ზოგიერთ სახელმწიფოში კი სასამართლო ერევა ამ საკითხში,<sup>57</sup> თუმცა ნაშრომში განსახილველი თემატიკის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ინტერესის საგანია ადვოკატის მიერ მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის ინიცირება. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, სწორედ ადვოკატი არის შესაბამისი ფიგურა, რომელიც უნდა დაეხმაროს კლიენტს დავის გადაწყვეტის მეთოდების არჩევასა და შეფასებაში; თუ აღნიშნულ ფუნქციას სხვა პირი შეითავსებს, ეს შესაძლებელია ჩაითვალოს ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში ჩარევად.<sup>58</sup> უდავოა, რომ სამართლებრივი კონსულტაციის განევისას ადვოკატებს ეძლევათ საშუალება, მხარეს შესთავაზონ

<sup>54</sup> Love L.P., Galton E., Stories Mediators Tell: The Editors' Reflections, Cardozo Law Review, Vol. 34, 2013, 2412, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2351004](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2351004)>.

<sup>55</sup> Clark B., Lawyers and mediation, United Kingdom, 2012, 81.

<sup>56</sup> Leviton S. C., Greenstone J. L., Elements of Mediation, Printed in the United States of America. 2004, 10.

<sup>57</sup> Kovach K. K., Mediation Principles and Practice, Third edition, Printed in the United States of America, 2004, 128.

<sup>58</sup> Folberg J., Rosenberg J., Barrett R., Use of ADR in California Courts: Findings & Proposals, University of San Francisco law review, Vol. 26, 1992, 382.

მისი გადაჭრის რამდენიმე ალტერნატივა;<sup>59</sup> თუკი ადვოკატი მიიჩნევს, რომ სასამართლო წესით დავა ნებისმიერ შემთხვევაში არის ერთადერთი არჩევანი, მისი მხრიდან ასეთი დამოკიდებულება შეფასდება როგორც დაუდევრობა, უყურადღებობა.<sup>60</sup>

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართულობასთან მიმართებით არსებობს ე.წ. *Two-track Representation* მიდგომა. ეს მოიაზრებს იმას, რომ ადვოკატებს შეუძლიათ, პარალელურ რეჟიმში განახორციელონ შემდეგი ქმედებები: წარმოადგინონ კლიენტი დავის პროცესში და ამავდროულად აწარმოონ მოლაპარაკება მისი სახელით. ერთი ადვოკატი შეითავსებს ერთ, ხოლო მეორე მეორე ფუნქციას.<sup>61</sup>

მნიშვნელოვანია შეთავაზების შესაბამისი ფორმის ჩამოყალიბება: მხარეთათვის მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის შეთავაზებისას ადვოკატმა უნდა წარმოაჩინოს და ხაზი გაუსვას იმას, რომ ამ გზით მხარეები მოახერხებენ იმის მიღებას, რისი სურვილიც აქვთ დარის საჭიროებასაც განიცდიან. ინიცირებისას აუცილებელი არ არის მედიაციის ინსტიტუტის შესახებ ზოგადი საუბარი.<sup>62</sup>

### 3.1. კლიენტთან შეთანხმება მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის შესახებ

იმ მოთხოვნის არსებობა, რომლის თანახმადაც იურისტები ვალდებული არიან, ურჩიონ კლიენტს მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტა, არის იმის გარანტი, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებთან მიმართებით ამაღლება მოსახლეობის ცნობიერება, გაიზრდება ამ ინსტიტუტის გამოყენების სიხშირე. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა მიმართ დადგენილი ამ ვალდებულების არსებობა დავის საგანია და საკითხისადმი არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა, ამ ვალდებულებას ითვალისწინებს *ABA Model Rule of Professional Conduct*-ის 1.4. მუხლი.<sup>63</sup>

საყურადღებოა ამ თვალსაზრისით აშშ-ში არსებული პრაქტიკა: ამერიკელ კლიენტთა უმრავლესობა დავის დაწყებამდე კონსულტაციას იღებს ადვოკატისაგან. იურისტებს შეუძლიათ, მათ გაუნიონ დახმარება მოლაპარაკებასა და დავას შორის არჩევანის გაკეთებაში. შტატების უმრავლესობა ავალდებულებს ადვოკატებს, რომ უზრუნველყოს კლიენტი ინფორმაციით დავის გადაჭრის ალტერნატიული საშუალებების შესახებ,<sup>64</sup> მათ შორის ერთ-ერთია მინესოტა.<sup>65</sup> ჯორჯიის შტატში კი მოქმედებს მოთხოვნა, რომლის თანახმად, ადვოკატთა გაერთიანების ყველა წევრს უნდა ჰქონდეს განათლება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის კუთხით.<sup>66</sup> ზოგადად, კანონმდებლობების რაოდენობა, რომელიც ადვოკატს ავალდებულებს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენების შეთავაზებას, იზრდება.<sup>67</sup>

ბუნებრივია, რომ მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის შეთავაზება არ ხდება წინაპირობების გარეშე. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ადვოკატმა მხედველობაში უნდა მიიღოს მედიაციის გამოყენების ინიცირებისას. ესენია: კლიენტის მხრიდან მორიგების

<sup>59</sup> *Rosenbaum J. M.*, How Lawyers Benefit From Early Neutral Evaluation, 2013, 1, <<http://www.law360.com/articles/426737/how-lawyers-benefit-from-early-neutral-evaluation>>.

<sup>60</sup> *Ware S. J.*, Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, 2003, 13.

<sup>61</sup> *Kovach K.K.*, Mediation Principles and Practice, Third edition, Printed in the United States of America, 2004, 135.

<sup>62</sup> *Beer J. E., Packard C. C.*, The Mediator's Handbook, Printed in Canada, 4<sup>th</sup> ed., 2012, 19.

<sup>63</sup> *Kovach K. K.*, Mediation in a Nut Shell, Second edition, Thomson west, Printed in the United States of America, 2010, 121.

<sup>64</sup> *Nolan-Haley J.M.*, Alternative Dispute Resolution in a Nut Shell, Printed in the United States of America, Thomson West, 3<sup>rd</sup> ed., 2008, 112-113.

<sup>65</sup> *Kovach K.K.*, Mediation Principles and Practice, 3<sup>rd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 128.

<sup>66</sup> See Ga. R. ADR rule VIII (1999) ციტირებულია: *Kovach K.K.*, Mediation Principles and Practice, Third edition, Printed in the United States of America, 2004, 128.

<sup>67</sup> *Folberg G.*, Mediation The Roles of Advocate and Neutral, Second edition, Printed in the United States of America, 2011, 54.

სურვილი; მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ბუნება; კლიენტის ფინანსური მდგომარეობა; დროის ფაქტორი; მხარეთა პოზიციები.<sup>68</sup>

ამას გარდა, შესაძლებელია, შეთავაზების ინიცირებისას ადვოკატს ჰქონდეს პროფესიული ვალდებულება, მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეებით ხასიათდება მედიაცია ან დავის გადაწყვეტის სხვა პროცესი.<sup>69</sup> საუკეთესო მიდგომაა საუბრის მედიაციის დადებითი მხარეების აღნიშვნით დაწყება.<sup>70</sup> ეს იქნება იმის გარანტი, რომ კლიენტი, როგორც მინიმუმ, ყურადღებით მოეკიდება შეთავაზებას, დაინახავს, რომ პროცესის არსი მიმართულია მისი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ.

მედიაციის დადებითი მხარეების გაცნობის შემდეგ სასურველია პროცესის მიმდინარეობის ახსნა.<sup>71</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ დავის გადაჭრის შეთავაზება არასოდეს არ არის გვიან, თუნდაც სასამართლო დავის მიმდინარეობის პერიოდში, ან პროცესის წინა დღეს.<sup>72</sup>

### 3.2. ოპონენტთან შეთანხმება მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის შესახებ

ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი მხარის მცდელობა, აწარმოოს მოლაპარაკება, შესაძლებელია, დასრულდეს უშედეგოდ, თუკი მოწინააღმდეგე მხარე არ არის ამით დაინტერესებული, ვერ ხედავს აზრს მოლაპარაკებაში.<sup>73</sup> ორივე მხარის მხრიდან ნების გამოვლენა კი არის მედიაციის წარმატებით დასრულების საწინდარი.<sup>74</sup>

ამის მიუხედავად, როგორც წესი, ადვოკატებს არ აქვთ იმის სურვილი, რომ ოპონენტის ადვოკატს შესთავაზონ მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტა. იმის კითხვა: თუკი მხარეს აქვს ძლიერი პოზიცია, რატომ უნდა სურდეს სასამართლო განხილვის თავიდან აცილება?<sup>75</sup> რეალურად, მოწინააღმდეგე მხარისათვის მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის შეთავაზება არ ნიშნავს სისუსტის გამოვლენას. შესაძლებელია, ეს ქმედება ამგვარად აღიქმებოდა ჯერ კიდევ 10 წლის წინ, თუმცა ამჟამად ასე არ არის.<sup>76</sup> ესე იგი, აუცილებელია, ადვოკატებმა გააცნობიერონ, რომ მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტა არ ნიშნავს საკუთარი პოზიციის სისუსტის დადასტურებას. ამის გაცნობიერება თავისთავად გახდება ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის წინაპირობა.

იმის მისაღწევად, რომ მხარე დასთანხმდეს მოლაპარაკების პროცესის დაწყებას, არსებობს შემდეგი გზები: დადგინდეს მისი საჭიროებები; განისაზღვროს მოლაპარაკების არარსებობის შედეგები; მნიშვნელოვანია მხარისათვის მხარდაჭერის შეპირება.<sup>77</sup> თავდაპირველად ადვოკატი უნდა შეეცადოს ოპონენტის რეალური საჭიროებებისა და ინტერესების გაგებას. მისი პოზიციის გაგება არ წარმოადგენს მასზე თანხმობას. თუმცა ეს გააადვილებს საკუთარი

<sup>68</sup> *Nolan-Haley J. M.*, *Alternative Dispute Resolution in a Nut Shell*, Printed in the United States of America, Thomson West, 3<sup>rd</sup> ed., 2008, 112-113.

<sup>69</sup> *Abramson H. I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 129.

<sup>70</sup> *Murray O.R.*, *The Mediation Handbook: Effective Strategies For Litigators*, Revised ed., Bradford publishing company, Colorado, 2010, 44.

<sup>71</sup> იქვე, 46.

<sup>72</sup> *Berman L. J.*, *The Funnel of Conflict Resolution-Part one: The Stages of Conflict and Opportunities for Resolution*, Published by Mediate.Com, 2011, 2, <<http://www.mediate.com/articles/bermanfunnel.cfm>>.

<sup>73</sup> *Luecke R.*, *Harvard Business Essentials Your Mentor and Guide to Doing Business Effectively Negotiation*, Printed in the United States of America, 2003, 46.

<sup>74</sup> *Pel M.*, *Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal*, The Hague, 2008, 71.

<sup>75</sup> *Abramson H. I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 156.

<sup>76</sup> *Berman L. J.*, *Mediation's Evolution in Social: Where it Has Been and Where It Is Going*, Published in Advocate Magazine, 2012, 2, <<http://www.mediationtools.com/articles/EvolutionMediationSoCal.html>>.

<sup>77</sup> *Luecke R.*, *Harvard Business Essentials Your Mentor and Guide to Doing Business Effectively Negotiation*, Printed in the United States of America, 2003, 47.

პოზიციისათვის გადახედვას.<sup>78</sup> ამ ინფორმაციის ცოდნა გაამარტივებს ისეთი წინადადებების შეთავაზებას, რომლებიც ორივე მოდავე მხარისათვის იქნებოდა მოგებიანი.<sup>79</sup> შესაბამისად, დგინდება, რომ ოპონენტი მხარის ინტერესების გარკვევა აუცილებელია: აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ადვოკატს ეძლევა შესაძლებლობა, მისთვის მისაღები ფორმით მოახდინოს მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის ინიცირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინება აუცილებელია მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე, მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტის ოპონენტი მხარისათვის შეთავაზებისას.

#### **4. ადვოკატის მიერ, კლიენტის მოტივისა და საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საკუთარი მოქმედების სტრატეგიის/ტაქტიკის განსაზღვრა**

იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის გამოყენებით დავის გადაჭრისას ადვოკატი იმოქმედებს დავის გადაჭრის სხვა საშუალებების გამოყენების შემთხვევაში მიღებული მიდგომით, პროცესი იქნება უშედეგო.

„როდესაც მედიაცია არის შესაბამისი გზა, ზოგადი მიდგომები არ არის მისაღები. პრობლემა ის, რომ, იურისტების აზრით, ასეთი მიდგომები მართებულია ნებისმიერ შემთხვევაში, სადაც ისინი მონაწილეობენ როგორც იურისტები“.<sup>80</sup> იურიდიული პრაქტიკა გაჯერებულია შეჯიბრებითობის ელემენტებით, დაწყებული კლიენტების მოპოვებით და შენარჩუნებით, დამთავრებული თავად შეჯიბრებითობის პროცესით. სტუდენტები ამის შესწავლას თავიდანვე იწყებენ სამართლის სკოლაში.<sup>81</sup>

ის ქმედებები, რომელთაც ადვოკატი ახორციელებს დავის წარმოების დროს, არ არის მისაღები კონფლიქტისათვის ოპტიმალური გადაჭრის გზის ძიებისას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა გზა, რომელიც დავისას გამოიყენება, არასაჭიროა, თუმცა მათ შორის ბევრი მართლაც შესაძლოა იყოს ასეთი.<sup>82</sup> უამრავი პრაქტიკოსი იურისტის აზრით, ადვოკატებმა უნდა ისწავლონ განსხვავებული სტრატეგიები და ტაქტიკა მედიაციის პროცესში გამოსაყენებლად, თუმცა ეს ჯერ კიდევ პრობლემატური საკითხია. ბევრ პრაქტიკოსს იურისტს არ უჩნდება ინტერესი, შეისწავლოს ადვოკატის პრაქტიკის ახალი და ინოვაციური მიდგომები, სანამ არ ექნება საკმარისი მოტივაცია, შეგრძნება, რომ არსებობს ამის მოთხოვნა და შემოსავალი იზრდება. მეტიც, ადვოკატთა საზოგადოება ხშირად ენერგიულად ეწინააღმდეგება ყოველგვარ ცვლილებას.<sup>83</sup>

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ადგენს კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს. კერძოდ, დადგენილია, რომ: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა, თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და პროფესიული ეთიკის კოდექსს“.<sup>84</sup> ეს იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ ადვოკატებს აქვთ ვალდებულება, საკუთარი სტრატეგია კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განსაზღვრონ. შესაბამისად, დგინდება, რომ აუცილებელია, ადვოკატმა განსაზღვროს საკუთარი სამოქმედო ტაქტიკა/სტრატეგია, მისი განსაზღვრისას კი უნდა გაითვალისწინოს კლიენტის მიერ დავის წამოწყების რეალური ინტერესი და მიზანი, რომლის მიღწევასაც იგი ცდილობს.

<sup>78</sup> *Jacobs-May J.*, The Psychology of Mediation, Edition of “The recorder” 2011, 1, <<http://www.jamsadr.com/files/Uploads/Documents/Articles/Jacobs-May-Recorder-04-04-11.pdf>>.

<sup>79</sup> *Craver C. B.*, Effective Legal Negotiation and Settlement, Sixth edition, 2009, 52.

<sup>80</sup> *Riskin L.L.*, Mediation and Lawyers, Ohio State Law Journal, Vol. 43:29, 1982, 45, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>81</sup> *Kovach K.K.*, Lawyer Ethics in Mediation: Time for a Requirement of Good Faith, Alternative Dispute Resolution Yearbook, Tbilisi University Press, 148, <[http://www.library.court.ge/upload/lib\\_ADR.pdf](http://www.library.court.ge/upload/lib_ADR.pdf)>.

<sup>82</sup> *Murray O. R.*, The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators, Revised ed., Bradford Publishing Company, Colorado, 2010, 41.

<sup>83</sup> *Kovach K.K.*, Lawyer Ethics in Mediation: Time For a Requirement of Good Faith, Alternative Dispute Resolution Yearbook, Tbilisi State University Press, 147, <[http://www.library.court.ge/upload/lib\\_ADR.pdf](http://www.library.court.ge/upload/lib_ADR.pdf)>.

<sup>84</sup> საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსი, მე-5 მუხლი.

კლიენტის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ პიროვნების პოზიციებსა და ინტერესებს შორის არსებული განსხვავება გადამწყვეტია.<sup>85</sup> სწორედ კლიენტის ინტერესი<sup>86</sup> უნდა იყოს ადვოკატის ქმედებების განმსაზღვრელი ფაქტორი.

ამის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი გამოსავალი იქნება ერთიანი სპეციალიზებული ეთიკური კოდექსის შემუშავება მათთვის, ვინც წარმოადგენს კლიენტებს მედიაციაში. შესაძლებელია, ალტერნატივად აგრეთვე მოიაზრებოდეს კომენტარების დამატება არსებულ კანონებში.<sup>87</sup>

ინტერესებთან მიმართებით საუბრისას აღსანიშნავია ისიც, რომ მოგვიანებით, პროცესის მიმდინარეობისას, მედიატორიც შეეცდება მათ დადგენას.<sup>88</sup> ამ გზით მედიატორს ექნება შესაძლებლობა, გაზარდოს მორიგების შესაძლო ალტერნატივათა რაოდენობა.<sup>89</sup> ადვოკატის მიერ მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე ამ საკითხის სრული ნათელყოფა შემდგომში კლიენტს გაუმარტივებს მედიატორის შესაბამის კითხვებზე პასუხს.

#### 4.1. კლიენტის გამოკითხვა დავის წამოწყების რეალური მოტივისა და მისი ინტერესების თაობაზე

მანამ, სანამ პრობლემა გადაიჭრება, აუცილებელია დადგინდეს, თუ რა სახისაა იგი. თუმცა პრაქტიკა ნათელყოფს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადვოკატები მხედველობაში არ იღებენ კლიენტთა რეალურ ინტერესებს.<sup>90</sup> კლიენტებიც, თავის მხრივ, ხშირად არ ავლენენ მისწრაფებებს, როდესაც მათ, უბრალოდ, გამოკითხავენ ამის შესახებ.<sup>91</sup> ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ, რეალურად, სწორედ ინტერესები არის იმის მაჩვენებელი, თუ რა მიმართულებითაა საჭირო მუშაობა.<sup>92</sup>

ადვოკატს მოეთხოვება, რომ იყოს კარგი მსმენელი.<sup>93</sup> მან უნდა ჰკითხოს კლიენტს, თუ რა არის მისთვის მნიშვნელოვანი და რატომ? ეს შეკითხვა იძლევა საშუალებას, განსაზღვროს მორიგების სხვადასხვა ვარიანტი.<sup>94</sup> მხარეთა „პოზიციები“, როგორც წესი, არის ურთიერთგამომრიცხავი, შეუთავსებადი, მაშინ, როდესაც „ინტერესები“ არის შეთავსებადი და ზოგ შემთხვევაში იდენტურიც კი.<sup>95</sup> ამის გაკეთება ასევე საჭიროა იმისათვის, რათა მომზადდეს მედიაციის გეგმა.<sup>96</sup>

თუმცა კლიენტის ინტერესთა ნათელყოფა შესაძლებელია იყოს უფრო რთული, ვიდრე ეს ადვოკატს ან თავად კლიენტს წარმოუდგენია. „ინტერესის“ ცნება არის განსაზღვრული და ითვლება, რომ ეს არის „ის, რაც მოტივაციას აძლევს ხალხს“, „რამაც განაპირობა საკითხის ამგვარად გადანყვეტა“. ხოლო „პოზიცია“ არის პირის გადანყვეტილების შედეგი.<sup>97</sup> სხვაგვარად

<sup>85</sup> Fisher R., Uri W., Getting to Yes Negotiating Agreement Without Giving, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 1991, 23.

<sup>86</sup> ხშირია შემთხვევა, როდესაც ადვოკატი არ ცდილობს კლიენტის ინტერესის გარკვევას. ორიენტირებულია მხოლოდ მეტი სარგებლის მიღებაზე, არ უშვებს, რომ კლიენტს შესაძლოა, სხვა სურვილი ამოძრავებდეს. გამომდინარე იქიდან, რომ მედიაციის პროცესი, ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, ხელს უწყობს მხარეთა შორის კომუნიკაციას, არსებობს მეტი ალბათობა, დადგინდეს მხარეთა რეალური ინტერესები.

<sup>87</sup> Kovach K.K., Lawyer Ethics in Mediation: Time for a Requirement of Good Faith, Alternative Dispute Resolution Yearbook, Tbilisi State University Press, 151, <[http://www.library.court.ge/upload/lib\\_ADR.pdf](http://www.library.court.ge/upload/lib_ADR.pdf)>.

<sup>88</sup> Kovach K.K., Mediation Principles and Practice, 3<sup>rd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 188.

<sup>89</sup> იქვე, 189.

<sup>90</sup> Glick T., Creative Mediation, North Charleston, 2012, 71.

<sup>91</sup> Craver C. B., Effective Legal Negotiation and Settlement, 6<sup>th</sup> ed., 2009, 46.

<sup>92</sup> Golann F., Lawyer Negotiation, Theory, Practice and Law, Printed in the United States of America, 2006, 107.

<sup>93</sup> Glick T., Creative Mediation, North Charleston, 2012, 61.

<sup>94</sup> Thorpe, R.W., Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol.2, 2008, 14, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>95</sup> Pel M., Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, 103.

<sup>96</sup> Murray O.R., The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators, Revised edition, Bradford Publishing company, Colorado, 2010, 42.

<sup>97</sup> Abramson H. I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 132.

რად რომ ითქვას, პოზიცია არის შედეგი, ხოლო ინტერესი არის მოტივატორი, რაც განსაზღვრავს პოზიციის გარკვეული ფორმით ჩამოყალიბებას.<sup>98</sup> ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია პოზიციის მიღწევა, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ინტერესის დაკმაყოფილება.<sup>99</sup> განსხვავდება ინტერესების ორი სახე: არსებითი, სუბსტანციური ინტერესები და პროცესუალური ინტერესები. მათ შორის განსხვავების დანახვა, ხშირად, ძნელად აღქმადია, ვინაიდან შესაძლებელია მათი დამთხვევა. თანხვედრა ხდება იმიტომ, რომ შესაბამისი პროცესის ჩატარების საშუალებით კლიენტის არსებითი ინტერესებიც კმაყოფილდება.<sup>100</sup> პროცესუალური ინტერესის ერთ-ერთი მაგალითია იმის შესაძლებლობა, რომ კლიენტმა თავად აკონტროლოს დავის შედეგი, დაამკვიდროს პრეცედენტი ან თავი აარიდოს უკვე გამოყენებულის გავლენას.<sup>101</sup>

ამგვარად, იმისათვის, რათა მოიძებნოს მორიგების ოპტიმალური გზები, საჭიროა ინფორმაციის მოძიება კლიენტის მიზნების, მოტივაციის, საჭიროებების შესახებ და არა მხოლოდ მათი მხრიდან განცდილი ზარალისა და კანონიერი უფლებების შესახებ.<sup>102</sup> მშრალი ფაქტების ცოდნა არ არის საკმარისი, მიუხედავად მათი შესაბამისობისა რეალობასთან.

ამ საკითხთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ მხარის ინტერესთა შორის შესაძლებელია იყოს, უბრალოდ, მოთხოვნილება, მოუსმინონ და გაუგონ, მიიღოს სამართლიანი მოპყრობა.<sup>103</sup> ადვოკატი უნდა იყოს მზად ისეთი ინტერესების მიღებისათვის, რომლებიც მისთვის უცხო ან უცნაური. უცხო ინტერესები შესაძლებელია, იყოს თავისებურად დამახასიათებელი უცხო კულტურისათვის. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი მიეკუთვნება განსხვავებულ კულტურას, ადვოკატმა მას მეტად ყურადღებით უნდა გამოჰკითხოს ამ საკითხის თაობაზე.<sup>104</sup> ადვოკატი უნდა მოერიდოს კლიენტისათვის საკუთარი აზრის თავს მოხვევას.

წარმომადგენელთა უმრავლესობა, ფორმალურად თუ არაფორმალურად, კლიენტის ინტერესებს სამ კატეგორიად ყოფს: 1. აუცილებელი, 2. მნიშვნელოვანი, 3. სასურველი. „აუცილებელი“ მოიცავს მისწრაფებებს, რომელთაც კლიენტი მიიღებს იმ შემთხვევაში, თუკი შეთანხმება წარმატებით შედგება. მნიშვნელოვანია ის, რისი მიღებაც კლიენტს სურს, თუმცა რომელზეც უარის თქმა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი „აუცილებელი“ მიზნები იქნებოდა მიღწეული. „სასურველი“ მოიცავს ისეთ პუნქტებს, რომელთა მიღწევაც კლიენტს უნდა, თუმცა დათმობდა უფრო მნიშვნელოვანი პირობის სანაცვლოდ.<sup>105</sup>

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კლიენტის ინტერესის განსაზღვრისას ადვოკატმა აუცილებლად უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები: დარწმუნდეს იმაში, რომ შემუშავებული მიზნების არსებობა არის გამართლებული და გამყარებული არგუმენტებით; სასურველია იმის წარმოდგენა, თუ რა შედეგების მომტანი იქნებოდა მათი რეალურად განხორციელება. ამასთან, ფსიქოლოგთა და მარკეტინგის სპეციალისტთა აზრით, სასურველია ინტერესების, მიზნების წერილობით ჩამოყალიბება.<sup>106</sup> ეს ხელს შეუწყობს პრაქტიკაში მათ რეალიზებას.

ყოველივე აღნიშნულის ანალიზის შემდგომ ადვოკატმა უნდა გამოჰკითხოს კლიენტს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს, მისი აზრით, მონიშნულმდეგე მხარის ინტერესი.<sup>107</sup> ე.ი., სა-

<sup>98</sup> Hames D. S., Negotiation Closing Deals, Settling Disputes, and Making Team Decisions, Printed in the United States of America, 2012, 31.

<sup>99</sup> Ury W., Getting Past No Negotiating your Way from Confrontation to Cooperation, Printed in the United States of America, 1991, 19.

<sup>100</sup> Abramson H. I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 136.

<sup>101</sup> იქვე, 135.

<sup>102</sup> Murray O. R., The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators, Revised ed., Bradford publishing company, Colorado, 2010, 41.

<sup>103</sup> Epstein J., Hobbs K. S., Individualized Mediation Design, 2007, 3, <<http://crs-adr.com/articles/EpsteinHobbs.pdf>>.

<sup>104</sup> Abramson H. I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 133.

<sup>105</sup> Craver C. B., Effective legal Negotiation and settlement, sixth edition, 2009, 47.

<sup>106</sup> Golann F., Lawyer Negotiation, Theory, practice and law, Printed in the United States of America, 2006, 109.

<sup>107</sup> Abramson H. I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 312.

მოქმედო სტრატეგიის/ტაქტიკის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, თუმცა მანამდე სასურველია დადგინდეს სანინააღმდეგო მხარის ინტერესები, საჭიროებები და მოტივაცია.<sup>108</sup> თუკი იქნება ამის შესაძლებლობა, აქვე უნდა განისაზღვროს იმ ინტერესთა ნუსხა, რომლებიც ორივე მხარისათვის საერთოა.<sup>109</sup> ე.ი., ორივე მხარის ინტერესების დადგენის მიზანია ისეთი შესაძლო პირობების განსაზღვრა, რაც ორივე მათგანს დააკმაყოფილებდა.<sup>110</sup>

ამ პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატმა უნდა დასვას დაწვრილებითი შეკითხვები, გამოიყენოს მოსმენის ყურადღებიანი და აქტიური მეთოდი.<sup>111</sup> აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კლიენტის გამოკითხვა აუცილებელია არა მხოლოდ ერთხელ, არამედ პირველი გამოკითხვიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომაც. დროთა განმავლობაში შესაძლებელია გამოიკვეთოს ახალი ინფორმაცია. გამოკითხვის ტექნიკა, რომლითაც ადვოკატი ხელმძღვანელობს, უნდა იყოს ისეთივე, როგორც პირველი ინტერვიუს დროს.<sup>112</sup>

## 4.2. ადვოკატის მოქმედების სტრატეგიის/ტაქტიკის განსაზღვრა

მას შემდეგ, რაც დადგინდება, თუ რა განსაზღვრავს თითოეული მხარის ქმედებებს კონფლიქტში, ადვოკატს შეუძლია დაიწყოს მუშაობა პრობლემათა გადაჭრის გზებზე და თითოეული მხარის ინტერესთა დაკმაყოფილებაზე.<sup>113</sup> ამის წინაპირობაა მოლაპარაკება. ნებისმიერი მოლაპარაკების წარმოება კი მოითხოვს სტრატეგიას, ტაქტიკას.<sup>114</sup> მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ხსენებული ცნებები: „სტრატეგია“ არის გეგმა ან პროცესი, რომლის მეშვეობითაც მხარეები ცდილობენ, განახორციელონ საკუთარი მიზნები; ხოლო ტაქტიკა არის სპეციფიკური, მოკლევადიანი მოქმედებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სტრატეგია.<sup>115</sup>

მხარეთა და ადვოკატთა თანადროული ჩართულობა მედიაციაში შესაძლოა გახდეს დაძაბულობის მიზეზი. მედიატორები ღიზიანდებიან იმ შემთხვევაში, თუკი ადვოკატი იქცევა ისე, როგორც სასამართლოში, არ აძლევს კლიენტს საუბრის საშუალებას.<sup>116</sup> ასეთი ან მსგავსი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ადვოკატის სტრატეგია უნდა გამოიხატოს შემდეგში: მან უნდა მოამზადოს კლიენტი და საკუთარი თავი იმისათვის, რათა იმუშაოს მედიატორთან; აგრეთვე, თავი უნდა შეიკავოს ტრადიციული მიდგომებისაგან მედიაციაში წარმომადგენლობისას.

ზოგადად, მიიჩნევა, რომ არსებობს მოლაპარაკების ორი სტილი: მტკიცე და რბილი. ადამიანთა უმრავლესობა ვერ ხედავს სხვა არჩევანს, გარდა ამ ორისა.<sup>117</sup> თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი პირს არ მოსწონს ეს ორი უკიდურესი მიდგომა, წესების შეცვლა შესაძლებელია.<sup>118</sup> მას

<sup>108</sup> Murray O. R., The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators, Revised ed., Bradford Publishing Company, Colorado, 2010, 42.

<sup>109</sup> Kovach K. K., Mediation Principles and Practice, Printed in the United States of America, 2004, 153.

<sup>110</sup> Ury W., Getting Past No, Negotiating Your Way from Confrontation to Cooperation, Printed in the United States of America, 1991, 19.

<sup>111</sup> Abramson H. I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 131.

<sup>112</sup> იქვე, 311.

<sup>113</sup> Murray O. R., The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators, Revised ed., Bradford Publishing Company, Colorado, 2010, 43.

<sup>114</sup> Carbone M. P., Mediation Strategies: A Lawyer's Guide to Successful Negotiation, 2004, 1, <<http://www.mediate.com/articles/carbone7.cfm?nl=56>>.

<sup>115</sup> Hames D. S., Negotiation Closing Deals, Settling Disputes, and Making Team Decisions, Printed in the United States of America, 2012, 30.

<sup>116</sup> Thorpe R.W., Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol.2, 2008, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>117</sup> Fisher R., Ury W., Getting to Yes Negotiating Agreement Without Giving, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 1991, 9.

<sup>118</sup> იქვე, 10.

შეუძლია, შეარჩოს საშუალო, ნეიტრალური სტილი, რაც, როგორც წესი, კლიენტის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის საუკეთესოა.

სტრატეგიის განსაზღვრისას ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

1. განსხვავდეს პიროვნებები და პრობლემები ერთმანეთისაგან;
2. ყურადღება გამახვილდეს მხარეთა ინტერესებზე, და არა პოზიციებზე.
3. შემუშავდეს საკითხის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც იქნება ორივე მხარისათვის სასარგებლო.

4. საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენებოდეს ობიექტური კრიტერიუმები.<sup>119</sup>

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარის პრიორიტეტია საკუთარი მიზნების მიღწევა, შესაძლებელია შეჯიბრებითი სტრატეგიის გამოყენება; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სასურველია საერთო სარგებლის მიღება, უნდა გამოიყენებოდეს თანამშრომლობითი სტრატეგია.<sup>120</sup> ადვოკატმა აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს, რომ ულტიმატუმი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენოს, როდესაც ერთ ან ორივე მხარეს სურს მოლაპარაკების დასრულება.<sup>121</sup>

გასათვალისწინებელია, რომ სამოქმედო სტრატეგია/ტაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს მედიატორის ტიპს.<sup>122</sup> იგი უნდა მოიაზრებდეს, პროცესში კლიენტისა და ადვოკატის თანადროული მონაწილეობისას, თუ როგორ გაინაწილებენ ისინი შესავალ სიტყვას, სესიებში მონაწილეობას.<sup>123</sup>

ე.ი. განვითარებული ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ადვოკატმა, კლიენტის ინტერესთა განსაზღვრის შემდეგ, აუცილებელია, შეიმუშაოს სამოქმედო სტრატეგია. მისი შემუშავების დროს გასათვალისწინებელი გარემოებები ზემოთ ჩამოყალიბდა.

## 5. ადვოკატის მიერ საქმის მომზადება

მედიაციისათვის წარმატებული მოლაპარაკების საიდუმლო მარტივია: მომზადება, მომზადება და მომზადება. რაც უფრო რთულია მოლაპარაკების წარმოება, მით უფრო მეტად ინტენსიური უნდა იყოს ეს პროცესი. პრაქტიკაში, იმ შემთხვევაში, თუკი ამ პროცესზე ადამიანები დახარჯავდნენ მეტ დროს, ვიდრე უშუალოდ შეხვედრებზე, მოლაპარაკებები იქნებოდა ბევრად უფრო ეფექტური.<sup>124</sup> *The ABA Model Rules of Professional Conduct*-ის 1.1 მუხლი ადგენს, რომ წარმომადგენლობის აუცილებელი პირობაა „საფუძვლიანობა და მომზადება“, ეს მოთხოვნა მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე საქმის მომზადებისას ხდება საყურადღებო და, ფაქტობრივად, უმთავრესია. ამ ეტაპის დასრულებისას ადვოკატს უნდა ჰქონდეს განხორციელებული რიგი ქმედებებისა. ეს ყოველივე უნდა შესრულდეს სათანადო საფუძვლიანობით. საფუძვლიანობა და მომზადება მოიაზრებს სხვადასხვა სახის ქვემოთ განხილულ ფაქტორებს. სწორედ მათი განხორციელებისას არის გასათვალისწინებელი ეს ორი უმნიშვნელოვანესი სტანდარტი.

მომზადების მნიშვნელობას ადასტურებს შემდეგი ფაქტი: 2006 წელს *ABA*-ს მიერ ჩატარდა კვლევა. გამოიკვლიეს იმ სამოქალაქოსამართლებრივი დავების მიმდინარეობა, რომლებშიც მხარეები სარგებლობდნენ წარმომადგენლობით. მონაწილეებმა მოახდინეს მედიაციის ხა-

<sup>119</sup> Fisher R., Uri W., *Getting to Yes Negotiating Agreement Without Giving*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 1991, 13.

<sup>120</sup> Hames D. S., *Negotiation, Closing Deals, Settling Disputes, and Making Team Decisions*, Printed in the United States of America, 2012, 30.

<sup>121</sup> Sawicki S. C., *Mediation: The Dance and the Deal American Journal of Mediation*, Vol. 2, 2008, 34, ხელმისაწვდომია: Heinonline.org.

<sup>122</sup> Abramson H. I., *Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 194.

<sup>123</sup> იქვე, 194-195.

<sup>124</sup> Ury W., *Getting Past No, Negotiating your Way from Confrontation to Cooperation*, Printed in the United States of America, 1991, 16.



რისხის განმსაზღვრელი ოთხი ძირითადი ფაქტორის იდენტიფიცირება. დადგინდა, რომ მედიაციის პროცესის წარმატების განმსაზღვრელი ოთხი ფაქტორიდან<sup>125</sup> ერთ-ერთია მედიატორის, მხარეთა და ადვოკატთა მომზადების ხარისხი.<sup>126</sup> ე.ი., იმ შემთხვევაში, თუკი მომზადების ხარისხი არის მაღალი, მოლაპარაკება იქნება წარმატებული. მომზადების არარსებობის შემთხვევაში კი, სავარაუდოდ, იგი იქნება წარუმატებელი.<sup>127</sup> ეს გარემოება ცალსახად უდიდეს მნიშვნელობას სძენს მედიაციის მოსამზადებელ ეტაპს.

ამასთან, მედიაციის პროცესისთვის საქმის მომზადებისას ადვოკატმა უნდა მოამზადოს წერილობითი გეგმა.<sup>128</sup> ეს აუცილებელია, იმის მიუხედავად, მიიჩნევა თუ არა აღნიშნული ქმედება პრაქტიკულად.<sup>129</sup>

## 5.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა და სამართლებრივი შეფასება

*The ABA Model Rules of Professional Conduct*-ის 1.1 მუხლი ადგენს, რომ: ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს კლიენტი კომპეტენტური წარმომადგენლობით. კომპეტენტური წარმომადგენლობა კი ერთ-ერთ კომპონენტად მოიაზრებს „სამართლის ცოდნას“.<sup>130</sup> მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე ადვოკატმა უნდა შეაფასოს, რამდენად აქვს მას ცოდნა ამ საკითხში. იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის გაცნობიერებული, ეს თავიდანვე უნდა გახდეს პასუხისმგებლობის აღებაზე უარის თქმის საფუძველი. ცოდნა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზევე ადვოკატი საქმეს ამზადებს პროცესისათვის. ეს ითვალისწინებს ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა: საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა და მათი სამართლებრივი შეფასება; იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ შეისწავლის საქმის გარემოებებს და ვერ მოახდენს მათ სამართლებრივ შეფასებას, ეს ჩაითვლება ადვოკატის ვალდებულებების უხეშ დარღვევად.

ამავე აქტის თანახმად, განსაზღვრულია რომ: „ადვოკატმა უნდა აცნობოს კლიენტს, ჰქონია თუ არა მას პრაქტიკა სამართლის კონკრეტული მიმართულებით“.<sup>131</sup> ეს დათქმაც მსგავს მოთხოვნას აწესებს – ადვოკატს ჰქონდეს სათანადო პრაქტიკა, რათა უზრუნველყოს მედიაციის პროცესის წარმატება. პრაქტიკა ხომ უშუალოდ არის დაკავშირებული ცოდნასთან. როგორც ითქვა, მედიაცია საქართველოსათვის ახალი ინსტიტუტია და ადვოკატთა მხოლოდ მცირე ნაწილს თუ ექნება ამ პროცესში წარმომადგენლობის გამოცდილება. ამასთან, ცხადია, რომ კლიენტს უნდა ჰქონდეს უფლება, ჰყავდეს კვალიფიციური ადვოკატი, რომელიც აცნობიერებს მედიაციის არსს, შეძლებს საქმის სრულყოფილ მომზადებას.

ზემოაღნიშნული ნორმების მედიაციის მოსამზადებელ პროცესთან მიმართებით განხილვას მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისიც, რომ, ვინაიდან მედიაციის არსი თეორიულად არ ითვალისწინებს მოგება-ნაგებას, ბევრის აზრით, კანონმდებლობა ამ პროცესში არავითარ როლს არ ასრულებს, ან ასრულებს მხოლოდ მცირეს.<sup>132</sup> აღნიშნული კი არის მყარი არგუმენტი, რომელიც ადასტურებს ადვოკატის ვალდებულებას, ჰქონდეს ადეკვატური ცოდნა და გამოცდილება მედიაციის პროცესში წარმომადგენლობისათვის.

<sup>125</sup> მედიაციის წარმატების განმსაზღვრელ დანარჩენ ფაქტორებად დასახელდა: მედიაციის პროცესის კლიენტის მოთხოვნილებებზე მორგება; მედიატორის მხრიდან ანალიტიკური მხარდაჭერა; მედიატორის გამძლეობა, სიმტკიცე.

<sup>126</sup> *Thorpe R.W.*, Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, *American Journal of Mediation*, Vol.2, 2008, 2, <Heinonline.org>.

<sup>127</sup> *Hames D. S.*, Negotiation, Closing deals, Settling Disputes, and Making Team Decisions, Printed in the United States of America, 2012, 3.

<sup>128</sup> *Murray O. R.*, The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators, Revised ed., Bradford Publishing Company, Colorado, 2010, 58.

<sup>129</sup> *Abramson H. I.*, Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 195.

<sup>130</sup> The ABA Model Rules of Professional Conduct, 1.1 მუხლი.

<sup>131</sup> იქვე, 7.4 მუხლი.

<sup>132</sup> *Kovach K.K.*, Mediation in a Nut Shell, 2<sup>nd</sup> ed., Thomson West, Printed in the United States of America, 2010, 179.

ადვოკატმა უნდა შეისწავლოს არსებული კანონმდებლობა. მისი მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება, მეტი თავდაცვითი მექანიზმის აღმოჩენა.<sup>133</sup> საქმეში სრული გათვითცნობიერების შემდეგ მან კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ამ საკითხის (საქმის ძლიერი და სუსტი მხარეების) შესახებ.<sup>134</sup>

ე.ი., საბოლოოდ, დგინდება, რომ მოსამზადებელ ეტაპზე მხარეებმა უნდა განავითარონ სამართლებრივი თეორიები, რომლებიც უზრუნველყოფს საკუთარი პოზიციების განმტკიცებას. მათ უნდა განჭვრიტონ ის არგუმენტებიც, რომელთაც, სავარაუდოდ, დაეყრდნობა მონინაალმდევე მხარე.<sup>135</sup> ოპონენტის არგუმენტების განჭვრეტა ხომ თავისთავად არის მათი გაბათილების გამარტივების წინაპირობა.

## 5.2. მედიაციის პროცესისათვის მტკიცებულებათა მოპოვება

ერთ-ერთი ქმედება, რომელიც ადვოკატმა მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე უნდა განახორციელოს, არის ფაქტობრივი საკითხების გამოკვლევა, იმისათვის, რათა მოხდეს კლიენტის პოზიციის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა.<sup>136</sup> ზოგიერთ შემთხვევაში, პირის საჩივარი შესაძლებელია ეფუძნებოდეს მხოლოდ მის რწმენას ან ეჭვებს.<sup>137</sup> იმ შემთხვევაში, თუკი მედიაციის პროცესი წამოწყებულია სასამართლო ან სხვა სახის განხილვამდე, ადვოკატმა უნდა განიხილოს საქმესთან კავშირში მყოფი ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, დაკითხოს მნიშვნელოვანი მოწმეები.<sup>138</sup> გასათვალისწინებელია, რომ მტკიცებულებები, სქემები და მოწმეები შესაძლებელია, სასარგებლო იყოს მედიაციისათვის, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ლეგიტიმურს ხდიან დავის საგანს ან მხარის პოზიციას. მტკიცებულებები, რომლებიც მხოლოდ ერთ-ერთი მხარის სიმცდარეს ადასტურებენ, არ უნდა გამოიყენებოდეს.<sup>139</sup> ამ თვალსაზრისით, საჭიროა, ყურადღების გამახვილება დროის ფაქტორზეც: სასურველია, მხარემ ყველა საჭირო დოკუმენტის მოძიება და პროცესის სხვა მონაწილეთათვის (მედიატორისა და ოპონენტის ადვოკატისათვის) გადაცემა მედიაციის დაწყებამდე 30 დღით ადრე მოახერხოს.<sup>140</sup>

*The ABA Model Rules of Professional Conduct*-ის თანახმად, წარმომადგენლობის შემთხვევაში, ადვოკატმა შეგნებულად არ უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები: 1. წარადგინოს არასწორი ფაქტები ან კანონი; 2. წარადგინოს მტკიცებულება, რომელიც მისი წინასწარი ინფორმაციითვე არის არასწორი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკანონო მტკიცებულების წარდგენა იყო კლიენტის ან მოწმის აზრი, ადვოკატმა უნდა მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი ზომები.<sup>141</sup> ეს დათქმა მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე იძენს აქტუალობას, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ამ ეტაპზე ადვოკატი ახდენს საქმის სრულ მომზადებას, რაც მოიცავს მტკიცებულებების მოპოვებას, რომელთაც ან მედიაციის პროცესში გამოიყენებს, ან იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო განხილვა გარდაუვალი გახდება. შესაბამისად, ეს სწორედ ის ეტაპია, როდესაც ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული დათქმა.

<sup>133</sup> *Silverman P. R.*, *The Clients Guide to Mediation and Arbitration, The Strategy for Winning*, ABA Publishing, Chicago, Illinois, 2008, 47.

<sup>134</sup> *Abramson H. I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 313.

<sup>135</sup> *Craver C. B.*, *Effective Legal Negotiation and Settlement*, 6<sup>th</sup> ed., 2009, 50.

<sup>136</sup> *Silverman P. R.*, *The Clients Guide to Mediation and Arbitration, The Strategy for Winning*, ABA publishing, Chicago, Illinois, 2008, 45.

<sup>137</sup> *Walsh M. C.*, *Whether and When to Mediate Employment Disputes*, 2013, 1, <<http://www.insidecounsel.com/2013/05/27/labor-whether-and-when-to-mediate-employment-dispu>>.

<sup>138</sup> *Silverman P. R.*, *The Clients Guide to Mediation and Arbitration, The Strategy for Winning*, ABA publishing, Chicago, Illinois, 2008, 45.

<sup>139</sup> *Murray O. R.*, *The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators*, Revised edition, Bradford Publishing Company, Colorado, 2010, 59.

<sup>140</sup> *Epstein J.*, *Data Dumping and Other Problems in Mediation*, Colorado Trial Lawyers Association, 2013, 1, <[http://www.crs-adr.com/articles/Data\\_Dumping.pdf](http://www.crs-adr.com/articles/Data_Dumping.pdf)>.

<sup>141</sup> ABA Model Rules of Professional Conduct, 3.3 მუხლი.

აქვე მნიშვნელოვანია იმ ტენდენციის აღნიშვნა, რაც პრაქტიკაში იკვეთება: იურისტმა შესაძლებელია, იცოდეს, რომ კონკრეტული მტკიცებულების წარმოდგენა შეასუსტებდა ოპონენტის პოზიციას, თუმცა მედიაციის პროცესში გამოყენების ნაცვლად იგი მას ინახავს სასამართლო განხილვის შემთხვევისათვის.<sup>142</sup>

### 5.3. მედიატორის შერჩევა და მასთან ურთიერთობის მეთოდის შემუშავება

ადვოკატთა (წარმომადგენელთა) უმრავლესობა ხშირად ვერ იღებს მედიაციის პროცესისაგან იმ მაქსიმუმს, რისი შეთავაზებაც მედიატორს შეუძლია, და რისთვისაც კლიენტი იხდის.<sup>143</sup> მედიაცია რომ ნაყოფიერი აღმოჩნდეს, აუცილებელია შესაბამისი მედიატორის შერჩევა – მედიაციის პროცესის წარმატება თუ წარუმატებლობა ხშირად სწორედ ამ ფაქტორზეა დამოკიდებული.<sup>144</sup> მხარეთა წარმომადგენელთათვის ხშირად ძნელია გარკვეული უხილავი ბარიერების შემჩნევა და დაძლევა. კვალიფიციურ მედიატორს კი შეუძლია ამის მიღწევა.<sup>145</sup> თუმცა ყველას არ აქვს ისეთი საქმის წარმართვის უნარი, სადაც ურთიერთობები დაძაბულია.<sup>146</sup> შესაბამისად, მოქმედებს წესი, რომლის თანახმადაც, ნებაყოფლობითი მედიაცია არ შედგება ადვოკატისა და კლიენტის თანხმობის გარეშე, იმის თაობაზე, რომ კონკრეტული პირი იყოს მედიატორი.<sup>147</sup>

რა ქმნის კარგ მედიატორს? ამ კითხვაზე იმდენი პასუხია შესაძლებელი, რამდენიც მედიატორი.<sup>148</sup> და მაინც, არსებობს გარკვეული კრიტერიუმები. გასათვალისწინებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავდაპირველად, უნდა გადაწყდეს, თუ როგორი სტილის მედიატორის არჩევა სურთ მხარეებს, „შეფასებითი“ თუ „ხელის შემწყობი“, ექნება მას მკაცრი თუ რბილი მიდგომა.<sup>149</sup> ასევე უდავოა, რომ ადვოკატმა უნდა მოიძიოს ინფორმაცია მედიატორის ცოდნისა და კვალიფიკაციის შესახებ. არის თუ არა იგი ექსპერტი განსახილველ საკითხთან მიმართებით, დაიცავს თუ არა ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა კონფიდენციალობა, და სხვ.<sup>150</sup>

ადვოკატს პროფესიონალი მედიატორის პროცესში მონაწილეობა შეუძლია სასიკეთოდ გამოიყენოს. მაგალითად, ამის გაკეთება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: თუკი ადვოკატს სურს რაიმე საკითხის განხილვა და, ამავდროულად, არ სურს ამ საკითხის თავად წამოჭრა; თუკი კონკრეტული საკითხის განხილვა გამოინვევდა კლიენტის უარყოფით რეაქციას, შესაძლებელია მედიატორისათვის თხოვნა, რომ ეს დისკუსია შეწყდეს.<sup>151</sup>

მედიატორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გარკვეული უნარები იმისათვის, რომ წარმართოს მედიაციის პროცესი. კონკრეტული საქმის ფაქტების ცოდნა არის მეორეხარისხოვანი.<sup>152</sup> მათი შეჯერებისას დგინდება, რომ მედიატორის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: 1. მისი ტრენინგები და კვალიფიკაცია, მათ შორის სერტიფიცირების არსებობა; 2. კონკრეტულ სპეციფიკურ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება; 3. მედიაციის სტილი,

<sup>142</sup> Roth B. J., *Litigation Tactics in Mediation: Are They Ethical?* 2005, 3, <<http://rothadr.com/pages/publications/ethics%20reprint.pdf>>.

<sup>143</sup> Berman L.J., *12 Ways to Make Mediator Work Hard*, Published in *Advocate Magazine*, 2009. 1., <<http://www.mediationtools.com/articles/12ways.html>>.

<sup>144</sup> Carbone M. P., *Mediation Strategies: A Lawyer's Guide To Successful Negotiation*, 2004, 1, <<http://www.mediate.com/articles/carbone7.cfm?nl=56>>.

<sup>145</sup> Picker B. C., *Navigating Relationships: The Invisible Barriers to Resolution*, *American Journal of Mediation*, Vol. 2, 2008, 46, <[Heinonline.com](http://Heinonline.com)>.

<sup>146</sup> Abramson H. I., *Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture*, Second edition, Printed in the United States of America, 2010, 231.

<sup>147</sup> Ware S. J., *Principles of Alternative Dispute Resolution*, Second edition, Printed in the United States of America, 2003, 313.

<sup>148</sup> Smith A.L., Smock D.R., *Managing a Mediation Process*, Printed in the United States of America, 2008, 22.

<sup>149</sup> Silverman P. R., *The Clients Guide to Mediation and Arbitration, The Strategy for Winning*, ABA publishing, Chicago, Illinois, 2008, 44.

<sup>150</sup> Ware S. J., *Principles of Alternative Dispute Resolution*, Second edition, Printed in the United States of America, 2003, 313.

<sup>151</sup> Folberg G., *Mediation The Roles of Advocate and Neutral*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2011, 271.

<sup>152</sup> Glick T., *Creative Mediation*, North Charleston, 2012, 107.

რომელსაც იგი იყენებს; 4. გადასახადის ოდენობა, რომელსაც იგი მოითხოვს; 5. გამოსადეგობა; 6. კულტურა, ენაში განაფულობა.<sup>153</sup> მედიაციის პროცესისათვის აგრეთვე დადებითი შედეგების მომტანია, თუკი მედიატორი ერკვევა დავის „ბუნებაში“.<sup>154</sup>

მედიატორის შერჩევისას, აგრეთვე, გასათვალისწინებელია, თუ რამდენად აქვს განვითარებული მას შემდეგი უნარები: სიტუაციებისა და ალტერნატივების ანალიზის უნარი; ადამიანების დარწმუნების უნარი, აქტიური მოსმენის უნარი; ღია შეკითხვების დასმის საფუძველზე ინფორმაციის შეგროვების უნარი; ეფექტური მხარდაჭერის უნარი; უნარი იმისა, რომ შეეძლოს საკითხების წამოჭრა მედიდური ტონის გამოყენების გარეშე; შეეძლოს მორიგების სხვადასხვა სახის ვარიანტების განსაზღვრა; ჰქონდეს თანადროულად რამდენიმე სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების უნარი.<sup>155</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ ეფექტური კომუნიკაციის უნარი მედიატორის ფუნქციების წარმატებით განხორციელების საწინდარია. მისი გამოყენებით მედიატორი შეძლებს, ჩასწვდეს დავის არსს და, იმავდროულად, მხარეთა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას შეუწყოს ხელი.<sup>156</sup> ასევე, უნდა ჰქონდეს უნარი, განასხვავოს მხარეთა პოზიციები და ინტერესები ერთმანეთისაგან.<sup>157</sup> გამოცდილ მედიატორებს გავლილი აქვთ არაერთი მოსამზადებელი კურსი მოლაპარაკების სტრატეგიაში.<sup>158</sup>

სასურველია, იგი იყოს პატივცემული საკუთარი კოლეგების მხრიდან და უნდა ჰქონდეს მედიაციის სფეროში გამოცდილება, ისევე როგორც კონფლიქტის გადაწყვეტის სხვა სახის პროცესის წარმოებისა.<sup>159</sup>

ბოლო დროს იკვეთება ტენდენცია, რომ მედიატორთა არჩევა ხდება პროვაიდერი კომპანიების საშუალებით. მაგალითად, სამხრეთ კალიფორნიაში ფუნქციონირებს ორი ძირითადი ნაციონალური პროვაიდერი. ესენია: *AAA* და *JAMS*, ასევე სამი კარგად ცნობილი რეგიონალური პროვაიდერი: *ADR Services*, *ARC* და *Judicate West*.<sup>160</sup>

აქვე, ზემოხსენებულ მედიატორთა სერტიფიცირების საკითხთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ *NMI*-მა, *Det Norske Veritas* ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავა მედიატორთა სერტიფიცირების სისტემა. სერტიფიცირების პირობებია: შესაბამისი ტრენინგკურსის გავლა; ცოდნის შემოწმების მიზნით გამოცდის ჩაბარება; გამოცდაში სასურველი შეფასებების მიღება; ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის მედიაციის პროცესების ჩატარება; უწყვეტი პროფესიული განათლების მიღება; თანატოლებთან განხილვაში აქტივობა.<sup>161</sup>

საბოლოოდ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ადვოკატთა შორის პოპულარულია მიდგომა, რომლის თანახმადაც, მედიატორის არჩევის უფლების დათმობა ხდება ოპონენტი მხარისათვის.<sup>162</sup> გასათვალისწინებელია, რომ, თუკი მედიატორის ვინაობას დაასახელებს ოპონენტი მხარე, კლიენტმა და ადვოკატმა უნდა მიიღონ ეს შეთავაზება, იმ შემთხვევაში, თუკი სხვა ფაქტორების საფუძველზე არ არის აუცილებელი სხვაგვარი გადანყვეტილების მიღება.<sup>163</sup> ე.ი., თუკი ოპონენტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატი არ არის ცალსახად

<sup>153</sup> *Pel M.*, Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, 83.

<sup>154</sup> *Bouille L.J., Colatrella M. T., Picchioni A. P.*, Mediation Skills and Techniques, San Francisco, 2008, 27.

<sup>155</sup> *Beer J. E., Packard C. C.*, The Mediator's Handbook, 4<sup>th</sup> ed., Printed in Canada, 2012, 35.

<sup>156</sup> *Cooley J. W.*, The Mediator's Handbook: Advanced Practice Guide for Civil Litigation, National Institute for Trial Advocacy (U.S.), 2006, 59-61.

<sup>157</sup> *Smith A.L., Smock D.R.*, Managing a Mediation Process, Printed in the United States of America, 2008, 11.

<sup>158</sup> *Berman L. J.*, 12 Ways to Make Mediator Work Hard, Published in Advocate Magazine, 2009, 1, <<http://www.mediationtools.com/articles/12ways.html>>.

<sup>159</sup> *Jernigan M., Lord R. B.*, The Mediators Role In The Family Business, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 54, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>160</sup> *Berman L. J.*, Mediations's Evolution in Social: Where It Has Been and Where It Is Going, Published in Advocate Magazine, 2012, 4, <<http://www.mediationtools.com/articles/EvolutionMediationSoCal.html>>.

<sup>161</sup> *Pel M.*, Referral to Mediation A Practical Guide For An Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, 133.

<sup>162</sup> *Berman L. J.*, Mediators' Opening Statements Offer Insights For Successful Results, Published in the "mediation strategies" California's Legal Newspaper, 2003,1, <<http://www.americaninstituteofmediation.com/pg66.cfm>>.

<sup>163</sup> *Mosten F. S.*, Representing Clients In Mediation Effectively Setting Up a Mediation, 3113, <[http://www.mosten-mediation.com/books/articles/Representing\\_Your\\_Clients\\_In\\_Mediation.pdf](http://www.mosten-mediation.com/books/articles/Representing_Your_Clients_In_Mediation.pdf)>.

არაკომპეტენტური, არაკვალიფიციური და მიკერძოებული, მხარე უნდა დასთანხმდეს ამ არჩევანს.<sup>164</sup> მსგავსი ქმედება ხელს შეუწყობს მედიაციის მიზნების მიღწევას და იქნება პროცესის ძირითადი პრინციპების შესაბამისი.

გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებული იმ ინფორმაციის მოძიება, რომელსაც მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მედიატორის შერჩევას, შესაძლებელია მედიატორისათვის პირდაპირი კითხვების დასმის გზით, ისევე როგორც იმ მხარეებისა და ადვოკატების გამოკითხვით, რომელთაც ადრე უსარგებლიათ ამ კონკრეტული მედიატორის მომსახურებით.<sup>165</sup>

#### 5.4. მედიაციის მონაწილე პირთა წრის განსაზღვრა

საოცარია იმ პროცესთა რაოდენობა, რომლებიც წარუმატებლობით მთავრდება მხოლოდ იმიტომ, რომ პროცესზე არ არიან წარმოდგენილი შესაბამისი პირები.<sup>166</sup> ამის მიზეზად შესაძლებელია იმის დასახელება, რომ იმ მხარისათვის, ვინც უშუალოდ არ დასწრებია მედიაციის პროცესს, მეტად მარტივია შეთავაზებაზე უარის თქმა.

თავად ცნება „მონაწილე“ მოიცავს მხარეებს, ისევე როგორც ნებისმიერ პირს, რომლის დასწრებაც არის აუცილებელი რჩევისათვის, რაიმე სახის წვლილის ან, თუნდაც, ფსიქოლოგიური მხარდაჭერისათვის.<sup>167</sup>

ზოგჯერ მონაწილე პირთა შერჩევა უფრო მნიშვნელოვანიც კია, ვიდრე მედიატორის.<sup>168</sup> ე.ი., შეთანხმების მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, იმყოფებიან თუ არა მოლაპარაკების ოთახში შესაბამისი ადამიანები.<sup>169</sup>

აგრეთვე, იმის განსაზღვრა, თუ ვინ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა პროცესში, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე იმისა, თუ ვინ უნდა მიიღოს.<sup>170</sup> გასათვალისწინებელია, რომ, რაც უფრო მეტი ადამიანია ჩართული მოლაპარაკებაში, მით მეტია სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორები.<sup>171</sup> კონფიდენციალობის<sup>172</sup> დაცვის მიზნითაც სასურველია მხოლოდ მხარეთა მონაწილეობა.<sup>173</sup>

და მაინც, რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინებოდეს იმის განსაზღვრისას, თუ ვინ იქნება მედიაციის პროცესის მონაწილე მხარეთა და მათი ადვოკატების გარდა? გადამწყვეტი ფაქტორი უნდა იყოს ის, თუ ვის შეუძლია, წვლილი შეიტანოს კონფლიქტის გადაწყვეტაში. ეს

<sup>164</sup> იქვე, 3123.

<sup>165</sup> Ware S. J., Principles of Alternative Dispute Resolution, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2003, 313.

<sup>166</sup> Claiborne Z.G., Three Things to Know About Mediating Licensing Disputes, 2013, 1, <<http://www.mediate.com/articles/ClaiborneZbl20130503.cfm>>.

<sup>167</sup> Boule L.J., Colatrella M. T., Picchioni A. P., Mediation Skills and Techniques, San Francisco, 2008, 27.

<sup>168</sup> Folberg G., Mediation The Roles of Advocate and Neutral, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2011, 248.

<sup>169</sup> Amend J. M., Implications For Mediation of Patent Infringement Suits From Investors in Patentees Case, 2014, 1, <<http://jamsadrblog.com/2014/03/19/implications-for-mediation-of-patent-infringement-suits-from-investors-in-patentees-case/>>.

<sup>170</sup> McCorkle S., Reese M.J., Mediation Theory and Practice, Printed in the United States of America, 2005, 81.

<sup>171</sup> Fisher R., Uri W., Getting to Yes Negotiating Agreement Without Giving, in, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 1991, 9.

<sup>172</sup> კონფიდენციალობა – ეს არის ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვა და კონტროლი მის გამჟღავნებაზე. როგორც ეთიკური ცნება, ეს შეიძლება განიმარტოს მხარის ვალდებულებად, გამოიყენოს ან გაავრცელოს ინფორმაცია მხოლოდ შესაბამის პირებთან შეთანხმებით და დაიცვას ეს ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ არ არის ცნობილი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვალდებულება გულისხმობს, დაცულ იქნეს სიმართლე და არა ყალბი ინფორმაცია, რამდენადაც არავითარი მიზანი არ ემსახურება არასწორი ინფორმაციის დაცვას. ამ პრინციპის არსებობა განაპირობებს მხარეების ნდობას პროცესის მიმართ და არის კლიენტთა მოზიდვის ერთ-ერთი საშუალება. ამ პრინციპთან მიმართებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ California evidence code უზრუნველყოფს მედიაციის პროცესის კონფიდენციალობას. მხარეებს აქვთ საშუალება ნებისმიერი საკითხის განხილვისა, ისე, რომ შემდგომში ეს ინფორმაცია მათ წინააღმდეგ სასამართლოში არ იქნეს გამოყენებული.

<sup>173</sup> Glick T., Creative Mediation, North Charleston, 2012, 91.

არის სტრატეგიული და, ამასთანავე, პრაქტიკული საკითხი.<sup>174</sup> შესაძლებელია, კლიენტი განიცდიდეს იმის საჭიროებას, რომ პროცესს დაესწრონ პირები, რომელთაც შეუძლიათ რჩევების მიცემა. ამ პირებს შეიძლება ჰქონდეთ რაიმე სახის ინფორმაცია, შეეძლოთ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა, ან ფლობდნენ შეთანხმების მიღწევის რესურსს.<sup>175</sup>

## 5.5. შეთანხმების პირობების განსაზღვრა

მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე აუცილებელია განისაზღვროს შეთანხმების პირობები. პირველ რიგში, განისაზღვრება საუკეთესო ალტერნატივა ურთიერთობის შედეგად მიღწეული შეთანხმებისა (შემდგომში – *BATNA*). ამის შემდგომ ჩამოყალიბდება შეთანხმების სხვა ალტერნატივები. გასათვალისწინებელია, რომ მათი განსაზღვრისას ადვოკატმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის დანახარჯები, რაც მედიაციის პროცესის წარუმატებლობით დასრულებას და დავის არბიტრაჟის ან სასამართლოს გზით გადაწყვეტას მოჰყვება.<sup>176</sup>

### 5.5.1. საუკეთესო ალტერნატივა ურთიერთობის შედეგად მიღწეული შეთანხმებისა (ე.წ. *BATNA*)

*BATNA* არის წარმოდგენა, რომელიც შექმნეს როჯერ ფიშერმა და უილიამ ურიმ<sup>177</sup> და არის შემოკლება ფრაზისა: „მოლაპარაკებელი შეთანხმების საუკეთესო ალტერნატივა“.<sup>178</sup> *BATNA*-ს გასაგებად საჭიროა შემთხვევის ეფექტური შეფასება. თავის მხრივ კი, მისი განსაზღვრა მოლაპარაკების ეფექტურობის წინაპირობაა.<sup>179</sup>

*BATNA*-ს განსაზღვრა ნიშნავს იმის ცოდნას, თუ რა მოხდება მოლაპარაკების წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში. მისი შემუშავება მოითხოვს სამი ძირითადი მოქმედების განხორციელებას: 1. განისაზღვროს ის ქმედებები, რომლებიც განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუკი შეთანხმება არ მიიღწევა; 2. იდეების დახვეწა და მათი მეტად პრაქტიკულ ალტერნატივად გარდაქმნა; 3. იმ ერთი ვარიანტის შერჩევა, რომელიც ყველაზე მიმზიდველ ალტერნატივად გამოიყურება.<sup>180</sup>

*BATNA* შედგება ორი განსხვავებული კომპონენტისაგან: საჯარო და კერძო კომპონენტებისაგან. ადვოკატი ვალდებულია, გამოიკვლიოს საჯარო კომპონენტი საქმის სამართლებრივი შეფასების, ფაქტობრივი ინფორმაციის შეკრების საფუძველზე. რაც შეეხება პერსონალურს, მისი დადგენა მიიღწევა უშუალოდ კლიენტის გამოკითხვით, ვინაიდან აუცილებელია ისეთი საკითხების წარმოჩენა, როგორებიცაა, მაგალითად, პიროვნების ღირებულებები და დავის შედეგად მიღწეული სარგებელი.<sup>181</sup> მას შემდეგ, რაც მოხდება პერსონალური *BATNA*-სა და საჯარო *BATNA*-ს შეჯამება, გამოიკვეთება კლიენტის სრული *BATNA*.<sup>182</sup>

<sup>174</sup> Boule L.J., Colatrella M. T., Picchioni A. P., Mediation Skills and Techniques, San Francisco, 2008, 27.

<sup>175</sup> Abramson H. I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 241.

<sup>176</sup> Silverman P. R., The Clients Guide to Mediation and Arbitration The Strategy for Winning, ABA publishing, Chicago, Illinois, 2008,3.

<sup>177</sup> Roger Fisher, William Ury.

<sup>178</sup> Luecke R., Harvard Business Essentials Your Mentor and Guide to Doing Business Effectively Negotiation, Printed in the United States of America, 2003, 15.

<sup>179</sup> Coltri L. S., Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, 2<sup>nd</sup> ed., University of Maryland, University College, 2010, 80.

<sup>180</sup> Fisher R., Uri W., Getting to Yes Negotiating Agreement Without Giving in, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 1991, 53.

<sup>181</sup> Abramson H. I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 234.

<sup>182</sup> იქვე, 237.

*BATNA*-ს განსაზღვრისას გასათვალისწინებელია სამი ფაქტორი: 1. რა ქმედების განხორციელება შეუძლია პირს იმისათვის, რათა უზრუნველყოს საკუთარი ინტერესების განხორციელება? 2. როგორ შეიძლება მოიპოვოს ოპონენტის მხრიდან მისი ინტერესების პატივისცემა? 3. რა გზით მიიწევა მესამე პირის (მედიატორის) მხრიდან დახმარების მიღება?<sup>183</sup>

მნიშვნელოვანია დროის ფაქტორიც: *BATNA*-ს განსაზღვრა აუცილებელია მანამ, სანამ დაიწყება უშუალოდ მოლაპარაკების პროცესი. ადამიანები, რომლებიც მოლაპარაკებას იწყებენ მისი განსაზღვრის გარეშე, საკუთარ თავს იგდებენ ცუდ მდგომარეობაში.<sup>184</sup>

ამასთანავე, საჭიროა იმაზე ფიქრი, თუ რა სახის შეთანხმება იქნება მისაღები მონინაალ-მდევე მხარისათვის. რაც უფრო მეტი ინფორმაცია იქნება ცნობილი აღნიშნულის შესახებ, მით უფრო მაღალი იქნება მომზადების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუკი ოპონენტის *BATNA* ცალსახა წინააღმდეგობაში იქნება კლიენტის შემუშავებულ *BATNA*-სთან, სასურველი იქნება მათი მოლოდინების შეცვლა.<sup>185</sup>

### 5.5.2. მორიგების სხვა შესაძლო ალტერნატივების განსაზღვრა

ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანები მოლაპარაკების შესაძლო ალტერნატივებს მხოლოდ მას შემდეგ განსაზღვრავენ, რაც საუკეთესო შედეგები ვერ მიიღწევა. ეს შეცდომის კლასიკური მაგალითია. სხვა შესაძლო ალტერნატივების განსაზღვრა შესაძლებელია გახდეს ინტერესთა დაკმაყოფილების წინაპირობა.<sup>186</sup> ე.ი., მოსამზადებელ ეტაპზე, დავის გადაჭრის გზების ჩამოყალიბების შემდეგ, უნდა დაიწყოს მათი შეფასება და მათთვის პრიორიტეტების მინიჭება.<sup>187</sup> სხვაგვარად რომ ითქვას, ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე უნდა გადაწყდეს, არის ის მისაღები ალტერნატივები, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი მორიგების საუკეთესო ვარიანტი ვერ მიიღწევა.<sup>188</sup>

მორიგების ალტერნატივებზე საუბრისას აუცილებელია, განისაზღვროს ისეთი ცნების არსი, როგორცაა: „შესაძლო შეთანხმების ზონა“ (შემდგომში – *ZOPA*). შინაარსობრივად, ეს არის არეალი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მიიღწეს ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი შეთანხმება. ეს არის შეთანხმება, რომელიც პოტენციურად დააკმაყოფილებს ორივე მხარეს.<sup>189</sup>

აქვე უნდა განისაზღვროს ისეთი ცნებაც, როგორცაა „*Bottom Line*“. ეს არის ის მინიმუმი, რომელიც კლიენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს მანამ, სანამ დასთანხმდება რაიმეს ხელმოწერას.<sup>190</sup> თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მორიგების ეს შესაძლებლობა უნდა განისაზღვროს არა მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე, არამედ მაშინ, როდესაც სახეზე იქნება კრიტიკული მდგომარეობა – მოლაპარაკება შევა ჩიხში.<sup>191</sup> მეტიც, *Bottom line* არ შეიძლება განისაზღვროს მე-

<sup>183</sup> *Ury W.*, *Getting Past No, Negotiating your Way from Confrontation to Cooperation*, Printed in the United States of America, 1991, 22.

<sup>184</sup> *Luecke R.*, *Negotiation*, Harvard Business School Publishing Corporation, Printed in the United States of America, 2003, 15.

<sup>185</sup> *Fisher R., Ury W.*, *Getting to Yes Negotiating Agreement Without Giving in*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 1991, 53.

<sup>186</sup> *Ury W.*, *Getting Past No, Negotiating Your Way from Confrontation to Cooperation*, Printed in the United States of America, 1991, 21.

<sup>187</sup> *Murray O.R.*, *The Mediation Handbook: Effective Strategies for Litigators*, Revised ed., Bradford Publishing Company, Colorado, 2010, 53.

<sup>188</sup> *Hames D.S.*, *Negotiation Closing Deals, Settling Disputes and Making Team Decisions*, Printed in the United States of America, 2012, 25.

<sup>189</sup> *Luecke R.*, *Negotiation*, Harvard Business School Publishing Corporation, Printed in the United States of America, 2003, 24.

<sup>190</sup> *Abramson H. I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture*, Second edition, Printed in the United States of America, 2010, 338.

<sup>191</sup> იქვე, 139.

დიაციის პროცესის დასრულებამდე.<sup>192</sup> კლიენტმა შესაძლებელია, ზოგ შემთხვევაში შეცვალოს თავისი Bottom Line, რაც დამოკიდებული იქნება ახალი ინფორმაციის მიღებაზე.<sup>193</sup>

## 6. ადვოკატის მიერ კლიენტის მომზადება მედიაციის პროცესისათვის

კლიენტები, რომელთაც აქვთ იმის შეგრძნება, რომ ადვოკატმა ისინი საფუძვლიანად მოამზადა მედიაციის პროცესისათვის, არიან კმაყოფილნი მომსახურებით, ხოლო ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ არ მოამზადეს ადეკვატურად, არ არიან კმაყოფილნი ადვოკატით.<sup>194</sup> ე.ი., მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე ადვოკატის ერთ-ერთი ფუნქციაა კლიენტის მომზადება მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის.<sup>195</sup>

ზოგადად, არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც: „პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატები დომინირებენ იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი არის ხელმოკლე ან გამოუცდელი; ძლიერი, მდიდარი და თავდაჯერებული კლიენტები კი მართავენ ადვოკატს“. ამ მოსაზრების მიუხედავად, აუცილებელია, მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე ყველა კლიენტისადმი გამოვლინდეს ერთგვარი მიდგომა და ყველა მათგანის მომზადება მოხდეს ერთგვაროვნად.<sup>196</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის მომზადება განსხვავდება სასამართლო პროცესისათვის მომზადებისაგან, მაინც არსებობს ნაწილობრივი თანხვედრა.<sup>197</sup>

იმ საკითხს, თუ როგორ მომზადდება კლიენტი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის, თუ რა სახის მიდგომა აქვს მედიატორს კლიენტის მონაწილეობასთან მიმართებით. იმ შემთხვევაში, თუკი მედიატორი გაითვალისწინებს პროცესში კლიენტის აქტიურ ჩართულობას, ადვოკატი მას მოამზადებს იმისათვის, რომ უპასუხოს შეკითხვებს, რომელთა დასმაც მოსალოდნელია მედიატორის, ოპონენტის, ან ოპონენტის ადვოკატის მხრიდან. იმ შემთხვევაში, თუ მედიატორი აპირებს კლიენტის მონაწილეობის შეზღუდვას, მისი მომზადება მაინც აუცილებელია, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განსაზღვრავს ადვოკატი მის ჩართულობას.<sup>198</sup>

### 6.1. კლიენტისათვის მედიაციის არსისა და ძირითადი პრინციპების განმარტება

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ადვოკატმა კლიენტს მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე უნდა განუმარტოს, არის ფორმატი, თუ რით განსხვავდება მედიაცია ჩვეულებრივი მოლაპარაკებებისაგან.<sup>199</sup>

მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში ადვოკატმა კლიენტს არ უნდა შეუქმნას არასწორი წარმოდგენები. მისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ: მედიაცია რეალურად არ არის ახალი ინსტიტუტი, ეს არის ფიქრის ახალი მიმართულება,<sup>200</sup> გადაწყვეტილების მიღების პროცესი, როდესაც მხარეები მუშაობენ ერთობლივად, იმისათვის, რათა მიიღონ ორივე მხარისათვის

<sup>192</sup> Roth B. J., *Litigation Tactics in Mediation: Are They Ethical?* Published by the Boston Bar Association, 2004, 9, <<http://rothadr.com/pages/publications/ethics%20reprint.pdf>>.

<sup>193</sup> Abramson H. I., *Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 340.

<sup>194</sup> Thorpe, R.W., *Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality*, *American Journal of Mediation*, Vol.2, 2008, 2, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>195</sup> Boulle L.J., Colatrella M. T., Picchioni A. P., *Mediation Skills and Techniques*, San Francisco, 2008, 345.

<sup>196</sup> Handler J., 1970, 25. მითითებულია ნაშრომში: Clark B., *Lawyers and Mediation*, United Kingdom, 2012, 38.

<sup>197</sup> Thorpe R.W., *Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality*, *American Journal of Mediation*, Vol.2, 2008, 13, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>198</sup> Abramson H. I., *Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 206-207.

<sup>199</sup> Golann D., *Mediating Legal Disputes Effective strategies for Neutrals and Advocates*, Printed in the United States of America, 2009, 267.

<sup>200</sup> Erickson S. K., Mcknight M.S., *The Practitioner's Guide to Mediation A Client-Centered Approach*, Printed in the United States of America, 2001, 3.



დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება.<sup>201</sup> მხარეს უნდა განემარტოს, რომ მედიაციის პროცესი არის მოლაპარაკების ერთგვარი გაგრძელება.<sup>202</sup> შესაბამისად, ისინი უნდა იყვნენ მზად იმისთვის, რომ მოუსმინონ პროცესის სხვა მონაწილეთა აზრს.<sup>203</sup>

კლიენტს უნდა განემარტოს მედიაციის დადებითი შედეგები, რაც, ძირითადად, შემდეგში გამოიხატება: 1. მხარეთა კონტროლი პროცესის მიმდინარეობასა და მიღებულ გადაწყვეტილებაზე; 2. ურთიერთობების შენარჩუნების მეტი ალბათობა; 3. კრეატიული და ადაპტირებადი გადაწყვეტილების მიღების მიღწევადობა; 4. პრობლემის შედარებით სწრაფი გადაწყვეტა; 5. ნაკლები ხარჯები; 6. სასამართლოს რესურსის დაზოგვა.<sup>204</sup> ე.ი. მედიაცია არ არის დაპირისპირებული პროცესი. საჭიროა მხარეთა თანამშრომლობა, გამოსავლის ძიება.<sup>205</sup> მასში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი და ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს პროცესი.<sup>206</sup> ამასთან, მხარეებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი მიჰყვებიან მედიატორის ინსტრუქციებს.<sup>207</sup>

ადვოკატმა კლიენტი უნდა გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ იგი არ უნდა შეეცადოს პროცესის „მოგებას“.<sup>208</sup> ასეთი ქმედება ხომ სრულ წინააღმდეგობაში იქნებოდა მედიაციის პრინციპებთან. მედიაციის მიზანია, გამარტივდეს მხარეთა შორის კომუნიკაცია, მოხდეს ურთიერთგაგების ხელშეწყობა, ორიენტაცია მოხდეს ინტერესებზე და პრობლემის გადაწყვეტის კრეატიული გზების ძიებაზე. ერთ-ერთი უმთავრესი გარემოება, რომლის შესახებ ინფორმაციასაც უნდა ფლობდეს კლიენტი, არის ის, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას პროცესში.<sup>209</sup> ეს საჭიროა იმისათვის, რათა მხარეებმა თავად შეძლონ შეთანხმების მიღწევა.<sup>210</sup> კლიენტმა აგრეთვე უნდა იცოდეს, რომ ამ პროცესში არავინ არ აპირებს იმის ფაქტობრივ გამოკვლევას, თუ ვინ არის მართალი და ვინ არა.<sup>211</sup> დავის პროცესი შესაძლოა მისთვის იყოს გამანადგურებელი, შეთანხმება კი სწრაფი და უმტკივნეულო.<sup>212</sup>

აღიარებულია, რომ მედიაცია თავისი არსით არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს იმ საკითხებს, რაც ადამიანებისათვის არის მნიშვნელოვანი, ესენია: ურთიერთობები, სამართლიანობის დამკვიდრება, ემოციები, ურთიერთპატივისცემა, ჩართულობა, პრობლემის გადაჭრა. ადამიანებს აქვთ საშუალება, გაუზიარონ ერთმანეთს გულისტკივილი, გამოთქვან აზრი, ისაუბრონ საკუთარი საჭიროებების შესახებ. მათ აგრეთვე შეუძლიათ, შეეხონ მათთვის საინტერესო ნებისმიერ თემას, არ არიან შეზღუდულნი ამ თვალსაზრისით.<sup>213</sup>

<sup>201</sup> მედიაციის მოსამზადებელ ეტაპთან მიმართებით მნიშვნელოვანია ამავე აქტის დათქმა, რომლის თანახმადაც, „ადვოკატი ვალდებულია, კლიენტს გაუწიოს კონსულტაცია საკუთარი ქცევების შეზღუდვათა შესახებ, მაშინ, როდესაც კლიენტი ელის ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული კანონითა და პროფესიული ქცევის წესებით“.<sup>201</sup> ამ მოთხოვნის არსებობა გამართლებულია შემდეგი მიზეზის გამო: ხშირად, შესაძლებელია, კლიენტს არასწორი შეხედულება ჰქონდეს ადვოკატის საქმიანობასა თუ კომპეტენციაზე. შესაბამისად, მედიაციის შემდგომ ეტაპზე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ამ საკითხის მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე ნათელყოფა.

<sup>202</sup> *Abramson H. I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 309.*

<sup>203</sup> *Kovach K. K., Mediation Principles and Practice, 3<sup>rd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 154.*

<sup>204</sup> *Boulle L.J., Colatrella M. T., Picchioni A. P., Mediation Skills and Yechniques, San Francisco, 2008, 3.*

<sup>205</sup> *Abramson H. I., Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 310.*

<sup>206</sup> *Greenwood M., How to Mediate Like a Pro, 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, 13.*

<sup>207</sup> *Mosten F.S., Representing Clients In Mediation Effectively Setting up a Mediation, 3132, <[http://www.mosten-mediation.com/books/articles/Representing\\_Your\\_Clients\\_In\\_Mediation.pdf](http://www.mosten-mediation.com/books/articles/Representing_Your_Clients_In_Mediation.pdf)>.*

<sup>208</sup> *Folberg G., Mediation the Roles of Advocate and Neutral, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2011, 262.*

<sup>209</sup> *Kovach K. K., Mediation Principles and Practice, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 152.*

<sup>210</sup> *Gibbons L. J., Kennedy J. M., Gibbs J. M., Cyber-Mediation: Computer-mediated Communications Medium Messaging the Message, New Mexico Law Review, 2002, 9. მითითებულია: John Feerich et al., Standards of Professional Conduct in Alternative Dispute Resolution, J. Disp. Resol. 95, 123 1995.*

<sup>211</sup> *Kovach K. K., Mediation Principles and Practice, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 152.*

<sup>212</sup> *Ware S. J., Principles of Alternative Dispute Resolution, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2003, 158.*

<sup>213</sup> *Beer J. E., Packard C. C., The Mediator's Handbook, 2<sup>nd</sup> ed., Printed in Canada, 2012, 5.*

ეს ყოველივე კლიენტს უნდა განემარტოს მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მედიაციის არსისა და ძირითადი პრინციპების არცოდნის გამო შესაძლებელია, პროცესის მიმდინარეობისას წარმოიშვას რიგი გაუთვალისწინებელი პრობლემებისა.

## 6.2. კლიენტის სამართლებრივი კუთხით ინფორმირება

წინასამედიაციო ეტაპზე მნიშვნელოვანია ადვოკატთა როლი მხარეთა ინფორმირებულობისა და სამართლებრივი საკითხების გარკვევისათვის, რათა მედიაციის პროცესში წარმოჩენილი იყოს ზუსტად ის საკითხები, რომლებიც მხარეთათვის უპირატესი ინტერესის მქონეა და რომლებიც არ შეენიანაღმდეგება მოქმედ საკანონმდებლო ნორმებს.<sup>214</sup> აღნიშნულში მოიაზრება ის, რომ ადვოკატმა უნდა წარუდგინოს კლიენტს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა არის შესაძლებელი და რისი არა მოქმედი საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინებით.<sup>215</sup>

ე.ი., ადვოკატებმა მხარეებს უნდა მიანოდონ ინფორმაცია და რჩევები დავის სამართლებრივ ასპექტებზე, თუმცა ეს ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ მხარეები აუცილებლად გამოიყენებენ მედიაციის პროცესში ამ რჩევებს.<sup>216</sup> ხაზგასასმელია ადვოკატის ვალდებულება, რომ კლიენტს გაუწიოს მართებული კონსულტაცია, მისი რჩევა უნდა შეესაბამებოდეს არსებულ რეალობას, რაოდენ რთულად მოსასმენიც არ უნდა იყოს იგი.<sup>217</sup> მან არ უნდა ჩაუწეროს კლიენტს არარეალური მოლოდინები.<sup>218</sup> რაც არ უნდა რთული იყოს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით გულწრფელი საუბარი, ადვოკატმა მაინც უნდა გაართვას თავი ამ ვალდებულებას. ამ გზით მხარის ძლიერი და სუსტი მხარეების ნათლად წარმოჩენით ადვოკატები მეტად შეძლებენ კლიენტის საჭიროებების დაკმაყოფილებას.<sup>219</sup>

## 6.3. კლიენტისათვის მედიაციის პროცესის გეგმის გაცნობა

„წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, მიანოდონ ინფორმაცია მხარეებს მედიაციის პროცესის შესახებ“.<sup>220</sup> ადვოკატმა ეს უნდა მოახერხოს წინასწარ, ადრეულ სტადიაზე.<sup>221</sup> ე.ი., დგინდება, რომ ადვოკატმა მოსამზადებელ ეტაპზე უნდა შეიმუშაოს წარმომადგენლობის გეგმა. ეს საკითხი არის მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც გეგმა განსაზღვრავს იმას, თუ რა

<sup>214</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 240, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [05.07.2013].

<sup>215</sup> *Pel M.*, Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, 126.

<sup>216</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 239, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [05.07.2013].

<sup>217</sup> *Foster R. V., Kavan J.O., Greebel E.L., Zimmern W. H.*, Strategies for Negotiating Mergers and Acquisitions, Printed in the United States of America, 2011, 13.

<sup>218</sup> *Thorpe, R.W.*, Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol.2, 2008, 14, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>219</sup> *Picker B. C.*, Navigating Relationships: The Invisible Barriers to Resolution, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 44, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>220</sup> *Riskin L. L., Westbrook J. E., Guthrie C., Reuben R. C., Robbenolt J. K., Welsh N. A.*, Dispute Resolution and Lawyers, Printed in the United States of America, 4<sup>th</sup> ed., 2009, 446. ციტირებულია: *ცერცვაძე გ.* მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 240, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>> [05.07.2013].

<sup>221</sup> *Duryee L.*, Make the Most of Your Mediation: Early Preparation, 2014, 2, <<http://www.law.com/sites/lynnduryee/2014/04/28/make-the-most-of-your-mediation-early-preparation/>>.

ქმედებებს განახორციელებენ კლიენტი და ადვოკატი პროცესის მიმდინარეობისას.<sup>222</sup> გასათვალისწინებელია, რომ, ზოგადად, ადვოკატის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, თუ როგორ წარიმართება პროცესი დავის გადაწყვეტის სხვადასხვა სახის საშუალების გამოყენების დროს, იქნება განსხვავებული.<sup>223</sup>

მედიაციის პროცესი, როგორც წესი, მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით: 1. პირველ რიგში, ადამიანები გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებსა და ემოციებს, ხშირად, ხმამაღლა; 2. ისინი ერთმანეთს უზიარებენ და ნათელყოფენ ინფორმაციას; 3. ემოციური დაძაბულობის მოხსნის შემთხვევაში გადასვლა ხდება პრობლემის გადაჭრის ეტაპზე. მხარეები საუბრობენ იმის შესახებ, თუ რისი შეცვლა სურთ, განიხილავენ მორიგების შესაძლებლობებს, წყვეტენ საკითხებს; 4. საბოლოოდ, ისინი ხელს აწერენ მიღებულ შეთანხმებას.<sup>224</sup>

კლიენტმა უნდა იცოდეს, თუ რა მოხდება მედიაციის პირველ შეხვედრაზე; ასევე, უნდა განასხვავებდეს საერთო და დახურულ შეხვედრებს; იცოდეს მედიატორთა მიერ გამოყენებული ძირითადი ტექნიკები; ამასთან, უნდა ფლობდეს ინფორმაციას კონფიდენციალობის პრინციპთან დაკავშირებით; ადვოკატმა კლიენტი უნდა გააფრთხილოს, რათა პროცესის მიმდინარეობისას გამოიჩინოს მოთმინება და გონიერება; ამასთან, იცოდეს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავა სრულად არ გადაწყდება, მედიაციის საშუალებით შესაძლებელია გადაწყდეს გარკვეული საკითხები და, როგორც მინიმუმ, სადავო საკითხების რაოდენობა შემცირდეს.<sup>225</sup>

კლიენტს უნდა განემარტოს, რომ პროცესში აქტიური ჩართვისაგან თავშეკავების შედეგი შესაძლებელია აღმოჩნდეს დაკარგული შესაძლებლობები და შესაძლებელია, ამ ფაქტორმა ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე.<sup>226</sup>

სწორედ ესენია ის ძირითადი პროცესუალური საკითხები, რომელთა განმარტებაც ადვოკატმა მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე უნდა მოახდინოს.

## 6.4. კლიენტისათვის მედიაციის მონაწილეთა როლის განმარტება მედიაციის პროცესში

მოსამზადებელ ეტაპზე ადვოკატმა არა მხოლოდ საკუთარი უფლებების ფარგლები უნდა განუმარტოს კლიენტს, არამედ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მედიატორისა და მისი როლის შესახებაც. ეს უნდა ჩაითვალოს მოსამზადებელი ეტაპის განუყოფელ ნაწილად.

### 6.4.1. მედიატორის როლის განმარტება

ადვოკატმა უნდა აუხსნას კლიენტს მედიატორის შერჩევის მნიშვნელობა,<sup>227</sup> რაც თავისთავად მოიცავს მედიატორის როლის განმარტებას.

მედიატორი<sup>228</sup> არის მომლაპარაკებელი. იგი არის პროცესის ნამყვანი ფიგურა, რის გამოც მას ხშირად უწოდებენ „პროცესის მენეჯერს“. <sup>229</sup> მისი როლი შეიძლება განიმარტოს რო-

<sup>222</sup> *Abramson H. I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 194.

<sup>223</sup> *Thorpe, R.W.*, *Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality*, *American Journal of Mediation*, Vol.2, 2008,13, <[Heinonline.org](http://Heinonline.org)>.

<sup>224</sup> *Beer J. E., Packard C. C.*, *The Mediator's Handbook*, Printed in Canada, 4<sup>nd</sup> ed., 2012, 7.

<sup>225</sup> *Abramson H. I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 310.

<sup>226</sup> *Melnick J. D.*, *Lost Opportunities in Mediation*, *Westlaw Journal Securities Litigation and Regulation*, Vol. 13, Issue 4, 2013, 1, <<http://www.jamsadr.com/files/Uploads/Documents/Articles/Melnick-Opportunities-Mediation-2013-06-25.pdf>>.

<sup>227</sup> *Mosten F. S.*, *Representing Clients in Mediation Effectively Setting up a Mediation*, 3113, <[http://www.mosten-mediation.com/books/articles/Representing\\_Your\\_Clients\\_In\\_Mediation.pdf](http://www.mosten-mediation.com/books/articles/Representing_Your_Clients_In_Mediation.pdf)>.

<sup>228</sup> „მედიატორი“ არის ლათინური წარმოშობის სიტყვა და ნიშნავს შუამავალს.

გორც მოდავე მხარეების დამხმარე.<sup>230</sup> მედიატორი მხარეებს ეხმარება დავის გადაჭრაში. იგი არ ადგენს წესებს, არ გასცემს სამართლებრივ კონსულტაციას.<sup>231</sup>

მედიატორს შეაქვს წვლილი იმის გადაწყვეტაში, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას მედიატორში, რა სახით ჩამოყალიბდება პროცესის გეგმა.<sup>232</sup> იგი არის მეთოდისტი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა ინფორმირებას და ხსნის პროცესს. აკეთებს ყველაფერს, რაც არის საჭირო იმისათვის, რათა მიიღწეს შეთანხმება. ეკონტაქტება მხარეებს, ნიშნავს შეხვედრებს, ამზადებს მედიაციის სხდომებს. ის აგრეთვე განსაზღვრავს შესვენებების დროს.<sup>233</sup>

მედიატორი ახდენს მონაწილეთა ინფორმირებას კონფიდენციალობის წესის დაცვის თაობაზე.<sup>234</sup> იგი ხსნის პროცესს კლიენტისათვის დავის არსის გამოკითხვით, თუმცა ამ საკითხის ნათელყოფა შესაძლებელია დასრულდეს მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე შეხვედრების დროსაც.<sup>235</sup> იმისათვის, რათა შედგეს ეფექტური მოლაპარაკება, მედიატორი შეისწავლის საქმის ისტორიასა და პრობლემის არსს.<sup>236</sup>

მედიატორის როლი არის ვითარების შემსუბუქება. მას არ შეუძლია მხარეთა იძულება ან პროცესზე უხეში ზეგავლენის მოხდენა. მედიატორმა შესაძლებელია, იფიქროს, რომ მან იპოვა საკითხის შესაბამისი გადაწყვეტა, თუმცა, თუკი იგი ამ გადაწყვეტას მხარეებს თავს მოახვევს, ეს იქნება მედიატორის ეთიკის უხეში დარღვევა.<sup>237</sup> მედიატორი ვერც იმ შემთხვევაში მოახდენს მხარის გადაწყვეტილებაზე გავლენას, თუკი მას სურს პროცესის შეწყვეტა.<sup>238</sup> მედიატორი ადგენს მხოლოდ იმას, თუ რომელი საკითხების ირგვლივ იქნება შესაძლებელი შეთანხმების მიღწევა, რომელი მათგანი მოგვარდება უფრო სწრაფად.<sup>239</sup> მხარეებს სთავაზობს არგუმენტებულ, კომპრომისული ხასიათის შეთანხმებებს.<sup>240</sup>

მედიატორი უნდა იყოს ერთგვარი მოდელი მხარეთათვის. იგი ადგენს საუბრის ტონს, თუ როგორ უნდა ისაუბრონ და როგორ მოუსმინონ ერთმანეთს.<sup>241</sup>

საკითხის შეჯერებისას დგინდება, რომ მედიატორის როლის განმარტება მედიაციის პროცესში შესაძლებელია, შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: 1. უზრუნველყოფს პროცესების მიმდინარეობას იმისათვის, რათა მოხდეს პრობლემის გადაჭრა, შედგეს კომუნიკაცია მხარეთა შორის, გადაწყდეს პრობლემა; 2. ხელს უწყობს მხარეთა ურთიერთგაგებას; 3. პროცესის მონაწილეებს აძლევს რჩევებს იმის თაობაზე, თუ როგორ გაზარდონ მოლაპარაკების ეფექტურობა; 4. იკვლევს მხარეთა მოსაზრებებისა და პოზიციების დასაბუთებულობას; 5. ეხმარება მხარეებს განსხვავებული ინტერესების აღქმაში, ცდილობს მტრობის, სიმწვავის შემცირებას, ნდობის დამკვიდრებას; 6. ეხმარება მხარეებს პრობლემის გადაწყვეტის გეგმის მომზადება-

<sup>229</sup> *Domenici K., Littlejohn S.W.*, Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, 2<sup>nd</sup> ed., Illinois, 2001, 33.

<sup>230</sup> *Moffitt M.*, The Four Ways to Assure Mediator Quality, 2008, 17, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1117765](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1117765)>.

<sup>231</sup> *Greenwood M.*, How to Mediate Like a Pro, 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, 11.

<sup>232</sup> *Jernigan M., Lord R. B.*, The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, 2008, 55.

<sup>233</sup> *Greenwood M.*, How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, 3.

<sup>234</sup> *Rubin M. A., Spector B. F.*, Ethical Conundrums For the 21<sup>st</sup> Century Lawyer/Mediator "Toto I've got a Feeling We're Not in Kansas Any More", American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 82.

<sup>235</sup> *Jernigan M., Lord R. B.*, The Mediator's Role in the Family Business, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 55.

<sup>236</sup> *Smith A.L., Smock D.R.*, Managing a Mediation Process, Printed in the United States of America, 2008, 10.

<sup>237</sup> *Greenwood M.*, How to Mediate Like a Pro, 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, 12.

<sup>238</sup> იქვე, 13.

<sup>239</sup> *Stepp J. A.*, How Does the Mediation Process Work? 2003, 4, <<http://www.mediate.com/articles/steppj.cfm>>.

<sup>240</sup> *Riskin L. L.*, Alternatives to the High Cost of Litigation, Center for Public Resources, Vol. 12, Issue 9, 1994, 112.

<sup>241</sup> *Domenici K., Littlejohn S.W.*, Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, 2<sup>nd</sup> ed., 2001, 36.

ში.<sup>242</sup> მას უნდა შეეძლოს სათქმელის მოკლედ გამოხატვა; უნდა იცავდეს დისტანციას მხარეებთან;<sup>243</sup> ჰქონდეს კარგად განვითარებული მოთმინების უნარი – უნდა შეეძლოს ხანგრძლივი ლოდინი. ნათელია, რომ მედიატორის როლი არ შემოიფარგლება კონკრეტული უნარებისა და ხერხების ფლობით – მისი პიროვნება, ჰუმანურობა და ცხოვრებისეული გამოცდილება, აგრეთვე, არის მისი როლის ნაწილი.<sup>244</sup>

ადვოკატმა ყოველივე ზემოხსენებული ინფორმაცია აუცილებლად უნდა მიანოდოს კლიენტს მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე.

#### 6.4.2. კლიენტის როლის განმარტება

მედიაციის პროცესში გადაწყვეტილებას იღებენ მხარეები და არა მედიატორი.<sup>245</sup> გადაწყვეტილება ეფუძნება მათ პასუხისმგებლობას, ისინი მედიატორისაგან ვერ მიიღებენ რჩევას, მიაღწიონ თუ არა კონკრეტულ შეთანხმებას.<sup>246</sup> მართალია, ტრადიციულად, მედიაციის პროცესის მიმდინარეობას მედიატორი უძღვება, თუმცა შეთანხმება კონტროლდება მხარეთა მიერ.<sup>247</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებას, რომელთაც მხარეები თავად იღებენ, აქვს აღსრულების მეტი პოტენციალი, არის მეტად მდგრადი.<sup>248</sup> ეს გარემოება მიიჩნევა მედიაციის პროცესის ერთ-ერთ დადებით მხარედ და, თავისთავად, ზრდის კლიენტის ჩართულობის მნიშვნელობას.

გარდა გარკვეული გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც უშუალოდ კლიენტის პიროვნების პრობლემა შეიძლება იყოს, სწორედ იგი უნდა იყოს პროცესის ეპიცენტრში.<sup>249</sup> მას, აგრეთვე, შესაძლებელია, მოუწიოს კერძო ხასიათის შეხვედრები ოპონენტთან.<sup>250</sup> თავად უნდა გადაწყვიტოს, საერთოდ სურს თუ არა დავის გადაწყვეტის ამ მეთოდის გამოყენება და შემდგომშიც მიიღებს თუ არა შეთანხმების იმ პირობებს, რომელთა მიღებაც პროცესის მიმდინარეობისას გახდება შესაძლებელი.<sup>251</sup>

#### 6.4.3. ადვოკატის როლისა და უფლებების განმარტება

მედიაციის მოსამზადებელ ეტაპთან მიმართებით მნიშვნელოვანია *The ABA Model Rules of Professional Conduct*-ის დათქმა, რომლის თანახმადაც, „ადვოკატი ვალდებულია, კლიენტს გაუწიოს კონსულტაცია საკუთარი ქცევების შეზღუდვათა შესახებ, მაშინ, როდესაც კლიენტი ელის ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული კანონითა და პროფესიული ქცევის წესე-

<sup>242</sup> *Jernigan M., Lord R. B., The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, 2008, 54.*

<sup>243</sup> *Centre for Conflict Resolution, Advanced Mediation Skills-Course Book Course C, 2000, 8, <unesdoc.unesco.orimagesg/0013/001333/133319e.pdf>.*

<sup>244</sup> *Erickson S. K., Mcknight M.S., The Practitioner's Guide to Mediation a Client-Centered Approach, Printed in the United States of America, 2001, 60.*

<sup>245</sup> *Greenwood M., How to Mediate Like a Pro, 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, 12.*

<sup>246</sup> *Domenici K., Littlejohn S.W., Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, 2<sup>nd</sup> ed., 2001, 135.*

<sup>247</sup> *Thorpe R.W., Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol.2, 2008, 9.*

<sup>248</sup> *Fel M., Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, 103.*

<sup>249</sup> *Folberg G., Mediation the Roles of Advocate and Neutral, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2011, 237.*

<sup>250</sup> *Golann D. Mediating Legal Disputes Effective Strategies for Neutrals and Advocates, Printed in the United States of America, 2009, 268.*

<sup>251</sup> *Sherrill J. A., Ethics for Lawyers Representing Clients in Mediation, 3, <<http://www.americanjournalofmediation.com/docs/JOHN%20SHERRILL%20-Ethics%20for%20Lawyers%20Representing%20Clients%20in%20Mediation.pdf>>.*

ბით“.<sup>252</sup> ამ მოთხოვნის არსებობა გამართლებულია შემდეგი მიზეზით: ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია, კლიენტს არასწორი შეხედულება ჰქონდეს ადვოკატის საქმიანობასა თუ კომპეტენციაზე. შესაბამისად, მედიაციის შემდგომ ეტაპებზე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ამ საკითხის მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე ნათელყოფა.

პრაქტიკაში, როგორც წესი, საუბრობენ „ადვოკატირებაზე“ მედიაციის პროცესში, თუმცა მედიაცია ხომ, ძირითადად, მოლაპარაკებას მოიცავს.<sup>253</sup> რეალურად, ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში არის მოლაპარაკების ხელშეწყობა, კლიენტის პოზიციის დაცვა და იმის უზრუნველყოფა, რომ მხარეთა საბოლოო შეთანხმება აისახოს შედეგზე. იმისათვის, რათა ეს მოხდეს, აუცილებელია, კლიენტის მიზნების გაგება, ოპონენტის მიზნების ამოცნობა და იმის დადგენა, თუ რით გამოიხატება მათი არსებითი განსხვავება.<sup>254</sup> მედიაციაში წარმომადგენლობისათვის ადვოკატს არსებითად განსხვავებული უნარების გამოყენება სჭირდება, რაც განსაკუთრებულად გამოიხატება მეორე მხარესთან თანამშრომლობითა და კონსტრუქციული საუბრით.<sup>255</sup> ადვოკატის გულისხმიერების ვალდებულება მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის შემთხვევაში სხვაგვარად განიმარტება, ვიდრე სასამართლო დარბაზში.<sup>256</sup> კლიენტმა უნდა იცოდეს, რომ ადვოკატი შეასრულებს თანამშრომლობით, პრობლემათა გადამჭრელის როლს ამ პროცესში, ნაცვლად სტანდარტული როლისა.<sup>257</sup> ე.ი., უდავოა, რომ, მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის შემთხვევაში, ადვოკატის როლი არის სხვაგვარი – ნაცვლად „მოგებისა“, ადვოკატი ეხმარება კლიენტს, გადაჭრას პრობლემა და ამის მისაღწევად ახდენს მისი ინტერესებს ნათელყოფას, საქმის სუსტი მხარეების წარმოჩენას, პრობლემათა გადაჭრის გზების მოძიებას.

ადვოკატმა კლიენტს უნდა განუმარტოს ისიც, რომ, მართალია, იურისტის მთავარი როლი არის საკითხის სამართლებრივი შეფასება, ეს ფაქტორი არ ამცირებს კონფლიქტის არასამართლებრივ ასპექტებში მონაწილეობის მიღებას.<sup>258</sup> საბოლოო ჯამში, ადვოკატის ძირითადი როლი – მიიღოს საუკეთესო შესაძლო შედეგი, უცვლელია, თუმცა სამოქმედო გეგმა იქნება განსხვავებული.<sup>259</sup>

## 6.5. კლიენტის მომზადება მოსალოდნელ კითხვებზე პასუხის გასაცემად

მედიაციასთან დაკავშირებულ პროცესუალურ საკითხებს შორის ერთ-ერთი აქტუალურია იმის გადანყვეტა, უნდა ისაუბროს თუ არა კლიენტმა მედიაციის მიმდინარეობისას. ის, თუ რა ფორმით გადანყვეტა აღნიშნული საკითხი, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ყოველი კონკრეტული კლიენტის შესაძლებლობებზე. ზოგიერთ მედიატორს არ სურს კლიენტის მოსმენა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი იგი სათქმელს ვერ გამოხატავს ლაკონურად და დამაჯერებლად.<sup>260</sup>

<sup>252</sup> The ABA Model Rules of Professional Conduct, 1.4. მუხლი.

<sup>253</sup> *Golann D.*, *Mediating Legal Disputes Effective Strategies for Neutrals and Advocates*, Printed in the United States of America, 2009, 264.

<sup>254</sup> *Foster R. V.*, *Effective Negotiation Strategies and Approaches for MA Lawyers and Their Clients*, 2011, 8.

<sup>255</sup> *ირემაშვილი ქ.*, მედიაციის ინტეგრირება სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამაში, დავის ალტერნატიული გადანყვეტის ეროვნული ცენტრი, თბ., 2012, 8 <[http://www.library.court.ge/upload/lib\\_ADR.pdf](http://www.library.court.ge/upload/lib_ADR.pdf)>.

<sup>256</sup> *Kovach K. K.*, *Mediation Principles and Practice*, 3<sup>rd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 424.

<sup>257</sup> *Abramson H. I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 311.

<sup>258</sup> *Coltri L. S.*, *Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach*, Second edition, University of Maryland, University College, 2010, 80.

<sup>259</sup> *Golann D.* *Mediating Legal Disputes Effective Strategies for Neutrals and Advocates*, Printed in the United States of America, 2009, 268.

<sup>260</sup> *Berman L. J.*, *Mediator's Opening Statements Offer Insights for Successful Results*, Published in the “Mediation Strategies”, California's Legal Newspaper, 2003, 2-3, <<http://www.americaninstituteofmediation.com/pg66.cfm>>.

ნებისმიერ შემთხვევაში, შესაძლებელია, მედიატორი მხარეებს ესაუბროს ცალ-ცალკე, რათა განსაზღვროს მათი რეალური ინტერესები,<sup>261</sup> მხარეს დაუსვას ღია კითხვები, რათა მიიღოს ინფორმაცია ფარული ემოციების შესახებ.<sup>262</sup> შესაბამისად, ადვოკატმა კლიენტთან ერთად უნდა განიხილოს ის სავარაუდო კითხვები, რომელთაც მას დაუსვამენ მედიატორი ან პროცესის მონაწილე სხვა პირები.

ეს კლიენტს მისცემს საშუალებას, მოამზადოს შესაბამისი, პროდუქტული პასუხები.<sup>263</sup> აგრეთვე, ადვოკატი უნდა დაეხმაროს კლიენტს საკუთარი ინტერესების სიტყვიერად გამოხატვაში.<sup>264</sup>

სავარაუდო თემატიკა, რომელზეც პასუხის გაცემა, შესაძლებელია, კლიენტს მოუწიოს, არის შემდეგი: რა მოხდა? რა სახის დოკუმენტები აქვს საკუთარი პოზიციის მტკიცებისათვის? რომელი მოწმე დაადასტურებს მის პოზიციას? რა მიზნები და ინტერესი ამოძრავებს? რა არის ოპონენტი მხარის ინტერესი? რა მოელის მედიაციის პროცესისაგან? აქვს თუ არა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება გადაწყდეს დავა? რა შედეგები მიიღწევა სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში? რა დრო დასჭირდება საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადებას? დაახლოებით რამდენს შეადგენს სასამართლოს დანახარჯები? რა ქმედებებს განახორციელებს იმ შემთხვევაში, თუკი შეთანხმება არ მიიღწევა?<sup>265</sup> რა ბარიერებმა შეუშალა ხელი პირდაპირი მოლაპარაკების წარმოებას?<sup>266</sup>

კლიენტს ადვოკატმა უნდა ურჩიოს, რომ მან ოპონენტი მხარის ადვოკატის შეკითხვებს უპასუხოს პატიოსნად, ფრთხილად და სწორად. თუმცა მან ასევე უნდა იცოდეს, თუ რომელი შეკითხვების პასუხზე უნდა განაცხადოს უარი. ზოგიერთი ადვოკატი მედიაციას იყენებს ინფორმაციის მოძიების საშუალებად, შესაბამისად, აუცილებელი არ არის ოპონენტისათვის ყველა დეტალის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.<sup>267</sup>

## **6.6. კლიენტის ინფორმირება მის და ადვოკატის მიერ შეთანხმებული პოზიციის დაფიქსირების აუცილებლობისა და ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების გამოთქმის დაუშვებლობის შესახებ**

ადვოკატმა და კლიენტმა მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე უნდა გადაინანილონ პასუხისმგებლობები.<sup>268</sup> საკითხის გარკვეული სახით გადაწყვეტა ხშირად წარმოშობს შეთანხმებას ადვოკატსა და კლიენტს შორის.<sup>269</sup> შესაბამისად, არსებობს შემთხვევები, როდესაც მათი ინტერესები არ ემთხვევა.<sup>270</sup> როდესაც სახეზეა მსგავსი ფაქტი, ადვოკატმა პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით, უნდა დაუთმოს კლიენტს. ეს ამგვარად უნდა გადაწყდეს, იმის მიუხედავად, არის თუ არა კლიენტის გადაწყვეტილება ადვოკატის ინტერესების საწინააღმდეგო.<sup>271</sup>

<sup>261</sup> *Jernigan M., Lord R. B.*, The Mediator's Role in the Family Business, *American Journal of Mediation*, Vol. 2, 2008, 56.

<sup>262</sup> *Stepp J. A.*, How Does The Mediation process work? 2003, 5, <<http://www.mediate.com/articles/steppj.cfm>>.

<sup>263</sup> *Abramson H. I.*, Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 315.

<sup>264</sup> *Pel M.*, Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, 126.

<sup>265</sup> *Abramson H. I.*, Mediation Representation Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 315-316.

<sup>266</sup> *Golann D.* Mediationg Legal Disputes Effective strategies for Neutrals and Advocates, Printed in the United States of America, 2009, 266.

<sup>267</sup> *Folberg G.*, Mediation The Roles of Advocate and Neutral, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2011, 263.

<sup>268</sup> *Abramson H. I.*, Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 241.

<sup>269</sup> *Ware S. J.*, Principles of Alternative Dispute Resolution, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2003, 169.

<sup>270</sup> *Glick T.*, Creative Mediation, North Charleston, 2012, 37.

<sup>271</sup> *Ware S. J.*, Principles of Alternative Dispute Resolution, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2003, 174.

## 7. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ მედიაციასთან დაკავშირებულ საკითხთა საკანონმდებლო რეგულაცია აუცილებელია. შესაბამისად, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა შემდეგი სახით ჩამოყალიბდება:

- საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს მედიაციის პროცესის რეგულირება. მათ შორის პროცესის დეფინიციის განსაზღვრა. იგი უნდა მოიცავდეს პერიოდს, რომელიც იწყება მედიაციის საშუალებით დავის განხილვაზე მხარეთა და წარმომადგენელთა შეთანხმებით. მოსამზადებელი ეტაპი უნდა ჩაითვალოს მედიაციის პროცესის განუყოფელ ნაწილად. შედეგად, ადვოკატთა ვალდებულებები მედიაციის მოსამზადებელ ეტაპზე უფრო მეტად იქნებოდა ანგარიშგასაწევი ადრესატთა მხრიდან.

<sup>202</sup> *Abramson H.I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 309.

<sup>203</sup> *Kovach K.K.*, *Mediation Principles and Practice*, 3<sup>rd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 154.

<sup>204</sup> *Boulle L.J., Colatrella M.T., Picchioni A.P.*, *Mediation Skills and Yechniques*, San Francisco, 2008, 3.

<sup>205</sup> *Abramson H.I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 310.

<sup>206</sup> *Greenwood M.*, *How to Mediate Like a Pro, 42 Rules for Mediating Disputes*, Printed in the United States of America, 2008, 13.

<sup>207</sup> *Mosten F.S.*, *Representing Clients in Mediation Effectively Setting up a Mediation*, 3132, <[http://www.mosten-mediation.com/books/articles/Representing\\_Your\\_Clients\\_In\\_Mediation.pdf](http://www.mosten-mediation.com/books/articles/Representing_Your_Clients_In_Mediation.pdf)>.

<sup>208</sup> *Folberg G.*, *Mediation The Roles of Advocate and Neutral*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2011, 262.

<sup>209</sup> *Kovach K.K.*, *Mediation Principles and Practice*, 3<sup>rd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 152.

<sup>210</sup> *Gibbons L.J., Kennedy J.M., Gibbs J.M.*, *Cyber-Mediation: Computer-mediated Communications Medium Messaging the Message*, *New Mexico Law Rev.*, 2002, 9. Referred to: *John Feerich et al.*, *Standards of Professional Conduct in Alternative Dispute Resolution*, 1995 *J. Disp. Resol.* 95, 123.

<sup>211</sup> *Kovach K.K.*, *Mediation Principles and Practice*, 3<sup>rd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 152.

<sup>212</sup> *Ware S.J.*, *Principles of Alternative Dispute Resolution*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2003, 158.

<sup>213</sup> *Beer J.E., Packard C.C.*, *The Mediator's Handbook*, 4<sup>th</sup> ed., Printed in Canada, 2012, 5.

<sup>214</sup> *Tsertsvadze G.*, *Pespectives of Legal Regulation of Mediation in Georgia*, *Ivane Javakhishvili Tbilisi State University, National Center of Alternative Resolution of Disputes*, Tbilisi, 2013, 240, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [05.07. 2013].

<sup>215</sup> *Pel M.*, *Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal*, The Hague, 2008, 126.

So advocates must provide the parties with information and advice about legal aspects of dispute, though it does not mean that parties will use these pieces of advice in the mediation process by all means.<sup>216</sup> It should be emphasized that an advocate is obliged to give the client the right consultation; his advice must be in conformity with reality, no matter how hard it will be to listen to.<sup>217</sup> He must not give the client unreal expectations.<sup>218</sup> No matter how hard a sincere talk might be about concrete issues, an advocate must deal with this obligation. In this way by revealing strong and weak sides of the party advocates will be able to satisfy the client's needs.<sup>219</sup>

### 6.3. Informing a Client on a Plan of the Mediation Process

“The representatives are obliged to give parties the information about the mediation process”.<sup>220</sup> It must be done by an advocate in advance at an earlier stage.<sup>221</sup> So an advocate at the preparatory stage must work out a plan of representation. It is important because a plan defines which actions must be performed by a client and advocate in the course of the process.<sup>222</sup> It must be foreseen that generally advocate's explanations about conducting the process using different means of dispute resolution will be different.<sup>223</sup>

The mediation process, as a rule, is conducted in the following order: 1. first of all people are expressing own opinions and emotions, often loudly; 2. they are sharing and elucidating the information; 3. in case of relaxation of tension the talk is about a stage of dispute resolution. The parties are talking about what they want to change, are discussing conciliation opportunities, are deciding issues; 4. Finally they are signing the received agreement.<sup>224</sup>

A client must know what will happen at the first meeting of mediation, must differentiate open and closed meetings, must know main techniques usable by mediators and the information connected with confidentiality principle. An advocate must warn a client to show patience and consciousness in the course of process. He must know that even in case a dispute is not settled completely, certain issues might be settled by mediation and at least a number of disputes will be decreased.<sup>225</sup>

A client must be explained that a result of restraining from active involvement might be lost opportunities and this factor might have a negative influence on a final decision of the case.<sup>226</sup>

These are just those procedural issues, which must be explained at the preparatory stage of mediation.

---

<sup>216</sup> *Tsertsvadze G.*, Perspectives of Legal Regulation of Mediation in Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, National Center of Alternative Resolution of Disputes, Tbilisi, 2013, 239, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [05.07.2013].

<sup>217</sup> *Foster R.V., Kavan J.O., Greebel E.L., Zimmern W. H.*, Strategies for Negotiating Mergers and Acquisitions, Printed in the United States of America, 2011, 13.

<sup>218</sup> *Thorpe R.W.*, Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol.2, 2008, 14.

<sup>219</sup> *Picker B.C.*, Navigating Relationships: The Invisible Barriers to Resolution, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 44.

<sup>220</sup> *Riskin L.L., Westbrook J.E., Guthrie C., Reuben R.C., Robbenolt J.K., Welsh N.A.*, Dispute Resolution and Lawyers, Printed in the United States of America, 4<sup>th</sup> ed., 2009, 446. Cited: *Tsertsvadze G.*, Perspectives of Legal Regulation of Mediation in Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, National Center for Alternative Dispute Resolution Tbilisi, 2013, 240, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [05.07.2013].

<sup>221</sup> *Duryee L.*, Make the Most of Your Mediation: Early Preparation, 2014, 2, <<http://www.law.com/sites/lynnduryee/2014/04/28/make-the-most-of-your-mediation-early-preparation/>>.

<sup>222</sup> *Abramson H.I.*, Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 194.

<sup>223</sup> *Thorpe R.W.*, Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 13.

<sup>224</sup> *Beer J.E., Packard C.C.*, The Mediator's Handbook, Printed in Canada, 5<sup>th</sup> ed., 2012, 7.

<sup>225</sup> *Abramson H.I.*, Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 310.

<sup>226</sup> *Melnick J.D.*, Lost Opportunities in Mediation, Westlaw Journal Securities Litigation and Regulation, Vol. 13, Issue 4, 2013, 1, <<http://www.jamsadr.com/files/Uploads/Documents/Articles/Melnick-Opportunities-Mediation-2013-06-25.pdf>>.

## 6.4. Explanation to a Client a Role of Mediation Participants in the Mediation

At preparatory stages an advocate must not only explain a client scopes of own rights, but also give the information about a mediator and his role. It must be thought to be an integral part of the preparatory stage.

### 6.4.1. A Role of Mediator

An advocate must explain to a client the significance of choosing a mediator.<sup>227</sup> It itself includes definition of a role of mediator.

Mediator<sup>228</sup> is a negotiator. He is a leading figure of the process and is often called “process managers”.<sup>229</sup> His role may be interpreted as a helper of disputing parties.<sup>230</sup> A mediator helps parties in resolving disputes, he does not establish rules, does not give a legal consultation.<sup>231</sup>

A mediator contributes in deciding who will participate in mediation and how a plan of mediation will be formed.<sup>232</sup> He is a facilitator, providing information awareness of the parties, opens a process, does everything needed for reaching an agreement, comes into contact with the parties, fixes meetings, prepares mediation meetings and defines adjournment time.<sup>233</sup>

A mediator provides information awareness of participants on keeping the confidentiality rule.<sup>234</sup> He opens the process with questioning a client about the point of the dispute, though clarification of this issue might be completed at the meetings at the preparatory stage of mediation.<sup>235</sup> In order to conduct effective negotiation a mediator will study the history and essence of the problem.<sup>236</sup>

A mediator’s role is facilitation of the circumstance. He cannot force the parties or have rough influence on the process. A mediator might think that he found a proper solution of the issue, though if he presses this solution on the parties, it will be gross violation of mediator’s ethics.<sup>237</sup> A mediator will not have influence on the party’s decision either even if he wants to terminate the process.<sup>238</sup> A mediator only states the issues, around which an agreement might be reached, which of them will be settled faster.<sup>239</sup> He offers the parties agreements of argumentative, compromised character.<sup>240</sup>

A mediator must be a kind of model for the parties. He states a tone of talking, how to talk and how to listen to each other.<sup>241</sup>

---

<sup>227</sup> *Mosten F.S.*, Representing Clients in Mediation Effectively Setting up a Mediation, 3113, <[http:// www. mosten-mediation.com/books/articles/Representing\\_Your\\_Clients\\_In\\_Mediation.pdf](http://www.mosten-mediation.com/books/articles/Representing_Your_Clients_In_Mediation.pdf)>.

<sup>228</sup> Mediator – is a Latin word and Means Intermediate Party.

<sup>229</sup> *Domenici K., Littlejohn S.W.*, Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, 2<sup>nd</sup> ed., Illinois, 2001, 33.

<sup>230</sup> *Moffitt M.*, The Four Ways to Assure Mediator Quality, 2008, 17, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1117765](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1117765)>.

<sup>231</sup> *Greenwood M.*, How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, 11.

<sup>232</sup> *Jernigan M., Lord R.B.*, The Mediator’s Role in the Family Business, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 55, [xelmisawvdomia: Heinonline.org](http://xelmisawvdomia:Heinonline.org).

<sup>233</sup> *Greenwood M.*, How to Mediate Like a Pro 42, Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, 3.

<sup>234</sup> *Rubin M.A., Spector B.F.*, Ethical Conundrums For the 21<sup>st</sup> Century Lawyer/Mediator Toto I’ve got a Feeling We’re not in Kansas any More, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 82.

<sup>235</sup> *Jernigan M., Lord R.B.*, The Mediator’s Role in the Family Business, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 55.

<sup>236</sup> *Smith A.L., Smock D.R.*, Managing a Mediation Process, Printed in the United States of America, 2008, 10.

<sup>237</sup> *Greenwood M.*, How to Mediate Like a Pro 42 Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008,12.

<sup>238</sup> *Ibid*, 13.

<sup>239</sup> *Stepp J.A.*, How does the Mediation Process Work? 2003, 4, <<http://www.mediate.com/articles/steppj.cfm>>.

<sup>240</sup> *Riskin L.L.*, Alternatives to the High Cost of Litigation, Center for Public Resources, Vol. 12, Issue 9, 1994, 112.

<sup>241</sup> *Domenici K., Littlejohn S.W.*, Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, 2<sup>nd</sup> ed., 2001, 36.

By summing up this issue it is stated that the definition of a role of mediator in the mediation process can be formulated in the following way: 1. he provides conducting processes in order to solve a problem, to make communication between the parties for solving the problem; 2. he favors mutual understanding of the parties; 3. he gives the parties pieces of advice about increasing the effectiveness of negotiations; 4. he is studying relevancy of the parties' opinions and positions; 5. assists the parties in perceiving distinguished interests, trying to decrease hostility and poignancy and establish confidence; 6. assists the parties to prepare a plan of dispute resolution.<sup>242</sup> He must be able to express his opinion in short; must keep a distance with the parties;<sup>243</sup> He must have a good developed patience ability – must be able to wait long. Of course a mediator's role is not confined with possession of certain skills and means. His personality, humanity and life experience are parts of his role as well.<sup>244</sup>

All the above mentioned information must be given to a client by the advocate at the preparatory stage of mediation.

#### 6.4.2. Definition of a Client's Role

In the mediation process the decision is taken by the parties, not by the mediator.<sup>245</sup> The decision is based on their responsibilities; they will not receive advice from the mediator to reach a concrete agreement or not.<sup>246</sup> Although traditionally the mediation process is led by a mediator, the agreement is controlled by the parties.<sup>247</sup> Here should be noted that the decision taken by the parties themselves has more execution potential and is more stable.<sup>248</sup> This is one of the positive sides of the mediation process and heightens itself the importance of the client's involvement.

With the exception of certain concrete cases, which might be directly a personality problem of a client just it must be in the epicenter of the process.<sup>249</sup> He might have to have private meetings with the opponent.<sup>250</sup> He must decide himself he wants or not to use this or that method of dispute resolution and afterwards to accept or not the conditions of the agreement, the acceptance of which became possible in the course of the process.<sup>251</sup>

#### 6.4.3. Definition of Advocate's Role and Rights

In relation to the preparatory stage of mediation it is important the condition of The ABA Model Rules of Professional Conduct, according to which "An advocate is obliged to give a client consultation about restriction of own behaviors when a client is expecting actions, which are not permitted by law and according to the rules of professional behavior".<sup>252</sup> The existence of this demand is justified because of the

---

<sup>242</sup> *Jernigan M., Lord R.B.*, The Mediator's Role in the Family Business, American Journal of mediation, Vol. 2, 2008, 54.

<sup>243</sup> Centre for Conflict Resolution, Advanced Mediation Skills–Course Book Course C, 2000, 8, <unesdoc.unesco.org/images/0013/001333/133319e.pdf>.

<sup>244</sup> *Erickson S.K., Mcknight M.S.*, The Practitioner's Guide to Mediation A Client-Centered Approach, Printed in the United States of America, 2001, 60.

<sup>245</sup> *Greenwood M.*, How to Mediate Like a Pro 42, Rules for Mediating Disputes, Printed in the United States of America, 2008, 12.

<sup>246</sup> *Domenici K., Littlejohn S.W.*, Mediation Empowerment in Conflict Management, Printed in the United States of America, 2<sup>nd</sup> ed., 2001, 135,

<sup>247</sup> *Thorpe R.W.*, Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, American Journal of Mediation, Vol.2, 2008, 9.

<sup>248</sup> *Fel M.*, Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal, The Hague, 2008, 103.

<sup>249</sup> *Folberg G.*, Mediation the Roles of Advocate and Neutral, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2011, 237.

<sup>250</sup> *Golann D.*, Mediating Legal Disputes Effective Strategies for Neutrals and Advocates, Printed in the United States of America, 2009, 268.

<sup>251</sup> *Sherrill J. A.*, Ethics for Lawyers Representing Clients in Mediation, 3, <<http://www.americanjournalofmediation.com/docs/JOHN%20SHERRILL%20-Ethics%20for%20Lawyers%20Representing%20Clients%20in%20Mediation.pdf>>.

<sup>252</sup> The ABA Model Rules of Professional Conduct, Article 1, 4.



following reasons: often it is possible that a client might have the wrong opinion on the advocate's opinion or competence. Accordingly at the further stages of mediation in order to avoid misunderstanding it is inevitable to clarify this issue at the preparatory stage of mediation.

In practice, as a rule, the talk is about "advocacy" in the mediation process, though mediation itself mainly includes negotiation.<sup>253</sup> In fact an advocate's role in the mediation process is to assist with negotiation, defend a client's position and provision of the final agreement between the parties to be reflected on the result. In order to reach this, it is inevitable to find out a client's objectives and guess the opponent's objectives and to state the main difference between them.<sup>254</sup> For the representation in mediation an advocate needs essentially distinguished skills, which is especially reflected in cooperation and constructive talk with the other party.<sup>255</sup> The advocate's sensitiveness obligation in case of representation in the mediation process is defined differently from the obligation in the court room.<sup>256</sup> A client must know that an advocate instead of a standard role will play a cooperative, problem solving role.<sup>257</sup> It is indisputable that the advocate's role in case of representation in the mediation process is different. Instead of "winning" an advocate helps the client to solve the problem and in order to reach it, is clarifying his interests, showing weak sides of the case, searching ways of solving problems.

An advocate must explain to the client that in spite of the fact that the main role of a lawyer is a judicial estimation of the issue, this factor does not diminish taking part in nonjudicial aspects of conflict.<sup>258</sup> Finally the main role of an advocate – getting the best possible result is unchanged, though an action plan is different.<sup>259</sup>

### 6.5. repairing a Client to Answer Unexpected Questions

One of the actual procedural issues connected with mediation is to decide whether a client has to talk during the process of mediation or not. The form how this issue will be decided is greatly depended on each client's capability. Some mediators don't want to listen to a client, especially when the latter does not talk concisely and convincingly.<sup>260</sup>

In any case a mediator can talk with the parties separately so that to define their real interests,<sup>261</sup> put open questions to the party in order to get information about hidden emotions.<sup>262</sup> Accordingly an advocate must discuss with a client presumable questions, which might be given to the client by a mediator or other participants of the process.

It enables the client to prepare relevant productive answers.<sup>263</sup> An advocate must assist the client to express his own interests verbally.<sup>264</sup>

---

<sup>253</sup> *Golann D.*, *Mediating Legal Disputes Effective Strategies for Neutrals and Advocates*, Printed in the United States of America, 2009, 264.

<sup>254</sup> *Foster R.V.*, *Effective Negotiation Strategies and Approaches for MA lawyers and their Clients*, 2011, 8.

<sup>255</sup> *Iremashvili K.*, *Integration of Mediation with the Curriculum of Law School*, the National Center of Disputes Resolution, Tbilisi, 2012, 8, <[http://www.library.court.ge/upload/lib\\_ADR.pdf](http://www.library.court.ge/upload/lib_ADR.pdf)>.

<sup>256</sup> *Kovach K.K.*, *Mediation Principles and Practice*, 3<sup>rd</sup> ed., Printed in the United States of America, 2004, 424.

<sup>257</sup> *Abramson H.I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 311.

<sup>258</sup> *Coltri L.S.* *Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach*, 2<sup>nd</sup> ed., University of Maryland, University College, 2010, 80.

<sup>259</sup> *Golann D.*, *Mediating Legal Disputes Effective Strategies for Neutrals and Advocates*, Printed in the United States of America, 2009, 268.

<sup>260</sup> *Berman L.J.*, *Mediator's Opening Statements Offer Insights for Successful Results*, Published in the *Mediation Strategies*, California's Legal Newspaper, 2003, 2-3, <<http://www.americaninstituteofmediation.com/pg66.cfm>>.

<sup>261</sup> *Jernigan M., Lord R.B.*, *The Mediator's Role in the Family Business*, *American Journal of mediation*, Vol. 2, 2008, 56.

<sup>262</sup> *Stepp J.A.*, *How does the Mediation Process Work?* 2003, 5, <<http://www.mediate.com/articles/steppj.cfm>>.

<sup>263</sup> *Abramson H.I.*, *Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture*, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 315.

<sup>264</sup> *Pel M.*, *Referral to Mediation a Practical Guide for an Effective Mediation Proposal*, The Hague, 2008, 126.

Presumable questions, to which a client will have to answer, are the following: What happened? What kind of documents does he have to prove own position? Which witness will confirm his position? What are his objectives and interest? What is the opponent party's interest? What expectation has he from the mediation process? Has he any opinions connected with the resolution of the dispute? What results will be reached in case of applying to court? How long will it take court proceeding to prepare case? How much are approximately court expenses? What kind of actions will he perform, if the agreement can't be reached?<sup>265</sup> What barriers hampered him to conduct direct negotiation?<sup>266</sup>

An advocate must advise a client to answer the opponent party's questions honestly, carefully and correctly. He must also know which questions he must not answer. Some advocates uses mediation as a source of finding information. Accordingly it is not necessary to give the opponent information about all the details.<sup>267</sup>

### **6.6. Information Awareness of a Client About the Necessity of Fixing the Agreed Position from Him and an Advocate and Inadmissibility of Expressing Mutual Exclusive Expressions**

An advocate and a client must distribute responsibility among each other at the preparatory stage of mediation.<sup>268</sup> A concrete resolution of the issue often causes disagreement between the advocate and the client.<sup>269</sup> Accordingly there are cases when their interests don't coincide.<sup>270</sup> In such cases an advocate considering professional ethics must make concession to the client. It must be solved in this way in spite of the client's decision is against the advocate's interests or not.<sup>271</sup>

## **7. Conclusion**

Considering all the above mentioned it is stated that legislative regulation of issues connected with mediation is inevitable. Accordingly the conclusion received as a result of research will be following:

- Regulation of the mediation process must be done at a legislative level, including the definition of the process. It s a period, which starts with an agreement between parties and representatives on adjudication by means of mediation. The preparatory stage must be considered as an integral part of the mediation process. As a result advocates' obligations at the preparatory stage of mediation would be more reckoned with from the addressees' side.

- At a legislative level must be defined that all the obligations, which are imposed on advocates are also spread during representation in the mediation process (regardless of this demand is stated by state law or internationally recognized). It must be defined concretely that these obligations will be imposed on them from the preparatory stage of the mediation process.

- In addition to the obligations imposed on advocates when they are using other means of dispute resolution it is necessary to define those obligations, which will be imposed on advocates concretely in case of representation in the mediation process.

- At the preparatory stage of mediation an advocate must estimate how much reasonable is using of this means of dispute resolution. In the process of taking decision he must foresee each detail of each concrete case. General approaches are not enough.

---

<sup>265</sup> *Abramson H.I.*, Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 315-316.

<sup>266</sup> *Golann D.*, Mediating Legal Disputes Effective strategies for Neutrals and Advocates, Printed in the United States of America, 2009, 266.

<sup>267</sup> *Folberg G.*, Mediation The Roles of Advocate and Neutral, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2011, 263.

<sup>268</sup> *Abramson H.I.*, Mediation Representation Advocating as a Problem-Solver in any Country or Culture, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2010, 241.

<sup>269</sup> *Ware S.J.*, Principles of Alternative Dispute Resolution, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2003, 169.

<sup>270</sup> *Glick T.*, Creative Mediation, North Charleston, 2012, 37.

<sup>271</sup> *Ware S.J.*, Principles of Alternative Dispute Resolution, 2<sup>nd</sup> ed., Printed in the United States of America, 2003, 174.

- Relevant is an issue concerning which concrete advocate will combine with the role of a representative in the mediation process. Advocate's professionalism and the knowledge of Law cannot be considered to be a sufficient condition. For a person to be a representative in the mediation process it is mandatory that his personal capacity, properties and skills must comply with requirements of standard. Moreover a subject of estimation must be his attitude to mediation institute.

- It is important to define a form of initiation of dispute resolution by means of mediation from the advocate's side. It should be foreseen not only how an offer will be made for a client, but for the opponent party too.

- At the preparatory stage of mediation an advocate must arrange to define own action strategy/ tactics. Concretely in which form the strategy will be formed completely depends on a client's real interests and those preconditions, which caused the dispute. So before defining the strategy an advocate must study these factors in detail.

- At the preparatory stage of mediation an advocate must completely prepare the case, which includes the necessity of performing concrete actions, including studying factual circumstances, legal estimation; finding evidences for the process; choosing of a mediator; defining of a circle of persons participating in mediation.

- Preparation of the case also implies defining agreement conditions. As it is stated on the basis of the conducted research there must be worked out several alternatives of conciliation and define priorities to them.

- At the preparatory stage of mediation it is also important to prepare a client. It implies concrete actions: first of all the essence and basic principles of mediation must be explained to a client. It is a basic requirement. After this it is necessary to inform a client from a legal aspect and a plan of the process.

- An advocate must explain to a client each participant's role in the process in order not to become a base of a client's astonishment or dissatisfaction their approaches, conduct style (which of course will be different from participation in other kinds of process). From this point of view especially actual is the definition of an advocate's role. Such decision is caused by the fact that in the mediation process an advocate's action tactics, strategy or attitude to the participants of the process are radically different from their traditional approaches, from those conducts, which are characteristic for their traditional ideology.

- From the point of view of a client's preparation one of the main obligations of an advocate is the preparation of a client for answering to presumable questions.

- It is important that an advocate's conduct on representation in the mediation process (as well as in other processes) must be conformable to the client's best interests. Taking it into account it is stated that even in the case when in the opinion of the advocate a client's action is not justified, or had an alternative of a better choice, he must recede his own position into the background.

- In order to provide all these it is desirable for the parties and their advocates to compile exhaustive guides of mediation.<sup>272</sup>

- Considering of all the above mentioned it is inevitable to make changes in Georgian legislation.

---

<sup>272</sup> *Thorpe R.W.*, Final Report of the ABA Section of Dispute Resolution Task Force on Improving Mediation Quality, *American Journal of Mediation*, Vol.2, 2008, 5.

## არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ვიზიონი

თანამედროვე მსოფლიოში აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციის საჭიროებასა და აქტუალურობას დღითიდღე უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ხედავს. ამ საკითხში არც საქართველოა გამონაკლისი. ამის მაგალითი 2010 წელს დანერგილი არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაა, რომლის შედეგებითაც არაერთი ქვეყანა დაინტერესდა. ამ ნაშრომის ფარგლებში მკითხველი გაეცნობა საქართველოში განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განვითარების ისტორიას, სტატიაში განხილული იქნება პროგრამის პრინციპები, მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხები და მოცემული იქნება დეტალური სტატისტიკა. აღნიშნული საკითხები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს 2016 წლის 1 იანვარს ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ფონზე.

**საკვანძო სიტყვები:** არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება, სისხლის სამართლის მედიაცია, მედიაცია დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის, აღდგენითი მართლმსაჯულება.

### 1. შესავალი

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებასა და აღდგენითი მართლმსაჯულების<sup>1</sup> პრინციპებს. პროგრამის ამოსავალი წერტილია არასრულწლოვნის განრიდება ფორმალური მართლმსაჯულების პროცესისაგან და მისთვის იმგვარი გარემოს შექმნა, რომელიც თავიდან აგვაცილებს არასრულწლოვნის დამნაშავედ ჩამოყალიბებას. განრიდება არის არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მექანიზმი, რომლის უმთავრეს მიზანი არის განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება და დაზარალებულის ჩართვა სამართლიანობის აღდგენის პროცესში. პროფესიონალები, რომლებიც ამ პროგრამაზე მუშაობენ, იღვნიან ძირითადი მიზნისაკენ – საზოგადოებას დაუბრუნდეს სრულყოფილი მოქალაქე, რომელიც აღარ ჩაიდენს დანაშაულს. სწორედ ამიტომ ენიჭება პროგრამაში უდიდესი მნიშვნელობა არასრულწლოვნის რეაბილიტაციასა და სოციალურ რეინტეგრაციას.

### 2. პროგრამის განვითარების ისტორია

საქართველოში თანამედროვე სისხლის სამართლის მედიაციის ისტორია 2010 წლიდან, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ამოქმედებიდან, იწყება. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა დღეისათვის საერთაშორისო გამოც-

\* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

<sup>1</sup> აღდგენითი მართლმსაჯულების (Restorative Justice) მიზანია დარღვეული ურთიერთობების აღდგენა. ეს არის პროცესი, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის, დაზარალებულის და საზოგადოების საჭიროებების გამოკვეთასა და მათი დაკმაყოფილებისაკენ. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზიანს, როგორც მორალურს, ასევე მატერიალურს, მხარეების ჩართულობას პროცესში და დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ ქმედების გააზრებას, მის მიერ ვალდებულებების აღებას საკუთარ თავზე (ავტორის განმარტება, ლ.ჯ.).

დიღებასა და აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს ეფუძნება. სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის მედიაცია ჩვენს ქვეყანაში ცალკე, როგორც პროგრამა, დანერგული არაა. იგი, როგორც განრიდების ინსტრუმენტი და ძირითადი პროგრამის შემადგენელი ნაწილი, ისე გამოიყენება, თუმცა, 2015 წელს მიღებული და 2016 წლის 1 იანვარს ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილი უკვე იძლევა საშუალებას, აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებები და, შესაბამისად, მედიაციაც, მოსამართლის გადაწყვეტილებით, განაჩენით, სასჯელთან ერთად დაენიშნოს არასრულწლოვანს.

საერთაშორისო სტანდარტებისა და მიდგომების თანახმად, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ამოსავალი წერტილია არასრულწლოვნის განრიდება ფორმალური მართლმსაჯულების სისტემიდან და მისთვის იმგვარი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას. განრიდება არის არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მექანიზმი, რომლის უმთავრესი მიზანია განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება, არასრულწლოვნის, როგორც სრულყოფილი მოქალაქის, საზოგადოებაში დაბრუნება და დაზარალებულის სამართლიანობის აღდგენის პროცესში ჩართვა. სწორედ ამიტომ ენიჭება პროგრამაში უდიდესი მნიშვნელობა არასრულწლოვნის რეაბილიტაციასა და სოციალურ რეინტეგრაციას. სწორედ ამავ მიზანს ემსახურება ამ პროგრამაში მედიაციის კომპონენტიც. რა თქმა უნდა, მედიაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი დაზარალებულის საჭიროებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებაა.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საქართველოში 2010 წელს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების საფუძველზე ამოქმედდა.<sup>2</sup> სწორედ ამ ცვლილებების საფუძველზე 2010 წლის 19 ნოემბერს პირველად მოენერა ხელი განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას. ამ დროს პროგრამა მხოლოდ საქართველოს 4 ქალაქში მოქმედებდა.<sup>3</sup> „განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზანია, ის არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, ბოდიში მოუხადა დაზარალებულს, მზად არის აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ახალი პროგრამა, ერთი მხრივ, განარიდებს არასრულწლოვანს სისხლის სამართლის სისტემისა და ნასამართლობისაგან, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სამართლიანობის აღდგენას, რეციდივის თავიდან აცილებას და მოზარდის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას“.<sup>4</sup> 2010 წლის შემდეგ პროგრამა გაფართოვდა, 2013 წლის აგვისტოს თვეში დასრულდა საპილოტე რეჟიმი, ხოლო 2014 წლის ნოემბერში, მისი ამოქმედებიდან 4 წლის შემდეგ, დაიწყო განრიდებისა და მედიაციის პროგრამის რეფორმა. გაანალიზდა საპილოტე პერიოდში არსებული მდგომარეობა, მოხდა შეცდომებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება, შესწორდა ბევრი რამ და, რაც ყველაზე მთავარია, პროგრამა ახალ ეტაპზე გადავიდა.<sup>5</sup>

2014 წელს გატარებული რეფორმის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 216-ე ბრძანების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში არსებული მითითება, რომლის თანახმადაც, პროგრამა ვრცელდებოდა მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებსა და ისეთ დანაშაულზე, რომელიც „ჯგუფურობის“ (როგორც დამამძიმებელი გარემოების) გამო ხვდებოდა მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში. 2014 წელს, ბრძანებაში შესული ცვლილებების თანახმად კი, პროგ-

<sup>2</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ, 3616, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.09.2010.

<sup>3</sup> სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 1. იხ. <[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)> [30.06.2016].

<sup>4</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 4.

<sup>5</sup> სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 1. იხ. <[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)> [30.06.2016].

რამა გავრცელდა უკვე მძიმე დანაშაულებზეც. ამ ცვლილებებამდე იუსტიციის მინისტრის ბრძანება, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლს, რომელიც განრიდების შესაძლებლობას იძლეოდა როგორც ნაკლებად მძიმე, ასევე მძიმე დანაშაულებზეც, იუსტიციის მინისტრის ბრძანება კი ზღუდავდა ამ შესაძლებლობას.

მნიშვნელოვან ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 216-ე ბრძანებაში მითითებული პირველად ჩადენილი დანაშაულის ცნების გაუქმება. აღნიშნული დათქმის არსებობა ტოვებდა ფართო განმარტების საშუალებას და ასევე ეწინააღმდეგებოდა თავად ამავე ბრძანების სხვა მუხლებს, კერძოდ, დანაშაულთა ერთობლიობის დროს განრიდების დაშვებას. დანაშაულთა ერთობლიობისას, უმეტეს შემთხვევაში, დანაშაულთა ჩადენის დრო ერთმანეთისაგან განსხვავდება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება მეორე დანაშაულისათვის განრიდება, რამდენადაც ის პირველად ჩადენილ დანაშაულად ვეღარ ჩაითვლება. ცვლილების შემდეგ კი პროგრამა გავრცელდა პირებზე, რომლებიც არ ყოფილან ნასამართლევნი განრიდების გადაწყვეტილების მიღებამდე.

მედიაციის მიმართულებით მნიშვნელოვან ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს განრიდების გადაწყვეტილების მიღების სავალდებულო წინაპირობის გაუქმება არასრულწლოვნის მზადყოფნის შესახებ, დაზარალებულისათვის ბოდიშის მოხდისა და ზიანის ანაზღაურებისათვის მზადყოფნის თაობაზე.

მნიშვნელოვან ცვლილებებად შეიძლება ჩაითვალოს პროცედურების დახვეწა და პროფესიონალთათვის სამოქმედო ვადების დანესება. 2014 წლის ცვლილებებამდე პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისათვის არ არსებობდა დეტალურად განწერილი სამოქმედო ვადები. ამის გამო, პრაქტიკაზე დაფუძნებით შეიძლება ითქვას, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც განრიდების ან/და მედიაციის ხელშეკრულება გაფორმებულა დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე თვის ან წლის შემდეგაც კი. თავისთავად ცხადია, ეს გარემოება როგორც განრიდებას, ასევე მედიაციას მნიშვნელობასა და არსს აკარგვინებდა. აღნიშნული ვითარება არასრულწლოვანს ხელს უშლიდა დანაშაულის გაცნობიერებაში; ხელს უშლიდა იმასაც, რომ დაზარალებულს არ ჰქონოდა უსამართლობის შეგრძნება. გარდა ამისა, ვადების არარსებობის გამო მომხდარა ისეც, რომ განხორციელებულა ფორმალური, არაფრისმომცემი მედიაცია.

2014 წელს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს პროგრამაში მედიატორის როლის გაზრდა. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 216-ე ბრძანების ცვლილების მიხედვით, მედიატორი 2014 წლის ნოემბრიდან უკვე ადრეულ ეტაპზევე ერთვება განრიდებისა და მედიაციის პროცესში. მანამდე არსებული რედაქციით, მედიაციის პროცესში დაზარალებულის მონაწილეობის თაობაზე თანხმობას ან უარს იღებდა პროკურორი, ცვლილებების შემდეგ კი ყველა საქმეში, სადაც დაზარალებული არსებობს, ერთვება მედიატორი. იგი თავად უხსნის პროგრამის არსს, მიზნებს და ამის შემდეგ იღებს დაზარალებულის ინფორმირებულ თანხმობას ან უარს მედიაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით. „პრაქტიკამ აჩვენა, რომ პროკურორები ხშირად ვერ ახერხებენ საჭირო დონეზე დაზარალებულთან კომუნიკაციას, დროის უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო უჭირთ დაზარალებულისათვის პროგრამის მიზნებისა და არსის ახსნა და მათი დათანხმება მედიაციის პროცესში ჩართვაზე“.<sup>6</sup> ეს ცვლილება უდავოდ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამას სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მაჩვენებლებიც ადასტურებს. 2015 წლის მონაცემებით, პროგრამაში გაზრდილია მედიაციის კომპონენტის გამოყენება, 2015 წელს წარმატებით დასრულებული მედიაციის<sup>7</sup> მაჩვენებელმა შეადგინა 51%, რაც წინა წლების მაჩვენებლებთან შე-

<sup>6</sup> სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2014, 2-3. იხ. <<http://diversion.ge/res/files/52/Diversion%20Report%202014.pdf>> [30.06.2016].

<sup>7</sup> მედიაციის პროცესი, რომელზეც შედგა მედიაციის კონფერენცია და რომელიც დასრულდა განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებით გაფორმებით (ავტორის განმარტება, ლ.ჯ.).

დარებით თითქმის გასამმაგებელია: 2014 წლის ამავე პერიოდში წარმატებული მედიაციის მაჩვენებელი იყო 18%, 2013 წელს – 25%. წარმატებას ცხადყოფს მედიაციის კონფერენციების რაოდენობაც: 2015 წელს ჩატარდა 114 მედიაციის კონფერენცია, მაშინ, როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ჩატარებული იყო 28, ხოლო 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში 34 მედიაციის კონფერენცია შედგა.<sup>8</sup>

### 3. პროგრამის პრინციპები

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის 120-ე ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ აწესებს არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შემდეგ პრინციპებს: ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა; ნებაყოფლობითობა; პროპორციულობა; კონფიდენციალურობა; სტიგმატიზაციის დაუშვებლობა; არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

**ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობის** პრინციპის ქართულ რეალობაში შემოტანა და დამკვიდრება ძალზე მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმისათვის. მ. შალიკაშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ეს პრინციპი საქართველოს რეალობაში ახალია და ასეთ რამეს აქამდე არ იცნობდა მის მიერ დამუშავებული ლიტერატურა.<sup>9</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ქართული რეალობისაგან განსხვავებით, ზემოაღნიშნულ პრინციპს იცნობს და აწესებს ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტები, როგორებიცაა: ბავშვის უფლებათა კონვენცია<sup>10</sup> და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (შემდგომში – „პეკინის წესები“).<sup>11</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის მიიღოს ზომები სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით. გარდა ამისა, „პეკინის წესების“ მე-6 და მე-11 წესები ცალსახად აწესებენ ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების უპირატესობას სისხლის სამართლის პროცესის დროს. სწორედ ამ საერთაშორისო ნორმების შესატყვისი ნორმები იქნა ასახული ქართულ სისხლის სამართალში, რაც, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს პრინციპი კიდევ უფრო გამყარებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიერ,<sup>12</sup> რაც საგრძნობლად წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული სისხლის სამართლისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის.

იუსტიციის მინისტრის 120-ე ბრძანების თანახმად, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის **ნებაყოფლობითი** გადაწყვეტილება, როდესაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მხარეებზე ზეგავლენა დაუშვებელია. მხარეები უფლებამოსილი არიან, ნებისმიერ ეტაპზე თქვან უარი განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. ზემოხსენებული პრინციპი

<sup>8</sup> სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 5. იხ. <[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)> [30. 06.2016].

<sup>9</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 32-33.

<sup>10</sup> Convention on the Rights of the Child (მიღებული 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს).

<sup>11</sup> United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), (მიღებული 1985 წლის 29 ნოემბერს).

<sup>12</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლი, 3708-II ს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.06.2015.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ერთ-ერთი ფუძემდებლურ პრინციპია. ნებაყოფლობითობის გარეშე შეუძლებელი იქნება იმ მიზნების მიღწევა, რომლებსაც პროგრამა გულისხმობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროცესის ყველა მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია, უარი განაცხადოს პროგრამაში მონაწილეობაზე; აღნიშნული იქნება მოსამზადებელი, პრეკონფერენციისა თუ მედიაციის კონფერენციის ეტაპი. ეს პრინციპი კიდევ უფრო ამყარებს პროგრამით გათვალისწინებულ გარანტიებს. სხვაგვარად, პროცესში მისი ნებაყოფლობითი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის გაცნობიერება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსარიდებელ არასრულწლოვანს არა აქვს უფლება, უარი განაცხადოს მხოლოდ მედიაციის კომპონენტზე – იგი, როდესაც თანხმობას აცხადებს განრიდებაზე, ავტომატურად აცხადებს თანხმობას მედიაციაში მონაწილეობაზეც. მეტად მნიშვნელოვანია დაზარალებულის გაცნობიერებული თანხმობა მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. სწორედ ამ მიზეზით გახდა საჭირო მედიატორის როლისა და ჩართულობის გაზრდა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში. დღეისათვის, პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მედიატორები მუშაობის პროცესში დიდ დროსა და ძალისხმევას უთმობენ დაზარალებულის მიერ მისი როლისა და ფუნქციის გაცნობიერებას. დაზარალებულის ჩართულობა, გარდა იმისა, რომ იგი იღებს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურებას, ძალზე მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერებისთვისაც.

**პროპორციულობის პრინციპის** თანახმად, არასრულწლოვნისათვის დაკისრებული ვალდებულებები ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს. იუსტიციის მინისტრის 120-ე ბრძანების მიხედვით, ღონისძიებების განსაზღვრისას აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს არასრულწლოვნის ასაკი, მისი პირადი მახასიათებლები, დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და დანაშაულის გავლენა საზოგადოებზე. ზემოთქმული პრინციპი უზრუნველყოფს იმას, რომ არასრულწლოვანს არ დაეკისროს სასჯელზე უფრო მკაცრი ღონისძიება და მისთვის შერჩეული პირობები არ იყოს იმაზე მკაცრი, ვიდრე ის ჩადენილი ქმედებით იმსახურებს. პრაქტიკოსი პროფესიონალების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განრიდების ხელშეკრულების პირობების შერჩევა ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად ხდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე. ასეთ პირობებზე პირველ ეტაპზე აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი, შემდეგ კი მხარეები.

**კონფიდენციალურობა** არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კონფიდენციალურობის დაცვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პროგრამის მიზნების მიღწევა და პროფესიონალების მიერ განუხლები შრომაც ნყალში ჩაყრილი აღმოჩნდებოდა. იგი ერთ-ერთი საფუძველია იმისა, რომ არ მოხდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია. სწორედ კონფიდენციალურობის დაცვისა და **სტიგმატიზაციის დაუშვებლობის პრინციპებია** ის უმთავრესი და ფუძემდებლური პრინციპები, რომლებიც იცავენ არასრულწლოვანს და ასეთ დიდი მნიშვნელობას სძენენ არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამას. „განრიდების და/ან მედიაციის პროცესში მონაწილე სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზეა დამოკიდებული ის, რომ არ მოხდეს მოზარდის დამნაშავედ სტიგმატიზაცია (ეტიკეტირება) და შემდგომ მის მიერ საკუთარ პიროვნებაში დამნაშავის ძებნა. განრიდების და/ან მედიაციის პროცესში მონაწილე პირების სათუთი და ინდივიდუალური დამოკიდებულება დამნაშავე მოზარდისადმი უნდა ეყრდნობოდეს მოქალაქეთა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობას და ხელს უნდა უშლიდეს მოზარდის კრიმინალად სტიგმატიზაციას და მისი კრიმინალური „კარიერის“ ჩამოყალიბებას“.<sup>13</sup>

<sup>13</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 41.



**არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის** ზუსტ დეფინიციას არ იძლევა კვლევაში განალიზებული არცერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი დოკუმენტი. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს. ბავშვის საუკეთესო ინტერესი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში უნდა განმარტოთ როგორც მისი უფლება: იყოს დაცული, ჰქონდეს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განცდა; ასევე უნდა იყოს დაცული მისი ჯანმრთელობის, განათლებისა და განვითარების უფლებები; უმთავრესი ამოსავალი წერტილი კი უნდა იყოს ბავშვის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და საზოგადოებაში მისი სრულფასოვან წევრად დაბრუნება.<sup>14</sup> ყველა ზემოაღნიშნულის დაცვა კი უნდა მოხდეს თავად ბავშვის მოსმენით. ამ უფლების დეფინიციას ცალკე გვაძლევს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი.<sup>15</sup> ბავშვის საუკეთესო ინტერესის დეფინიცია აღწერილია ისეთ საერთაშორისო დოკუმენტში, როგორცაა „პეკინის წესები“ და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10. ამ უკანასკნელში ნათქვამია: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს. ბავშვებს უფროსებისგან ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარება, აგრეთვე ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები განსხვავებას. სწორედ ეს განსხვავებებია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეს განსხვავებები წარმოშობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განცალკევებისა და ბავშვების მიმართ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ გულისხმობს სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული ამოცანის ჩანაცვლებას, როგორცაა რეპრესია/დასჯა რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით. ყოველივე აუცილებელია განხორციელდეს საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით“.<sup>16</sup>

#### **4. პროგრამის სამართლებრივი რეგულირება**

დღეისათვის არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა რეგულირდება შემდეგი აქტებით: საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“; საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი №132/ზ95/ზ23 ბრძანება და სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ბრძანება „არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“.

2016 წლის პირველ იანვარს ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ბევრი ცვლილება შევიდა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის რეგულაციების საკითხებში. მათ შორის, მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო პროგრამის გავრცობა 18-იდან 21 წლამდე პირებზე, განრიდების უფლებამოსილების მინიჭება სასამართლოსათვის, ახალი ღონისძიებების შემოტანა და სხვ.

მოქმედი რეგულაციების მიხედვით, 21 წელს მიუღწეველი პირის განრიდების უფლებამოსილებას პროკურორს წინასასამართლო სხდომამდე საქართველოს არასრულწლოვანთა

<sup>14</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი, 59-60. იხ. <<http://www.parliament.ge/ge/law/8688/18832>>[30.06.2016].

<sup>15</sup> Convention on the Rights of the Child (მიღებული 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს).

<sup>16</sup> General Comment №10, Children's rights in juvenile justice, UN, [2007].

მართლმსაჯულების კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ანიჭებს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განრიდების უფლებამოსილება ასევე აქვს მოსამართლესაც, რომელსაც სწორედ არასრულწლოვანთა კოდექსმა მიანიჭა უფლება – საქმე დაუბრუნოს პროკურორს პირის განრიდების მიზნით. ხოლო პროკურორი უკვე ვალდებულია, განარიდოს 21 წელს მიუღწეველი პირი. მოსამართლეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, განრიდების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზეც. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებენ არა მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე პრობაციის ეროვნული სააგენტოსაგან ითხოვენ განსარიდებელი პირის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რაც ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს განრიდების გადაწყვეტილების მიღებისას.

მოსამართლისათვის განრიდების უფლებამოსილების მინიჭება ძალზე დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამ დრომდე არსებული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლოდან დაბრუნებული განრიდების მაჩვენებელი საერთო მაჩვენებელთან შედარებით საკმაოდ დაბალია. საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, 2016 წლის 5 თვის განმავლობაში სასამართლოდან დაბრუნდა 15 ოცდაერთ წელს მიუღწეველი პირის საქმე, საერთო ჯამში კი განრიდდა 200-ამდე პირი. თუმცა აღნიშნული ფაქტორი გარკვეული ფილტრია პროკურორისთვისაც, რომ მან დროულად მიიღოს სწორი გადაწყვეტილება განრიდების თაობაზე.

ასევე ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანთა საქმეებზე, პირველ რიგში, უნდა მოხდეს განრიდების შესაძლებლობის განხილვა და უნდა შეფასდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და დანაშაულის თავიდან აცილებას. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის მაღალ სტანდარტს როგორც პროკურორისათვის, ასევე მოსამართლისათვის – შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაასაბუთოს, რატომ არ იყენებს განრიდებას და რატომ თვლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უფრო მნიშვნელოვნად ყოველ კონკრეტულ საქმეში.

განვიხილოთ განრიდების პროცედურები ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა და პრაქტიკის საფუძველზე. პირველ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდების წინასწარ გადაწყვეტილებას, იგი ხვდება არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს (ადვოკატის ყოლის შემთხვევაში ადვოკატსაც); უხსნის მათ განრიდების პროგრამის არსს, სამაგალითო პირობებს და აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას. თანხმობის მიღების შემთხვევაში იგი ხვდება დაზარალებულსაც, მასაც აწვდის განრიდების გადაწყვეტილების მიღების შესახებ ინფორმაციას და აფორმებს დაზარალებულთან კონსულტაციის ოქმს; ამის შემდეგ კი უხსნის, რომ მას დაუკავშირდება მედიატორი და აწვდის მოკლე ინფორმაციას მისი საქმიანობის შესახებ. მომდევნო ეტაპზე პროკურორს გამოაქვს დადგენილება განრიდების პროცესის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იგი მიმართავს აგზავნის 3 სამუშაო დღის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში სოციალური მუშაკის გამოყოფის მოთხოვნით. პარალელურად იგი აგზავნის მიმართავს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრში მედიატორის გამოყოფის მოთხოვნით. პრობაციის ბიუროს უფროსი და განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერი ვალდებული არიან, 2 სამუშაო დღის განმავლობაში საქმე დაანერონ სოციალურ მუშაკს და მედიატორს. თითოეული მათგანი მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მუშაობას.

სოციალურ მუშაკს აქვს 10 სამუშაო დღის ვადა იმისათვის, რომ მან შეაფასოს არასრულწლოვანი და მისი სოციალური გარემო; შეაფასოს განსარიდებლის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები და მოამზადოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომელშიც დაფიქსირებული იქნება ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი და ასევე შესთავაზოს პროკურორს და, მედიაციის შემთხვევაში, მედიატორსაც სარეკომენდაციო პირობები განრი-

დებისათვის, ამასთან ერთად, უნდა შეფასდეს განმეორებითი დანაშაულის რისკიც. სოციალური მუშაკის პარალელურად, 10 სამუშაო დღის განმავლობაში დაზარალებულთან მუშაობს მედიატორიც. ამ ვადაში იგი ვალდებულია, შეხვედეს დაზარალებულს, გააცნოს მას განრიდების პროგრამა, მიანოდოს ინფორმაცია მედიაციის შესახებ და მიიღოს მისგან მედიაციაში ჩართვაზე გაცნობიერებული თანხმობა ან უარი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მედიატორს აქვს უფლებამოსილება, თავად განაცხადოს უარი დაზარალებულის მედიაციის პროცესში ჩართვაზე. ეს გარემოება შესაძლებელია, სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული, მაგალითად: დაზარალებულის აგრესიულობით, მისი ცხოვრებისეული დამოკიდებულებით ან სხვა ფაქტორებით. ზემოხსენებულ 10 დღის ვადაში მედიატორი ვალდებულია, დაზარალებულის უარის ან მის (მედიატორის) მიერ დაზარალებულის პროცესში ჩართვაზე უარის შემთხვევაში, შესაბამისი ოქმი გადაუგზავნოს პროკურორს, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერს, და, აგრეთვე, შეატყობინოს სოციალურ მუშაკს. სწორედ ამ ეტაპზე წყდება, განრიდება გაგრძელება მედიაციით თუ მედიაციის გარეშე.

პრაქტიკაზე დაყრდნობით და პრაქტიკოსი მედიატორების ინფორმაციით, მათ ყველაზე დიდი შრომის განევა დაზარალებულის მედიაციაში მონაწილეობაზე დასათანხმებლად უწევთ. ამ დროს ისინი დაზარალებულთან მუშაობენ მოტივაციის ამაღლების მიზნით, რადგან დაზარალებულების მოტივაცია, უმეტეს შემთხვევაში, ძალიან დაბალია. უმეტესობა მათგანი ვერ აცნობიერებს მედიაციის დადებით როლს როგორც მისთვის, ასევე არასრულწლოვნისათვის. ხშირად მოქალაქეებს არც სმენიათ მედიაციის შესახებ და, ბუნებრივია, არც პროგრამას იცნობენ. მედიატორებს დიდი ძალისხმევის განევა უწევთ პროგრამის არსის, მიზნების, პრინციპების ახსნისათვის და დაზარალებულების მოტივაციის ამაღლებისათვის. თუმცა სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრის გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, დაზარალებულების დიდი ნაწილი თანხმდება მედიაციას.<sup>17</sup> უმეტეს შემთხვევაში, მათი უარი მოუცლელითა და ზიანის სიმცირითაა განპირობებული. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც თავად მედიატორი აფორმებს უარის ოქმს. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად: დანაშაულის შემდეგ გასული დიდი დრო, არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ან, თუნდაც, დაზარალებულის უარი მედიატორთან პირველ შეხვედრაზეც კი.

იმ შემთხვევაში, თუ განრიდება გრძელდება მედიაციის გარეშე, სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადა ეძლევა პროკურორს, იმისათვის, რომ უზრუნველყოს განრიდების ხელშეკრულების გაფორმება. ამ ვადაში შედის ასევე ხუთი სამუშაო დღე, რომლის განმავლობაშიც სოციალური მუშაკი და პროკურორი ვალდებული არიან, შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობებზე. მედიაციის გარეშე განრიდების წარმართვის შემთხვევაში, პრაქტიკაში ხელშეკრულება ფორმდება პროკურატურის შენობაში, სადაც მას ხელს აწერენ: არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი და სოციალური მუშაკი. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს ჰყავს ადვოკატი, ხელშეკრულებას ხელს აწერს ისიც; ასევე შესაძლებელია, საჭირო იყოს თარჯიმნის ან სხვა პირის დასწრება, რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ ხელშეკრულებას.

იმ შემთხვევაში, თუ განრიდება წარმართება მედიაციით, სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადა აქვს მედიატორს იმისათვის, რომ უზრუნველყოს მხარეებთან მედიაციის მოსამზადებელი შეხვედრებისა და მედიაციის კონფერენციის წარმართვა. ამ 10 სამუშაო დღის განმავლობაში მედიატორი ვალდებულია, ხელშეკრულების პირობები შეათანხმოს პროკურორთან და სოციალურ მუშაკთან, შემდეგ კი, სულ მცირე, ერთხელ, შეხვედეს არასრულწლოვანს და დაზარალებულს, მოამზადოს ისინი მედიაციის კონფერენციისათვის და შემდეგ ჩაატაროს მედიაციის კონფერენცია. ზემოაღნიშნული შეხვედრა იმართება აუცილებლად ნეიტრალურ ტერიტორიაზე. დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, თბილისში მედიაციის მო-

<sup>17</sup> სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 5. იხ. <[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)>, [30. 06.2016].

სამზადებელი და საერთო შეხვედრები ტარდება „მედიაციის სახლში“, რომელიც 2014 წელს გაიხსნა და არის სპეციალურად მონყობილი სივრცე მედიაციისათვის; უზრუნველყოფილია კომფორტული ოთახები მოსამზადებელი შეხვედრებისა და მედიაციის კონფერენციისთვის. რაც შეეხება კონფერენციის მიმდინარეობას, მას წარმართავს მედიატორი. შეხვედრას ესწრებიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, ადვოკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაზარალებული. მედიაციის კონფერენციას, ასევე სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა, დაესწროს პროკურორი და სოციალური მუშაკიც. რაც ასევე მნიშვნელოვან ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ. პრაქტიკოსი მედიატორების ინფორმაციით, მედიაციის პროცესს საკმაოდ ართულებდა პროკურორისა და სოციალური მუშაკის დასწრება, რაც, უმეტეს შემთხვევაში, მათი დროის უქონლობითა და მოუცლევლობით გამოიხატებოდა და რთულდებოდა კონფერენციის ყველასათვის მისაღები დროის ჩანიშვნა. ეს პრაქტიკაში სირთულეებს ქმნიდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულია, რომ შეხვედრას ასევე შეიძლება დაესწრონ მხარეთა მხარდამჭერები. მხარდამჭერი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ვის დასწრებასაც მხარე მოისურვებს. მედიატორი ასეთ შემთხვევაში ვალდებულია, წინასწარ შეათანხმოს მეორე მხარესთან და მხოლოდ მათი თანხმობის მიღების შემდეგ ჩართოს ეს პირი მედიაციის პროცესში.

მედიაციის კონფერენციის დროს ყველა დამსწრე პირს რიგრიგობით ეძლევა სიტყვის წარმოთქმის საშუალება. რიგითობას წინასწარ განსაზღვრავს მედიატორი. პრაქტიკოსი მედიატორების თქმით, ძალზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მონაწილეების განლაგება კონფერენციის მსვლელობისას: არასრულწლოვანი და დაზარალებული უნდა ისხდნენ პირისპირ მედიატორის მარჯვნივ და მარცხნივ; არასრულწლოვანის გვერდით უნდა იჯდეს მისი კანონიერი წარმომადგენელი და სოციალური მუშაკი; დაზარალებულის გვერდით კი – პროკურორი. კონფერენციის დროს მონაწილეები გულწრფელად საუბრობენ მომხდარი ფაქტის შესახებ, გამოხატავენ ემოციებს და მოსაზრებებს. მედიაციის საერთო შეხვედრაზე დაუშვებელია არასრულწლოვანის პიროვნების გაკიცხვა. ამ დროს საუბარი ეხება მხოლოდ ქმედებას და არა თავად არასრულწლოვანის პიროვნებას. ასევე დაუშვებელია აგრესიული და დირექტიული ტონით საუბარი. სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში, მედიატორი უფლებამოსილია, გამოაცხადოს შესვენება და მხარეები გაიყვანოს ცალ-ცალკე ოთახებში, შემდეგ ისევ დააბრუნოს და გააგრძელოს მედიაციის კონფერენცია. საერთო შეხვედრის დასასრულია ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელსაც ხელს აწერს ყველა დამსწრე პირი.

აღდგენით მართლმსაჯულებაში, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის მედიაციაში, საკამათო, თუმცა მნიშვნელოვან, თეორიად მიიჩნევა ე.წ. „რეინტეგრაციული შერცხვენის“ თეორია, რომელიც აღწერილია ჯონ ბრაიტვაიტის ნაშრომში: „დანაშაული, სირცხვილი და რეინტეგრაცია“<sup>18</sup>. ავტორი ნაშრომში მსჯელობს, რომ როგორც განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების ერთი-ერთი გზა, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს შერცხვენა, რომელიც ამცირებს პირს, შეურაცხყოფას აყენებს მას, სტიგმატიზაციას ახდენს და რეინტეგრაციული შერცხვენა, როდესაც მნიშვნელოვანი ადამიანები, სწორი გზით გამობენ დანაშაულს, მაგრამ არა დამნაშავის პიროვნებას, რაც, თავის მხრივ, აძლევს ამ ადამიანს სირცხვილისგან გათავისუფლების საშუალებას და თავიდან გვარიდებს განმეორებით დანაშაულს. რეინტეგრაციული შერცხვენის თეორიის მიხედვით, დანაშაულის შედეგების განხილვა დაზარალებულის (დამნაშავის ოჯახის) თანდასწრებით, აყალიბებს კონფერენციაზე სირცხვილის განცდის პროცესს; ამ პროცესში იმ ადამიანებისაგან დახმარება, ვისაც განსაკუთრებული პატივისცემა, სიყვარული და მჭიდრო ურთიერთობა აქვთ დანაშაულის ჩამდენ პირთან, რეინტეგრაციის მიზნების მიღწევას უწყობს ხელს და ამ პროცესს რიტუალად აქცევს. ეს არ არის პოლიციის, მოსამართლის ან საგაზეთო სტატიის მეშვეობით განცდილი სირცხვილის გრძნობა, რომელსაც დანა-

<sup>18</sup> Braithwaite J., *Crime, Shame and Reintegration*, Cambridge, UK, 1989.

შაულის ჩამდენი პირი დიდი ალბათობით ყურადღებას არ მიაქცევს; ეს არის სირცხვილის განცდა იმათი თვალთახედვიდან, ვისაც დიდ პატივს ვცემთ და ვენდობით.<sup>19</sup>

რაც შეეხება, განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას, ეს არის სამოქალაქო ტიპის ხელშეკრულება, რომლის ხანგრძლივობის ვადა შეიძლება იყოს 12 თვე. მასში ასახულია მხარეთა ვალდებულებები, განსაკუთრებით გამოსაყოფია ის ნაწილი, რომელიც ეხება არასრულწლოვანს და პირობითად შეგვიძლია დავყოთ 2 ნაწილად – სერვისები და ვალდებულებები. პირველი ნაწილი მოიცავს სხვადასხვა სერვისს არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის; რაც შეეხება ვალდებულებების ნაწილს, ისიც ასევე პირობითად შეიძლება 2 ნაწილად დავყოთ – ვალდებულებები დაზარალებულის წინაშე და ვალდებულებები საზოგადოების წინაშე. პრაქტიკაში მომუშავე პროფესიონალებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მედიატორებიც და სხვა პროფესიონალებიც, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობენ, არასრულწლოვანმა ზიანი საკუთარი ქმედებით, და არა თანხით, აანაზღაუროს. აქ იგულისხმება დაზარალებულის წინაშე ვალდებულებების დაკისრება. მათი თქმით, მსგავსი პირობის შემუშავება შედარებით მარტივია, როდესაც საქმე გვაქვს იურიდიულ პირთან. პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ხშირია შემთხვევა სუპერმარკეტებში, მაღაზიებსა და სხვა დაწესებულებებში არასრულწლოვნის ხელფასის გარეშე დასაქმებისა, რითიც იგი მის მიერ მიყენებულ ზარალს ანაზღაურებს. რაც შეეხება საზოგადოების წინაშე ვალდებულებების ნაწილს, იგი ემსახურება არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის გაცნობიერებას, საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის გამოსწორებას და სხვ. ასეთ შემთხვევებში, პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ხშირია ისეთი პირობებით სარგებლობა, როგორებიცაა მოხუცებულთა თავშესაფრებში ან უფასო სასადილოებში პერსონალისათვის დახმარების განწვევა, გამწვანებისა და დასუფთავების აქციებში მონაწილეობა და სხვ.<sup>20</sup>

საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რამდენიმე პირობის მაგალითი, რომელიც მედიაციის პროცესში შეირჩა:

- დაეხმაროს დაზარალებულს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში;
- დაეხმაროს დაზარალებულს საკუთარ მაღაზიაში სურსათის აღრიცხვა-დალაგებაში;
- აანაზღაუროს დაზარალებულის მაღაზიისთვის მიყენებული ზიანი;
- დაეხმაროს წყალმომარაგების სამსახურის თანამშრომლებს სამსახურის კუთვნილი მიწების მონიტორინგისა და შეკეთების საქმეში;
- დაეხმაროს საცურაო აუზის ხელმძღვანელობას ეზოს მოწესრიგებაში.<sup>21</sup>

აღნიშნული და სხვა პირობების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ დაზარალებულის ჩართულობას მედიაციის პროცესში, განსაკუთრებით კი პირობების შერჩევისას, დიდი მნიშვნელობა აქვს. მსგავსი პირობების უმთავრესი დანიშნულება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედებისა და მიყენებული ზიანის გაანალიზებაა. სწორედ ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია დაზარალებულთა ჩართულობა და მათ მიერ საკუთარი პირობების წამოყენება. გარდა იმისა, რომ ამით არასრულწლოვანს ვეხმარებით დანაშაულებრივი ქმედების და მისი შედეგის გააზრებაში, ასევე ვზრუნავთ დაზარალებული პირისათვის როგორც მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე, ისე მორალური ზიანის შემცირებაზე.

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების არასრულწლოვნის მიერ შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სოციალური მუშაკი, რომელიც ხვდება მას გარკვეული პერიოდულობით, ესაუბრება მომხდარი ფაქტის შესახებ და მუშაობს მასთან დანაშაულის გაცნობიერებაზე. იგი ასევე ამონმებს ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობას. ზემოაღნიშნულის თაობაზე წერს ყოველთვიურ ანგარიშს, რომელიც ეგზავნება პროკურორს. თავად პროკურო-

<sup>19</sup> Annual Report for 2003 and Resource Material Series No. 63, Unafei, Fuchu, Tokyo, 2004.

<sup>20</sup> სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 5. იხ. <[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)>[30. 06.2016].

<sup>21</sup> იქვე.

რი კი ვალდებულია, სულ მცირე, 3 თვეში ერთხელ შეხვედეს არასრულწლოვანს. არსებობს ალბათობა, რომ არასრულწლოვანმა არ გამოიყენოს მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობა. ასეთ შემთხვევაში, თუ პირობა უხეშადაა დარღვეული, პროკურორი არასრულწლოვანთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრების შემდეგ ყველა გარემოების გათვალისწინებით უფლებამოსილია, შეწყვიტოს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება და საქმე წარმართოს სასამართლოში ტრადიციული მართლმსაჯულების გზით. მსგავსი შემთხვევების რაოდენობა საკმაოდ მცირეა – 2015 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ს შეადგენდა.<sup>22</sup>

## 5. სტატისტიკა<sup>23</sup>

2010 წლიდან 2014 წლამდე პერიოდი საკმაოდ დროა იმისათვის, რომ გამოვლენილიყო ხარვეზები და გაანალიზებულიყო სტატისტიკა. სწორედ ამაზეა დაფუძნებული 2014 წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილებები. მეტად მნიშვნელოვანია, რომ განრიდების მაჩვენებელი 2015 წლის განმავლობაში გაზრდილია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წარმატებით დასრულებული მედიაციის<sup>24</sup> მაჩვენებელი – იგი 2015 წელს გასულ წელთან შედარებით გასამმაგდა. ესეც 2014 წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილებების შედეგია.

საერთო ჯამში 2015 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 296 არასრულწლოვანი. აქედან 143 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 114 მედიაციის საერთო შეხვედრა.

2010 წლიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საერთო ჯამში განრიდებულ იქნა 1038 არასრულწლოვანი.

1. წარმატებით დასრულებული მედიაციის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა რაოდენობის მიხედვით (საქმეებში, სადაც კონკრეტული დაზარალებული არსებობდა)

	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
წარმატებით დასრულდა	25%	18%	51%

2. წარმატებით დასრულებული მედიაციის კონფერენციები

	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
წარმატებით დასრულდა	34 მედიაციის კონფერენცია	28 მედიაციის კონფერენცია	114 მედიაციის კონფერენცია

3. მედიაციის ჩაშლის მიზეზები 2015 წელს

მიზეზი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
დაზარალებული არ არსებობდა	7	2%
მედიაციაზე უარი განაცხადა მედიატორმა	71	24%
მედიაციაზე უარი განაცხადა დაზარალებულმა	67	23%
სხვა	8	3%
მედიაცია წარმატებით დასრულდა	143	48%
სულ	296	

<sup>22</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიში „არასრულწლოვანთა განრიდება“, 2015, 19.

<sup>23</sup> სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ანგარიში განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, 2015, 5. იხ. <[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)> [30.06.2016].

<sup>24</sup> მედიაციის პროცესი, რომელზეც შედგა მედიაციის კონფერენცია და რომელიც დასრულდა განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების გაფორმებით (ავტორის განმარტება, ლ.ჯ.).

4. 2013-2015 წლების მონაცემები

	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნები	332 საქმე	204 საქმე	296 საქმე
აქედან კონკრეტული დაზარალებული არსებობდა	203 საქმე	197 საქმე	282 საქმე
სხვა			7 საქმე
მედიაცია შედგა	51 საქმე	36 საქმე	143 საქმე
პროცენტული მაჩვენებელი	25%	18%	51%

5. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
იმერეთი	16	5%
რაჭა	0	0%
კახეთი	28	9%
სამცხე-ჯავახეთი	15	5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	27	9%
შიდა ქართლი	19	6%
მცხეთა-მთიანეთი	8	3%
ქვემო ქართლი	22	7%
აჭარა	29	10%
გურია	17	6%
თბილისის პროკურატურები	104	35%
მთავარი პროკურატურა/საოლქო პროკურატურები	11	4%
სულ	296	

6. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები თვეების მიხედვით

თვე	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
იანვარი	14	5%
თებერვალი	16	5%
მარტი	29	10%
აპრილი	27	9%
მაისი	28	9%
ივნისი	32	11%
ივლისი	27	9%
აგვისტო	25	8%
სექტემბერი	14	5%
ოქტომბერი	21	7%
ნოემბერი	15	5%
დეკემბერი	48	16%
სულ	296	

7. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები სქესის მიხედვით

სქესი	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
მდედრობით	26	9%
მამრობითი	270	91%
სულ	296	

8. განრიდებულთა მონაცემები დანაშაულის ჩადენის დროს ასაკის მიხედვით

ასაკი	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
14 წლის	52	18%
15 წლის	61	21%
16 წლის	75	25%
17 წლის	108	36%
სულ	296	

9. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით

კატეგორია	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
მძიმე	95	32%
ნაკლებად მძიმე	201	68%
სულ	296	

10. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით

ხანგრძლივობა	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
1 თვე	19	6%
1,5 თვე	1	0%
2 თვე	129	44%
2,5 თვე	4	1%
3 თვე	93	31%
4 თვე	35	12%
5 თვე	6	2%
6 თვე	9	3%
7 თვე	-	0%
8 თვე	-	0%
9 თვე	-	0%
10 თვე	-	0%
11 თვე	-	0%
12 თვე	-	0%
სულ	296	



1. 2010-2015 წლების სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
იმერეთი	104	10%
რაჭა	1	0%
კახეთი	67	6%
სამცხე-ჯავახეთი	49	5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	64	6%
შიდა ქართლი	68	7%
მცხეთა-მთიანეთი	33	3%
ქვემო ქართლი	102	10%
აჭარა	88	8%
გურია	35	3%
თბილისის პროკურატურები	412	40%
მთავარი პროკურატურა/საოლქო პროკურატურები	15	1%
სულ	1038	

11. 2010-2015 წლების სტატისტიკური მონაცემები სქესის მიხედვით

სქესი	საქმეების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
მდედრობით	96	9%
მამრობითი	942	91%
სულ	1038	

## 6. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2010 წლიდან დღემდე არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა მუდმივ განახლებას განიცდის: ყოველ წელს ეტაპობრივად ემატებოდა ქალაქები და იზრდებოდა სამოქმედო არეალი; 2014 წელს გაიზარდა დანაშაულების კატეგორია, რომელზეც განრიდება ვრცელდება და პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც; შეიცვალა პროცედურები; დაწესდა პროფესიონალთა სამოქმედო ვადები; რეფორმის ამავე ტალღის დროს გაიზარდა მედიატორის როლი; აღმოიფხვრა პროგრამის განვლილი პერიოდის ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამა 2016 წლიდან გავრცელდება ასევე 18-21 წლამდე ახალგაზრდებზეც; მოსამართლეს მიენიჭა განრიდების მიზნით პროკურორისათვის საქმის დაბრუნების უფლება, რაც პროკურორისათვის შესასრულებლად სავალდებულოა; შეიქმნა განრიდების ახალი ღონისძიებები; განრიდებისა და მედიაციის პროგრამა გახდა უპირველესი განსახილველი ზომა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალებისათვის და განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

## Overview of the Juvenile Diversion and Mediation Program

*More and more countries encounter necessity and relevance of restorative justice concept in the modern world. Georgia is no exception in this regards. The clear example of this tendency is Juvenile Diversion and Mediation Program included in Georgia in 2010, the results of which appear of utmost interest of various countries. The hereby work provides history of development of diversion and mediation program in Georgia. The article also considers the principles of the program, legal regulation issues. We will also find the detailed statistics of the program. The hereof issues obtain particular relevancy against the background of juvenile justice code, enacted on January 1, 2016.*

**Key words:** Juvenile Justice, diversion, mediation in criminal justice, victim offender mediation (VOM), Restorative Justice.

### 1. Introduction

The Juvenile Diversion and Mediation Program is based on international practice and the principles of restorative justice.<sup>25</sup> The starting point of the program is diversion of a juvenile from the process of formal justice and provision of an environment for him/her to prevent formation of a juvenile as a criminal. Diversion is a mechanism to exempt a juvenile from a formal justice system the primary objective of which is to avert the repeated crime and to involve the victim of an offense into the process of restoration of justice. The professionals developing the hereof program, aspire to the main goal – to provide formation of a juvenile into a full-fledged citizen for a society, abstaining from committing a crime henceforth. Hence, the greatest importance within the program is attached to rehabilitation and social reintegration of a juvenile.

### 2. History of Development of a Program

The history of a modern mediation in criminal justice in Georgia starts in 2010, with the enactment of the Juvenile Diversion and Mediation Program. Currently, the Juvenile Diversion and Mediation Program is based on an international practice and the basic principles of the restorative justice. It is fairly noteworthy that the victim offender mediation is not inculcated as an independent program in Georgia. It is applied in capacity of the diversion instrument and an integral part of a main program. However, the part 4 of the Article 67 of the Juvenile Justice Code, adopted in 2015 and enacted on January 1, 2016 already allows application of the restorative justice remedies and correspondingly mediation on the basis of the Order of the Judge under the judgment to the juvenile in combination with the sentence.

---

\* Master of Law, TSU Faculty of Law. The Diversion/Diversion and Mediation Program Manager, The LEPL “Center for Crime Prevention” Under the Ministry of Justice of Georgia.

<sup>25</sup> Restorative Justice Aims at restoration of Broken Relationships. This is the Process Directed to Outline and Satisfy the Needs of an Offender, a Victim and a Society. Upon Implementation of the Programs of Restorative Justice, the Particular Attention is Attached to the Damage – as Moral so Material, Involvement of the Parties into the Process and Acknowledgement of Actions Committed by an Offender, Assuming Obligations (clarification by an author – L.J.).

In compliance with the international standards and approaches, the starting point of the Diversion and Mediation Program is diversion of a juvenile from the formal justice system and provision of environment to facilitate the prevention of a juvenile from committing a repeated crime.

Diversion is the mechanism for exemption of a juvenile from criminal responsibility the primary objective of which is to prevent repeated crime, to facilitate the juvenile to reintegrate into the society as a full-fledged citizen and to involve the victim of an offense into the process of restoration of justice. That is why rehabilitation and social reintegration of a juvenile is of utmost importance in the program and thus, the component of mediation serves for the hereof goal within the program. Naturally, one of the most important objectives of mediation is to satisfy the needs and requirements of a victim as well.

The Juvenile Diversion and Mediation Program was enacted in 2010 on the basis of the Changes introduced to the Criminal Code of Practice of Georgia.<sup>26</sup> On the hereof basis, on November 19, 2010 the Diversion and Mediation Agreement was signed for the first time. It was a time when the program was valid only in four cities of Georgia.<sup>27</sup> “The Diversion and Mediation Program aims to exempt the juvenile, committing a less grave crime for the first time, who apologized to the victim and is committed to compensate the inflicted damage, from the criminal responsibility. On the one hand, the new program diverts a juvenile from the criminal system and conviction and on the other hand, facilitates to restoration of justice, to prevention of relapse and to form a juvenile into a law-abiding person”.<sup>28</sup> Since 2010, the program has been extended and in August, 2013 the pilot mode has been accomplished. In November, 2014, 4 years after enactment of the program, the diversion and mediation program reform has started. The pilot period situation has been analyzed, allowing identification of the gaps and shortcomings and correction of numerous aspects. Most importantly, the program has forwarded to a new stage.<sup>29</sup>

Within the framework of the reforms undertaken in 2014, numerous important changes have been implemented. First of all, it is noteworthy that the indication into the paragraph “a” of the Article 1 of the Decree of the Minister of Justice of Georgia of 2010 N216 envisages application of the program to the less grave crime and the crime, attributed to the category of a grave crime due to its “group” character (as due to the aggravating circumstances). According to the changes introduced to the Decree in 2014, the program has further applied to the grave crimes as well. Prior to the hereof changes, the Decree of the Minister was to some extent in contradiction with the Article 105 of the Criminal Code of Practice of Georgia, allowing diversion both for less grave or grave crimes, while the Decree of the Minister provided restriction of the hereof possibility.

The repeal of the concept of the first committed crime, provided in the Decree of the Minister of Justice of Georgia of 2010 N216 is to be considered as an important change, Existence of the hereof reservation implied the possibility of wider elucidations and contradicted with other Articles of the hereof Decree, namely with admission of diversion upon aggregate of crimes. In most cases upon aggregate of crimes, time of commitment of crime differs. Correspondingly, diversion from the second crime becomes impossible as the second crime cannot be considered as the crime committed first. After introduction of changes, the program further applies to the persons without previous crime records before decision on diversion.

Annulment of the mandatory pre-condition of decision-making on diversion on commitment of a juvenile to apologize to the victim and compensate the damage can be considered as the most important change in terms of mediation.

---

<sup>26</sup> The Law of Georgia on Amendments and Changes to the Criminal Code of Practice, № 3616, the Legislative Herald of Georgia, 24, 09, 2010.

<sup>27</sup> The Report by the LEPL Center for Crime Prevention on the Diversion and Mediation Program, 2015, 1, <[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)>, [30.06.2016].

<sup>28</sup> *Shalikhshvili M.*, the Legal, Criminological and Psychological Aspects of the Juvenile Diversion and Mediation Program, Tbilisi, 2013, 4.

<sup>29</sup> The Report by the LEPL Center for Crime Prevention on the Diversion and Mediation Program, 2015, 1, <[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)>, [30.06.2016].

Another significant change was to improve the procedures and establish the action terms for the professionals. Prior to the changes of 2014, the professionals engaged in the program had no detailed action terms outlined. Hence, based on the practice we may state that there were cases when the mediation and/or diversion agreement has been signed sundry months or even one year after commitment of crime. Naturally, it entailed loss of meaning of mediation and diversion. The hereof circumstance hindered a juvenile in acknowledgment of the crime committed thereby; it was the basis for the victim to have the sense of injustice. Besides, absence of terms even entailed formal vain mediation.

One of the most important changes of 2014 was increase of the role of the mediator in the program. On the basis of the change introduced to the Decree of the Minister of Justice of Georgia of 2010 N216, the mediator enjoys the right to be engaged into the diversion and mediation process on the early stage starting in November, 2014. According to the previous edition, the prosecutor was to receive approval or rejection of participation of the victim in the process. The change envisages involvement of the mediator in all the cases with participation of the victim. He/she elucidates the essence and objective of the program and then receives informed approval or rejection of the victim on participation in mediation process. "Practice revealed that the prosecutors often fail to provide communication with the victim on the extent necessary due to lack of time or other grounds. They fail to elucidate the essence and the objectives of the program for the victims, thus gaining their approval on participation in the mediation process".<sup>30</sup>

Therefore, change undoubtedly is one of the positive steps, evidenced with the indices published by the LEPL "Center for Crime Prevention". According to data for 2015, application of the mediation component is increased in the program. The index of the successfully accomplished mediation<sup>31</sup> for 2015 constituted 51%, which is higher than the index of the preceding years almost three times. The index of successful mediation for 2014 constituted 18% and for 2013 – 25%. Success of mediation is as well evidenced with the number of mediation conferences: 114 mediation conferences have been held in 2015 while the number of the conferences constituted 28 for the similar period in 2014, and 34 conferences in 2013.<sup>32</sup>

### 3.Principles of the Program

The Decree of the Minister of Justice of Georgia of February 1, 2016 N120 on "Rules of Application of the Juvenile Diversion/Diversion and Mediation Program and Approval of the Basic Conditions of the Agreement to be signed between the Parties" establishes the following principles of juvenile diversion/diversion and mediation program: maximal facilitation to application of alternative mechanisms; voluntarism; proportionality; confidentiality; inadmissibility of stigmatism; consideration of the best interests of juveniles. Below, we will consider each of the principles severally.

**Maximal Facilitation to Application of Alternative Mechanisms.** Introduction and establishment of the hereof principle into Georgian reality is very important and useful. M. Shalikashvili, in his work, notes that the hereof principle is new for Georgian reality and the material<sup>33</sup> processed thereby had no indication thereto. It is noteworthy that unlike Georgian reality, the said principle is provided in and established under the important international acts, such are: Convention on the Rights of the Child<sup>34</sup> and

---

<sup>30</sup> The Report by the LEPL Center for Crime Prevention on Juvenile Diversion and Mediation Program, 2014, 2-3, <<http://diversion.ge/res/files/52/Diversion%20Report%202014.pdf>>, [30.06.2016].

<sup>31</sup> Mediation process served as the topic for the conference, accomplished with conclusion of the Agreement on Diversion and Mediation ,clarification by the author – L.J.

<sup>32</sup> The Report by the LEPL Center for Crime Prevention on Diversion/Diversion and Mediation Program, 2015, 5, <[http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report\\_2015.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report_2015.pdf)>, [30.06.2016].

<sup>33</sup> *Shalikashvili M.*, The Legal, Criminological and Psychological Aspects of Juvenile Diversion and Mediation Program, Tbilisi, 2013, 32-22.

<sup>34</sup> Convention on the Rights of the Child , adopted on November 20, 1989, enacted on September 2, 1990.

UN Standard Minimum Rules for Administration of Juvenile Justice (hereafter referred to as the “Beijing Rules”).<sup>35</sup>

The sub-paragraph “b” of the paragraph 3 of the UN Convention on Rights of the Child abides the States to undertake the remedies or the children in conflict with the law without court proceedings and with full observance of human rights and legal guarantees. Besides, the 6<sup>th</sup> and the 11<sup>th</sup> norms of the “Beijing Rules” uniquely establish preference of application of alternative remedies upon criminal proceedings. The norms, consistent with the hereof international norms, shall be introduced into the Criminal Code of Georgia, which undoubtedly can be considered as an event of utmost importance. The above-mentioned process is even further enhanced with the Juvenile Justice Code<sup>36</sup> which is a significant step forward for Georgian Criminal Law and Juvenile Justice.

In line with the Decree of the Minister of Justice of Georgia N120, participation in the Diversion/ Diversion and Mediation process is a **voluntary** decision when the juvenile admits the crime committed. Any kind of pressure on the parties in view of their participation in the process is inadmissible. The parties are entitled, at any stage, to refuse participation in diversion/mediation process. The hereof principle is one of the constituent principles of diversion and mediation program. Without voluntarism, the goals envisaged under the program could not be achieved. It is particularly important that all the participants of the process are empowered, at any stage – pre-conference or mediation conference, to refuse participation in the program. The hereof principle further enhances the guarantees envisaged under the program. Otherwise, without participation thereof in the process, juveniles would fail to acknowledge the crimes committed thereby.

It is as well noteworthy that the juvenile subject to be diverted shall not refuse the mediation component solely when he/she agrees on diversion. Her/his consent on diversion implies automatic consent on participation in mediation. This is the very reason entailing increased role and involvement of the mediator in diversion and mediation program. Currently, based on practice, we can state that the mediators spend much time and efforts to ensure acknowledgement by the victim of his/her role and function. Involvement of the victim is very important for a juvenile to acknowledge his/her own crime as well besides the benefit of compensation of the moral and material damage for the victim.

According to the **principle of proportionality**, the obligations imposed on a juvenile shall be pro rata to the offenses committed thereby. In line with the Decree of the Minister of Justice of Georgia N120, it is important to take the age of juvenile, his/her personal characteristics, the nature and gravity of the crime, inflicted damage and impact of the crime on the society into account upon definition of the remedies.

The said principle prevents imposition of the severer punishment on a juvenile for his/her offenses and prevents the remedies selected therefore to be severer than the crime committed. According to the information provided by the practitioner professionals, selection of the terms for the agreement on diversion shall be individual in any case on the basis of the individual estimation report composed by the social worker of the National Probation Agency.

**Confidentiality** is one of the most important principles of juvenile diversion and mediation program. Without confidentiality, the objectives of the program could not be achieved, entailing vanity of the efforts of the professionals. The said fact is one of the bases to prevent stigmatization of a juvenile. The principles of privacy protection and inadmissibility of stigmatization are the most important and fundamental, protecting a juvenile and granting such an importance to the juvenile diversion and mediation program. “It is up to the participatory state in the diversion and/or mediation process and the public institutions to prevent stigmatization of a juvenile as guilty (labeling) entailing him/her to seek an offender in his/her personality. Tender and individual attitude of the parties of the diversion and/or mediation process towards the juvenile

---

<sup>35</sup> United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice, The Beijing Rules, adopted on November 29, 1985.

<sup>36</sup> Juvenile Justice Code, Article 8, №3708-IIR, the Legislative Herald of Georgia, 24.06. 2015.

shall be based on privacy of personal information of the citizens and shall prevent stigmatization of an adult as a criminal and formation of his/her criminal career”.<sup>37</sup>

None of the international or local documents analyzed by me give an exact definition of the **best interests of a juvenile**. Based on these documents, the best interest of a juvenile in every particular case shall be identified in individual manner. The best interest of a child within the criminal justice sphere shall be elucidated as his/her right to: be protected, have the sense of safety and welfare; have the rights on health, education and development protected; and the primary starting point shall imply resocialization-rehabilitation of a child and his/her reintegration in society in capacity of a full-fledged citizen.<sup>38</sup> All the hereof aspects shall be observed on the basis of communication with the child, listening if he/she has something to say. The hereof right is severally defined under the Article 12 of the Convention on the Right of the Child.<sup>39</sup> Definition of the best interest of a child is provided in the international document, such is the “Beijing Rules” and the General Comment N10 of the UN Committee on the Right of the Child, stating: “In all decisions taken within the context of the administration of juvenile justice, the best interests of the child should be a primary consideration. Children differ from adults in their physical and psychological development, and their emotional and educational needs.

Such differences constitute the basis for the lesser culpability of children in conflict with the law. These and other differences are the reasons for a separate juvenile justice system and require a different treatment for children. The protection of the best interests of the child means, for instance, that the traditional objectives of criminal justice, such as repression/retribution, must give way to rehabilitation and restorative justice objectives in dealing with child offenders. This can be done in concert with attention to effective public safety”.<sup>40</sup>

#### 4. Legal Regulation of the Program

Currently, the Juvenile Diversion and Mediation Program is regulated under the acts as follows: the Law of Georgia on “Juvenile Justice Code”; the Decree of the Minister of Justice of Georgia of February 1, 2016 on “Ratification of the Basic Conditions of the Agreement on Juvenile Diversion/Diversion and Mediation Program to be signed between the Parties”; the joint Decree of the Minister of Justice, the Minister of Internal Affairs and the Minister of Corrections of Georgia of March 15, 2016 N132/N95/N23 and the Decree of the Director of the LEPL “Center for Crime Prevention” on “Rule of Activity of the Mediators engaged in the Juvenile Diversion and Mediation Program and Ratification of the Draft Documents”. The Juvenile Justice Code enacted on January 1, 2016 entailed introduction of lots of changes to the issues of regulation of diversion/diversion and mediation program, including the most important changes envisaging extended application of the program to the persons of the age of 18-21, granting the authority of diversion to the Court, establishment of new remedies etc.

According to the current regulation, the authority of diversion of the person under 21 shall be granted to the Prosecutor prior to the pre-court session under the part one of the Article 39 of the Juvenile Justice Code of Georgia and in line with the part two of the hereof Article, the Judge as well enjoys the authority of diversion, granted under the Juvenile Justice Code – to return the case to the Prosecutor in view of diversion of a person. It entails liability of the Prosecutor to divert the person under 21. In line with the Juvenile Justice Code, the Judge is entitled to make the decision on diversion as with own initiative so on the basis of the substantiated mediation of the party. It is as well important that the Judges in practice make decisions not only on the basis of the mediation of the party but require from the National Probation Agency to

---

<sup>37</sup> *Shalikhshvili M.*, The Legal, Criminological and Psychological Aspects of the Juvenile Diversion and Mediation Program, Tbilisi, 2013, 41.

<sup>38</sup> The Explanatory Note to the Juvenile Justice Code, 59-60, <<http://www.parliament.ge/ge/law/8688/18832>>, [30.06.2016].

<sup>39</sup> Convention on the Rights of the Child, adopted on November 20, 1989, enacted on September 2, 1990.

<sup>40</sup> General Comment №.10, Children’s Rights in Juvenile Justice, UN, 2007.

deliver the individual estimation report of the person subject to be diverted, which plays an important role upon decision-making on diversion.

The authority of diversion granted to the Judge can be considered as a positive action, though the statistical data so far evidences that the index of diversion returned from the Court compared to the common index, is quite low. According to the information by the Prosecutor's Office of Georgia, in 2015 during five months 15 cases of persons under 21 have been returned from the Court, constituting 200 persons in total diverted. However, hereof factor serves as the filter at some extent for the Prosecutor as well to timely make correct decision on diversion.

The record provided in the part two of the Article 8 of the Juvenile Justice Code can be considered as the most important factor as well, envisaging consideration of possibility of diversion on the juvenile cases first of all and estimation of the degree of resocialization-rehabilitation of a juvenile and prevention of crime against the criminal responsibility and application of penalty. All these factors set high standards both for the Prosecutor and the Judge – in case of availability of the respective pre-conditions to argument non-application of diversion and preference of criminal responsibility as more important in every concrete case.

ზოგჯერ შესაძლებელია, მხარეს შეხვედრაზე საკუთარი ბუღალტერი, ფინანსური მენეჯერი ან მეგობარი ახლდეს, რომელსაც დავაში კერძო ან პროფესიული ინტერესი არ გააჩნია. მედიატორმა, სანამ მოლაპარაკება დაიწყება, წინასწარ უნდა განსაზღვროს, თუ რა როლის შესასრულებლადაა ეს მხარე წარმოდგენილი და ეწინააღმდეგება თუ არა საპირისპირო მხარე ამ პირის მონაწილეობას მოლაპარაკების პროცესში. მედიატორი შემდეგ თავად გადანყვეტს, მიეცეს თუ არა ხსენებულ მესამე მხარეს პროცესზე დასწრების უფლება. ზოგადად, სასურველია, მოდავე მხარეთაგან მონაწილეები დაახლოებით თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილები.

## 4. მედიაციის ატმოსფერო/დამოკიდებულება

### 4.1. მედიატორის პასუხისმგებლობა

მედიაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია „ატმოსფერო“. აუცილებელია, შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება გადანყვეტილების მიღების ჭრილში და ისეთი ელემენტებისა თუ დამოკიდებულებების თავიდან არიდებას შეუწყობს ხელს, რომლებიც მხარეებს ერთმანეთის ოპონენტებად წარმოადგენს და დაპირისპირებულ, მტრულ პოზიციებს გაამძაფრებს.

მედიატორი პროცესს უძღვება (ერთგვარი ქორეოგრაფია). იმისთვის, რომ მედიაციისთვის დადებითი ატმოსფერო შეიქმნას, მედიატორმა მხარეების საჭიროებები უნდა გაითვალისწინოს და მათი კომფორტისა და კეთილგანწყობის შესაქმნელად აშკარა მზაობა გამოხატოს. მიუხედავად იმისა, რომ მედიატორი ყოველთვის მიუკერძოებლობასა და ნეიტრალურობას ინარჩუნებს, ის ასევე დადებითი – წარმატებული – გადანყვეტილების გულშემატკივარია. მედიატორის ძირითადი ფუნქცია პროცესის დადებით კალაპოტში მოქცევაზეა მიმართული. მაშინაც კი, როცა მხარე რთულ შეკითხვას უსვამს და შემოთავაზებული ინიციატივების მისაღებობას ამონმებს, მედიატორი საბოლოო შედეგის დამცველად გვევლინება.

### 4.2. მედიატორის სტილი

შესაძლებელია, მედიატორს სხვადასხვა სტილი ჰქონდეს და იყოს ეს პირადი არჩევანით განპირობებული, ან მედიაციაში მიღებულ გამოცდილებას ასახავდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, მედიატორები ან შეფასებითი, ან ფასილიტატორული მიდგომებისკენ იხრებიან. მედიატორის სტილის განსაზღვრავად საკმარისია ვიკითხოთ:

1. რამდენად ფართოდ თუ ვიწროდ განსაზღვრავს მედიატორი მის წინაშე დასმულ პრობლემას (საკითხს)?

2. მედიატორი საკუთარ ფუნქციას ხედავს შეფასებებისა და ვარაუდების შეთავაზებაში თუ ვარიანტებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში?

მედიატორი, რომელიც შეფასებითი სტილით გამოირჩევა, შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ისეთი პირად, რომელიც თავს კომფორტულად მხარეების მოთხოვნებისა და ვარიანტების შეფასებისას გრძნობს და ინტერაქციულ პროცესში ოდნავ აგრესიულობას ამჟღავნებს. მედიატორების უმრავლესობას სხვადასხვა სტილისადმი საკუთარი უპირატესობები აქვს, თუმცა მათ უნდა შეეძლოთ ერთი სტილიდან მეორეზე გადასვლა (შეფასებითიდან ფასილიტატორულზე), თუკი ამის აუცილებლობა წარმოიქმნება. ბევრი მედიატორი ამ ორ მიდგომას შორის არსებულ ცენტრისტულ სტილსაც კი ავიტარებს.

### **ფასილიტატორული**

1. ძირითადი როლი: განსაზღვრე და ნათელი მოჰფინე კომუნიკაციას;
2. დაინახე: მხარეები ერთ მაგიდასთან სხედან (ვიდრე ცალ-ცალკე ოთახებში განცალკევებულად);
3. აქცენტი: დაეხმარე მხარეებს, ჩასწვდნენ საკითხსა და ინტერესებს, მოიყვანე ინტერესთა მდიდარი პალიტრა.

### **შეფასებითი**

1. ძირითადი როლი: შეაფასე (მედიატორი დავის საკითხში სპეციალური კომპეტენციით გამოირჩევა);
2. დაინახე: მთავარი საყრდენია კერძო შეხვედრები მედიაციაში მონაწილე მხარეებთან;
3. აქცენტი: უბიძგეთ მხარეებს, მიიღონ გადაწყვეტილება, განიხილეთ მხოლოდ დავის ძირითადი საკითხი (უმეტეს შემთხვევაში, ეს ფულია).

ზოგიერთ ბაზარზე უპირატესობა ენიჭება უფრო შეფასებით, ვიდრე ფასილიტატორ მედიატორებს. მედიატორები ამ გარემოში უფრო ბაზრის მოთხოვნებს პასუხობენ და „*living in the question*“ ტექნიკას ავითარებენ. ფრაზა ეხება პროცესს, რომელიც შემფასებელ მედიატორებს აღწერს, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ მხარეებს, რომ საერთო გადაწყვეტილებამდე მისვლისას საკუთარი ხედვა დავასთან მიმართებით ჯეროვნად გადააფასონ. იმის ნაცვლად, რომ მედიატორმა განაცხადოს, თუ რა იქნებოდა ყველაზე სამართლიანი და კეთილგონივრული გადაწყვეტა, იგი ლოგიკური შეკითხვების სერიაში ერთვება, რაც მიზნად ისახავს, მოდავე მხარეები ამ აზრობრივ კალაპოტში ჩართოს. დახურული შეხვედრებისას ასეთი შეკითხვები საშუალებას აძლევს მოდავე მხარეს, გადააფასოს საკუთარი არგუმენტის ძლიერი და სუსტი მხარე, ასევე განიხილოს საპირისპირო მხარის პოზიციისა და შემდგომში სასამართლო გადაწყვეტილების შესაძლო შედეგებიც.

ზოგიერთი მედიატორი კონკრეტულ მედიაციას უფრო მეტად ფასილიტატორული მიდგომით იწყებს, თუმცა მომდევნო სტადიაზე უფრო შეფასებით ტექნიკაზე გადადის. ეს გადასვლა მუდმივად სტრატეგიულ არჩევანზე მიუთითებს, რომელსაც ფასილიტატორი სესიის მიმდინარეობის მიხედვით ირჩევს.

## **4.3. მხარეთა პასუხისმგებლობა**

წარმატებული გადაწყვეტილება ხშირად ერთზე მეტ მედიატორს საჭიროებს. თავად მხარეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. მხარეებს უნდა ჰქონდეთ სრული ინფორმაცია, თუ რატომაა მათსავე საუკეთესო ინტერესში კონფლიქტის მედიაციის გზით გადაწყვეტა – არ აქვს მნიშვნელობა, როგორი განწყობით მიუსხდებიან ისინი მოლაპარაკების მაგიდას. მუდმივად დავაში ჩართული მხარეები, იმისთვის, რომ ერთობლივ გადაწყვეტილებამდე მისვლა შეძლონ, აუცილებელ ინფორმაციას, შესაძლებლობებსა და მოტივაციას უნდა ფლობდნენ. მხარის მცდელობა, მიაღწიოს კონსენსუსს, ვერ იქნება შედეგიანი, თუკი მას დავის პროცესში საკითხისადმი რეალისტური ხედვა არ გააჩნია.

გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიმღები პირები ან უნდა ესწრებოდნენ მედიაციის პროცესს, ან გამოაგზავნონ საკუთარი წარმომადგენელი, სრულუფლებიანი პირი, იმისთვის, რომ მათი მხრიდან მოლაპარაკების პროცესი წარმატებით წარიმართოს. როცა მხარის წარმომადგენელი უფლებამოსილი პირი არ არის, ეს ფაქტი მოლაპარაკებების პროცესს სერიოზულად აფერხებს. თუმცა, თუ პიროვნება, რომელიც ჯეროვან უფლებამოსილებას ფლობს, დავის განმავლობაში ხელმისაწვდომი ხდება (21-ე საუკუნეში სხვადასხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებით), მაშინ მათი უშუალო ფიზიკური დასწრება შეიძლება არც იყოს იმდენად აუცილებელი; ზოგიერთი მედიატორი და მედიაციის ცენტრი კი შესაძლოა, დაჟინებით ითხოვ-

დეს, რომ უფლებამოსილი პირები უშუალოდ პროცესს დაესწრონ, რასაც ისინი მედიაციის დაწყების უცილობელ პირობად მიიჩნევენ.

მედიატორი, თუკი შესაძლებელია, სესიის დაწყებამდე მხარეებთან არაფორმალურ დიალოგს გამართავს. ამ კომუნიკაციით მედიატორი ნდობის მოპოვებას ეცდება, რამაც შესაძლოა, გარკვეული შფოთვა ან მღელვარება მოხსნას. მედიატორმა შესაძლებელია, ჩართულ მხარეებზე ან მათი დავის საგანზე ინფორმაცია მოიძიოს. ხშირ შემთხვევაში, მხარეთა ეჭვი ქრება, როდესაც მედიატორი ერთ ან ორგვერდიან მოხსენებას გააკეთებს.<sup>6</sup>

თუ მხარეები გონებრივად უკვე მზად არიან მედიაციის პროცესისთვის (სანამ მედიაციის სესია დაიწყება), ასეთ პირობებში მათ ექნებათ მეტი მზაობა, ჩაერთონ სასარგებლო, წარმატებული შეთანხმებისკენ მიმართულ პროცესში.

## 5. მედიაციის უპირატესობა

მედიაციის სარგებლიანობა კონკრეტულ პროცესში დამოკიდებულია დავის ბუნებაზე, დავის რომელ ეტაპზე ხორციელდება მედიაციისადმი მიმართვა, ასევე მოდავეებსა და მათ წარმომადგენლებზე, დავაში არსებულ ინტერესებზე.

როგორც ცნობილია, მედიაცია უზრუნველყოფს შემდეგს:

- ზოგავს დროს;
- ზოგავს ფულს;
- არის კონფიდენციალური;
- მხარეთა ინტერესების თვითგამორკვევას უწყობს ხელს;
- იძლევა კრეატიული გადაწყვეტილებების მიღებისა და გამოსავლის პოვნის საშუალებას ;
- იძლევა ისეთი შეთანხმების მიღების საშუალებას, რომლის შესრულება ყველაზე სავარაუდოა.

მიუხედავად იმისა, რომ მედიაცია უამრავ პოზიტივს გვთავაზობს, შესაძლებელია, არსებობდეს ისეთი სიტუაციები, სადაც კონფიდენციალური პროცესი არც ისეთი მიზანშეწონილია, როგორც, მაგალითად, დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებები. გაითვალისწინეთ:

- საქმეები, რომლებიც მნიშვნელოვან კონსტიტუციურ და ადამიანის საბაზისო უფლებებს მოიცავს;
- საქმეები, რომლებიც საზოგადოების ჩართულობასა და საჯარო განხილვას მოითხოვს;
- საქმეები, სადაც მტრული განწყობის მაღალი ხარისხია და მოდავე მხარეებს შორის ძალთა ბალანსი არ არსებობს – მაგალითად, ოჯახური ძალადობის შემთხვევები.

გარკვეულ შემთხვევებში, მხარის ადვოკატს მედიაციასთან ან დავის გადაწყვეტის სხვა პროცესთან დაკავშირებით დიდი არჩევანის გაკეთების საშუალება არ რჩება (ან რაიმე სხვა მომრიგებლობითი პროცესის მიმართ). მაგალითად, მედიაციის პროცესისადმი მიმართვა, როგორც სასამართლოსათვის დავის გადაცემის წინაპირობა, ხშირად მხარეთა სახელშეკრულებო დათქმებითაა განსაზღვრული; სხვა შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვა უკვე დაიწყო, მედიაცია შეიძლება თავად სასამართლოს მიერ იყოს ინიცირებული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მხარეებს არჩევანის საშუალება მიეცემათ, ფაქტორი, რომლის გათვალისწინება ადვოკატის საქმეა, მათ შორის ფაქტორები, რომლებსაც მოგვიანებით მედიატორი რელევანტურად ჩათვლის, შემდეგია:

- რა ტიპის გადაწყვეტილება სჭირდება მოდავე მხარეს: სწრაფი, დროებითი თუ მუდმივი, პრეცედენტული, საჯარო თუ კონფიდენციალური, მოდიფიცირებადი;

<sup>6</sup> მედიატორი მოთხოვნებს არ განიხილავს, ამოღებულ ჩანაწერებს ან სასამართლო დოკუმენტაციას არ აფასებს. მედიატორი არც დამოუკიდებელ სასამართლო მოკვლევას ატარებს იმისთვის, რომ რომელიმე მხარის პოზიციური „სიძლიერე“ ან მოთხოვნის სამართლიანობა განსაზღვროს.

- როგორ მოელაპარაკებიან ერთმანეთს მხარეები: გრძელვადიანი ურთიერთობების გათვალისწინებით (აინტერესებთ ურთიერთობების შენარჩუნება, თუ მისი შეწყვეტა სურთ), თუ მიმდინარე საკითხით შემოიფარგლებიან;

- რომელია კლიენტის ემოციურ-ფსიქოლოგიური ინტერესი: ბრალმდებლის პოზიცია, გაექცეს სტრესს გადაუწყვეტელი საქმის შესახებ; გაურბის სტრესს სასამართლო დავის კონტექსტში; ცდილობს, შეინარჩუნოს ურთიერთობები;

- რა ფინანსური დაინტერესება აქვთ: სურთ, მიაღწიონ სწრაფ კომპენსაციას, მოახდინონ რისკების ლოკალიზება ან შეზღუდვა, თუ შეამცირონ ან არ გაზარდონ ხარჯები.

## **II. მედიაციის ჩატარება**

### **მიმოხილვა**

მედიაცია, ისევე როგორც დავის გადაწყვეტის ნებისმიერი სხვა პროცესი, შედგება ეტაპების სერიისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეტაპები ერთმანეთს ზოგჯერ გადაფარავს, აქ ხუთი ნაბიჯი იკვეთება. თითოეული ნაბიჯი საკუთარი აქტივობებით ხასიათდება და საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს წარმოაჩენს (მედიატორის პერსპექტივით):

### **2. მედიატორის წინასიტყვაობა**

აქტივობა: მედიატორი მოდავე მხარეებთან პრეზენტაციით წარდგება.

ამოცანები:

- მოდავეებს შორის კეთილგანწყობილი გარემო ჩამოყალიბდეს;
- განმარტოს პროცესი, როლები და ფორმატი;
- განავითაროს პროცესის მიმდინარეობის სტრატეგია;
- მხარეებს შორის თანამშრომლობით მზაობას მიაღწიოს.

### **მხარეთა პრეზენტაცია**

აქტივობა: მხარეები საკუთარ ვერსიასა და გადაწყვეტის შესახებ ხედვას წარმოადგენენ.

ამოცანები:

- დავის არსის იდენტიფიცირება;
- პოზიციების განსაზღვრა;
- იდენტიფიცირება პრობლემებისა, რომლებიც მედიაციის დროს, სავარაუდოდ, იჩენენ თავს, მათ შორისაა: კომუნიკაციის პროცესში ბარიერები, პოტენციური ძალთა დისპროპორცია, ეჭვი, რომ მხარეებმა ერთმანეთთან კრეატიული გადაწყვეტის გზას მიაგნონ.

### **ინფორმაციის მოძიება/საკითხის იდენტიფიცირება**

აქტივობა: მედიატორი სვამს შეკითხვებს (მხარეები პასუხობენ იმის მიხედვით, თუ რა მოსმინეს ერთმანეთისგან).

ამოცანები:

- პოზიციების ნათლად წარმოჩენა;
- მხარეთა მიერ ჩამოყალიბებული საკითხების განსაზღვრა;
- ნეიტრალურ ენაზე საკითხების ნუსხის შემუშავება;
- დღის წესრიგის მიღება.

## **შეთანხმების ალტერნატივები/მოლაპარაკება**

აქტივობა: შესაძლებელია მოხდეს ერთობლივი სესიების დროს ან პირად შეხვედრებზე.

ამოცანები:

- „გონებრივი იერიში“ (იდეების სპონტანურად თავმოყრა);
- ახალი წინადადებების შემუშავება;
- მხარეთა შორის აზრთა ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა;
- „რეალობის ტესტი“.

## **დახურვა**

აქტივობა: წერილობითი შეთანხმების მიღება (შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი).  
ალტერნატიული აქტივობა: დაინიშნოს თარიღი დამატებითი კომუნიკაციისთვის.

ამოცანები:

- შეახსენოთ მხარეებს მათი მზაობის შესახებ, ითანამშრომლონ ერთმანეთთან;
- მოამზადონ შემდგომი თანხმობის დოკუმენტისათვის აუცილებელი ჩარჩო.

## **მედიატორის წინასიტყვაობა**

მედიატორის გახსნითი სიტყვა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი მედიაციის პროცესში, რადგან ის განსაზღვრავს მოლაპარაკების ტონს. დაწყების წინ მედიატორი მხარეებს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის, უხსნის მათ პროცესის ფორმატს და მხარეთა მზაობას უზრუნველყოფს, ადგენს, რომ მხარეებს მოლაპარაკების გაგრძელება სურთ.

საბაზისო წინასიტყვაობის შემადგენელი ეტაპები:

- მედიატორის, მხარეებისა და წარმომადგენელთა გაცნობა (წარდგენა);
- მედიატორის უფლება-მოვალეობების გაცნობა, ინფორმაციის გაცნობა, ნეიტრალობის დადასტურება და კონფიდენციალობის უზრუნველყოფა;
- მხარეთა შორის თანამშრომლობისათვის მზაობის უზრუნველყოფა (შეიძლება წერილობით დოკუმენტშიც გამოისახოს);
- მედიაციის პროცესისა და მედიატორის როლის განმარტება;
- მედიაციის ფორმატის განმარტება: მხარეთა პრეზენტაცია, ერთობლივი ან კერძო შეხვედრები;
- პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განმარტება, ნეიტრალიტეტისა და კონფიდენციალობის დაცვა;
- ნდობისა და ნახალისების გამოხატვა.

## **ინფორმაციის მიწოდება და განმარტება**

მედიატორმა სრულად უნდა განმარტოს და წარმოაჩინოს ისეთი ინფორმაცია მხარეებსა თუ მათ წარმომადგენლებთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება, რაიმე სახის გავლენა მოახდინოს მის ნეიტრალობაზე. თუ მედიატორის მიმართ რაიმე ეჭვი გაჩნდება (რომელიმე მოდავე მხარის მხრიდან), მიზანშეწონილია, იგი პროცესს ჩამოშორდეს.

მედიატორმა მხარეებს სრულად უნდა ამცნოს: თავისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ; ნებისმიერი მანამდე თუ ამჟამინდელი ურთიერთობის შესახებ, რომელიც მისი

ნეიტრალობის მიმართ რაიმე სახის შეკითხვას გააჩენს და იმ დანახარჯების შესახებ, რომლებიც მედიატორის მომსახურებას მოჰყვება.<sup>7</sup>

### **დროისა და შეთანხმების მიმღები პირების მზაობა**

სანამ მედიაციის უშუალო პროცესზე გადაერთვებიან, მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მხარე, ან მათ მიერ დანიშნული წარმომადგენლები, ადეკვატურად უფლებამოსილი პირები არიან, შეუძლიათ, მივიდნენ ერთობლივ გადაწყვეტილებამდე და მედიაციას საკმარის დროს დაუთმობენ.

### **საკითხები, რომლებიც უშუალოდ მოდავე მხარეს ეხება**

მედიატორმა მედიაციაზე უარი უნდა განაცხადოს, თუ, მისი აზრით, მოდავე მხარე ვერ ხვდება, რომ მედიატორი არანაირი სამართლებრივი ინიციატივითა თუ რჩევით არ გამოდის. მედიატორმა ასევე მხარეს უნდა აუხსნას, რომ ნამდვილად შესაძლოა არსებობდეს გარკვეული რისკი, თუ მედიაცია მხოლოდ დამოუკიდებელი მედიატორის მონაწილეობით და პროფესიონალური მრჩევლების გარეშე წარიმართება.

### **კეთილსინდისიერი თანამშრომლობისადმი მზაობა**

შემდეგ აუცილებელია, მედიატორმა მონაწილე მხარეებს შორის კეთილსინდისიერი თანამშრომლობისადმი მზაობას მიაღწიოს. მზაობა გულისხმობს, რომ მხარეები უნდა დამორჩილდნენ წესებსა და პროცედურებს, რომლებიც მედიატორის მიერ განისაზღვრება და ისინი შემდგომი კომპრომისის მისაღწევად კეთილსინდისიერი თანამშრომლობით უნდა გამოირჩეოდნენ. მედიატორის წინასიტყვაობის მეორე მხარეები სრულად ჩასწვდებიან მედიაციის პროცესს და გააზრებულად იქნებიან მზად, გადაწყვიტონ საკუთარი დავა. მედიატორი შემდგომში მხარეებს კიდევ ერთ შესაძლებლობას სთავაზობს – დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები და კომენტარი გააკეთონ.

### **მედიატორის წინასიტყვაობა: პირველი მაგალითი**

დილა მშვიდობისა! ვაფასებ, რომ მოზრდნით დღეს. იმედი მაქვს, თავს კომფორტულად და მშვიდად გრძნობთ. გვაქვს წყალი, ყავა და ნამცხვარი (მაგიდაზე); თუ რაიმე დამატებით გჭირდებათ, გთხოვთ, მაცნობოთ. საპირფარეშო ქვემოთაა, ჰოლში, ხელმარცხნივ.

დღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა გველის, იმედი მაქვს, თქვენთვის ეს წარმატების მომტანი პროცესი იქნება. თუ ყველამ ერთად ვიმუშავებთ, დარწმუნებული ვარ, შევძლებთ კარგი შედეგების მიღწევას და თქვენც ამ თანამშრომლობითა და პროცესში მონაწილეობის მიღებით კმაყოფილები დარჩებით.

პირველ რიგში, მსურს, თითოეულმა ჩვენგანმა წარმოადგინოს საკუთარი თავი. დავიწყებ: მე მქვია (ალექსანდრე ალექსანდრია) და ჩემი როლია, მოგეხმაროთ თქვენ, გადაწყვიტოთ მიმდინარე დავა (ურთიერთწარდგენა გრძელდება მაგიდის გარშემო მსხდომთა მხრიდან).

ახლა კი, სანამ მხარეთა ვერსიებს მოვისმენთ, ნება მომეცით, ორიოდ ნუთით მოგიყვებო ჩემი განათლებისა და გამოცდილების შესახებ, რათა დავრწმუნდეთ, რომ თქვენ ჩემი კვალიფიკაციითა და გამოცდილებით (როგორც თქვენი მედიატორის) კმაყოფილი ხართ (მედიატორი საკუთარი კვალიფიკაციისა თუ გამოცდილების დამადასტურებელ ცნობებს წარმოადგენს – თუკი აუცილებელია – და დარწმუნდება, რომ მხარეებს სურთ, სწორედ ის იყოს მიმდინარე დავის მედიატორი). ფრიად მნიშვნელოვანია, თქვენ ჩემი სამუშაოთი კმაყოფილები დარჩეთ. თუ

<sup>7</sup> როგორც წესი, გადასახადის შესახებ საკითხი მედიაციის დაწყების წინ არის ხოლმე შეთანხმებული.

მედიაციის დროს რაიმე პრობლემა იჩენს თავს, რაც თქვენთვის არასასურველი ან მიუღებელი იქნება, დაუყოვნებლივ მაცნობეთ ამის შესახებ, რათა ერთობლივად განვიხილოთ. თუ თქვენ არ იქნებით დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებსა და მიუკერძოებლობაში და საკუთრივ მედიაციის პროცესში, მედიაციის პროცესი, ისევე როგორც ჩვენ მიერ განეული დროის დანახარჯი, ვერცერთი ჩვენგანისთვის სარგებლის მომტანი ვერ გახდება დღეს. თუმცა, თუკი გჯერათ ჩემი და მედიაციის პროცესისა, და ამ რწმენით ერთმანეთთან ვითანამშრომლებთ, ასეთ შემთხვევაში გვექნება არაჩვეულებრივი შანსი, ეს საკითხი დღესვე გადავწყვიტოთ. ახლა აქვეა მედიაციის ხელშეკრულება, რომელიც ასახავს იმას, თუ რაზე შევთანხმდით აქამდე. ერთ-ერთი ასლი გავგზავნე თქვენს წარმომადგენელთან, მაგრამ მინდა, მოკლედ მიმოიხილოთ იგი და მაცნობოთ, თუ რამეს ვერ გაიგებთ. თუკი ის თქვენთვის მისაღებია, მოანერეთ ხელი მინიმუმ ნებულ ადგილზე და დამიბრუნეთ. ყველა მიიღებს ხელმოწერილ ეგზემპლარს.

კეთილი, ახლა ნება მომეცით, მიმოვიხილო მედიაციის პროცესი და გადავწყვიტო, თუ როგორი იქნება დღეს ჩვენი როლი: პირველი, როგორც უკვე ცნობილია თქვენთვის, ეს არ არის სასამართლო განხილვა (იმის მიუხედავად, რომ სასამართლომ თავად შეიძლება დანიშნოს იგი). ასე რომ, არ არსებობს სასამართლო წესები; მე არ ვარ მოსამართლე ან არბიტრი; მე არ განვსჯი, არ მივიღებ გადაწყვეტილებას.

ჩემი ძირითადი ფუნქციაა, მოგემსახუროთ როგორც მიუკერძოებელი პირი და მოგეხმაროთ შეთანხმების მიღწევაში. თუ თქვენი სურვილი იქნება, დღესვე გადავწყვიტოთ თქვენი დავა, მნიშვნელოვან დროსა და ხარჯებს დაზოგავთ და აირიდებთ სტრესს, ასევე გააგრძელებთ ცხოვრებას ამ საზრუნავის გარეშე. ამის შესახებ უფრო დეტალურად დამატებით დაგელაპარაკებით.

შემდეგ, მინდა ასევე ვახსენო, თუ რას გავაკეთებ დღის განმავლობაში თქვენთან ერთად და, ვნახოთ, მისაღებია თუ არა თქვენთვის სამუშაო ფორმატი. უკვე ვიმსჯელებთ თქვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან (თუ ასეთი არსებობს), ასე რომ, მგონია, დღეს მათი მხარდაჭერა ფორმატთან დაკავშირებით უკვე მაქვს. პირველ რიგში, მოვისმენთ მოკლე პრეზენტაციებს თითოეული თქვენგანის მხრიდან („მოკლე“ – დამოკიდებულია ფაქტების ოდენობაზე თითოეულ საქმეში). ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული მხარე გააკეთებს მოკლე პრეზენტაციას, წარმოადგენს დავის მისეულ ხედვას და გავაცნობს დღევანდელი სამუშაო სესიის შედეგად მოსალოდნელ მიზნებს (მოლოდინს). თქვენი პრეზენტაციები იქნება, რაც შეიძლება, მოკლე; ისინი უნდა გამოხატავდნენ კლიენტის მოთხოვნას არაბრალდების სახით. ჩვენ ერთმანეთს არ გავანწყვტინებთ, ერთმანეთსაც ცივილიზებულად და ურთიერთპატივისცემით მოვეკიდებით. თითოეული გახსნილი სიტყვის ბოლოს მოვიწვევ თითოეულ მხარეს და მათ წარმომადგენლებს, რომ მათი პოზიციით დაასრულონ და (კერძოდ) გვაუწყონ, თუ რას მოელიან დღევანდელი შეხვედრისგან. არ არის სავალდებულო, რომ თქვენ ან თქვენმა წარმომადგენლებმა რაიმე მოსაზრება გამოთქვან ამ დროის განმავლობაში; თითოეულ თქვენგანს მოგეცემათ სრული საშუალება, ისაუბროთ დღის განმავლობაში. თუმცა, თუ თვლით, რომ სურვილი გაქვთ, გამოთქვათ რამე, და არც თქვენი კლიენტია წინააღმდეგი, გთხოვთ, თქვათ თქვენი აზრი. ამ მხრივ, მინდა, ხაზი გავუსვა თავისუფალი და ღია ინფორმაციული ურთიერთგაცვლის მნიშვნელობას და სხვადასხვა ვარიანტის განხილვის სარგებლიანობას მიმდინარე დავის დაწყების გზაზე.

მხარეთა პრეზენტაციის ბოლოს მცირე დროით შევისვენებთ (აქ შეგიძლიათ, ისაუბროთ ლოჯისტიკურ ნაწილზე, აღწეროთ ოთახები, განლაგება და სხვ.). შემდეგ, მგონი, უმჯობესი იქნება, თუ ჩვენი მაგიდიდან კერძო საკონფერენციო დარბაზში გადავინაცვლებთ, რათა პირადად საშუალება მომეცეს, თითოეულ თქვენგანთან მივიდე და გამიზიაროთ კონფიდენციალური ინფორმაცია (თუკი ასეთი მოგეპოვებათ – ეს უნდა ახსენოთ მაშინ, როცა ზუსტად პრეზენტაციის დასრულებისას დადგება აუცილებლობა დამოუკიდებელ ოთახებში განცალკევების). ამ ვიზიტების დროს თქვენთან ან თქვენი კოლეგის წარმომადგენლობასთან ერთად განვიხილავ თქვენთვის საჭირობოროტო საკითხებს ისე, რომ მიმდინარე დავის დეტალებზე მეტად გა-

ვამახვილოთ ყურადღება. ამ დისკუსიების დროს ჩემი მოვალეობაა, კონკრეტული არგუმენტის ძლიერ ან სუსტ მხარეს გავუსვა ხაზი და, შეძლებისდაგვარად, ჩანდეს, თითქოს მე უფრო მონიშნააღმდეგე მხარის პოზიციას ვემხრობი, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ასე არ არის. თქვენ შეიძლება, სამართლიანად დაასკვნათ, რომ მაშინ, როცა მეორე საკონფერენციო დარბაზში მონიშნააღმდეგე მხარეს ველაპარაკები, მასთან „ემშაკის ადვოკატის“ ფუნქციას ვასრულებ. თუ ჩვენს დისკუსიებში შეამჩნიეთ, რომ „თემას გადავუხვიე“ – დავუშვათ, ჩემი კომენტარებით თუ შეკითხვებით, დაუყოვნებლივ მაცნობეთ ამის შესახებ. აქ იმისთვის ვართ, რომ შევთანხმდეთ და ეს ვერ მოხერხდება, თუ კონფიდენციალური დისკუსიების დროს ერთმანეთს ღიად არ ვესაუბრეთ.

რაც შეეხება კონფიდენციალობის საკითხს, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელსაც გამიზიარებთ კერძო საუბრების დროს, ჩემთან ერთად დარჩება და არ გაენდობა მონიშნააღმდეგე მხარეს, სანამ თქვენ თავად არ მთხოვთ ამის შესახებ. შესაბამისად, იმედი მაქვს, მაცნობებთ ყველაფერს, რაც დავას უკავშირდება და რაც საშუალებას მომცემს, შეთანხმებას მივალწიოთ, იმის გათვალისწინებით, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის ბუნებას პატივისცემით ვეკიდები. რომ დარწმუნდეთ, მე სწორად მესმის თუ არა, რა ინფორმაცია არ უნდა გავცე თქვენი ნებართვის გარეშე, მაცნობეთ, რაც, თქვენი აზრით, არის კონფიდენციალური, რათა მას ჩემს ჩანაწერებში განსაკუთრებული სტატუსი მივანიჭო.

ახლა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ შეიძლება, ოთახში ერთ-ერთ მხარესთან მეტი ვისაუბრო, ვიდრე მეორესთან, თან მიჭირს, ვივარაუდო, როდის შეიძლება ეს მოხდეს. ასე რომ, მანამ, სანამ ჩემ შესახებ ინფორმაციას მოგანვლით, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ, როცა თქვენ გვერდით არ ვიმყოფები, მეორე მხარესთან ინტენსიურად ვმუშაობ. ასე რომ, როცა თქვენთან ერთად ოთახში არ ვიქნები, შევაფასებ თქვენს აქტიურ მუშაობას თქვენსავე ადვოკატთან, ისე, რომ შეძლოთ გააანალიზოთ თქვენი პოზიცია და ერთი ნაბიჯით მეც კი გამასწოროთ (თუ ადვოკატი სახეზე არ არის, მაინც კარგი იქნება, თუ მხარეს რაიმე სახის სამუშაოს დავუტოვებთ).

დღეს ბევრი საქმე გველოდება, თუმცა ვიცი, რომ გვაქვს შანსი, მივალწიოთ შეთანხმებას, თუ ყველანი კარგად ვიმუშავებთ. გთხოვთ, გამაგებინოთ, თუკი დაგჭირდათ შესვენების გამოცხადება; სხვა შემთხვევაში, იმედი მაქვს, შეეცდებით, დარჩეთ ახლოს ჩვენთან, რათა ადვილად გიპოვოთ, თუკი თქვენგან რჩევა ან სხვა სახის მხარდაჭერა დაგჭირდა (მათ, ვინც ეწევა, ვისაც დაგჭირდებათ შენობის გარეთ გასვლა, აცნობეთ კოლეგებს, კერძოდ, თუ სად იქნებით, ისე, რომ საჭირო მომენტში თქვენი მოხმობა შევძლოთ).

კეთილი, თუ არ გაქვთ რაიმე შეკითხვები იმის შესახებ, რაზეც ვილაპარაკე, შევეუდგეთ საქმეს.

## **მედიატორის წინასიტყვაობა:**

### **მეორე მაგალითი – კერძო შეხვედრის ფორმატი<sup>8</sup>**

ჩემი სახელია..., დიდი მადლობა, რომ თანხმობა გამოთქვით დღევანდელ მედიაციაში მონაწილეობაზე. ვივარაუდებ, რომ თითოეული თქვენგანი ერთმანეთს იცნობს. თუმცა, სანამ დავინწყებდეთ, ვისარგებლოთ შემთხვევით და ერთმანეთს თავი წარვუდგინოთ. შეგიძლიათ მინოდლოთ...

როგორც უკვე იცით, მედიაცია არის პროცესი, სადაც მიუკერძოებელი პირი, მედიატორი, ამ შემთხვევაში მე, მოდავე მხარეებს შორის კომუნიკაციის ფასილიტაციას ახდენს – მორიგების, თანხმობისა და ურთიერთგაგების გარემოს ქმნის ყოველი თქვენგანის ჩართვით.

თუკი საქმეს ჯეროვნად მოვეკიდებით, ეს პროცესი შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს. ჩემი როლია, მოგეხმაროთ და წაგახალისოთ იმაში, რომ ამ დავაში თანხმობას მიაღწიოთ; თუმცა აქ არ ვარ იმისთვის, რომ შეთანხმებამდე მისვლა გაიძულოთ. ეს არ გახლავთ სასამარ-

<sup>8</sup> ეს ნაკლებად გავრცელებული მოდელია.



თლო დარბაზი და მეც აქ არ ვარ იმისთვის, რომ თქვენი საქმის შედეგი განვსაზღვრო, ან კიდევ გამოსავალი დავსახო. ეს თქვენზეა დამოკიდებული და მხოლოდ თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, არის თუ არა მიმდინარე დავის გადაწყვეტა თითოეული თქვენგანის ინტერესში.

მედიაციის ხიბლი სწორედ ისაა, რომ მისი ყოველი სესია პირად ხასიათს ატარებს, კონფიდენციალურია და უსაფრთხო (თუ სასამართლო, ან პოტენციურად სასამართლო, განხილვა მოსალოდნელია). მე არ განვაცხადებ ჩემთვის განდობილ ინფორმაციას, სანამ ამ ინფორმაციის განდობის ნებართვას თავად არ მომცემთ. ამავდროულად, თითოეული თქვენგანიც თანხმდება იმაზე, რომ ამ პროცესში რაიმე სახის ზეგავლენას არ მოახდენთ მეორე მხარეზე წერილობითი ან ზეპირი მტკიცებულების მოპოვების მიზნით.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ თქვენ ჩემს გამოცდილებასა და კვალიფიკაციასთან მიმართებით თავი უსაფრთხოდ უნდა იგრძნოთ და უნდა დარწმუნდეთ, რომ მედიაციის პროცესი ჩემი ჩართულობით სრულიად მიუკერძოებლად წარიმართება (შეგიძლიათ, ისაუბროთ თქვენი კვალიფიკაციის შესახებ და ნათლად ისაუბროთ ნებისმიერ ისეთ გარემოებაზე, რომელიც საქმესთან დაკავშირებით თქვენს მიუკერძოებლობაში რაიმე ეჭვს ბადებს). თუ ჩემი მონაწილეობა მისაღებია თქვენთვის, დავუბრუნდები მედიატორთან დაკავშირებულ შეთანხმებას, რომელიც მედიაციის პროცესში ჩვენს ურთიერთობას განსაზღვრავს: (თუ მხარეები წარმოდგენილები არიან მათი ადვოკატებით...) უკვე გავუგზავნე ერთი ასლი თქვენს ადვოკატებს, მაგრამ მაინც სურვილი მაქვს, კიდევ ერთხელ მიმოვიხილო ხელშეკრულების დოკუმენტი, რათა დავრწმუნდე, რომ შეკითხვები ამასთან დაკავშირებით ამოიწურა.

ასე და ამგვარად, თუ თვლით, რომ თავს უხერხულ ან საეჭვო მდგომარეობაში გრძნობთ, მაცნობეთ ამის შესახებ, ისე, რომ ყველაფერი დასაწყისშივე გამოვასწოროთ და მედიაციის პროცესი თქვენთვის კომფორტულ სიტუაციაში წავიყვანოთ. ამავდროულად, თუ დღის განმავლობაში ჩათვალთ, რომ მე მიუკერძოებლობა დავკარგე, დაუყოვნებლივ მაცნობეთ ამის შესახებ. დროდადრო, კერძო შეხვედრებისას, შეიძლება, ერთ ან მეორე მხარესთან სიმკაცრე გამოვიჩინო, რათა მიზანშეწონილი დისკუსია უზრუნველვყო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მიუკერძოებელი გავხდი ან რომელიმე მხარის უფრო მჯერა. გთხოვთ, გახსოვდეთ ამის შესახებ ჩვენი განხილვის პროცესში.

ახლა, როცა იცით, თუ რა არის მედიაცია, როგორია ჩემი როლი და ვინ ვარ მე, ნება მომეცით, უფრო დეტალურად განგიმარტოთ პროცესი.

როგორც უკვე გითხარით, მედიაციის პროცესი არ არის სასამართლო განხილვა და თქვენი დავა არ შეფასდება რომელიმე მესამე მხარის მიერ (მოსამართლის მხრიდან). შესაბამისად, არ არსებობს სასამართლოსთვის დამახასიათებელი წესები.

იმისთვის, რომ მოხდეს პროცესის მაქსიმალიზაცია და თქვენი დავის გადასაჭრელად მეტი ძალისხმევის მობილიზება, მაქვს რამდენიმე წესი, რაზეც მსურს ყველანი შევთანხმდეთ: 1. გთხოვთ, ვიყოთ თავაზიანები და ერთმანეთს პატივისცემით მოვეკიდოთ; 2. გთხოვთ, ნება დამართოთ, თავად გადავწყვიტო, თუ როდის მოვექცეით ჩიხში და როდის კარგავს განხილვა ყველანაირ აზრს. თუ ამ წესებს დაემორჩილებით, მჯერა, გვექნება კარგი შესაძლებლობა, რომ ჩვენმა რთულმა სამუშაომ შედეგი გამოიღოს დღეს, რაც, დამეთანხმებით, კარგი იქნებოდა, რადგან ეს დაზოგავს თქვენს დროსა და ენერჯიას; ასევე, თავიდან აგარიდებთ სასამართლო განხილვებს და რომელიმე უცნობი, მესამე მხარის მიერ თქვენი დავის გადაჭრის რისკს.

ამავდროულად, მსურს, ჩავერთო კერძო დისკუსიებში. ეს ნიშნავს, რომ მსურს, დაგამორიშოროთ ცალკე ოთახებში და ოთახებს შორის „მიმოსვლითი დიპლომატიის“ წესით ვიმოქმედო, რათა სხვადასხვა საკითხზე ღია და გულახდილი დისკუსია გავმართოთ და ამით დავის გადაჭრის საუკეთესო გზა დავინახოთ.

პირველ რიგში, დავინყებთ თითოეული თქვენგანის მოკლე პრეზენტაციებით. ეს ნიშნავს, რომ თითოეული მხარე, თავაზიანობის დაცვით, მიმართავს მეორე მხარეს, განმარტავს მათ მიერ დანახულ ვერსიას მიმდინარე დავის შესახებ და შემოგვთავაზებს მათ მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტის გზებს. მიუხედავად იმისა, რომ სურვილი მაქვს, თითოეულმა მხარემ წარმოთქვას გახსნილი სიტყვა, ეს არ არის აუცილებელი და არც თქვენ და არც თქვენს ადვოკატ-

ტებს ეს არ მოგეთხოვებათ. გექნებათ საკმარისზე მეტი დრო იმისთვის, რომ ცალკე რეჟიმში თქვენი პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსიროთ. თუმცა მაინც მგონია, კარგი იქნება, თუ ჩვენ დისკუსიისთვის შევიმუშავებთ ჩარჩოს და მე წაგახალისებდით, რომ მაინც რაიმე სახის, თუნდაც მოკლე, სიტყვა წარმოთქვათ.

საერთო შეხვედრაზე საჯარო გამოსვლის შემდეგ ცოტას შევისვენებთ და შემდეგ, როგორც მანამდე გითხარით, მხარეებს დავაშორიშორებ სხვადასხვა ოთახში და თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე შევხვდები. ამ ვიზიტების დროს თქვენ თქვენი ინტერესებისა და აქტუალური საკითხების შესახებ იმსჯელებთ, ისე, რომ დავასთან დაკავშირებით მეტ ობიექტურობას მივალწიოთ. ჩემი მიზანია, წამოვწიო ისეთი საკითხები, რომლებიც თქვენი არგუმენტების ძლიერ და სუსტ მხარეებს გაუსვამს ხაზს. ზოგჯერ შეიძლება, ისეც ჩანდეს, თითქოს რომელიმე მხარის პოზიციისკენ უფრო ვიხრები, თუმცა ეს ასე არ არის. ჩემთვის მნიშვნელოვანია „ემ-მაკის ადვოკატის“ როლი ვითამაშო, რათა მოახერხოთ შესაძლო გადანყევების შესაძლებლობებზე ყურადღების გამახვილება; შეიძლება, ასევე ჩანდეს, თითქოს რომელიმე მხარესთან მეტ დროს ვხარჯავ, თუმცა ეს არ უნდა მიიღოთ ჩემ მიერ რომელიმე მხარის მხარდაჭერად; ხშირად ხდება, რომ დავის დროს რომელიმე განცალკევებულ მხარესთან მუშაობას (და თანხმობის მიღწევას) მეტი დრო სჭირდება. მნიშვნელოვანია, ყველას გახსოვდეთ, რომ ის, რასაც ამ ოთახებში ვიხილავთ, კონფიდენციალური ინფორმაციაა. თუ, ამავდროულად, ამ განხილვების დროს ერთმანეთს ისეთი რამ გავუზიარეთ, რაც არ გსურთ, რომ მეორე მოდავე მხარეს ეცნობოს, უბრალოდ, მაცნობეთ ამის შესახებ, რათა ჩავინიშნო და ვიცოდე, რომ არ გსურთ ამ საკითხის მეორე მხარისათვის გამჟღავნება.

და ბოლოს, გავაგრძელებთ მუშაობას განცალკევებული სესიებით, სანამ ყველანი შეთანხმებას არ მივალწევთ, ან სანამ არ გადავწყვეტთ, რომ მედიაცია ჩიხში შევიდა. თუ დღეს შეთანხმებას მივალწევთ და მჯერა, რომ კონსტრუქციული მუშაობით ეს შესაძლებელია, თქვენთან ერთად შეთანხმების ხელშეკრულების შედგენას შევუდგებით. ის თქვენი შეთანხმების შინაარსს განსაზღვრავს და ხელშეკრულების ფუნქციას შეასრულებს, რომლითაც თქვენ დავის გადაჭრისას იხელმძღვანელებთ.

სანამ დავიწყებდეთ, მსურს, უბრალოდ, გითხრათ, რომ გვაქვს, იცით, წასახემსებელი და სასმელები სამზარეულოში. საპირფარეოო ქვემოთ, ჰოლშია. მწველთათვის გარეთ მოსანევი სივრცე გვაქვს დათმობილი, მაგრამ ძალიან შორსაც ნუ გახვალთ, რათა საჭირო მომენტში დროულად მოვახერხო თქვენი მოხმობა.

მაშ ასე, თუ არ დაგვრჩა რაიმე შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რაზეც აქამდე ვისაუბრე, დავიწყებ...

## **მედიაციასთან დაკავშირებული წერილობითი შეთანხმება**

გახსნითი სიტყვის დროს, მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება პროცესის კეთილსინდისიერად წარმართვის საერთო მზაობა და მოტივაცია, ზოგიერთი მედიატორი მხარეებს სთხოვს, ხელი მოაწერონ მედიაციის შესახებ წერილობით ხელშეკრულებას, რომელიც შეთანხმებულ პირობებსა და განმარტებებს განამტკიცებს.

ეს ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ტექსტს:

ხელმომწერი მხარეები (და მათი ადვოკატები) თანხმდებიან, რომ აღნიშნული დავის საგანი გადაეცემა მედიაციის პროცესს მანამ, სანამ...

აღნიშნული მედიაციის მიზნით, ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, რომ:

- მედიატორი წარმოადგენს მიუკერძოებელ მხარეს და არ არსებობს ინტერესთა შეუთავსებლობა, რაც მედიატორს თავისი ფუნქციის განხორციელებაში ხელს შეუშლის;
- მხარეები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან ისევე, როგორც მედიატორთან, რათა დავის პროცესში კეთილსინდისიერი მუშაობის შედეგად ჯეროვანი გამოსავალი გამოინახოს;

• მხარეები და მათი წარმომადგენლები იქნებიან მედიაციის პროცესში ჩართულნი მანამ, სანამ არ მიაღწევენ შესაბამის შეთანხმებას, ან თავად მედიატორი, ან რომელიმე მხარე არ ჩათვლის, რომ სესია უნდა გადაიდოს, ან საერთოდ გაუქმდეს;

• მედიატორის თხოვნით, მხარეები გააგრძელებენ მოლაპარაკებებს მედიაციის სესიებზე;

• პროცესის განმავლობაში არანაირი სტენოგრაფიული, ვიზუალური თუ აუდიოჩანაწერი არ გაკეთდება. ნებისმიერ ქცევა, განცხადება, მიმართვა, დაპირება, აზრი, შეხედულება – ზეპირი თუ წერილობითი, რომელიც მოლაპარაკებების დროს გაკეთდება – მედიატორის, მხარეებისა თუ მათი წარმომადგენლების მხრიდან, პრივილეგირებული კომუნიკაციის წყაროა და კონფიდენციალურად გამოცხადდება, რომელსაც ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობა დაიცავს და არ გამჟღავნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი გაუმჟღავნებლობა შესაბამისი შეთანხმების პირობაა. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ისეთი ქცევა, განცხადება, დაპირება და ა. შ., რომლის გამჟღავნება დაუშვებელია, გარკვეული მიზნებიდან გამომდინარე. აქ შეიძლება, მოიაზრებოდეს ნებისმიერი სახის ღონისძიება, რომელიც მხარეების ჩართულობას გულისხმობს თვით სასამართლოს ჩათვლით და ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას განაპირობებს.

• მედიაციის პროცესის მიმდინარეობაში დაუშვებელია მუქარა სასამართლოს ჩარევით, ჩივილითა თუ სხვა რაიმე სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებით – ეს ეხება ნებისმიერ ადამიანს, რომელიც პროცესში მონაწილეობს ან მისი თანმხლებია. იგივე ეხება მედიატორს, რომელიც არასოდეს წარდგება მონაწილის სახით სასამართლოში რომელიმე მხარის მოთხოვნით ან თხოვნით მიმდინარე დავასთან დაკავშირებით.

აღსრულებაში მოვიდეს ----- დღე ----- თვე ----- წელი -----

## პრაქტიკული შენიშვნები მედიატორის წინასიტყვაობის შესახებ

რადგან გახსნილი სიტყვა (წინასიტყვაობა) არის მედიატორის შანსი, შექმნას შესაბამისი (დადებითი) გარემო, არსებობს გარკვეული ტექნიკა, რომელიც ამ კეთილგანწყობის მისაღწევად ხელშემწყობია ხოლმე:

• იყავით ფორმალურები, მაგრამ არა მეტისმეტად;

• მოახდინეთ თქვენი აზრის პერსონალიზაცია, არა ვინმეს მიერ მომზადებული, არამედ მხოლოდ თქვენ მიერ გახმოვანებული სიტყვით;

• თხრობითი სახით წარმოსთქვით თქვენი შესავალი, ნუ წაიკითხავთ მას;

• შეინარჩუნეთ მხარეებთან თანაბარი კონტაქტი;

• წინასიტყვაობას დაუთმეთ საკმარისი დრო. ის უნდა იყოს საკმარისად ვრცელი, ამავედროულად იყოს გარკვეულად დაბალანსებული მყისიერად საქმის დაწყებასა და მეტისმეტად გაჭიანურებას შორის, როცა შეიძლება გაიფანტოს მსმენელთა ყურადღება. ზოგადი გამოცდილებით, 4 – 7 წუთი სრულიად საკმარისია.

## მხარეთა პრეზენტაცია

წინასიტყვაობის დასრულებისას მედიატორი სთხოვს მხარეებს, გააკეთონ მოკლე შესავალი, რითაც საკუთარ ხედვას გამოხატავენ, მერე სთხოვს მათ, განაცხადონ საკუთარი მოლოდინის შესახებ.

ზოგიერთ შემთხვევაში, მხარის ადვოკატი თავად გაახმოვანებს ხოლმე საკუთარი დამკვეთის პოზიციას; სხვა შემთხვევებში, მხარე და ადვოკატი ერთობლივად გამოდიან სიტყვით.

ფორმატის მიუხედავად, პრეზენტაციის დროს სპიკერი (მომხსენებელი) – იქნება ეს ადვოკატი, კლიენტი თუ ორივე, მედიატორსა და მოდავე მხარეს აწვდიან შემდეგი სახის ინფორმაციას:

- მხარის ხედვას ფაქტების გათვალისწინებით;
- ქვესაკითხებს;
- რას ითხოვენ და რა სურთ კომპენსაციის სახით (თუკი ასეთი რამ არსებობს).

გამოცდილი მედიატორი მხარეებს მოუწოდებს, მოუსმინონ ერთმანეთს, რადგან თავად მოსმენისა და ყურადღების ფაქტი უკვე დავის განხილვის დასაწყისში ეფექტური კომუნიკაციის ნიშანია. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციული ურთიერთგაცვლის ფორმატი არაფორმალურია და მოქნილი, მედიატორი პროცესს ფრთხილად აკონტროლებს, ისე, რომ მოხსენების პროცესში არც ერთ მხარეს სიტყვა არ შეაწყვეტინოს.

სამართლებრივი ან ფაქტობრივი მსვლელობა საკითხისა შეიძლება აღნიშნული პრეზენტაციების დროს გარკვეულწილად დამახინჯდეს. მხარეთა წარმომადგენლები უნდა ცდილობდნენ ურთიერთგაგებასა და შეთანხმებაზე ორიენტირებული განწყობის შექმნას და, ამრიგად, საპირისპირო მხარის მხრიდან თანხმობის სურვილის (მოტივაციის) გაღვივებას.

## მედიატორის ანალიზი

მას შემდეგ, რაც ორივე მხარე შესავალ სიტყვას დაასრულებს, მედიატორს უკვე შექმნილი აქვს მოსაზრება დავის უმთავრესი საკითხებისა და მხარეთა პოზიციების შესახებ. მედიატორმა ასევე უნდა განსაზღვროს ის საკითხები, რომლებიც შესაძლოა, მედიაციის პროცესში წარმოიქმნას – ეს შეიძლება ძალთა ბალანსის არარსებობის გამო წარმოიშვას ან მხარეების მიერ კრეატიული გადაწყვეტილების მოძიების სურვილის არარსებობამ განაპირობოს.

პრეზენტაციების ბოლოს მედიატორს შესაძლოა, გაუჩნდეს დამატებითი კითხვები დავის საგნისა და მხარეთა პოზიციების, ასევე ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ, ან მოლაპარაკებების იმ სტადიისა და შინაარსის შესახებ, რომლებმაც მედიაციისადმი მიმართვა განაპირობა. სრულიად დასაშვებია ის, რომ მედიატორმა დასვას შეკითხვა და შეეცადოს, მოიძიოს პასუხები. თუმცა აქვე მედიატორმა უნდა იცოდეს, რომ:

- ზოგიერთი შეკითხვის დასმა კონფიდენციალურ გარემოში ხდება;
- მედიატორის როლი არ არის არსებული ურთიერთსაინანაღმდეგო ფაქტების დალაგება;
- მედიაცია პერსპექტივაზე ორიენტირებული პროცესია და არა პასუხისმგებლობის შეფასების მცდელობა ან ბრალეულობის განსაზღვრა;
- მედიატორის შეკითხვები მედიაციის არცერთ ნაწილში დაკითხვის ასოციაციას არ უნდა იწვევდეს.

## საკითხის იდენტიფიცირება და დღის წესრიგის განსაზღვრა

გახსნითი პრეზენტაციების დროს მხარეები მედიატორს, ჩვეულებისამებრ, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ აცნობებენ. მართლაც, მხარეთა უმრავლესობა ცდილობს, მოახსენოს მედიატორს პრობლემის არსი, იმისათვის, რომ შეთანხმებამდე მივიდნენ. მხარის პოზიცია, ჩვეულებისამებრ, ნათელი და გასაგებია ხოლმე. მთავარი „ინტერესი“ ანუ საფუძველი კონკრეტულ დავაში ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ნაკლებად თვალსაჩინოა ხოლმე.

შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები შესაბამისი სამართლებრივი საკითხის განსაზღვრას ახდენენ ხოლმე, ისინი დავის საგნის გადამწყვეტაში ნაკლებ დახმარებას უწევენ მედიატორს. მედიატორს, შესაძლებელია, საქმის უფრო სიღრმისეული შესწავლა დასჭირდეს. ხშირად ხდება, რომ, კონფიდენციალური საუბრებიდან გამომდინარე, მედიატორი სწორედ საჭირო საშუალებებს სწვდება. მიუხედავად იმისა, რომ ამის ძირეული შემომწმება განხილვის

პროცესში წარმოებს, საამისოდ ნიადაგის მომზადება საკითხის იდენტიფიცირებისა და დღის განრიგის განსაზღვრის ადრეულ ფაზაში ხდება.

### **საკითხის იდენტიფიცირება**

მედიატორი საკითხების ნუსხას შეიმუშავებს, თან ეცდება, ნეიტრალური სიტყვებით ისეთი საკითხები გამოკვეთოს, რომლებიც იმპულსურ და დამატებით მსჯელობას გამოორიცხავს და პროცესს მოლაპარაკების ფასილიტაციისკენ მომართავს.

ეს „სია“ არის ერთგვარი „მენიუ“ ანუ შაბლონი, რომელიც დიალოგში შემდეგნაირად აისახება:

მაგალითი:

მხარის განცხადება: „უარს ვაცხადებ მასთან თანამშრომლობაზე!“

მედიატორის ხელახალი ფორმულირება: (რაც არის ჩამონათვალში): „კონტროლის მექანიზმები“.

იმდენად, რამდენადაც სია იზრდება, მედიატორი განაგრძობს მის შესწორებას მხარეთა ჩართულობის პროცესში მეტი აკურატულობის მისაღწევად.

მედიატორისთვის სასარგებლო მიდგომები, რასაც ის უნდა ითვალისწინებდეს, არის შემდეგი:

- საკითხის მითითება დაფაზე, ისე, რომ არაფერი გამორჩეს;
- მხარეებთან ერთად გადაამოწმოს, ხომ არაფერი გამორჩა, ასევე გაუსვას ხაზი, რომ ნუსხა შეიძლება განახლდეს;
- ნუსხა არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ერთ საკითხს.

### **დღის წესრიგის შემუშავება**

როგორც კი საკითხები სიაში განისაზღვრება, მედიატორის შემდეგი მიზანია, განსაზღვროს მათი განხილვის თანმიმდევრობა. ეს არის სტრატეგიული დავალება და შესაძლოა, სიაში პუნქტების გადანაცვლებაც მოითხოვოს – რათა სპონტანურად, თავდაპირველად მითითებული თანმიმდევრობით არ მოხდეს მათი განხილვა.

მედიატორები დღის წესრიგის განსაზღვრავად არაერთ სტრატეგიას მიმართავენ, რაც მოიცავს:

- თხოვნას მხარეების მიმართ, შეთანხმდნენ, რომელი საკითხის განხილვა ურჩევნიათ პირველ რიგში (რიგის მათეული ხედვა);
- განსახილველი პუნქტების ალტერნატიული ვარიანტის შემუშავება;
- მარტივი საკითხებით დაწყება იმ მიზნით, რომ თავდაპირველ, მარტივ საკითხებზე შეთანხმებამ საერთო თანხმობისათვის სასურველი განწყობა შექმნას;
- უფრო რთული საკითხებით დაწყება იმ მოსაზრებით, რომ, თუ ამ ნაწილში შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, წვრილმანების განხილვა დროის კარგვა იქნება;
- საკითხების დაყოფა, რთული და მარტივი საკითხების გამოკვეთა და შემდეგ გრადაციის წესით მარტივიდან რთულზე გადასვლა (ან პირიქით);
- გადაწყვეტის შესაბამისი ალტერნატიული საშუალებების განსაზღვრა.

### **მხარეთა მოლაპარაკებები**

ერთობლივი და ცალკეული შეხვედრები

მხარეთა პრეზენტაციების, საკითხის იდენტიფიცირებისა და დღის წესრიგის განსაზღვრის შემდგომ მედიატორმა უნდა გადაწყვიტოს, განაგრძოს თუ არა პროცესის წაყვანა ერთობლივი თუ ცალკეული შეხვედრებით (მედიატორთან კონფიდენციალური შეხვედრებით).

ეს ცალკეული შეხვედრები ხშირად გამოიყენება იქ, სადაც:

- მხარეებს შორის მტრული დამოკიდებულება არსებობს;
- სადაც ერთი ან ორივე მხარე ამას ითხოვს;
- სადაც თითოეული მხარე მოლაპარაკებებისთვის ცალკეულ ოთახს საჭიროებს, რათა საკითხის შესახებ, რომელიც მხარეებმა პრეზენტაციებისას გააჟღერეს, მეტი გარკვეულობა იქნეს უზრუნველყოფილი.

კერძო შეხვედრების მოდელი მხარეებისთვის პირადი საუბრების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, ისე, რომ მათ საკუთარი მოთხოვნები და პოზიციები განავითარონ. ასევე მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაიცვალონ ბრაზისგან მხოლოდ მედიატორის თანხლებით. მედიატორი ამ პოზიციებს ნეიტრალურ ენაზე გადაიყვანს და შემდგომი მოლაპარაკების ნახალისებას მოახდენს. თუ ამ დროს მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა, მედიატორს შეუძლია, მოიწვიოს მეორე მხარე და მომდევნო ნაბიჯის განსასაზღვრავად გაერთიანებული სხდომა ჩაატაროს.

### **ინფორმაციის მოძიება**

მოლაპარაკების პროცესში მედიატორი ინფორმაციის მოძიებასა და შესწავლას განაგრძობს. ინფორმაციის მოძიება მნიშვნელოვანია, რადგან მხარეების უმრავლესობა შესავალი პრეზენტაციების დროს მხოლოდ საკუთარ ვერსიაზე ამახვილებს ყურადღებას. მომდევნო საუბრებში მედიატორმა უნდა განიხილოს მიღებული ინფორმაცია და შესაძლო დამატებითი ფაქტების არსებობის შესახებ მხარეებთან განიხილოს. ამრიგად, მედიატორმა უნდა დაინყოს იმ საკითხებისა და ინტერესების იდენტიფიცირება (და წამოწევა), რომლებიც მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას შეუწყობს ხელს.

### **პოზიციების გამეორება და გაანალიზება**

დამატებითი ინფორმაციის მიღების პროცესში მედიატორს შეუძლია, მხარეების მიერ გაცხადებული პოზიციები ნეიტრალური სიტყვებით გაიმეოროს და დაეხმაროს მათ თავიანთი ძლიერი მხარეების უკეთ გათავისებაში. ეს ხელახლა ფორმულირება რამდენიმე მიზანს ემსახურება: ხაზს უსვამს აქტიური მოსმენის ტექნიკას და უდასტურებს მხარეებს, რომ მათი პოზიცია მოსმენილი და აღქმულია; რომ ადამიანს მათი კარგად ესმის და, იმავდროულად, ცდილობს, საკითხი ისეთი პერსპექტივით დაინახოს, რომელიც ამავე პოზიციების, მოლოდინისა და მოთხოვნების ობიექტური შეფასებისკენ იქნება მიმართული.

### **შეთანხმების სხვადასხვა ვარიანტის მიღწევა-შეთავაზება**

მას მერე, რაც მხარეებს მიეცათ სრული შესაძლებლობა, საკუთარი პოზიციები გამოეხატათ, მედიატორი მათ შეთანხმების ვარიანტების დამუშავებისკენ მოუწოდებს. როგორც წესი, ეს მოლაპარაკებები თავისი ბუნებით გამანაწილებელია: ერთი მხარე, როგორც წესი, მოსარჩელე, მოითხოვს ფულად ანაზღაურებას ან შესაბამისი ღირებულების ობიექტს, იმის გათვალისწინებით, რომ მეორეც შემხვედრ მოთხოვნას წამოაყენებს.

ამ მოლაპარაკების დროს მედიატორი ნეიტრალური კურიერის როლს ასრულებს (ისევე როგორც მიუკერძოებელი მრჩევლის). როგორც ნეიტრალური მრჩეველი, მედიატორი მოლაპარაკების წინ წასაწევად გონივრულ ინიციატივას წამოაყენებს. ის, იმავდროულად, მომრიგებლობითი პროცესის უპირატესობას უსვამს ხაზს, თუმცა სრულ მიუკერძოებლობას ინარჩუნებს, ისევე როგორც მხარეთა მიმართ პატივისცემასა და კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის პრინციპს იცავს. მოლაპარაკების მიმდინარეობის პროცესში მედიატორმა შესაძლებელია, მხარეები წახალისოს, რამეთუ მათ ალტერნატიული შეთანხმების ირგვლივ არსებული შესაძლებლობებიც განიხილონ, თუმცა ერთი რომელიმე ვერსიის შეთავაზებისგან თავს იკავებს. მედიატორის როლი ამ ეტაპზე არის მხოლოდ მხარეების წახალისება,

ისე, რომ მათ მოლაპარაკება განაგრძონ და დაეხმაროს, გადანყვიტონ, შეთანხმების მისაღწევად რომელი იქნებოდა ყველაზე სასურველი ვარიანტი, რაზეც ისინი შეთანხმდებოდნენ.

## ვარიანტების მოძიება

ზოგიერთი საქმე მხოლოდ კრეატიული ალტერნატივების შემუშავებით წყდება. ამ შემთხვევებში, მედიატორმა მხარეებთან უნდა ითანამშრომლოს, ისე, რომ ყველა „ნედლი“ ვარიანტი შემუშავდეს. მხარეებმა ვერსიების ფართო არჩევანი უნდა მოიტანონ – არ აქვს მნიშვნელობა, თავიდან რამდენად სასაცილოდაც არ უნდა ჩანდეს ზოგიერთი მათგანი. თუ მედიატორი მოახერხებს პრობლემის გადანყვიტის გზაზე კრეატიული და თანამშრომლობითი განწყობის ჩამოყალიბებას, მხარეები ერთობლივად ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს მიაგნებენ. ამას ხშირად „ჩარჩოს მიღმა“ აზროვნებას უწოდებენ (*Out of Box Thinking*). მედიატორი პროცესში მოტივატორისა და ფასილიტატორის როლს შეასრულებს, თუმცა „გონებრივი იერიშის“ ადრეულ ეტაპზე კონკრეტული ვარიანტების შეთავაზებისაგან თავს შეიკავებს, რადგან ის, რაც შეიძლება, მისთვის ყველაზე კეთილგონივრულ გადანყვიტად ჩანდეს, შესაძლებელია, რომელიმე მხარისთვის ნაკლებად მიმზიდველი აღმოჩნდეს.

„გონებრივი იერიშის“ პროცესში მედიატორი უნდა შეეცადოს, წახალისოს მხარეები იმისკენ, რომ საკითხს „გვერდიდან“ შეხედონ და გასცდნენ ნაცად გზებს, ისე, რომ დავის შემთხვევაში მათი კრეატიულობა გაცვეთილი პარამეტრებით არ შეიზღუდოს. ხელსაყრელი პირობებისას მედიატორმა შესაძლებელია, დასვას ისეთი კითხვები, რომლებიც დამატებითი ოფციების (შეთავაზებების) მოსაძიებლად იქნება მიმართული (რაც, შესაძლოა, მხარეებს გამოჩნდეს). გამოსავლის ძიების პროცესში მხარეებმა გარკვეული გამოწვევები უნდა მიიღონ, რათა შემდგომში ორივესთვის ხელსაყრელ შეთანხმებამდე მივიდნენ.

გონებრივი იერიშის ტექნიკა გულისხმობს ისეთი გარემოს, რომელშიც მონაწილეებს სთხოვენ:

- თავი შეიკავონ კრიტიკისაგან, როგორც საკუთარი, ასევე სხვისი წინადადების მიმართ;
- ყველა იდეა ყურადღების ღირსია, როგორი უჩვეულოც არ უნდა ჩანდეს ის;
- იდეის შესახებ საუბარი არ უდრის მის მიღებას;
- დასაშვებია, დავეყრდნოთ სხვის აზრს, მაგრამ არა შევცვალოთ ან გადავაკეთოთ იგი;
- რაც შეეხება გადანყვიტების მიღებას, ეს შემდგომი ეტაპია.

## ოფციების შემოწმება

მაშინ, როცა რომელიმე მხარე კონკრეტული გადანყვიტით გამოვა, მედიატორმა დახმარება უნდა გაუწიოს მას, გააანალიზოს, გადასინჯოს და შეაფასოს იგი. შეკითხვების დასმით მედიატორმა დახმარება უნდა გაუწიოს მხარეებს, თავად განსაზღვრონ, რამდენად რეალისტურია მათი წინადადებები. ეს უნდა იყოს ღია კითხვები – რაც დასაწყისში კატეგორიულ შეკითხვებს გამოირიცხავს. როგორც კი ნათელი გახდება, რომ მხარეების მიერ განხილულ საკითხში რეალური სურათი იკვეთება, შეკითხვებიც სულ უფრო „ვინრო“ და კონკრეტული გახდება. მას მერე, რაც მედიატორი ღია შეკითხვებით მხარეებს საკუთარი ვერსიების შეფასებაში მოეხმარება, ეს პროცესი „შეკითხვაში“ გამოიკვეთება. მხოლოდ ამ თავდაპირველი დატესტვისა და შეფასების მერე მედიატორმა უნდა გააჟღეროს თავისი ვარიანტი (ნეიტრალური სახით), ისიც შეკითხვის ფორმით. მას შემდეგ, რაც მხარეები შეთანხმდებიან ალტერნატიულ ვარიანტზე, მედიატორი კვლავ მიუბრუნდება მას და ორივე მხარესთან მის ძლიერ თუ სუსტ მხარეებზე იმსჯელებს. ამ ეტაპზე, თუ ყველანი თანხმდებიან, მედიატორი არის მზად, დაეხმაროს მხარეებს, საბოლოო ვარიანტზე შეჯერდნენ.

## შეთანხმების შეჯერება, როცა შეთანხმება მიღწეულია

თუკი მოლაპარაკების პროცესი შეთანხმებით დასრულდა, მედიატორი ეხმარება მხარეებს, მის წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებაში; ზოგჯერ, დავის სირთულიდან გამომდინარე, შეთანხმების დამატებითი დოკუმენტირებაა საჭირო. თუ ასეა, მედიატორმა უნდა წაახალისოს მხარეები, „თანხმობის მემორანდუმი“ პუნქტებად განერონ, რაც მომდევნო განხილვებისთვის ერთგვარი საზომი და სახელმძღვანელო გახდება.

ურთიერთგაგების მემორანდუმი ითვალისწინებს პირველად მონახაზს, რომელიც შედარებით უფრო ფორმალური ტიპის დოკუმენტია – საშუამავლო შეთანხმებაა. ეს მემორანდუმი ხშირად ერთ-ერთი მხარის იურისტის ან თავად მედიატორის მიერ დგება – სესიის დამთავრებამდე. ურთიერთგაგების (თანხმობის) მემორანდუმმა უნდა მოიცვას შეთანხმების არსებითი პუნქტები და იმის დადასტურება, რომ მხარეებმა მიღწეული შეთანხმება გაითავისეს; ასახოს მხარეების შეთანხმება, როგორც მავალდებულებელი დოკუმენტისა. მემორანდუმს ხელი უნდა მოეწეროს მედიაციის სესიების განმავლობაში.

იმდენად, რამდენადაც თანხმობის მემორანდუმი საბოლოო შეთანხმების საფუძველია, ის ყველა პირობას უნდა მოიცავდეს. მიზანი ისაა, რომ საბოლოო შეთანხმება არ გახდეს მომდევნო დავის საგანი.

მედიატორს შეუძლია, ხელი შეუწყოს მხარეებს, მემორანდუმის შემუშავებისას შეთანხმონ შემდეგი საკითხები:

- შეთანხმების ძირითადი პირობები;
- პირობები, რომლებიც ექვემდებარება ან არ ექვემდებარება შესრულებას;
- სპეციალური პირობები თანხის გადახდასთან დაკავშირებით;
- პირობები, რომლებიც შეთანხმების აღსრულებას ითვალისწინებს;
- იმ პირების განსაზღვრა, რომლებმაც თითოეული პირობა უნდა აღასრულონ;
- განსახორციელებელი ქმედებების ნუსხა;
- პირობების შესრულების ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმები;
- სამომავლო ურთიერთობები მხარეებს შორის (თუკი ეს შესაძლებელია);
- ისეთი სპეციალური პირობების იდენტიფიცირება, რომლებიც საბოლოო დადასტურებას საჭიროებს;
- სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც შეთანხმების მოტივატორებად გვევლინებიან;
- კონფიდენციალობა;
- (ინფორმაციის) გამჟღავნების პირობები;
- შეწყვეტა (შეჩერება);
- აღსრულების პროცედურები;
- დარჩენილი საკითხების გადაწყვეტის პროცედურები;
- იმ დავის გადაწყვეტის მექანიზმები, რომლებიც საბოლოო შეთანხმების დადების მომენტში წარმოიქმნება.

არბიტრისგან განსხვავებით, მედიატორი არასოდეს მოახდენს მხარეების იძულებას რაიმე სახის შეთანხმების მიღების გზაზე, მაგრამ მან ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს, თანხმობის მემორანდუმში საკუთარი შეთანხმების პუნქტები ნათლად განერონ, რაც, საბოლოოდ, სამედიაციო ხელშეკრულებით დაგვირგვინდება. თუ მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას, ისინი იმ პირობებით იქნებიან ურთიერთვალდებულები, რომელთაც თავად დადებენ.



თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, თუ მხარეები ვერ აღწევენ შეთანხმებას, მაგრამ მედიატორს სჯერა, რომ დამატებითი მოლაპარაკებები უფრო პროდუქტული იქნება, ასეთ შემთხვევაში მედიატორი მხარეებს ურჩევს:

- განაგრძონ მოლაპარაკებები და მასთან კონტაქტი შეინარჩუნონ;
- მიუბრუნდნენ მოლაპარაკების საგანს გარკვეულ დროს, მომავალში;
- მოაგროვონ დამატებითი ინფორმაცია ან მოახდინონ მისი შესწავლა-შეფასება;
- ან ჩაერთონ სხვა პროცესში, როგორცაა, მაგალითად, სავალდებულო არბიტრაჟი.

### **მედიაციის შემდგომი კომუნიკაცია**

თუ მხარეებმა შეთანხმება ვერ მიაღწიეს თავდაპირველი სესიის დროს, მედიატორი წაახალისებს მათ, მონაწილეობა შემდეგ სესიაში მიიღონ. იმდენად, რამდენადაც მხარეებს უკვე რამდენიმე შეთავაზება აქვთ ხელთ, შესაძლებელია, სხვა დროს მათ თანხმობის მიღწევა მოახერხონ. მომთმენი და თანმიმდევრული მედიატორი ხშირად თავისი მოთმინებისთვის ჯილდოვდება.

როგორც წესი, მრავალი კომპლექსური მედიაცია მხოლოდ ერთი სესიით არ შემოიფარგლება. პროცესმა შესაძლებელია, რამდენიმე თვეც კი მოიცვას. ასე ხდება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ხასიათის დავების შემთხვევებშიც.<sup>9</sup>

## **III. კომუნიკაცია**

კარგი კომუნიკაციის უნარები მედიატორის ხელში საუკეთესო იარაღია, რითაც იგი მოლაპარაკების ხელშეწყობას ახდენს. კრიტიკული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები გულისხმობენ უფრო მეტს, ვიდრე შეკითხვების ეფექტურად დასმის უნარს. ის, აგრეთვე, აქტიური მოსმენის უნარს გულისხმობს.

### **1. კომუნიკაციის ტიპები**

#### **1.1. არავერბალური**

თვალისმიერი კონტაქტი, ხელების ჟესტები, სახის გამომეტყველება, სხეულის პოზა, ხმის ტონი, ტემბრი... ეს არავერბალური კომუნიკაცია ხშირად უფრო მრავლისმთქმელია ადამიანის რეალური გრძობების შესახებ, ვიდრე ვერბალური კომუნიკაცია.

კომუნიკაციის თეორიის სპეციალისტები გვიმარტავენ, რომ მოსაუბრის სიტყვები მსმენელისადმი მიმართული ინფორმაციის მხოლოდ 7%-ია; 93% არავერბალური კომუნიკაციის საშუალებით გადაიცემა, კერძოდ:

- 38% ხმის ტემბრით და სახის გამომეტყველებით;
- 55% მოსაუბრის სხეულის ენით.

სწორედ იმიტომ, რომ საუბრის შინაარსის გადმოცემის ესოდენ დიდი წილი არავერბალურია, მედიატორმა დიდი ყურადღება უნდა მიაანიჭოს როგორც საკუთარ, ისევე მხარეების ტონს, სახის გამომეტყველებასა და სხეულის ენას.

<sup>9</sup> მაგალითად, ვაჭრობის საერთაშორისო პალატა ამ პროცესს შემდეგნაირად განმარტავს: თუ მედიაციის პროცესის ბოლოსთვის შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, მედიატორს შეუძლია, მხარეებთან შეთანხმების საფუძველზე, მათთან თანამშრომლობა მომდევნო დღეებსა თუ კვრაში განაგრძოს, რათა დაეხმაროს მათ დავის პროცესში შეთანხმების მისაღწევად. ეს მხარდაჭერა არის მოქნილი და პრაქტიკული, მათ შორის ტელეფონით ან ელ. ფოსტით კომუნიკაციის საშუალებითაც, ვიდურონფერენციებისა თუ უშუალო შეხვედრების გამოყენებით. <http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Arbitration-and-ADR/Mediation/Rules/Mediation-Guidance-Notes/>.

არავერბალური კომუნიკაციის დროს გამახვილებული ყურადღების გათვალისწინებით, მედიატორი შესაძლებელია, ჩასწვდეს მოსაუბრის გზავნილის არსებით შინაარსს, შესაბამისად, უკეთ დაინახოს მიმდინარე დავის ნიუანსებიც.

## 1.2. ვერბალური კომუნიკაცია

ვერბალური კომუნიკაცია ასევე ორი მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შედგება – მოსმენა და ლაპარაკი. ეფექტურმა მედიატორმა ორივე უნარ-ჩვევა უნდა გამოიმუშაოს.

## 2. მოსმენის (უნარი)

მედიატორის მოსმენის კულტურა არა მხოლოდ არწმუნებს მხარეებს, რომ მათ მოუსმინეს, არამედ ახალისებს მათ, გასცენ დამატებითი ინფორმაცია, უზრუნველყოფს ფასეულ უკუკავშირს მხარეებისათვის და ერთმანეთთან ურთიერთობაში საჩვენებელ მაგალითს იძლევა.

აქტიური მოსმენის ხელოვნება გულისხმობს პრაქტიკულ მეცადინეობასა და კონცენტრაციის გამოჩენას. გამოცდილ მედიატორებსაც კი ზოგჯერ ყურადღება ეფანტებათ. ეფექტურმა მედიატორებმა „ძირითადი ხაზი“ არ უნდა დაკარგონ და მხარეების როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ კომუნიკაციას ყურადღებით მოეკიდონ.

### 2.1. აქტიური მოსმენის უნარი როგორც არავერბალური კომუნიკაცია

აქტიური მოსმენის დროს მსმენელის ქცევა უბიძგებს მოსაუბრეს, მეტი ილაპარაკოს. თავის დაქნევით მსმენელმა შეიძლება აქტიური ინტერესი გამოავლინოს და წაახალისოს მოსაუბრე, განგრძოს საუბარი. ტრადიციულად არავერბალური აქტიური მოსმენის ნიშნები შემდეგია:

- სიჩუმე: დრო, რომელიც მოსაუბრეს საშუალებას აძლევს, დაფიქრდეს და შეკითხვას უპასუხოს;
- სხეულის ენა: როგორც წესი, ღია და მოშვებული მდგომარეობა;
- თვალისმიერი კონტაქტი;
- მხარდაჭერის ჟესტები: მაგალითად, თავის დაქნევა, წინ გადაწევა (და არა, მაგალითად, უკან გადახრა);
- სახისმიერი გამომეტყველება.

აქტიური მოსმენითი პროცესის დამახასიათებელი ნიშანია დეტალებისადმი ყურადღების გამახვილება. შესაბამისად, მედიატორმა უნდა დააბალანსოს შენიშვნების გაკეთების მნიშვნელობა თვალისმიერი კონტაქტისა და ვერბალური კომუნიკაციის ერთობლიობის აუცილებლობასთან.

### 2.2. აქტიური მოსმენის ვერბალური კომპონენტები

აქტიური მოსმენა „სარკის ეფექტის“ მსგავსია, რაც მოსაუბრის გზავნილსა და გრძნობებს ბუნებრივ, არაგანმსჯელ კალაპოტში მოაქცევს. მოსაუბრის სიტყვების პერიფრაზისას მედიატორი აჩვენებს მოსაუბრეს, რომ მისი სიტყვები გაგებულია და ზედმინვნითი სიზუსტით ინტერპრეტირებული. ეს „გადათამაშება“, თავის მხრივ, უბიძგებს მოსაუბრეს, საკუთარი პოზიცია საუბარში კიდევ უფრო დახვეწოს, რაც, შესაბამისი მონიშვნების ჩათვლით, მხარეს ეხმარება, ჩასწვდეს იმას, თუ რამდენად ნათლადაა აღქმული დავის საგანი მესამე, ნეიტრალური მხარის მიერ.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ:

- „რეფლექცია“ (გამოხმაურება) არ ნიშნავს თანხმობას;
- ემპათია არ ნიშნავს თანხმობას;
- აქტიური მოსმენის ფორმა არ უნდა იწვევდეს ეჭვს მედიატორის მიუკერძოებლობაში. ვერბალური აქტივობანი, რაც აქტიურ მოსმენაში იკვეთება, ოთხ კატეგორიად იყოფა:
- პერიფრაზირება,
- შეჯამება,
- ხელახლა ფორმულირება,
- შეკითხვის დასმა.

### **პერიფრაზირება**

პერიფრაზირება გულისხმობს მხოლოდ იმის გამეორებას, რაც მოსაუბრემ ეს-ესაა წარმოთქვა, ან კიდევ ინფორმაციის მოკლე ფორმით შეჯამებას. ეს არ ნიშნავს თუთიყუშივით მე-სიჯის გამეორებას იმავე სიტყვებით. ნაცვლად ამისა, ის იყენებს ენას, რომელიც მოსაუბრის სიტყვების მსგავსია და ხშირად ემოციურ გამოხმაურებასაც მოიცავს.

მაგალითად: „არ მჯერა, რომ მათ ხელშეკრულების პირობები დაარღვიეს!“

პერიფრაზირება: „გაბრაზებული ხარ მათი ქცევის გამო და თავს განზილებულად გრძნობ.“

### **შეჯამება**

ეს ტექნიკა, ძირითადად, მთავარი ეპიზოდის თავში ან ბოლოში გამოიყენება. ის პერიფრაზირებას ჰგავს. მედიატორი ცდილობს, ინფორმაციის ძირითადი ლაიტმოტივის ამოკითხვა და შეჯამება შეძლოს.

### **ხელახლა ფორმულირება**

ხელახლა ფორმულირება გულისხმობს განსხვავებული სიტყვებით იმის გამეორებას, რაც განაცხადა მხარემ. კერძოდ:

- მიკერძოებული განაცხადის გაუვნებლყოფას ნეგატიური ასპექტების ამოღებით;
- განაცხადის ნეიტრალური ენით გადმოცემას;
- გაგების (ემპათიის) დემონსტრირებას მოსაუბრის პერსპექტივით;
- პერსპექტივის შეცვლას.

მედიატორს მუდამ სურს მიზნის გამოკვეთა, თუმცა ეს მიზანიც შეიძლება განსხვავებულ სახეს იძენდეს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

პირველადი განაცხადი:

მხარე, რომელიც ბანკს წარმოადგენს, აცხადებს: „ისინი ჩივიან ჩვენი პრაქტიკის შესახებ, მაგრამ მათ წარმოადგენა არ აქვთ, თუ რა ხდება ჩვენს სფეროში!“

მიზანი – განაცხადის ისეთი პერიფრაზირება, სადაც „ტოქსიკური“ სიტყვები აღარ იქნება: „თქვენ არ გგონიათ, რომ მათი ხედვა თქვენი საქმიანობის აკურატულ ცოდნას წარმოაჩენს“?

მიზანი: პერიფრაზი ისეთი სახით, რომელიც უფრო ემპათიურ მხარეს გაუსვამს ხაზს: „გალიზიანებული ბრძანდებით, რადგან არ გგონიათ, რომ მათი ხედვა ზუსტია“.

მიზანი – პერიფრაზირება ხედვის გამოსახატავად: „გსურთ სამართლიანი წინადადება, რომელიც ბანკში მიმდინარე საქმიანობის ადეკვატური იქნება“?

## 2.3. შეკითხვების დასმა

ინფორმაციის მოძიების სტადიაზე მედიაციის პროცესში მედიატორი დასვამს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც დავისა და მხარეთა შესახებ მას მეტ ინფორმაციას მიაწვდის. პროცესის დასაწყისში მედიატორმა დავის ფოკუსის შევნიშვნისაგან თავი უნდა შეიკავოს. ადრეული სესიებისას მედიატორმა ღია შეკითხვები უნდა დასვას და უფრო განმარტებისკენ ისწრაფოდეს, ვიდრე მხოლოდ დახურული (დიახ, არა) პასუხები მიიღოს.

მაგალითად, მედიატორმა შესაძლოა იკითხოს:

რას ფიქრობთ?

მითხარით მეტი ამის შესახებ...

რა გაიფიქრეთ, როცა...

შეგიძლიათ ამიხსნათ...

ეს და სხვა ღია ტიპის შეკითხვები, როგორც წესი, უფრო ფართო ტიპის პასუხებს გულისხმობს და ინფორმაციის მიღებას ისახავს მიზნად.

ზოგიერთი შეკითხვა უფრო ვიწრო, ფოკუსირებულ პასუხს მოითხოვს, მაგალითად:

- მომეხმარეთ გავერკვე, რატომ არ ღირს ეს ავტომობილი 2000-ზე მეტი?

- უფრო ზუსტად, რა პრობლემა არსებობს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით:

შესაძლებლობების ფარგლებში მედიატორი უნდა მოერიდოს „მიმართულების მიმცემი“ შეკითხვების დასმას, რომლებიც „დახურულ“ პასუხს მოითხოვს, მაგალითად:

- მანამდე ზურგი განუხებდათ, არა?

- წითელი მანქანა საათში 70 კმ-ზე მეტი სიჩქარით მოძრაობდა, ხომ ასეა?

ზოგჯერ დახურული შეკითხვის დასმა საჭიროა, რათა დადასტურდეს მხარის სურვილი კონკრეტული საკითხის მიმართ ან კონკრეტული, ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიებისთვის. მაგალითად:

- მითხარით კიდევ ერთხელ, რატომ გსურთ, გააგრძელოთ მუშაობა ამ ქარხანაში?

- რამდენი ხანი მუშაობდით თბილისის ენერჯოკომპანიაში?

თუმცა მედიატორმა, ჩვეულებისამებრ, თავი უნდა აარიდოს შედგენილი კითხვების დასმას, მაგალითად:

- მთავრობამ მეტი უნდა დახარჯოს განათლებაზე და ნაკლები სამეცნიერო კვლევებზე?

- რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი სამსახურით და ანაზღაურებით?

- პროგრამული უზრუნველყოფა საინტერესო და სასარგებლო იქნება?

## 3. წარმოდგენების შეცვლა

### 3.1. კულტურული მსოფლმხედველობა

ერთი კულტურის ადამიანები ხშირად ზოგად წარმოდგენას იქმნიან ადამიანების შესახებ, რომლებიც სხვა კულტურას წარმოადგენენ. ეს წარმოდგენები შეიძლება ეფუძნებოდეს სხვადასხვა ფაქტორს, რაც შესაძლებელია, აშკარა სხვაობას გულისხმობდეს (ასაკი, სქესი, ეროვნება და ეთნიკურობა), ასევე უფრო ნიუანსურ ფაქტორებს, როგორებიცაა: პირადი ფასეულობები, განათლება, სოციალური სტატუსი, სექსუალური ორიენტაცია.

მედიატორებმა უნდა იცოდნენ აღნიშნული კულტურული სტერეოტიპების გავლენის შესახებ, კერძოდ, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ მედიაციის დროს. არსებობს საზოგადოებრივი მეცნიერების შესახებ მდიდარი ლიტერატურა, რომელიც დაეხმარება მედიატორებს, შეძლებისდაგვარად კულტურულ სხვადასხვაობას მოერგონ, რამაც დავის განხილვის პროცესში შეიძლება იჩინოს თავი.

## 3.2. კულტურული განსხვავებანი

### საერთაშორისო ტიპის სხვაობა

სხვადასხვა კულტურული დონის ადამიანები არავერბალური კომუნიკაციის ნიშნებს სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, ამერიკული „ok.“ ნიშანი (მოხრილი საჩვენებელი თითი და ცერა ერთიანდება, დარჩენილი თითები კი ზეანეულია) შეიძლება ნიშნავდეს:

- ვულგარულ ჟესტს ბრაზილიასა და გერმანიაში;
- არათავაზიან ჟესტს საბერძნეთსა და რუსეთში;
- ფულის ნიშანს იაპონიაში;
- „ღირსეულობის“ მანიშნებელს საფრანგეთში.

საჩვენებელი თითით მითითება ახლო თუ შორეული აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში არათავაზიანობის ჟესტად აღიქმება – ამ ქვეყნებში რაიმეზე მითითება, ძირითადად, გაშლილი ხელით ხორციელდება.

ასევე შესაძლებელია, მნიშვნელოვანი იყოს პირადი სივრცის საკითხიც. ამერიკაში ადამიანები ერთმანეთთან მკლავის სიგრძის ტოლ მანძილს ინარჩუნებენ, მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში 8-12 ინჩისოდენა მანძილი ნორმად მიიჩნევა.

შესაბამისად, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ადამიანები მოლაპარაკების სხვადასხვა სტილით გამოირჩევიან; ზოგიერთ ქვეყანაში მცირეოდენი პაუზები იძლევა საშუალებას მოფიქრებისთვის დროის გამოსაყოფად და არ გულისხმობს თანხმობას ან უარყოფას; ზოგან პუნქტუალურობა პატივისცემის ნიშანია, ზოგან კი დასაშვებია შეხვედრაზე 30 ან 45 წუთითაც დაგვიანება; ზოგიერთ ქვეყანაში მომლაპარაკებლები შეიძლება იყენებდნენ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: „ვნახოთ“, ვიდრე პირდაპირ თქვან „არა“; ზოგან შეიძლება, საექვოდ მოიბოდიშონ, ან თავი ისე გაჩვენონ, თითქოს ინგლისური არ ესმით, ვიდრე პირდაპირ გიპასუხონ „არა“.

კულტურული სხვაობები შეიძლება გავლენას ახდენდნენ მხარის წარმოდგენაზე კომუნიკაციის სტილისა და ქცევის ფართო სპექტრის შესახებ, მაგალითად:

- როდისაა ექსპრესიულობისა და თავშეკავებულობის გამოვლენის ზუსტი მომენტი?
- ურთიერთობის პროცესში რა არის მობოდიშების როლი?
- სოციალიზაციის რა დონეა აუცილებელი, რომ „საქმეს“ შეუდგეთ?
- როგორ უნდა იურთიერთონ ქალებმა და მამაკაცებმა?
- სად გადის ზღვარი სათანადო დაინტერესებასა და არამისასაღმებელ ჩარევას შორის?
- პრობლემის გადაჭრის რომელი სტილია გავრცელებული: თანამშრომლობითი თუ შეჯიბრებითი?

### გენდერული სხვაობა

იმ ადამიანებს შორისაც კი, ვისაც საერთო რასა და კულტურული მემკვიდრეობა აერთიანებთ, გენდერის საკითხი მოლაპარაკებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეს შეიძლება, გამოიხატებოდეს არავერბალური კომუნიკაციით, როგორცაა, მაგალითად, მაგიდასთან სხდომის წესი ქალებისა და მამაკაცებისათვის. სოციოლინგვისტიკები გვაუწყებენ, რომ მამაკაცებმა შეიძლება მიმართონ საუბარს სტატუსის ხაზგასასმელად. ქალები კი, პირიქით, საუბარს ურთიერთობების დასამყარებელ საშუალებად განიხილავენ.<sup>10</sup>

<sup>10</sup> Deborah Tannen, *You Just Don't Understand: Women and Men in Conversation* (1990).

## გ. სოციოეკონომიკური სხვაობანი

ზოგჯერ რთულია სხვადასხვა სოციოეკონომიკური ფონის მქონე ადამიანებისათვის, ჩასწვდენენ მეორე მხარის იმედებსა თუ შიშებს. ეს კულტურული სხვაობანი მედიაციის პროცესზე გავლენის მომხდენია და მედიატორი უნდა ცდილობდეს, მხარეებს შორის ამით გამონვეული დისკომფორტის შეგრძნება მაქსიმალურად შეამციროს. მედიატორმა საკმარისი დრო უნდა გამოყოს იმისთვის, რომ მხარეებს შორის კეთილგანწყობილი გარემო შეიქმნას, ასევე საკმაოდ სენსიტიური დამოკიდებულებით უნდა განეწყოს ერთი მხარის მიერ გამოვლენილი მცდელობის მიმართ, საკუთარი პირადკულტურული ნორმები მეორე მხარეზე განავრცოს. მედიატორის როლი ნებისმიერი შეთანხმების პირობების განსაზღვრისა და საქმის მოსალოდნელი შედეგების შეფასების ეტაპზე უნდა იყოს პრიორიტეტული, როცა საუბარია მოლაპარაკების პროცესზე კულტურული სხვაობების კონტექსტში.

### IV. კრეატიული განცალკევება/კერძო სესია

#### 1. კერძო სესიის (განცალკევების) ბუნება

მედიაციის კერძო სესია არის დახურული შეხვედრა მედიატორს, ერთ-ერთ მხარესა და მის წარმომადგენელს შორის. ამ შეხვედრის ფარგლებში მხარეებს შეუძლიათ, ღიად ისაუბრონ, რადგან დისკუსია ინარჩუნებს კონფიდენციალურ ხასიათს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ერთ-ერთმა მხარემ არ მოისურვა, რომ მედიატორმა მეორეს რაიმე გაანდოს.

#### 2. განცალკევებული შეხვედრის დროის განსაზღვრა

განცალკევებული/პრივატული სესია შეიძლება მედიატორის ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე გაიმართოს. თუ მას მედიატორი მოითხოვს, იგი უშუალოდ მედიატორის მიერ მოყვანილ მიზეზს უნდა ეფუძნებოდეს.

თუ განცალკევებული სესია უკვე მოწვეულია, მედიატორს ხელს არაფერი შეუშლის, კვლავ გააერთიანოს მხარეები. განცალკევებული სესიების დადებითი მხარე გულისხმობს ნდობის მოპოვებისა და გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის მეტ შესაძლებლობას.

კერძო შეხვედრისათვის უნდა განხორციელდეს:

- ადგილის გამოყოფა, სადაც მხარე შეიძლება, ღიად ისაუბროს დავის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით და (გადანწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე თავისუფლად იმსჯელოს);

- მხარეთათვის შესაძლებლობის მინიჭება, განიმუხტონ უარყოფითი ემოციისგან და თავისუფლდნენ მეტისმეტად მაღალი (ან დაბალი) ღირებულების მქონე ოფციის მიმართ გამოვლენილი რეაქციისგან;

- შესაძლებლობის მიცემა, წარმოადგინონ თავიანთი შეთავაზებები.

ამავდროულად, არსებობს კერძო შეხვედრების უარყოფითი მხარეებიც, მაგალითად:

- შეთანხმების მომენტის გაშვება, თუ მხარეები მეტისმეტად ეფექტურად ურთიერთობენ;
- ყურადღების გადატანა მხარეებიდან მედიატორზე.

#### 3. მედიატორის აქტივობა განცალკევებული შეხვედრების დროს

##### მედიატორი

- ითხოვს მეტ ინფორმაციას (ტექნიკა: „რას ნიშნავს ეს შენთვის, თუ საკითხი ასე მოგვარდა? და თუ ვერ?“);

- ამონებებს სენსიტიურ ინფორმაციას, რომელსაც მხარე თავდაპირველ ერთობლივ შეხვედრაზე არ გაახმოვანებდა (ტექნიკა: „არსებობს რაიმე, რასაც, თქვენი აზრით, გამაცნობდით ახლა, ამ კერძო შეხვედრისას“?);

- ანიჭებს მხარეს შესაძლებლობას, „განიმუხტოს“ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „გათავისუფლდეს“ ემოციისგან (ტექნიკა: „მომეხმარეთ, გავიგო, როგორია თქვენი ხედვა“? ან კიდევ: „რა მოისმინეთ ერთობლივი შეხვედრის დროს, რამაც გაგაოცათ“?);

- გაიმეორებს იმას, რაც ითქვა გაერთიანებული სესიის დროს, რომ დარწმუნდეს, რამდენად სწორად გაიგო. (ტექნიკა – „თუ სწორად გავიგე, თქვენ გჯერათ/გსურთ/ფიქრობთ/გრძნობთ...“; ტექნიკა: სთხოვეთ მხარეს, გაიმეოროს ის, რაც ეს-ესაა მოისმინეს მეორე მხარისგან გაერთიანებული სესიის დროს);

- რეალობის ტესტი, მხარის პოზიციის ძლიერი და სუსტი მხარე (ტექნიკა: „როგორ ფიქრობთ, რა მოხდება, თუ ეს საკითხი სასამართლოში გადაინაცვლებს“? „როგორ ხედავთ, რა შეიძლება იყოს ყველაზე მეტად დამაბრკოლებელი, თუ საქმე სასამართლოში მოხვდება“? „როგორ ფიქრობთ, რას მიიჩნევენ ისინი თქვენს ყველაზე ძლიერ მხარედ“? „თუ სასამართლო პროცესზე ამას გააუფერებენ, რა იქნება თქვენი რეაქცია“?);

- იძლევა გულახდილ უკუკავშირს (შეფასებას) (ტექნიკა: განიხილეთ თითოეულ მხარესთან საუკეთესო ალტერნატიული ვარიანტი შეთანხმების მისაღწევად; ტექნიკა: განიხილეთ ის, თუ როგორ შეიძლება მხარემ მიაღწიოს პრინციპულ შეთავაზებასა თუ არჩევანს. მაგალითად, როგორ მოხდა ოდენობის, ციფრის გამოთვლა, გამოანგარიშება, რა კვლევა ჩატარდა, რა ობიექტური კრიტერიუმები შეირჩა და რა წარმოდგენები არსებობდა ამა თუ იმ მხარის მიმართ; ტექნიკა: „რომ ყოფილიყავით მათ ადგილზე, როგორ უპასუხებდით“?);

- გვეხმარება ახალი ინიციატივების შემუშავებაში (ტექნიკა: თუ მოლაპარაკება ჩიხში შევიდა, სთხოვეთ მხარეს, დაფიქრდეს, რატომ მოექცნენ ჩიხში; გამოიკვლიეთ კოგნიტიური ბარიერები, როგორებიცაა: რისკის არიდება, სელექციური მსოფლალქმა, ზედმეტი თავდაჯერებულობა, საპასუხო დევალუაცია; „*expand the pie*“<sup>11</sup>; გონებრივი იერიში; მონიშნეთ ის საკითხები, სადაც შესაძლებელია, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიონ. „სხვებმა როგორ გადანყვიტეს ეს დავა“? „არსებობს დამოუკიდებელი სტანდარტები, რომლებიც ასეთი სიტუაციისთვის ჩვეულებრივ გამოიყენება?“

#### 4. კერძო შეხვედრის პროცესში სახელმძღვანელო პრინციპები

მიუხედავად იმისა, თუ ვინ მოითხოვს კერძო სესიის ჩატარებას (იქნება ეს მედიატორი თუ რომელიმე მხარე), არსებობს სტანდარტი, რომელსაც მედიატორი უნდა დაექვემდებაროს, კერძოდ:

- ყოველთვის, როცა მხარესთან კერძო შეხვედრის გამართვას იწყებს, კონფიდენციალობას გაუსვას ხაზი. მაგალითად: „არაფერი, რასაც ამ შეხვედრაზე ბრძანებთ (გამანდობთ), მეორე მხარეს არ ეცნობება, სანამ ამის ნებართვას არ მომცემთ“;

- განსაზღვრეთ საკითხების ის ჩამონათვალი (თუკი ასეთი იქნება), რომელსაც მხარე მეორე მომლაპარაკებელს გაუზიარებს (ან საამისოდ მზადაა);

გარდა ამისა, არსებობს გარკვეული მედიატორული ტექნიკა, რამაც შესაძლოა, კონფიდენციალური შეხვედრის ეფექტურობა გაზარდოს. მაგალითად:

- თუ ერთ-ერთ მხარეს კერძოდ ხვდებით, მაშინ აუცილებლად შეხვდით მეორე მხარესაც. ეს ნეიტრალობის მაჩვენებელია, რადგან მედიატორი ერთსა და იმავე პროცესს თანაბრად ორივე მხარისთვის წარმართავს;

- აკონტროლეთ დრო, რომელსაც ორივე მხარესთან დახარჯავთ. თუ ხედავთ, რომ სესიამ შესაძლოა დიდი დრო წაიღოს, მედიატორმა უნდა დაისვენოს და მხარეებთან მომდევნო ნაბიჯებზე კონსულტაციები გამართოს;

<sup>11</sup> გასანაწილებელი ინტერესებისა და შესაძლებლობების განვრცობა.

• იმ მხარეს, რომელსაც მედიატორი კერძო შეხვედრის დროს დროებით ცალკე დატოვებს, რაიმე „დავალება“ უნდა მისცეს. მაგალითად: „სანამ „ალექსანდრეს“ შეხვედები, გთხოვთ, მოიფიქროთ ჩვენი შემდეგი ნაბიჯების შესახებ, თუ დღეს შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ“.

## **V. ჩიხის წინააღმდეგ**

### **1. ჩიხი შესაძლებელია**

არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად გამოცდილია მედიატორი, დროდადრო ერთ-ერთი მხარე მეორე მხარის მიერ შემოთავაზებულ პირობას არ მიიღებს, რათა თვითონ გააკეთოს საპასუხო შეთავაზება. როდესაც ეს ხდება, მხარეები მოლაპარაკებისას აშკარა ჩიხში შედიან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მომავალი მოლაპარაკებები აზრს მოკლებულია. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ერთ-ერთ მხარეს დროის ამ მონაკვეთში მოლაპარაკების გაგრძელება არ სურს.

მედიაციის დროს ჩიხი ჩვეულებრივი მოვლენაა და მედიატორი ამით არ უნდა განზიდეს. მან უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ მხარეებს არ სურთ პროცესის გაგრძელება და გააანალიზოს, რამდენად მიზანშეწონილი იქნება პროცესის სამომავლოდ დაგეგმვა. ჩვეულებისამებრ, მხარეებს არ აქვთ სურვილი, გადაწყვიტონ თავიანთი დავა და გადაწყვეტის მიუღწევლობის გამოც გარკვეულ გაღიზიანებას გამოხატავენ. სწორედ ეს არის მედიატორის როლი – წახალისოს მხარეები სამომავლო კომუნიკაციისაკენ და დაეხმაროს მათ, დაძლიონ ის კრიზისი, რომელსაც ისინი ჩიხში შეჰყავს.

### **1. 1. ჩიხის თავიდან არიდება**

ხშირად მედიატორს შეუძლია, დახმარება გაუწიოს მხარეებს, რომ ისინი ჩიხში არ მოექცნენ, მაგალითად, მედიაციის დასაწყისში აუხსნას, თუ როგორ მოეკიდონ შესაძლო ბარიერებს მოლაპარაკების პროცესში. მედიაციის პროცესის დინამიკურობის ახსნის შედეგად მედიატორს შეუძლია, მოამზადოს მხარეები იმისთვის, რომ მათ შესაძლო ჩიხი თავიდან აირიდონ, და თუ მაინცდამაინც ასეთი იჩენს თავს, გადაჭარბებული რეაქცია არ გამოიჩინონ. ამგვარად, მედიატორი, როდესაც მზადაა, გულახდილად გააკეთოს თავისი საქმე, სთხოვს მხარეებს, გულმოდგინედ გააგრძელონ კომუნიკაციის პროცესი მაშინაც კი, როცა მოლაპარაკება კრიზისის ფაზაშია.

### **1. 2. ჩიხის დროს**

თუ მხარეები ჩიხში მოექცნენ, მედიატორმა კრეატიული გამოსავლის გზები უნდა მოიძიოს. ზოგჯერ შეიძლება მხარეებსა თუ მათ ადვოკატებს ურჩიოს, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ ასეთი გზების მოსაძიებლად. ხშირად, მხარეები და მათი ადვოკატები ისეთ გადაწყვეტილებამდე მივლენ, რომელიც მედიატორს გამორჩა მხედველობიდან. გარდა ამისა, როცა მხარეები ჩიხში აღმოჩნდებიან, ისინი შესაბამისი „ჩიხური“ გავლენის ქვეშ ექცევიან. ამგვარად, ასეთი შედეგების გათვალისწინებით, მხარეები რისკის, დროისა და ემოციების დანახარჯებისა და სტრესის წინაშე დგებიან. არსებითად, მათ შესაძლოა, დაიწყონ ფიქრი, თუ რა იქნება საუკეთესო გამოსავალი მედიაციის პროცესის მიღმა და აწონ-დაწონონ შეთანხმების მიუღწევლობისა და არასასურველი შეთანხმების შედეგები. ამ შემთხვევაში მედიატორმა უნდა შეახსენოს მხარეებს, რომ სასამართლოში საქმის გადატანისას ისინი კარგავენ შესაძლებლობას, თვითონ განკარგონ საკუთარი საქმის ბედი და რომ მოსამართლე, რომელსაც ისინი არასდროს შეხვედრიან, გადაწყვეტს მათი საქმის შედეგს.

ზოგჯერ მხარეები ვერ ახერხებენ საქმის ემოციების გარეშე წარმართვას. ასეთი სიტუაციებისას მედიატორმა მათ უნდა მისცეს კიდევ ერთი შესაძლებლობა, განიმუხტონ ემოციე-



ბისგან და საქმეს პასუხისმგებლობით შეუდგნენ. მედიატორმა შესაძლოა, სთხოვოს მხარეებს, ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიციები ისე, რომ საქმის პერიფრაზირება სხვაგვარად მოხერხდეს. ზოგჯერ ეს მათ საშუალებას ანიჭებს, დაიძრან „გაყინული“ პოზიციებიდან და მათი შეცვლა დათმობების გარეშე შეძლონ.

და ბოლოს, მედიატორი უნდა ცდილობდეს, საქმის ის ასპექტებიც წარმოაჩინოს, რომლებიც მანამდე არ განხილულა. ეს შეიძლება, საკმაოდ სასარგებლოც კი იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებმა საკუთარი ინტერესები სრულად არ განიხილეს და, ნაცვლად, ცალკეულ ფაქტებზე კამათს განაგრძობენ. ეს პრაქტიკა მხარეების რეალური მოტივაციების აღმოჩენისა და მათი ემოციური განმუხტვის წინაპირობაა.

## **2. სპეციფიკური ბარიერები**

მედიაციის პროცესში მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევის გზაზე მედიატორს ხვდება მთელი რიგი ბარიერებისა, რაც, განსაკუთრებით, შეჯიბრებითი მედიაციისთვის არის დამახასიათებელი. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი ასეთი წინააღმდეგობის თავიდან არიდებისა თუ გადაჭრის რამდენიმე გზა.

### **2. 1. შეთანხმების მიღწევის პროცესში შესაბამისი ავტორიზაციის ნაკლებობა**

შეიძლება, ჩიხი იმ შემთხვევაშიც მივიღოთ, თუ ერთ-ერთი მხარე დავის დროს წარმოდგენილია ისეთი წარმომადგენლით, რომელსაც გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია. როდესაც ამ წარმომადგენელს შეზღუდული უფლება-მოვალეობანი აქვს, ეს მის მომრიგებლობით შესაძლებლობებს ამუხრუჭებს და პროცესის მოქნილობას აფერხებს. როგორც კი პროცესში მოქნილობა დაიკარგება, მათი მოლაპარაკება ჩიხში მოექცევა.

გადაწყვეტა: თუ შესაძლებელია, წინასწარ მედიატორმა უნდა განსაზღვროს, რომ მხარეები ნამდვილად შესაბამისი ავტორიზაციით არიან წარმოდგენილები. არ არის აუცილებელი, მედიატორმა რომელიმე მხარის მოთხოვნით მეორე მხარის პროცესზე დასწრება სრულად უზრუნველყოს; თუმცა მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ ავტორიზაცია არსებული მოთხოვნის ჩარჩოებში უზრუნველყოფილია. თუ გადანყვეტილების მიმღები ვერ ესწრება პროცესს, მედიატორს შეუძლია, დააყოვნოს საქმის მსვლელობა მის გამოჩენამდე. თუმცა, თუ ორივე მხარეს სურს, საქმე განაგრძოს, მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ გადანყვეტილების მიმღები ტელეფონით ხელმისაწვდომია და მხარის წარმომადგენლის რეკომენდაციებს მიჰყვება ამა თუ იმ ვარიანტის მიზანშეწონილობის საკითხში.

### **2. 2. მხარის მრჩეველი**

ზოგჯერ მხარე მედიაციას საკუთარ მრჩეველთან ერთად ესწრება – ეს შეიძლება იყოს მეუღლე, ვაჟი, ქალიშვილი, მეგობარი ან, უბრალოდ, დაინტერესებული ახლობელი. მაგალითად, იქ, სადაც დაზღვევის საკითხი განიხილება, სადაზღვევო აგენტი (შესაბამისი ფირმიდან) დაცვის მხარესთან ერთად გამოდის. კორპორაციული მოპასუხე ან მოსარჩელე შეიძლება გამოჩნდეს თავისი „მხლებლებითაც“ კი, რომლებიც საქმის ცოდნას იჩემებენ, ან მზად არიან, გადანყვეტილების პროცესში მონაწილეობა მიიღონ. პიროვნებისა და მისი მრჩეველის როლიდან გამომდინარე, მისი ჩართულობა პროცესში შეიძლება საქმისთვის როგორც მოგებიანი, ასევე სავალალოც კი აღმოჩნდეს.

გადაწყვეტა: მედიატორმა კარგად უნდა შეაფასოს ასეთი წარმომადგენლის ზეგავლენის შედეგები – დაეხმარება თუ შეაფერხებს მისი მონაწილეობა საქმის მსვლელობას. მედიაცია კონფიდენციალური პროცესია და მხოლოდ ის ადამიანები ესწრებიან მათ, რომელთაც გარ-

კვეული სამართლებრივი კავშირი აქვთ საქმესთან. შესაბამისად, სანამ მედიატორი არ დარწმუნდება, რომ მხარის „მეგობარი“ ან მრჩეველი მედიაციის პროცესს ხელს არ შეუშლის, მანამდე მას აქვს უფლება, ასეთი პირი სესიებზე არ დაუშვას. ასეთ შემთხვევაში, მედიატორს შეუძლია, ურჩიოს მხარეებს, რომ საქმეს მხოლოდ ის ადამიანები დაესწრებიან, რომელთაც მასთან პირდაპირი ინტერესი აკავშირებთ.

### **2. 3. ეკონომიკური პრობლემები**

მედიატორები გამოხატავენ შეშფოთებას სამოქალაქო დავების გადაწყვეტისას მზარდი ბარიერების მიმართ. იმ დროს, როცა სამართლებრივი დავის ხარჯები მუდმივად იზრდება, რა შეუძლია მოიმოქმედოს მედიატორმა, რომ ჯიუტი მხარეები სასარგებლო, კეთილსინდისიერი მოლაპარაკების პროცესში ჩართოს?

გადაწყვეტა: პირველ რიგში, მედიატორმა შეიძლება, შეთანხმების პრაქტიკული უპირატესობა განმარტოს. იმის ნაცვლად, რომ მედიაცია, როგორც „პროცედურული ალტერნატივა“ წარმოადგინოს, მას შეუძლია, მედიაციის ეკონომიკური სარგებელიც კი მოიყვანოს. მაგალითად, გახსნით სიტყვაში მედიატორს შეუძლია, ხაზი გაუსვას მედიაციის ფინანსური სარგებლიანობის ასპექტს თანხის დაზოგვის კუთხით და მხარეების ყურადღება სწორედ ამაზე გაამახვილოს. მედიაციის დროს მედიატორს შეუძლია, ეკონომიკური საკითხი მოიშველიოს და სასამართლო დანახარჯების შემთხვევებიც მოიყვანოს, დროის დანახარჯი და მათი საერთო სიაც კი წარმოადგინოს. მედიატორმა შეიძლება, ისიც განმარტოს, რომ ეკონომიკური საფუძველი ყველაფერშია – სამოქალაქო საქმის სამართლებრივ ასპექტშიც კი. ამ დისკუსიების გამართვის დროს მედიატორმა ყურადღება იმ ადამიანებზე უნდა გაამახვილოს, რომლებიც ამ პროცესში გადაწყვეტილების მიმღები პირები არიან.

### **2. 4. საიდუმლო იარაღი**

მედიატორთან კერძო სესიების დროს სრულიად შესაძლებელია, მხარეთა ადვოკატებმა მედიატორს იმ დრამატული მტკიცებულებების შესახებ აუწყონ, რაც მეორე მხარის საქმეს სრულიად სხვა მიმართულებას მისცემდა. ზოგადად, ეს მტკიცებულებები ადვოკატის სათაღარიგო არსენალშია ხოლმე და მედიატორისათვის გაზიარებისას ნაკლებად „გამანადგურებელი“ ძალით გამოირჩევა.

გადაწყვეტა: იმისათვის, რომ ასეთი ფარული არგუმენტები განეიტრალდეს, მედიატორმა უნდა წაახალისოს ორივე მხარე, სრულად გაცვალონ მტკიცებულებები, რაც მედიაციის სესიებისას რელევანტური იქნება. ეს მეორე მხარეს საშუალებას აძლევს, მათ უპასუხოს. გარდა ამისა, მედიატორს შეუძლია, სამართლებრივი დავის ნაკლებად პროგნოზირებად შედეგებს გაუსვას ხაზი, რამეთუ მოსარჩელე მხარეს ჯერჯერობით მისი გამოყენება არ უცდია. ამ დისკუსიების დროს მედიატორმა უნდა წაახალისოს ორივე მხარე, ჩაერთონ რეალურ, დედუქციურ მსჯელობაში, რომ შესაბამისი საპირისპირო პოზიციები დაიტესტოს და შეფასდეს.

### **2. 5. დროის პრობლემა**

ზოგჯერ მხარე ან მისი ადვოკატი ექსტრემალურ ხერხს მიმართავს: „მეტი დრო არ მაქვს“, ან კიდევ: „ჩემი ბოლო შემოთავაზება არის საბოლოო. აქედან გავდივარ!“ მედიატორმა ასეთი შენიშვნები გულთან ახლოს არ უნდა მიიტანოს, რადგან მედიაციის პროცესში დრო უმნიშვნელოვანესი „მკურნალია“. მას მერე, რაც მხარეებს საკმარისი დრო დაეთმობათ იმისთვის, რომ საკუთარი ნუხილი, ბრაზი ან იმედგაცრუება გამოხატონ, მათ გაცილებით მეტი საშუალება ეძლევათ, საქმეს რეალისტურად შეხედონ – ეს იქნება ფინანსური მხარე და საკითხი,

თუ რამდენის დაზოგვას შეძლებენ. ასე რომ, მხარეებს ადეკვატური დრო დაეთმობათ საკუთარი დავის „პროცესირებისათვის“; აქვე მედიატორმა მოლაპარაკების პროცესში თავი უნდა შეიკავოს დროის არბიტრალური შეზღუდვებისგან.

გადანწყვეტა: დროის არბიტრალური ბარიერები, როგორც წესი, მას შემდეგ წამოიჭრება, როდესაც მოდავეთაგან ერთ-ერთი მხარე შეთანხმების ინიციატივით გამოდის. იმისთვის, რომ დროის ბარიერის განეიტრალება მოხერხდეს, მედიატორს შეუძლია, ერთ-ერთი მხარის მიერ დაწესებული ბარიერისგან ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს – მაგალითად, ისეთი შეკითხვების დასმით, რომლებიც, ვთქვათ, ამ შეთანხმების შინაარსს არ ეხება. ეს შეკითხვები ეხმარება მედიატორს, განელოს დრო და მხარეების ყურადღება რეალურ საკითხებზე გადაიტანოს. ასეთი „გამბნევი“ შეკითხვა შეიძლება იყოს შემდეგი:

- სასამართლო პროცესის დაწყების წინ რამდენი მტკიცებულების აღმოჩენაა შესაძლებელი?

- მიმართავთ ექსპერტს?

- როგორ ფიქრობთ, დამატებითი მტკიცებულებების მოგროვების ხარჯი რა იქნება?

- რა არის ექსპერტის მომსახურების საფასური?

- რა უნდა გადასცეთ ნაფიც მსაჯულებს იმისთვის, რომ თქვენს პოზიციას უპირატესობა მიენიჭოს?

- ვინ იქნებიან თქვენი მოწმეები?

- რამდენი ასეთი საქმე მოგიგიათ მანამდე?

- რა არის ყველაზე უარესი ვარიანტი?

- რამდენად შემცირდება შემოსავალი, თუ თანხას დღეის ნაცვლად რამდენიმე წლის შემდეგ მიიღებთ? თუ მედიაციის პროცესის მიხედვით, ნათელი გახდა, რომ აუცილებელია სასამართლო ჩარევა, მედიატორს შეუძლია, სასამართლო ექსპერტებს სთხოვოს, დარჩნენ მედიაციის პროცესში, სანამ საბოლოო შეთანხმება ან შეთანხმების მიუღწევლობა არ გამოიკვეთება.

## 2. 6. პრინციპის საკითხი

ზოგჯერ ერთ-ერთი მხარე მოლაპარაკების დროს მოქნილობით არ გამოიჩინებდა, რადგან ის „პრინციპებით“ ხელმძღვანელობს. მაგალითად, სადაზღვევო აგენტმა შეიძლება განაცხადოს: „ასეთ საქმეებს 30 წელია, ვანარმოებ და ოცი ათასი აშშ-ის დოლარი ასეთი უმნიშვნელო დაზიანებისთვის არასოდეს გადამიხდია“; ან კიდევ: კორპორაციულმა აღმასრულებელმა შეიძლება ბრძანოს: „თუ ამას გადავიხდით, მაშინ ყველა გვიჩივლებს“. ეს „პრინციპული“ საკითხები საკმაოდ სერიოზული პრობლემაა მედიატორისთვის, რადგან გადანწყვეტილების მიმღები პირი ზოგჯერ ემოციურად ისე ეჯაჭვება საკუთარ პოზიციებს, რომ რაციონალური ხედვის შესაძლებლობა აქ ნაკლებია.

გადანწყვეტა: იქნებ ყველას ჯობდეს, ფორმულას მივმართოთ: მცდელობას + დრო + ეჭვი = შეთანხმებას. მედიატორი უნდა ეცადოს, დაარწმუნოს მხარეები, რისკები რეალურად შეაფასონ და ყურადღება მხარეების მიერ დანახულ ეკონომიკურ სარგებელზე გაამახვილონ, ნაცვლად სასამართლო ხარჯებისა და რისკის ხაზგასმისა.

## 2. 7. მრავალმხრივი ჩართულობის პრობლემა

მედიატორი შეიძლება, განსაკუთრებულ სირთულეს მაშინ წააწყდეს, როდესაც შეეცდება, თავი მრავალმხრივ საქმეს გაართვას – განსაკუთრებით ისეთს, სადაც მხარეები საკუთარ პასუხისმგებლობას უარყოფენ და ცდილობენ, ბრალეულობა ერთმანეთზე გადაიტანონ. ასეთი საქმეები ხშირად რთულ სამართლებრივ თეორიებს მოიაზრებს, უკავშირდება სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებსა და გამონვევას სასამართლოს მოთმინებისადმი. რა შეიძლება გააკე-

თოს მედიატორმა იმისთვის, რომ ასეთ საქმეში რეალური თანხმობის მიღწევა შესაძლებელი გახდეს?

გამოსავალი: კიდევ ერთხელ მედიატორმა მხარეებს ყურადღება ეკონომიკურ სარგებელზე უნდა გაამახვილებინოს. აგრეთვე, მედიატორმა უნდა სთხოვოს მხარეებს, წარმოადგინონ „უარესი“ სცენარის მათეული ხედვა – რას გააკეთებდნენ მოსამართლე ან ნაფიც მსაჯულები მიმდინარე საქმის განხილვისას კანონის გათვალისწინებით. ასეთი ტიპის დისკუსიები მედიატორს საშუალებას მისცემს, გაეცნოს ფასეულ ინფორმაციას, თუ როგორ აფასებენ მხარეები საკუთარ საქმეს.

## 2. 8. გაბრაზებული მხარეები

ზოგჯერ ერთ-ერთი ან ორივე მხარე იმდენად გაბრაზებულია, რომ ეს ემოცია მათ საშუალებას არ აძლევს, საქმის არსს რაციონალურად ჩასწვდნენ. ამ დროს მედიატორს შეუძლია, ახსნას, თუ როგორ უშლის ხელს ბრაზი, საქმე სწორად გადაწყდეს, რაც მეტ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. მედიატორს შეუძლია, რეალობის ტესტირება მოახდინოს – დასვას კითხვა – რა არის უფრო მნიშვნელოვანი გაბრაზებული მხარისთვის: 1. განაგრძოს მიმდინარე რეჟიმში, ხარჯავდეს ამით დროსა და რესურსებს, თუ 2. დაასრულოს საქმე და ამგვარად გათავისუფლდეს დამატებითი დანახარჯებისაგან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მედიატორი კარგი მსმენელი იყოს, რადგან გაბრაზებულ მხარეს ხშირად სჭირდება, რომ რომელიმე, ვისაც ამისი ოფიციალური უფლებამოსილება აქვს, მათ აზრს მოუსმინოს, მათ შორის, მეორე მხარის მიმართ გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით.

## 2. 9. სამართლებრივი არგუმენტი

ხშირად მედიატორი ისეთი სამართლებრივი საკითხების წინაშე დგას, რომელთა მიმართ ორივე მხარეს დიამეტრულად განსხვავებული პოზიცია და კანონის მათეული, არასრული ინტერპრეტაცია აქვთ. სამართლებრივი საკითხი შეიძლება იყოს საკმაოდ მარტივი, ან შეეხებოდეს სამართლის კომპლექსურ, ჩახლართულ სფეროს. საქმის სირთულის მიუხედავად, ორივე მხარე საკუთარ პოზიციას იმგვარად დაიცავს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით იგი ნათელი იყოს. რა შეიძლება გააკეთოს მედიატორმა ამ დილემის გადასაწყვეტად?

გამოსავალი: სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით მიღებული ჩიხი წარჩუნდება მანამდე, სანამ თვითონ მხარეები საკუთარ პოზიციებში ეჭვს არ შეიტანენ. ეს ეჭვი შეიძლება წარმოიქმნას:

- მედიატორი მუშაობას წყვეტს გარკვეულ დრომდე და მომავლისთვის გადადებს საქმეს, ისე, რომ ადვოკატებს საშუალება მიეცეთ, გადახედონ კანონს ან საქმე ნეიტრალურ შემფასებელს გადასცენ;

- მედიატორმა შეიძლება მხარეებს ურჩიოს, გამოიკვლიონ განსახილველი საკითხი მედიაციის პროცესის განახლებამდე. მედიატორი შეეცდება, მოახდინოს პრობლემის ნეიტრალიზაცია ფინანსურ საკითხზე ყურადღების გადატანით, მაგალითად, დასვას შეკითხვა: „თუ მიგაჩნიათ, მიუხედავად იმისა, თქვენმა კლიენტმა წერილობითი ხელშეკრულებით აღნიშნული მომსახურების შესრულება იკისრა, და მოსარჩელემ, კონტრაქტის შესაბამისად, თანხის სრული ოდენობა გადაიხადა, თქვენს კლიენტს შეუძლია დაარწმუნოს მოსამართლე, რომ, კანონის შესაბამისად, ეს ხელშეკრულება ძალაშია? ამაზე ამყარებთ მთელ საქმეს?“

- მედიატორს შეუძლია, გაუსვას ხაზი, რომ, ვინაიდან ორივე მხარეს ძლიერი სამართლებრივი საფუძველი აქვს, სასამართლო გადაწყვეტილება ვერ იქნება წინასწარ განჭვრეტლი და, ამგვარად, მხარეებმა შეთანხმების რეალურობაზე უნდა იმსჯელონ.

ამ მეთოდების გამოყენებით, მედიატორი მხარეებს იმისკენ უბიძგებს, რომ საქმეს უფრო რეალისტურად მოეკიდონ და საკუთარი პოზიციები უფრო ობიექტურად წარმოადგინონ. მე-

დიატორს ასევე შეუძლია, ხაზი გაუსვას იმას, რომ მხარე ყოველთვის არ იმარჯვებს სასამართლოში მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ არგუმენტებში დარწმუნებულია.

## 2. 10. აგრესიული პირი

შეიძლება, მედიაციის პროცესში გამოიკვეთოს ისეთი მხარე ან იურისტი, რომელიც წარმატებას დაშინებით ახდენს. ასეთ შემთხვევაში, მედიატორმა პრინციპული და სამართლიანი პოზიცია უნდა დაიჭიროს. მედიაციის დასაწყისშივე, მედიატორმა მხარეები უნდა გააფრთხილოს, რომ მედიაციის წესები ყოველგვარ უპატივცემლობასა და „წარბშეჭმუხვნილობას“ გამორიცხავს და თითოეული მონაწილე ერთმანეთს ცივილიზებული ფორმით უნდა მიმართავდეს.

გამოსავალი: თუ ერთ-ერთი მხარე მეორეს დააშინებს, მედიატორი პროცესს შეწყვეტს თავაზიანი, მაგრამ მკაცრი მითითებით: „გთხოვთ, გახსოვდეთ, რომ აქ ვართ საქმის გადასაწყვეტად, ხოლო ერთმანეთის ლანძღვა დასახულ მიზნამდე ვერ მიგვიყვანს“. თუ საჭირო გახდა, მედიატორს შეუძლია, გაიყვანოს მხარე ან იურისტი და მათ ცალკე გაესაუბროს.

## 2. 11. ეკონომიკური უთანაბრობა

რა უნდა მოიმოქმედოს მედიატორმა, როცა ზარალი დიდია და მხარეს მისი ანაზღაურება არ შეუძლია? მაშინაც კი, როცა ვალდებულება სახეზეა, ნათელია ზარალის ოდენობაც, ბრალდებულ მხარეს შეიძლება, არ ჰქონდეს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები მის ასანაზღაურებლად.

გამოსავალი: ასეთ შემთხვევაში, მედიატორი საკუთარ სტრატეგიას მიმართავს და შეეცდება, მხარეებს საკუთარი იდეები მიანდოს. მედიატორმა შესაძლოა, სთხოვოს მხარეებს, ხელმოწერილი დოკუმენტის შედეგად ზარალი განვადების წესით დაიფაროს, ან შეთანხმდნენ მისი რესტრუქტურისაციის შესახებ; შესაძლებელია, ექიმებმა ან ქიროპრაქტიკოსებმა გარკვეული ფასდაკლება გააკეთონ (სამედიცინო მომსახურების მხრივ); ზოგიერთი შემთხვევისას მედიატორმა საბანკო სესხის შესაძლებლობაც უნდა განიხილოს; ან, ბოლოს, შესაძლოა, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილება შეთანხმების პირობების თანახმად თანხის ზუსტი ან ჭარბი ანაზღაურების შესახებ. ხშირად მოსარჩელეს არ სჯერა, რომ მოპასუხე გადახდისუნარიან და ზოგჯერ აუცილებელია ფინანსური ექსპერტიზის ან აუდიტის ჩატარება მეორე მხარის დასარწმუნებლად. შესაბამისად, მედიატორის საქმეა, წაახალისოს მხარეები, გაცვალონ აუცილებელი ინფორმაცია იმისთვის, რომ ურთიერთპოზიციების მიმართ ნდობა განავითარონ.

## 2. 12. უღირსი მშობელი

მედიაციის ერთ-ერთი ყველაზე რთული სფეროა ბავშვებზე მეურვეობის საკითხი. ხშირად მედიატორი იოლ მეურვეობასთან დაკავშირებულ საქმეებს აწყდება, რომელთაგან ბევრი სასამართლო გზით წყდება ხოლმე. ხშირად, ორივე მშობელი მიიჩნევს, რომ მეორე „უღირსია“, აქედან ერთ-ერთმა შეიძლება მეორის „ეგო“ დაამციროს. ასე რომ, მეურვეობის საქმე არა მხოლოდ ბავშვებზე მეურვეობის საკითხის გადაჭრას გულისხმობს, არამედ თანასწორობის დაცვის პრინციპსაც. ზოგჯერ მეურვეობის საკითხი დროის გასვლის შედეგად წყდება; ეს ზოგჯერ მშობლების ცხოვრებაში არსებული ცვლილებების შედეგად გვარდება. ისეთი გარე ფაქტორები, როგორებიცაა: სამსახურის შეცვლა, ფინანსური პრობლემები, ერთ-ერთი ან ორივე მშობლის კავშირი მესამე პირთან, ბავშვების ასაკი და სხვა ამდაგვარი მშობლების თავდაპირველ ურყევ პოზიციას შესაძლოა ცვლიდეს. მაგრამ რა უნდა გააკეთოს მედიატორმა, რომ ეს პროცესი დააჩქაროს?

გამოსავალი: მედიატორი უნდა შეეცადოს, ჯაჭვური და სპეციფიკური კითხვებით, ხშირად კერძო შეხვედრების დროს, მოდავე მხარეთა კატეგორიულობა შეამციროს. მედიატორმა უნდა წაახალისოს მშობლები, რომ დაფიქრდნენ, რამდენად უარყოფითად იმოქმედებს მათ შორის არსებული დაძაბულობა (სტრესი) მათ შვილებზე. შეიძლება, მედიატორმა ხაზი გაუსვას იმასაც, რომ მათ შვილებს ორივე მშობელი სჭირდებათ. ეკონომიკური ასპექტის გამოყენებით მედიატორმა უნდა განმარტოს, რაოდენ დიდ ზარალს მიაყენებენ ისინი ერთმანეთს, თუ შურისძიების რეჟიმში იმოქმედებენ. ზოგჯერ ადვოკატების აყვანით საქმე გვარდება. მედიატორმა შეიძლება რეალური ფაქტორების სიაც კი შეიმუშაოს. ესენია:

- ეკონომიკური მხარე – მხარეები გაჭიანურებულ სამართლებრივ დავას ვერ გასწვდებიან;
- დავის ფსიქოლოგიური წნეხი, რომელიც მათსა და მათ შვილებს გაანადგურებს;
- მომავლისაკენ ყურება, ახალი ჰორიზონტის დანახვა;
- დრო, რომელიც იკარგება;
- ერთობლივი მეურვეობა არც ისეთი საშინელებაა;
- ორივე მხარე გამარჯვებული ვერ დარჩება;
- ბავშვებს ორივე მშობელი სჭირდება.

მეურვეობასთან დაკავშირებული საქმეები ყველასათვის რთულია და მედიატორს დასჭირდება წარმოსახვის მოშველიება, ისევე როგორც პრაქტიკული გამოცდილების, რომ როგორმე შეთანხმება მოამწიფოს.

### 3. დასკვნა

შეთანხმების გზაზე წარმოქმნილი ბარიერების წინააღმდეგ ერთიანი გადაწყვეტის გზა არ არსებობს. ხშირად ამ ბარიერებს მოდავეთა შეხედულებები ქმნის. ზოგადად, მედიატორმა უნდა განაგრძოს ეკონომიკური ასპექტის მოშველიება, მოდავეების ყურადღების ფინანსურ მხარეზე გადატანა და მათი დარწმუნება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების წინასწარი განსაზღვრა ყოველთვის სათუო საქმეა.

როგორც კი მედიატორი ჩიხის მოახლოებას იგრძნობს, ამის აღიარება იმ მხარეების თანდასწრებით უნდა გაცხადდეს, ვისაც მოლაპარაკების დაწყებისა და სიტუაციის ჩიხიდან გამოყვანის შესაძლებლობა აქვს. ხშირ შემთხვევაში მხარეები და მათი წარმომადგენლები ამას დადებითად შეხვდებიან და შეთანხმების მოსაძიებლად პირად პასუხისმგებლობას მოიხმობენ. როგორც კი ორივე მხარე ჩიხს ერთობლივ პრობლემად აღიარებს და გამოსავლის საძიებლად თანამშრომლობით ძალისხმევას მიმართავს, მათი ერთობლივი ძალები მხარეებს აუცილებლად შეთანხმებამდე მიიყვანს.

და ბოლოს, მედიატორმა უნდა გააცნობიეროს, რომ ზოგიერთი საქმე მხოლოდ მედიაციის გზით ვერ გადაწყდება. მედიატორმა ამ მხრივ პირადი პასუხისმგებლობა არ უნდა აილოს, თუკი მან საქმის მსვლელობისას ყველაფერი გააკეთა. მაგრამ, ამავედროულად, მედიატორი სისტემური და თანმიმდევრული უნდა გახდეს და არ დანებდეს, როდესაც საქმე შეთანხმებით ვერ დაგვირგვინდა მხოლოდ იმიტომ, რომ საამისოდ ვერ მომწიფდა ვითარება ამა თუ იმ კონკრეტულ დღეს. ჩიხი წარუმატებელი მედიაციის შედეგად არ უნდა მოინათლოს. შეიძლება, ჩიხი მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ საქმე გადასაწყვეტად მზად ჯერ არ არის.

## VI. წარმომადგენლობა მედიაციის პროცესში

### 1. მოლაპარაკების კეთილგონიერება

დავების უმრავლესობა, იქნება ეს სამოქალაქო თუ სისხლისსამართლებრივი, მოლაპარაკების გზით წყდება. მოლაპარაკება გულისხმობს მესამე მხარის ჩართვას, არა დავის გადანაცვებისთვის, არამედ მხარეების დასახმარებლად განაგრძონ მოლაპარაკება სწორედ იმ მომენტიდან, რა მომენტშიც იგი შეწყდა ან დაბრკოლდა. იმისთვის, რომ მოლაპარაკების ეფექტური ადვოკატები გახდნენ, მხარეებმა და მათმა წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ მოლაპარაკების ძირითადი პრინციპები და კონცეფციები. აგრეთვე, მედიატორიც უნდა იცნობდეს და მართავდეს მოლაპარაკების ეფექტურ ხერხებს იმისთვის, რომ მხარეებმა საკუთარი დავა გადაწყვიტონ.

#### 1. 1. მომრიგებლური უნარ-ჩვევების ფასი

ჩვენ ყველანი მოლაპარაკების უნარ-ჩვევებს ვფლობთ. პირად და პროფესიულ პრაქტიკაში თითქმის ყოველ დღე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ვურიგდებით უცხო ადამიანებს, კოლეგებს, მეგობრებსა თუ ოჯახის წევრებს. ჩვენი მოლაპარაკებები ავტოდილერებთან მოლაპარაკებით იწყება (ფასსა თუ ახალ მანქანასთან დაკავშირებით) და მთავრდება თვით მეუღლის ჩათვლით, თუ სად ვისადილოთ იმ დღეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოლაპარაკება ჩვენთვის მნიშვნელოვანია, უმრავლესობა მოლაპარაკების პროცესში საკუთარ ინტუიციასა და გამოცდილებას ეყრდნობა. იმისთვის, რომ უკეთესი მოლაპარაკებლები გავხდეთ, მოლაპარაკების კონცეპტუალურ პრინციპებს უნდა ჩავწვდეთ და ისინი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორად გამოვიყენოთ.

#### 1. 2. მოლაპარაკების თამაში/„თამაშის თეორია“

ზოგჯერ მოლაპარაკება ადამიანებს შორის თამაშს უტოლდება. იმდენად, რამდენადაც მოლაპარაკება ადამიანებზე ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ზემოქმედებას გულისხმობს, თითოეული მოლაპარაკება უნიკალური შემთხვევაა. ეფექტური მოლაპარაკებელი საკუთარ მომრიგებლობით სტრატეგიას მიმდინარე სიტუაციას მოარგებს. ხშირად წარმატებული მოლაპარაკების გასაღებიც ნიშნავს მოთმინებისა და დაჟინების გამოჩენას, რაც თამაშის ფარგლებისა და პარამეტრების გაშლას შეუწყობს ხელს.

თანამედროვე „თამაშის თეორია“ სტრატეგიული გადაწყვეტილების სწავლებას ეთმობა. ეს არის გამოყენებითი მათემატიკის მეთოდი, რომელიც ხშირად ეკონომიკაში, პოლიტიკურ მეცნიერებებში, ფსიქოლოგიაში და ლოგიკაში გვხვდება. მისი გამოყენება მოლაპარაკების სტრატეგიაში ნათელია: იმ საფუძვლის ცოდნა, რაზეც გადაწყვეტილებები მიიღება, ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი მოლაპარაკების ხერხები უპირატესია. თამაშის თეორიის ერთ-ერთი გამოყენების წესი იყო ე. წ. „ნულოვანი ჯამის“ თამაშები, რომლებიც დაფუძნებულია ისეთ მოდელზე, სადაც ერთი ადამიანის მოგება სხვა მონაწილეების ზარალის ტოლფასია.

მოლაპარაკება სხვადასხვა ფორმატში მიმდინარეობს. ის წარმოებს ოჯახის წევრებს შორის, სამუშაო ადგილას, სასამართლოში, ადმინისტრაციულ სააგენტოებში და სხვა საჯარო უწყებებსა თუ ინსტიტუტებში. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკების პრაქტიკა ფრიად განსხვავებულია ფორმატის მიხედვით, პროცესის საფუძველი ყველგან მსგავსია.

## 2. მოლაპარაკების მეთოდები

### 2. 1. კონკურენტული მოლაპარაკება

მოლაპარაკების ერთ-ერთი ტრადიციული კონცეფცია კონკურენტული, დისტრიბუციული ან პოზიციური მოლაპარაკების სახელწოდებითაა ცნობილი. მოლაპარაკების ეს მეთოდი გულისხმობს ეგოცენტრულ მოტივაციას ჩართული მხარეებისას, რომლებსაც ვინც ინტერესები ამოძრავებთ, ხოლო გასანაწილებელი რესურსები შეზღუდულია. მოპაექრე (კონკურენტული) მოლაპარაკების რეჟიმში ცნობილია, რომ ერთი მხარის მოგება აუცილებლად გულისხმობს მეორე მხარის დანაკარგს შესაბამისი პროპორციით. ამგვარად, კონკურენტული მოლაპარაკების მონაწილე მხარის მიზანია პირადი რესურსებისა და სარგებლის მაქსიმალიზაცია. მოპაექრე მოლაპარაკებელი არაა მაინცდამაინც დაინტერესებული იმით, თუ რა ასახვას პოვნებს მიღებული შედეგი მხარეთა სამომავლო ურთიერთობებზე.

კონკურენტული, ანუ მტკიცე მოლაპარაკების სტერეოტიპი შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთ მოლაპარაკებელს, რომელიც მტკიცეა, მომთხოვნი, დომინირებადი, ძალმომრეობითი და არა დამთმობი. ასეთი მოლაპარაკებელი გამოირჩევა მოლაპარაკებისას გამარჯვების ძლიერი წყურვილით და ნებისმიერი ტიპის დავას პირადი ნების კონფლიქტად განიხილავს. იგი იკავებს უკიდურეს პოზიციას და მისი მიზანია, პაექრობისას მეორე მხარეს „ამტანობაში“ აჯობოს. ზოგჯერ ეს მიდგომა წარმატებულიც არის, და ასეთი მოლაპარაკებელი იმარჯვებს კიდევ. ასეთ შემთხვევაში მეორე მხარე ნაკლებს იგებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, ორივეს რომ თანამშრომლობითი გზა აერჩია. თუმცა კონკურენტული მოლაპარაკების სტილი შესაძლოა, ყოველთვის არ შედიოდეს მხარეთა ინტერესებში.

ხისტი სტრატეგია ზოგჯერ იმავე საპასუხო სტრატეგიას აწყდება, რაც მტრულ დამოკიდებულებასა და განზილებას იწვევს, ისევე როგორც რომელიმე მხარის სურვილს, „გაიმარჯვოს“ ნებისმიერ ფასად. გარდა ამისა, ასეთი ტიპის ტაქტიკა სამომავლო მოლაპარაკებისას ბარიერებს ქმნის და თუ ასეთი რეჟიმით წარიმართა პროცესი, იგი კეთილგონიერი შეთანხმების პერსპექტივით არ ხასიათდება.

### 2. 2. კოოპერატიული მოლაპარაკება

მოლაპარაკების მეორე მეთოდი (ტიპი), ზოგჯერ კოოპერატიულ მეთოდად წოდებული, გულისხმობს ყველა მონაწილის ინტერესების ჩართვას და თანამშრომლობითი მოლაპარაკებით მათ გათვალისწინებას. აქ მხარეები ცდილობენ, განსაზღვრონ, ამოიცნონ ერთმანეთის უმთავრესი, ძირითადი ინტერესები, და როგორც კი მხარეები მათ იდენტიფიცირებას შეძლებენ, ისინი ორმხრივი ინტერესებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას შეეცდებიან. თუ მხარეთა მოთხოვნები არსებულ, ხელმისაწვდომ რესურსებს აღემატება, კოოპერატიული მოლაპარაკებლები ეცდებიან, გამოძებნონ ისეთი გზები, რომლებიც სადავო საგნის ზომის, ოდენობისა თუ ფასეულობის ჯეროვან განაწილებას ემსახურება.

კოოპერატიული (რბილი) მოლაპარაკებელი არის ადამიანი (მხარე), რომელიც კონფლიქტურ სიტუაციებს გაურბის თითქმის ნებისმიერ ფასად. რბილმა მოლაპარაკებელმა კეთილგანწყობილი შეთანხმების მიღებისათვის შესაძლებელია, დათმოს დავიდან გამომდინარე მისი სამართლიანი წილი, ისე, რომ რბილი მოლაპარაკებელი შესაძლოა, დავის პროცესში მნიშვნელოვან დათმობებზეც კი წავიდეს, რათა მშვიდობიან შეთანხმებას მიაღწიოს. სამწუხაროდ, როგორც კი მოლაპარაკება მიიღწევა, შესაძლოა, რბილმა მოლაპარაკებელმა თავი გაცრუებულად, გამოყენებულად ან განზილებულად იგრძნოს.

რთულია ვამტკიცოთ, თუ რომელი მოლაპარაკების თეორია – იქნება ეს კონკურენტული თუ თანამშრომლობითი, – განაპირობებს უკეთეს შედეგებს კონკრეტულ შემთხვევაში. კვლევებმა აჩვენა, რომ თითოეული მეთოდი ნაკლოვანებებითა და უპირატესობებით ხასიათდება. მოლაპარაკებლებმა უნდა იცოდნენ სხვადასხვა მიდგომის შესახებ და ჰქონდეთ უნარი, მო-



ლაპარაკების სხვადასხვა სტილი გამოიცნონ და, შესაბამისად, გამოიყენონ ისინი კონკრეტული საჭიროების მიხედვით.

### 2. 3. პრინციპული მიდგომა

კიდევ ერთი მოლაპარაკების მეთოდი – პრინციპული მიდგომა როგორც კონკურენტული, ისევე კოოპერაციული მოლაპარაკების ნიშნებს მოიცავს.<sup>12</sup> მოლაპარაკების ამ ტიპის გათვალისწინებით, მომლაპარაკებელი საერთო ინტერესის არეალს ეძებს, და თუ მოლაპარაკებისას კონფლიქტური ინტერესები გამოიკვეთა, მხარეები ეცდებიან, საერთო ფასეულობებზე დაყრდნობით სამართლიანი და ობიექტური სტანდარტებიდან გამომდინარე საკუთარი პოზიციები შეათანხმონ. მას აშკარა უპირატესობები აქვს, იქაც კი, სადაც ერთ-ერთმა მომლაპარაკებელმა კონკურენტული მოლაპარაკების სტილი აირჩია.

პრინციპული მოლაპარაკების პერიოდში მომლაპარაკებლები გვერდიგვერდ მუშაობენ იმ მიზნით, რომ პრობლემა ეფექტურად გადაჭრან (და არა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ); ისინი პოზიციების ნაცვლად საერთო ინტერესებზე არიან ორიენტირებულნი; გამოდიან სხვადასხვა შეთავაზებით იმისთვის, რომ საერთო სარგებელი მიიღონ და გარკვეული ობიექტური კრიტერიუმებით აფასებენ ამ შეთავაზებების ვალიდურობას.

პრინციპული მოლაპარაკების დროს ეფექტურობის ხარისხის მისაღწევად მედიატორმა რაციონალურად უნდა იმოქმედოს; შეეცადოს, გაიგოს მეორის პოზიცია, დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია და სანდო და ეთიკური სახით იმოქმედოს. ზოგადად, მომლაპარაკებელი უნდა ცდილობდეს, დაამყაროს ერთობლივი ნდობის ატმოსფერო მეორე მხარის არგუმენტების ლეგიტიმურობის აღიარებით.

### 2. 4. მოლაპარაკების სტილი

მოლაპარაკების დროს მხარეები ცდილობენ, ისეთი სტილი აირჩიონ, რომელიც პიროვნულ, ინდივიდუალურ თვისებებს ყველაზე უკეთ შეესაბამება. თუმცა მომლაპარაკებლები უნდა იყვნენ კრეატიულები საკუთარი მიდგომებით და აგრეთვე ცდილობდნენ, მოლაპარაკების ისეთი სტილი შეარჩიონ, რომელიც არსებული ვითარების მოთხოვნებს ყველაზე უკეთ შეესაბამება. ასე რომ, ეფექტური მომლაპარაკებელი მოლაპარაკების ისეთ სტრატეგიებს ეძებს, რომლებიც მის ინტერესებს დაიცავს და, ამავდროულად, საპირისპირო მხარეს არაპროდუქტული პაექრობისკენ არ უბიძგებს.

დაამატეთ: ადვოკატების ვალდებულება – დამკვეთთან შეთანხმებით გადანყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთონ.

როცა მომლაპარაკებელი ძირითად საკითხზე მყარად დგას, ის ეფექტური გადანყვეტილების აუცილებლობას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ხოლმე. თუმცა პოზიციის დაცვისას სიმტკიცის გამოჩენა არ ნიშნავს მეორე მხარის ხედვისადმი თვალის დახუჭვას. მართლაც, არაერთი წარმატებული შეთანხმება სწორედ მხარეების უნარზეა დამოკიდებული – გამოიჩინონ ხისტი პოზიცია, მაგრამ, ამავდროულად, ყურად იღონ მეორე მხარის არგუმენტები. როცა მომლაპარაკებლები იჩენენ სიმტკიცეს და თანამშრომლობით უნარს, ისინი საკუთარი ძალისხმევით წარმატებას მიაღწევენ.

<sup>12</sup> Roger Fisher, William Ury and Bruce Patton, GETTING TO YES: NEGOTIATING AGREEMENT WITHOUT GIVING IN (2011). ეს ოთხი ძირითადი პრინციპია: ადამიანებისა და პრობლემების ერთმანეთისგან გამიჯნვა; ყურადღების ინტერესებსა და არა პოზიციებზე გამახვილება; ერთობლივი სარგებლისათვის ოფციების (შეთავაზებების) შემუშავება; ობიექტური კრიტერიუმების გამოყენების აუცილებლობის ხაზგასმა.

### **3. ოპონენტის თვალბით**

მომლაპარაკებლის როლი არ ითვალისწინებს, რომ მეორე მხარეს თანხმობა იძულების რეჟიმში მიაღებინოს. მართლაც, ეს სრულიად სანინაალმდეგოს მოიაზრებს. ეფექტური მომლაპარაკებელი შეეცდება, ისეთი ვარიანტები გამოძებნოს, რაც მეორე მხარის მიერ ნათელი, მოსაწონი და მის ინტერესებსა და საჭიროებებთან მისადაგებული შესაძლებლობების სახით იქნება აღქმული. როგორ შეძლებს ერთ-ერთი მხარე ასეთი სასურველი ალტერნატივების შექმნას? ეს მხოლოდ მეორე მხარის საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოძიებითა და საქმის მეორე მხარის პერსპექტივიდან დანახვით არის შესაძლებელი. ასე რომ, ეფექტურმა მომლაპარაკებელმა გულდასმით უნდა იმუშაოს, რათა მეორე მხარის საჭიროებები ამოიცნოს და შეაფასოს.

#### **3. 1. სხვადასხვა წარმოდგენა**

ადამიანები, როგორც წესი, სამყაროს სუბიექტურად აღიქვამენ. როდესაც კომპლექსურ ინფორმაციას აწყდებიან, ისინი იმ ფაქტების ხაზგასმას ახდენენ, რომლებიც ყველაზე მეტად მათ წარმოდგენებს შეესატყვისება, ხოლო იმ ფაქტებს, რომლებიც მათ თვალსაწიერთან შეთანხმებაში არ მოდის, არ ითვალისწინებენ. ამ ტენდენციის რეჟიმში გასაკვირი არაა, რომ მხარე მიმდინარე დავის პირობებში კონფლიქტს მხოლოდ საკუთარი ინტერესების ვიწრო პერსპექტივით განიხილავს და იმის აღიარებასაც კი არ ცდილობს, რომ ოპონენტის პოზიცია შეიძლება ღირსეულ ასპექტს შეიცავდეს.

ეფექტურმა მომლაპარაკებელმა დავას ოპონენტის თვალბითაც უნდა შეხედოს. ზოგადად, მომლაპარაკებელმა უნდა გაიგოს (ან შეეცადოს, რომ გაიგოს) ოპონენტის ხედვა მაშინაც კი, როცა ის მაინცდამაინც ღირსეულად არ გამოიყურება. როგორც კი მომლაპარაკებელი ოპონენტის გადმოსახედიდან დავის საგნის დანახვას შეძლებს, ის ბევრად უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, რათა კონფლიქტის პარამეტრებს ჩასწვდეს და მოლაპარაკებისთვის შესაბამისი სტრატეგიები შეიმუშაოს.

#### **3. 2. პოზიციების განმეორებით გაცხადება**

მომლაპარაკებელს უნდა შეეძლოს, ჩაერთოს გულახდილ დისკუსიებში მეორე მხარესთან და მისი ძლიერი არგუმენტისა თუ პოზიციის აღიარებაც მოახერხოს. მომლაპარაკებელს არ მოეთხოვება, ოპონენტის პოზიციას დაეთანხმოს, მაგრამ მან ამ პოზიციის კარგად მოსმენა და გაანალიზება უნდა შეძლოს.

ზოგიერთი მომლაპარაკებელი (ასეთი სტრატეგია აქვთ), ოპონენტის პოზიციის ვალიდურობას უგულბებლყოფს ან არ აღიარებს. სხვები კი პირიქით იქცევიან და მას შესაბამის აღიარებას ანიჭებენ. ზოგჯერ ისინი ოპონენტის პოზიციის ხელახალ დეკლარირებას ახდენენ, რათა მიანიშნონ მათ, რომ მათი პოზიცია მოსმენილ-გაგებულა. ამის შემდეგ მომლაპარაკებელს შეუძლია, უარყოს იგი კეთილგონიერი არგუმენტის მოშველიებით. ეს მიდგომა მომლაპარაკებელს საკუთარი პოზიციის სიმტკიცეში აჯერებს, რადგან მას ხდის უფრო დამაჯერებელს და, ამავდროულად, ეხმარება მეორე მხარეს, თავისი პოზიციის ფარდობითი – როგორც ძლიერი, ისე სუსტი – მხარეები უკეთ დაინახოს.

#### **3. 3. საერთო ინტერესების გამოხატვა**

ეფექტური მომლაპარაკებელი ოპონენტის პოზიციას უნდა ჩასწვდეს და უმთავრესი ინტერესების იდენტიფიცირება შეძლოს. როდესაც ორი ადამიანი ვერ თანხმდება და საპირისპირო პოზიციებს იკავებს, ისინი ასევე აცხადებენ, რომ მათი ინტერესებიც განსხვავდება. მაგა-

ლითად, გამქირავებელი, რომელიც მდგმურებისთვის (ვისაც ფასის მუდმივად ერთ დონეზე შენარჩუნება სურთ) გადასახადების გაზრდას ცდილობს, შეიძლება აცხადებდეს, რომ მათთან საერთო არაფერი აქვს. როგორც წესი, ასეთი მიდგომა არასწორია: ორივე მხარის საერთო ინტერესია სტაბილურობა – გამქირავებელს სტაბილური მდგმურები სჭირდება, მდგმურებს კი მუდმივი მისამართი ესაჭიროებათ; ორივეს სურს, ბინა კარგ მდგომარეობაში შენარჩუნდეს და ერთმანეთთან კარგი ურთიერთობები ჰქონდეთ; გამქირავებელს სურს, ქირა დროზე მიიღოს, მდგმურს კი სურს, გარემო კარგ მდგომარეობაში შენარჩუნდეს.

ასე რომ, მაშინაც კი, როცა მხარეებს განსხვავებული ინტერესები აქვთ, ისინი ელემენტარულ, საბაზისო საჭიროებებს ინანილებენ:

- უსაფრთხოებას;
- ეკონომიკურ კეთილდღეობას;
- სოციალურ კუთვნილებას;
- საკუთარი ღირებულებების აღიარებას;
- საკუთარი ცხოვრების განკარგვას.<sup>13</sup>

ეს საჭიროებები ყოველთვის იჩენს თავს, განსაკუთრებით ფულადი დავეების დროს. მომლაპარაკებლის ამოცანაა, დაინახოს, ფულის გარშემო ან გამო, რომელია ამ საჭიროებათაგან ყველაზე აქტუალური მეორე მხარისთვის. თუ მხარეები საერთო ინტერესებზე დაყრდნობით კომპრომისის გამონახვას შეძლებენ, ისინი მოგებიან კომპრომისს მიაღწევენ. მაგალითად, გამქირავებელს შეიძლება სურდეს ქირავნობის ვადის გახანგრძლივება, თუ ქირის საფასური აიწევს, რაც, თავის მხრივ, მას საშუალებას მისცემს, გაზრდილი სხვაობა ბინის კეთილმონყობას მოახმაროს.

მეორე მხარის საჭიროების შესახებ ცნობის მიღება გულისხმობს შეკითხვების დასმას: რატომ სჭირდება გამქირავებელს ქირის საფასურის გაზრდა? მხოლოდ იმისთვის, რომ მეტი ფული აიღოს? იქნებ ეს ბინის პირობების გასაუმჯობესებლად არის მნიშვნელოვანი? – ასეთ შეკითხვებზე პასუხის მიღება მომლაპარაკებელს ეხმარება, გამქირავებლის მოთხოვნებს ჩასწვდეს და მათ მეტი კეთილგონიერებით უპასუხოს.

## 4. შედეგებისთვის დანახარჯის განევა

### 4. 1. დავის კოლაბორაციული (თანამშრომლობითი) გადაწყვეტა

მაშინ, როდესაც ადამიანები ცდილობენ, ერთმანეთი საკუთარი პოზიციების ღირსეულობაში დაარწმუნონ, მათ ორიდან ერთ-ერთი გზის არჩევა შეუძლიათ: მოიწვიონ და ჩართონ მეორე მხარე საკითხის გადაჭრის საქმეში, ან თავად, ცალმხრივად გადაწყვიტონ, რა გამოსავალსაც ელიან, შემდეგ კი დაარწმუნონ მეორე მხარე მის მართებულობაში. ძალიან ხშირად ადამიანები ამ უკანასკნელ გზას ირჩევენ ხოლმე.

სანამ ორივე მხარე პრობლემის გადაჭრის პროცესში უშუალო მონაწილეობას არ მიიღებს, ერთ-ერთმა შესაძლებელია, მეორე მხარის არგუმენტები არ გაიზიაროს. ასე რომ, არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად ღირსეულია მხარის არგუმენტი, ყოველთვის მოსალოდნელია მეორე მხარის კონტრინადადება მხოლოდ პრინციპული მიდგომის შენარჩუნების გამო. გამოცდილმა მომლაპარაკებლებმა გადაწყვეტის ძიების საკითხში ორივე მხარის ჩართულობის აუცილებლობის ფასი კარგად იციან – ამდენად, ორივეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ სასურველი გადაწყვეტის მიღების დროს მათ ერთობლივი ძალისხმევა გაიღეს.

<sup>13</sup> გაიხსენეთ მასლოუს „მოთხოვნილებების პირამიდა“: ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (სუნთქვა, წყალი, სექსი, ძილი და ა.შ.); სიყვარული/სოციალური კუთვნილება (მეგობრობა, ოჯახი, სიახლოვე); დაფასება (თვითშეფასება, პატივისცემა სხვების მიმართ, მიღწევები) და თვითაქტუალიზაცია (სრული პოტენციალის გაანალიზება). *Abraham Maslow, A Theory of Human Motivation (1943).*

ხშირად დავაში მონაწილე ადამიანები უთანხმოების მოგვარების ალტერნატიულ ვარიანტებს არ განიხილავენ. თუკი სჯერათ, რომ „მართლები“ არიან, ისინი მხოლოდ ისეთ გადანყვეტებს ეძებენ, რომლებიც მათ თავდაპირველ პოზიციებს გაამყარებს. უმრავლეს შემთხვევაში, მხარეები ალტერნატიულ გადანყვეტილებებს არ განიხილავენ, რადგან:

- აქვთ მტკიცე რწმენა, რომელიც მათ საკუთარი პოზიციების სისწორეში არწმუნებთ;
- ცდილობენ, პრობლემას მხოლოდ ერთი პასუხი მოუძებნონ;
- ფიქრობენ, რომ სასრული პროპორციების მქონე განსაზღვრული წილი არსებობს;
- ფიქრობენ, რომ მხოლოდ მათი პრობლემის მოგვარება საკმარისია ზოგადად პრობლემის გადასაჭრელად.

ბოლო არგუმენტს შედარებით მეტი განხილვა სჭირდება. ადამიანები მხოლოდ საკუთარ პრობლემებზე ფოკუსირდებიან, და არა იმავდროულად საკუთარი ოპონენტების. შესაბამისად, კომპრომისის მოძიებისას ადამიანები მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამოდიან და უჭირთ ისეთი შეთანხმების მიღება, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს მოემსახურება. ეფექტურმა მომლაპარაკებელმა მოლაპარაკების ასეთი გავლენისაგან თავის დაცვა უნდა შეძლოს და შეთანხმების ისეთ ვარიანტებს მიაგნოს, რომლებიც ორივე მხარის საჭიროებებს შეესატყვისება.

## 4. 2. საუკეთესო ალტერნატივა შეთანხმების მისაღწევად

მოლაპარაკების დროს მხარემ ძირითადი, უმთავრესი ინტერესების იდენტიფიცირება და მცდარი შეხედულებების გამოკვეთა უნდა შეძლოს. ის აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს რეალური შეთანხმების სხვადასხვა ვარიანტის ძიებაში, შერჩევასა და გადამონმებაში. მოლაპარაკების ამ ეტაპზე ეფექტური მომლაპარაკებელი ყოველთვის გადააფასებს საკუთარ ე.წ. „საუკეთესო ალტერნატივებს“ მოლაპარაკების შედეგად მისაღწევი შეთანხმების გზაზე.

ეს ალტერნატივა არის მომლაპარაკებლის სათადარიგო პოზიცია, რითაც იგი თავს მუდმივად ასეთ შეკითხვას დაუსვამს: რა იქნება შედეგი იმისა, თუ დამატებით მოლაპარაკებაზე უარს ვიტყვი? ამ ალტერნატივების მუდმივი გადაფასებით, მომლაპარაკებელს შეუძლია, განსაზღვროს, როდის მიიღოს ან უარყოს მეორე მხარის წინადადება. ალტერნატიული ვარიანტი მოლაპარაკების პროცესში შინაარსობრივად მუდმივად იცვლება, როდესაც მომლაპარაკებელი დამატებით ინფორმაციას მიიღებს და იმ საკითხში წვდომას გაიღრმავებს.

დამატებითი (სარეზერვო) ალტერნატივა შემდეგ ფაქტორებს შეიცავს:

- რისკის შეფასებას;
- ტრანზაქციულ და ემოციურ ხარჯებს;
- დროის ხარჯს.

## VII. კონფიდენციალობა

მედიაციის პროცესისთვის კრიტიკულად აუცილებელი მხარეების მხრიდან პროცესისადმი ნდობის არსებობაა – ისევე, როგორც პროცესის ფასილიტატორის ნეიტრალური პოზიცია. ასეთი ნდობის გარეშე მედიატორისთვის რთულია და ხშირად შეუძლებელი, მიაღწიოს მხარეებისაგან გულახდილი, კონფიდენციალური ინფორმაციის მისთვის გაზიარებას, რაც კეთილგონივრული შეთანხმების მისაღწევად ასე აუცილებელია. მოდავე მხარეებს აშინებთ ის გარემოება, რომ გამხელილი ინფორმაცია შეიძლება ისევე მათ წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული, ამიტომაც ისინი მედიატორისთვის მის გაზიარებას არ ჩქარობენ. ასე რომ, მედიატორი უნდა ცდილობდეს, სანდო გარემო შექმნას, რაც მხარეებში გულწრფელობის სურვილს გამოიწვევს და განცალკევებული (კერძო) სესიების ეფექტურობას უზრუნველყოფს.

კონფიდენციალობის პარამეტრები შეიძლება ისეთი დამცავი მექანიზმებით დადგინდეს, როგორებიცაა შიდა რეგულაცია ან ინსტიტუციური სერვისპროვაიდერის განაწესი, ან, შესაძლოა, ისინი მხარეთა შორის სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველშიც იდოს.

## **1. რეგლამენტებული – ინსტიტუციური დაცვითი მექანიზმები**

### **1. 1. „უნსიტრალი“**

#### **მერვე პარაგრაფი – ინფორმაციის გამხელა**

თუ მედიატორი მიიღებს ინფორმაციას დავის ერთ-ერთი მხარის შესახებ, მედიაციის პროცესში მისი გამჟღავნება რომელიმე მხარისთვის დაუშვებელია, რადგან ინფორმაცია, როგორც წესი, კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს.

#### **მეცხრე პარაგრაფი – კონფიდენციალობა**

თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მომრიგებლობით პროცესში გაზიარდა, კონფიდენციალურად მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი გამხელა მართლზომიერია ან შეთანხმების დაცვითაა განპირობებული.<sup>14</sup>

### **1. 2. საერთაშორისო სავაჭრო პალატის მაგალითი**

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მედიაციის წესები გამოხატავენ პირობებს, რომლებიც კონფიდენციალობის საკითხს, როგორც შეთანხმების გამხელის, ისე მიმდინარე პროცესში, ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების ქრილში ეხება. ეს წესები ასახავენ სავაჭრო პალატის დამოკიდებულებას საკითხისადმი და, თუ მხარეებს სურთ, ნაკლებად შემზღვეველი კონფიდენციალობის მოთხოვნები შეიმუშაონ, ეს ხელშეკრულებით უნდა განამტკიცონ.

#### **მეცხრე პარაგრაფი: კონფიდენციალობა**

- თუ მხარეთა შორის არ არსებობს განსხვავებული შეთანხმება, პირადი და კონფიდენციალურია პროცედურები და განხილვის შინაარსი, და არა ფაქტი, რომ საქმე მედიაციის მსვლელობაშია ან მსვლელობა მიეცა ან მიეცემა;

- ნებისმიერ შეთანხმებას მხარეები კონფიდენციალურ რეჟიმში შეინახავენ, გარდა შემთხვევისა, როდესაც მხარეს ინფორმაციის გაზიარების უფლება ექნება იმ პირობით, თუ მის გაზიარებას სამართლებრივი აუცილებლობა განაპირობებს ან შეთანხმების პირობების განხორციელება იძულებითი დაცვის მიზნებს მოემსახურება.

- თუ ამას შესაბამისი კანონმდებლობა არ მოითხოვს და არც შესაბამისი შეთანხმება არსებობს, მხარე მტკიცებულების სახით სასამართლოში, არბიტრაჟსა თუ რაიმე მსგავს პროცედურულ პირობებში არ წარმოადგენს: არავითარ დოკუმენტაციას, განცხადებას ან კომუნიკაციის ჩანაწერს, რომელიც მედიატორს ან მხარეს გაანდეს, თუ, რა თქმა უნდა, იგივე მტკიცებულება უშუალოდ პირველწყაროს მიერ არ იქნა მონოდებული ამავე პროცედურების გათვალისწინებით; ნებისმიერ აზრსა თუ მითითებებს, რომლებიც მედიაციის პროცესში რომელიმე მხარის მიერ გამოითქვა მიმდინარე დავის საკითხთან ან შესაძლო შეთანხმებასთან დაკავშირებით; ნებისმიერ დაშვებას, რომელიც მეორე მხარის მიერ გაკეთდა; ნებისმიერ აზრსა თუ წინადადებას, რომელიც მედიაციის პროცესში მედიატორის მიერ იქნა წამოყენებული ან იმ

<sup>14</sup> სტივ ოსტერმილერი, დილენ სვენსონი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა საქართველოში, თბ., 2014.

მტკიცებულებებს, რომელთა მიხედვით დადასტურდებოდა ერთ-ერთი (ან რომელიმე) მხარის მზადყოფნა შეთანხმებაზე.<sup>15</sup>

### 1. 3. აშშ, ტეხასის მაგალითი

ტეხასის შტატში მედიაციის პროცესში ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით მკაცრი საჯარო პოლიტიკა შემუშავდა. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურების მარეგულირებელი აქტის საფუძველზე დადგენილი კონფიდენციალობის დაცვის მექანიზმები უმკაცრეს ნორმებად არის აღიარებული მთელ აშშ-ში. არსებითად, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურების მარეგულირებელი აქტი კონფიდენციალობის საკანონმდებლო დაცვის დებულებებს ასახავს იმისთვის, რომ მათი მოქმედება გავრცელდეს:

- როგორც სასამართლო, ასევე ნებაყოფლობითი მედიაციის პროცესზე;
- როგორც სასამართლო განხილვამდე დავაზე, ასევე განხილვის შემდეგ.

ტეხასის კონფიდენციალობის აქტი აცხადებს, რომ, გარკვეული გამონაკლისების გარდა:

- ნებისმიერი დოკუმენტაცია თუ კომუნიკაცია, რომელიც მედიაციის პროცესს შეეხება, კონფიდენციალურად ჩაითვლება; არ შეიძლება მისი გამხელა, გასაჯაროება“ სასამართლოსა თუ სხვა ადმინისტრაციულ პროცესში მტკიცებულების სახით წარმოდგენა.

შედეგად, როგორც წესი, მხარეებსა თუ მედიატორს კონფიდენციალური მასალის მტკიცებულების სახით მოწოდებას ვერაფერს აიძულებს. გარდა ამისა, ის ჩანანერები, რომლებიც მედიაციის დროს სრულდება, ასევე კონფიდენციალურ მასალად ითვლება.

### 2. ხელშეკრულებით განწერილი დაცვის მექანიზმები

მედიაციის პროცესში წარმოდგენილმა მხარეებმა ასევე შესაძლოა, კონფიდენციალობის საკითხი ხელშეკრულებაშიც განწერონ, რაც რეგლამენტში განწერილ საბაზისო დაცვის პრინციპებს სცილდება. მხარეებს, ამრიგად, საკუთარი, სპეციალური და უპირატესად გამოსაყენებელი პირობების დადგენა შეუძლიათ, რაც პროცესში ინფორმაციის კონფიდენციალობას, მათ შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების დადგენის პირობებს, განსაზღვრავს. თუ მხარეები ასეთ შეთანხმებას ნებაყოფლობით და გააზრებულად დებენ და მისი რომელიმე პუნქტი ხსენებული რეგლამენტის პირობებს არ არღვევს, ხელშეკრულება სამართლებრივად ნამდვილად ჩაითვლება. ასეთი შეთანხმება მხარეებს კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევას აარიდებს, მათ შორის შეზღუდავს მათ მისწრაფებას, გასაიდუმლოებული მასალა მედიატორისაგან დამალონ. თუ კონფიდენციალობასთან დაკავშირებული შეთანხმება მედიაციის შეთანხმების ხელშეკრულებაში ჩაერთვება, მაშინ მისი დარღვევა, ზოგადად, ხელშეკრულების დარღვევით განპირობებული სამართალწარმოების საფუძველი შეიძლება გახდეს და ზოგადი დაცვითი სტანდარტების ამოქმედების საფუძველი გახდება.

### 3. ინფორმაციის გამხელის ვალდებულებანი

ის კომუნიკაცია, რომელიც გასაიდუმლოებული ინფორმაციის რეგლამენტიტაა დაცული, შესაძლებელია, გამხელილ იქნეს, თუკი კონფიდენციალურ აქტსა და სხვა ზემდგომ სამართლებრივ ნორმას შორის რაიმე სახის წინააღმდეგობა არსებობს. მაგალითად, შესაძლებელია, არსებობდეს რეგლამენტის მიერ გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელის წესი, რომელიც, ვთქვათ, ბავშვების მიმართ ძალადობას შეეხება ან უშუალო ძალადობის საფრთხეს შეიცავს.

<sup>15</sup> იხ. <<http://www.iccwbo.org/products-and-services/arbitration-and-adr/mediation/rules/>>.

თუკი ასეთი ტიპის კონფლიქტი წარმოიქმნება, მედიატორის პასუხი არის ამ საკითხის სასამართლოსთვის გადაცემა, რომელიც თავად განსაზღვრავს, გასამხელია თუ არა ეს ინფორმაცია მასში მოცემული კონტექსტის, პირობებისა და ფაქტების გათვალისწინებით, ან შეიძლება თუ არა, დარჩეს გასაიდუმლოებულ ინფორმაციად. იმავე წესით, მედიატორი შესაძლოა, საჯარო პოლიტიკის რეგლამენტით ან ეთიკური ნორმების მიერ წარმოქმნილი დილემის წინაშე აღმოჩნდეს, რაც ლიცენზირებული პროფესიონალის მიერ პროფესიისთვის შეუფერებელი ქცევის ჩადენისა და გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამხელის შესაძლებლობას გულისხმობს. ასევე შესაძლებელია, მედიატორმა მიიღოს ინფორმაცია, რომელიც კრიმინალურ ქმედებას, უშუალო ზარალის მომტან მუქარას ან არამართლზომიერ ქცევას ეხება. ასეთ პირობებში მედიატორს შეუძლია, საქმე გასამხელად სასამართლოს წარუდგინოს, რათა ამ საკითხზე მან თავად იმსჯელოს.

## VIII. ეთიკა, კვალიფიკაცია და სტანდარტები

### 1. საერთაშორისო მაგალითები

#### 1. 1. დავის მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (International Centre for Dispute Resolution (ICDR)), ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის საერთაშორისო განყოფილება (The International Division of the American Arbitration Association (AAA))

##### 1. 1. 1. მედიატორის მიუკერძოებლობა და ინფორმაციის გამხელის მოვალეობა

საერთაშორისო ცენტრის მედიატორებს მოეთხოვებათ მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტების დაცვა იმ შემთხვევაში და იმ დროს, როდესაც ისინი მედიატორის სტატუსით ერთვებიან საქმეში. თუკი მოდელურ სტანდარტებსა და მედიაციის რეგლამენტს შორის რაიმე სახის წინააღმდეგობა წარმოიქმნება, მედიაციის რეგლამენტით განსაზღვრული წესები იქნება სახელმძღვანელო. სტანდარტების მიხედვით, მედიატორებმა პროცესზე უარი უნდა განაცხადონ, თუკი მისი წაყვანა მიუკერძოებელი გზით არ შეუძლიათ და არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან სხვა ისეთი გარემოება, რომელიც მედიატორის მიუკერძოებლობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

სანამ პროცესი დაიწყება, მედიატორმა უნდა დასვას შეკითხვა, არსებობს თუ არა რაიმე ისეთი ფაქტი, რომლის საფუძველზე მის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ რაიმე სახის ეჭვი შეიძლება წარმოიქმნას. მედიატორებმა ნებისმიერი ასეთი პირობის შესახებ უნდა განაცხადონ, რომლის მიხედვით, მათი მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დადგება ან ერთობლივ გადაწყვეტამდე მისვლას რაიმე შეუშლის ხელს. ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში, ცენტრის მედიატორებმა ამის შესახებ მხარეებს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ და დაელოდონ მათ შეფასებებსა და გადაწყვეტილებას აცილების საკითხთან დაკავშირებით.

ასეთი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ (ინტერესთა კონფლიქტი) მხარეებმა შესაძლებელია, მედიაციაში ჩართულობა მაინც განაგრძონ. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს მედიატორის მომსახურებაზე, ან, სადაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ასეთი მედიატორის ჩართულობა მედიაციის პროცესს პრობლემას შეუქმნის, მედიატორი უნდა შეიცვალოს.

##### 1. 1. 2. მედიატორის უფლება-მოვალეობები

- მედიატორმა პროცესი მხარეების თვითგამორკვევის პრინციპზე უნდა დააფუძნოს. თვითგამორკვევის პროცესი არის ნებაყოფლობითი აქტი, რომელიც არაძალდატანებითი გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, რომელშიც თითოეული მხარე თავისუფალ, ინფორმირებულ არჩევანს აკეთებს, რაც პროცესსა და შედეგზე აისახება.

- მედიატორი უფლებამოსილია, ჩაატაროს განცალკევებული, კერძო შეხვედრები მხარეებთან, ისევე როგორც სხვა ტიპის კომუნიკაცია მხარეებსა თუ მათ წარმომადგენლებთან – მედიაციის პროცესის დასაწყისში, თუ მას მერე. კომუნიკაცია შეიძლება ტელეფონით, წერილობით, ელ. ფოსტით, ინტერნეტით, პირისპირ შეკრების გზით ან სხვა საშუალებით ჩატარდეს.

- მედიატორს შეუძლია, მხარეებს სთხოვოს, საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი დოკუმენტაცია გაცვალოს. მედიატორმა შეიძლება, საქმის შესახებ არსებული ანალიზი მოითხოვოს, სადაც ძირითადი ინტერესები და მხარეთა მოლაპარაკების ისტორია ინახება. თუ მხარეს ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა სურს, ასეთი ტიპის ინფორმაცია შესაძლებელია, მედიატორს ცალკე საკომუნიკაციო საშუალებით გადაეგზავნოს.



- მედიატორს არ აქვს უფლება, მხარეებს შეთანხმების რაიმე ფორმა თავს მოახვიოს, თუმცა შეეცდება, მოეხმაროს მათ, რომ დავაში სასურველი გადაწყვეტილების შეთანხმება მოხდეს. მედიატორს, შეხედულებისამებრ, ერთ-ერთი მხარისთვის ცალკე რეჟიმში, ან ორივე მხარისათვის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე როგორც ზეპირი, ისე წერილობითი რეკომენდაციების განევა შეუძლია.

- იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მიღწევა დათქმულ ვადებში ვერ მოხერხდა, მედიატორს მხარეებთან კომუნიკაციის გაგრძელება შეუძლია გარკვეული დროის განმავლობაში შეთანხმების უზრუნველყოფის მიზნით.

- მედიატორი არ გახლავთ რომელიმე მხარის წარმომადგენელი და მას არც ფიდეუციური მოვალეობა აქვს რომელიმე მხარის მიმართ.<sup>16</sup>

## 1. 2. საერთაშორისო სავაჭრო პალატა<sup>17</sup>

მედიაციის ამ განმარტებით, საერთაშორისო სავაჭრო პალატა მხარის თვითგამორკვევის ცენტრალურ პრინციპს აღიარებს. სწორედ მხარეები და არა მედიატორი გადაწყვეტს, მოგვარდეს თუ არა დავა და რა პირობებით:

საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესების მიხედვით, მედიაციის პროცედურები საერთაშორისო სავაჭრო პალატის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრის მიერ ადმინისტრირდება. მედიაცია არის მოქნილი შეთანხმების ტექნიკა, რომელსაც კერძო და კონფიდენციალურ რეჟიმში ჩაატარებენ, სადაც მედიატორი ნეიტრალური ფასილიტატორის როლს ასრულებს, რათა მხარეებს საკუთარი დავის გადაწყვეტისა და შეთანხმების მიღწევის პროცესში დაეხმაროს. მხარეები საკუთარი გადაწყვეტილებების პროცესს მართავენ, ისევე როგორც მართავენ მისალწევი შეთანხმების პირობებს. წარმატებული მედიაციის პროცესის შემთხვევაში, მედიაციის შეთანხმებას სახელშეკრულებო ბოჭვის ძალა აქვს, მაგრამ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, არ ექვემდებარება აღსრულებას საერთაშორისო დონეზე.

მედიატორის უფლებამოსილება, მისი პასუხისმგებლობა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, საერთაშორისო სავაჭრო პალატის მედიატორის შესარჩევი წესებითაა განერილი.

## მუხლი 5. მედიატორის შერჩევა

- დანიშნამდე მედიატორი ხელმისაწვდომობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ ფორმას აწერს ხელს. მომავალმა მედიატორმა წერილობითი ფორმით ცენტრს ნებისმიერი ფაქტისა თუ გარემოების შესახებ უნდა აცნობოს, რომელიც მედიატორის დამოუკიდებლობას მხარეების თვალთახედვიდან რამენაირად დაჩრდილავს ან მის მიუკერძოებლობაში რაიმე ეჭვის საფუძველი გახდება. ცენტრი მხარეებს წერილობითი სახით შეატყობინებს ამ ინფორმაციას და მათგან შეფასების მიღებისათვის დაანესებს დროს.

- მედიატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ცენტრი მედიატორის მახასიათებლებსა და კომპეტენციას გაითვალისწინებს, რაც გულისხმობს (თუმცა არ იზღუდება) ეროვნებას, ლინგვისტურ უნარ-ჩვევებს, ტრენინგს, კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, ასევე მის უნარს, მედიაცია წესების მიხედვით ჩაატაროს და საჭირო მომენტში მუდმივი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს.<sup>18</sup>

საერთაშორისო სავაჭრო პალატა მედიატორის მიუკერძოებლობას საკუთარ წესებში განმარტავს

<sup>16</sup> აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. <<https://www.adr.org/aaa/faces/rules>>.

<sup>17</sup> იხ. ბმული <<http://www.iccwbo.org/about-icc/organization/dispute-resolution-services/>>

<sup>18</sup> აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იხ. <[http://www.iccwbo.org/products-and-services/arbitration-and-adr/mediation/rules/#Article\\_5](http://www.iccwbo.org/products-and-services/arbitration-and-adr/mediation/rules/#Article_5)>.

## მუხლი 7. მედიაციის სესიის წარმართვა<sup>19</sup>

1. მედიატორი და მხარეები მედიაციის ჩატარების ფორმატზე მოითხოვნიან;
2. ასეთი დისკუსიების შემდეგ მედიატორმა მხარეებს წერილობით მედიაციის ჩატარების წესისა და ფორმატის შესახებ უნდა აცნობოს. თითოეული მხარე, საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესების მიმართ თანხმობის დაფიქსირებით, თანახმაა პროცესში მონაწილეობის მიღებაზე, სანამ მედიაციის პროცესის შეჩერება-გაუქმების შესახებ ცნობას არ მიიღებს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესების მე-8(1) პუნქტის შესაბამისად.
3. მედიაციის ჩატარებისას მედიატორი მონაწილე მხარეების ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს და მათ სამართლიანად და მიუკერძოებლად ექცეოდეს.
4. თითოეულ მხარეს ეკისრება კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება მედიაციის პროცესში.

### 2. ევროპული მაგალითი

მედიატორის ქცევის ევროპული კოდექსით დადგენილია:

**მუხლი 1. კომპეტენტურობა, დანიშვნა, გადასახადი, მედიატორული მომსახურების რეკლამირება, პოპულარიზაცია:**

#### მუხლი 1. კომპეტენტურობა

მედიატორები კომპეტენტური და მედიაციის პროცესის მცოდნე პირებს უნდა წარმოადგენდნენ. ამ თვალსაზრისით რელევანტური ფაქტორებია ჯეროვანი ტრენინგები და ცოდნისა და უნარ-ჩვევების მუდმივი განახლება თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაბამისი სტანდარტებისა და სააკრედიტაციო სქემების გათვალისწინებით.

#### მუხლი 2. დანიშვნა

მედიატორები მედიაციის ჩატარების შესახებ მხარეებთან ვადების საკითხს შეათანხმებენ. მედიატორებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ შესაბამისი გამოცდილება და ცოდნა აქვთ მედიაციის პროცესის ჩასატარებლად (მოცემულ საქმეზე) მანამ, სანამ საქმის შესრულებას შეუდგებიან. მოთხოვნისამებრ, მათ ამ ინფორმაციის მხარეთათვის სრული წარდგენა უნდა შეძლონ.

#### მუხლი 1.3. გადასახადები

მედიატორებმა მხარეებს ანაზღაურების (ჰონორარის) შესახებ სრული ინფორმაცია უნდა მიანოდონ, რომელსაც მომსახურებისთვის აიღებენ. სანამ ეს საკითხი ყველა მხარესთან შეთანხმებული არ იქნება, ისინი საქმის განხილვას არ შეუდგებიან.

#### მუხლი 1.4. მედიატორული მომსახურების რეკლამირება, პოპულარიზაცია

მედიატორებს საკუთარი მომსახურების რეკლამირება შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ამას პროფესიულად, კეთილსინდისიერად და ღირსეულად წარმართავენ.

<sup>19</sup> იხ. ბმული <[http://www.iccwbo.org/products-and-services/arbitration-and-adr/mediation/rules/#Article\\_7](http://www.iccwbo.org/products-and-services/arbitration-and-adr/mediation/rules/#Article_7)>.

## **მუხლი 2. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა**

### **მუხლი 2.1. დამოუკიდებლობა**

თუ არსებობს რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია, მედიატორის დამოუკიდებელი მუშაობის წესზე რაიმე გავლენა მოახდინოს ან ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნას შეუწყოს ხელი, მედიატორმა ეს ინფორმაცია მხარეებს საქმის დაწყების წინ ან ფაქტის გამოვლენიდან პროცესის კვლავ გაგრძელებამდე უნდა მოახსენოს.

ასეთი გარემოებები გულისხმობენ: ნებისმიერ პირად ან ბიზნესურთიერთობებს ერთ-ერთ რომელიმე მხარესთან, ნებისმიერ ფინანსურ ან სხვა ინსტერესს, პირდაპირსა და არაპირდაპირს, ინტერესს მედიატორის შედეგთან მიმართებით, მედიატორის ან მისი ფირმის რომელიმე წევრის მიერ რაიმე მომსახურების გაწევის ფაქტს რომელიმე მხარისათვის.

ასეთ პირობებში მედიატორს, მხარეთა ორმხრივი თანხმობის არსებობის შემთხვევაშიც, საქმისწარმოებას მხოლოდ იმ დათქმით შეუძლია დასთანხმდეს, თუ იგი დარწმუნებულია, რომ მედიატორის აბსოლუტურად დამოუკიდებლად ჩაატარებს, ისე, რომ იგი მიუკერძოებელ და მხარეთა ინტერესების თანხმებულ პროცესს წარმოადგენდეს. ასეთი გარანტიების არარსებობის შემთხვევაში, მედიატორის ვალდებულებაა, პროცესის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მისი ყოველგვარი შესაძლო ზემოაღნიშნული ინტერესი გაამხილოს მხარეთა წინაშე.

### **მუხლი 2.2. მიუკერძოებლობა**

მედიატორებმა ყოველთვის მიუკერძოებლად და მედიატორის პროცესის პრინციპების დაცვით უნდა იმოქმედონ, ისინი უნდა ცდილობდნენ ამის წარმოჩენას, ხოლო მხარეებს უნდა მოეკიდონ სამართლიანად.

## **მუხლი 3. მედიატორის შეთანხმება, პროცესი და ხელშეკრულება**

### **მუხლი 3.1. პროცედურა**

მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ მხარეები მედიატორის პროცესის თავისებურებებს იცნობენ, კარგად აცნობიერებენ როგორც მედიატორის, ასევე თავიანთ როლს. პროცესის დაწყების წინ მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ მხარეები მედიატორის პირობებს ჩასწვდნენ და გამოხატეს თანხმობა მედიატორისა და მხარეების მიმართ მოქმედ კონფიდენციალობის პირობასთან დაკავშირებით. მედიატორის შეთანხმება შესაძლოა, მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, წერილობითი სახით ჩამოყალიბდეს. მედიატორმა პროცესი საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა წარმართოს, რაც შესაძლოა ძალთა უთანასწორობის ან მხარეების განსხვავებული სურვილების, მათ შორის, კანონის უზენაესობისა და დავის სწრაფად გადაწყვეტის აუცილებლობის გააზრებას გულისხმობს. მხარეები შესაძლოა, მედიატორთან მედიატორის ჩატარების წესზეც შეთანხმდნენ – არსებულ რეგლამენტზე ან სხვა განაწესზე დაყრდნობით. მედიატორმა შესაძლოა, მხარეებს ცალ-ცალკე მოუსმინოს, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლის.

### **მუხლი 3.2. პროცესის სამართლიანობა**

მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მხარეს პროცესში ჩართვის ადეკვატური შესაძლებლობები ენიჭება. მედიატორი მხარეებს აცყობინებს და მას მედიატორის შეწყვეტის უფლებაც აქვს, თუ:

- მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც არის უკანონო, ან არ ხასიათდება აღსრულების პერსპექტივით, ნაძალადევად ან მართლსაწინააღმდეგო წესით არის მიღებული (აქ მედიატორის კომპეტენცია არსებული საქმის სპეციფიკითაა გათვალისწინებული)

- მედიატორს მიაჩნია, რომ მედიაციის გაგრძელება შეთანხმების მიღწევით არ დასრულდება.

### **მუხლი 2.3. პროცესის დასასრული**

მედიატორმა ყველანაირი ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მხარეებს შორის იყო მიღწეული, ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე დაიდო და ყველა მხარე შეთანხმების პირობებს ნათლად აცნობიერებს. მხარეებს უფლება აქვთ, მედიაციის პროცესს ნებისმიერ დროს გამოეთიშონ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. მედიატორმა, მოთხოვნისამებრ და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მხარეებს ხელშეკრულების ფორმალიზაციისა და მისი სამართლებრივი აღსრულების შესახებ უნდა აცნობოს.

### **მუხლი 4. კონფიდენციალობა**

მედიატორმა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მედიაციის პროცესში გამოვლინდება, მედიაციის ჩატარების ფაქტის ჩათვლით, საიდუმლოდ უნდა შეინახოს, თუკი მის გამჟღავნებას მედიატორს კანონი ან საჯარო წესრიგი არ ავალდებულებს. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ერთ-ერთი მხარის მიერ კონფიდენციალურ რეჟიმში მედიატორს გაენდობა, მეორე მხარისთვის არ უნდა იყოს გამხელელი შესაბამისი ნებართვის გარეშე, თუ, რა თქმა უნდა, ამის აუცილებლობას კანონი არ მოითხოვს.

იხილეთ სტივ ოსტერმილერი, დილენ სვენსონი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა საქართველოში, თბ, 2014.

## **3. აშშ-ის მაგალითი**

1994 წელს ამერიკის არბიტრთა ასოციაციამ, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ და კონფლიქტების მარეგულირებელმა ასოციაციამ ჩამოაყალიბეს მედიაციის სამოდელო სტანდარტები. ეს სტანდარტები 2005 წელს გადამუშავდა და მრავალ იურისდიქციაში მედიატორთა სახელმძღვანელო მოდელია.

### **პრეამბულა**

მედიაცია კონფლიქტების მოგვარების ფართო სპექტრს ემსახურება. ეს სტანდარტები შეიქმნა იმისთვის, რომ მედიაციის თითქმის ნებისმიერ პრაქტიკულ კონტექსტში მოღვაწე ადამიანებისთვის ფუნდამენტური ეთიკური განაწესი ჩამოყალიბებულიყო. ისინი სამ ძირითად მიზანს ემსახურებიან: მედიატორების ქცევის განსაზღვრას; მედიაციაში ჩართული მხარეების გათვითცნობიერებას და მედიაციის, როგორც დავის მოგვარების პროცესის, მიმართ ნდობის გაძლიერებას.

მედიაცია არის პროცესი, რომელშიც მიუკერძოებელი მესამე მხარე კომუნიკაციისა და მოლაპარაკების ფასილიტაციას ახდენს და მოდავე მხარეების მხრიდან ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების მოძიებას ახალისებს. მედიაცია სხვადასხვა მიზანს ემსახურება, რაც მხარეების მხრიდან მიზნების განსაზღვრასა და ნათლად ჩამოყალიბებას, ასევე სხვადასხვა პერსპექტივის გაგებასა და ინტერესების იდენტიფიცირებას, გადაწყვეტილების შესაძლო ალტერნატივების მოტანა-შეთავაზებასა და ერთობლივი, მოგებიანი გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს საამისო სურვილის არსებობის პირობებში.

## **პირველი სტანდარტი – თვითგამორკვევა**

მედიატორი მედიაციას მხარეების თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე წარმართავს. თვითგამორკვევა არის აქტი, რომელიც გადანყვეტილების შეთანხმებულ, არაძალადობრივ მიღებას გულისხმობს, რომელშიც თითოეული მხარე მონაწილეობს და შედეგის მართვას ინფორმირებული, თავისუფალი არჩევანით ახორციელებს. მხარეებმა შესაძლოა, თვითგამორკვევა მედიაციის ნებისმიერ ეტაპზე სცადონ, მედიატორის შერჩევის, პროცესის დაგეგმვის, პროცესიდან გამოსვლისა და შედეგების მართვის ჩათვლით.

1. მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის პრაქტიკაში პროცესის დაგეგმარებისათვის მხარეთა თვითგამორკვევა მედიაციის საბაზისო პრინციპია, მედიატორს შეიძლება რომელიმე მხარის თვითგამორკვევის უფლების დარღვევები მოუწიოს, ისევე ამ სტანდარტების შესაბამისად პროცესის ხარისხიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

2. თავად მედიატორი პირადად ვერ უზრუნველყოფს, თითოეულმა მხარემ თავისუფალი, ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს, რათა კონკრეტული გადანყვეტილებები მიიღოს, მაგრამ იქ, სადაც დასაშვებია, მედიატორმა მხარეებს სხვა პროფესიონალებთან კონსულტაციის მნიშვნელობა უნდა განუმარტოს და ურჩიოს, რომ მათ ინფორმირებული გადანყვეტილებები მიიღონ.

მედიატორი არ უნდა ეცადოს, რაიმე ისეთი მიზეზით, როგორებიცაა შეთანხმების მაღალი საფასური, ეგოცენტრიზმი, ან სხვა გარე ზეწოლის გავლენით (ეს იქნება პროგრამული ადმინისტრატორები, სასამართლო პერსონალი, პროვაიდერი ორგანიზაციები, მედია ან სხვა), მხარეებს თვითგამორკვევის პროცესი ჩააშლევინოს.

## **მეორე სტანდარტი – მიუკერძოებლობა**

მედიატორმა მედიაციის პროცესზე უარი უნდა განაცხადოს, თუკი მის ჩატარებას მიუკერძოებელი გზით ვერ ახერხებს. მიუკერძოებლობა ნიშნავს ფავორიტიზმის არარსებობას, ცრურწმენისა და მიუკერძოებლობის დაუშვებლობას.

მედიატორმა მედიაციის პროცესი მიუკერძოებელი სახით უნდა ჩაატაროს და ისეთი ტიპის ქცევას მოერიდოს, რომელიც მიკერძოებულობის რაიმე ნიშანს წარმოაჩენს:

1. მედიატორმა არ უნდა იმოქმედოს მიკერძოებულად ან რაიმე ცრურწმენებით, მედიაციის მონაწილის რაიმე პიროვნული ნიშან-თვისების, ისტორიის, ღირებულებებისა და რწმენის ან მედიაციის დროს გამოვლენილი ქცევისა თუ რაიმე სხვა მიზეზის საფუძველზე.

2. მედიატორმა არ უნდა გასცეს და არც მიიღოს არავითარი სახის საჩუქარი – პირმოთნეობა, სესხი ან რაიმე ფასეული საჩუქარი, რომელიც მედიატორისთვის სავალდებულო მიუკერძოებლობაში ეჭვს გააჩენს.

3. მედიატორმა შეიძლება მიიღოს ან გასცეს მინიმალური საჩუქარი ან შემთხვევითი საგნები, ან მომსახურება, რომელიც მედიაციის პროცესის საწარმოებლად საჭირო, ან კულტურული ნორმების მხარდასაჭერად არის გამიზნული, ისე, რომ არ გაჩნდეს რაიმე ეჭვი მედიატორის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

4. თუ მედიაციის რომელიმე ნაწილში მედიატორი პროცესის მიუკერძოებელი წესით ჩატარებას ვერ ახერხებს, მან მუშაობა უნდა შეწყვიტოს.

## **მესამე სტანდარტი – ინტერესთა კონფლიქტი**

1. მედიატორი ინტერესთა კონფლიქტს უნდა მოერიდოს. ინტერესთა კონფლიქტმა თავი შესაძლოა, მედიატორის ჩარევით ან რაიმე სხვა ურთიერთობის საფუძველზე იჩინოს, რაც მედიატორისა და რომელიმე მხარის ურთიერთობით იქნება გამონვეული – იქნება ეს ურთიერ-

თობა წარსულსა თუ აწმყოში, პირადი თუ პროფესიული სახის, რაც ბუნებრივად მედიატორის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შეკითხვას ბადებს.

2. მედიატორმა უნდა გამოიკვლიოს იმ ფაქტების არსებობა, რომლებიც ნებისმიერი გონიერი პირისათვის ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ეჭვს წარმოშობს. ზემოაღნიშნული ფაქტებისა და ინფორმაციის მოკვლევის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მოქმედებები, რომლებიც მედიატორმა უნდა განახორციელოს, შესაძლებელია, განსხვავდებოდეს კონკრეტული საქმის კონტექსტით.

3. მედიატორმა, რაც შეიძლება მალე, ნებისმიერი სახის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი უნდა გამოავლინოს, რომელიც მისთვის ცნობილი იქნება და მის მიუკერძოებლობაში რაიმე ეჭვს შეიტანს. ასეთი ქმედების შემდგომ, თუ ყველა მხარე შეთანხმდა, მედიატორი პროცესის წარმართვას განაგრძობს.

4. თუ მედიატორმა მედიაციის საქმის მიღების შემდეგ რაიმე ისეთი ფაქტის შესახებ შეიტყუო, რომელიც მისი მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, მედიატორი მას უმალ გაამხელს. აღნიშნულის შემდეგ, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მას პროცესის გაგრძელება შეეძლება.

5. თუ მედიატორის ჩარევით წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტი მედიაციის კეთილსინდისიერად წარმართვის პრინციპისათვის რეალურ საფრთხედ იქცევა, მედიატორმა ასეთ შემთხვევაში საქმეზე მუშაობა უნდა შეწყვიტოს და მასზე უარი თქვას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეები საწინააღმდეგო სურვილს აცხადებენ.

6. მედიაციის პროცესის დასრულების შემდგომ მედიატორმა რომელიმე მხარესთან ისეთი ურთიერთობები არ უნდა დაამყაროს, რასაც არ უნდა ეხებოდეს იგი, რაც მის კეთილსინდისიერებაში რაიმე ეჭვის საფუძველი გახდება. მედიაციის პროცესის მხარეებთან, მასთან დაკავშირებულ ინდივიდებთან ან ორგანიზაციებთან პირადი თუ პროფესიული ურთიერთობების დამყარებამდე გასათვალისწინებელია ის დრო, რომელიც მედიაციის დასრულების შემდგომ გავიდა და ურთიერთობის ხასიათი, რომელიც არ უნდა ქმნიდეს პოტენციური ან რეალური ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობას.

## **მეოთხე სტანდარტი – კომპეტენტურობა**

მედიატორი საქმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუდგება, თუ მას მხარეთა მოლოდინის გასამართლებლად საკმარისი კომპეტენცია აქვს.

1. მედიატორად ნებისმიერი პირის შერჩევა შეიძლება იმ პირობით, თუ მხარეები მის კვალიფიკაციასა და კომპეტენტურობაზე შეთანხმდებიან. ტრენინგი, გამოცდილება, უნარ-ჩვევები, კულტურული გათვითცნობიერებულობა და სხვა თვისებები ხშირად მედიატორის კომპეტენციისათვის აუცილებელი წინაპირობებია. პირი, რომელიც ამ მომსახურებას გვთავაზობს, წარმოქმნის მოლოდინს, რომ იგი კომპეტენტურია და მედიაციის ეფექტურად წარმართვის უნარი შესწევს.

2. მედიატორი უნდა ესწრებოდეს საგანმანათლებლო ან მსგავს პროგრამებს, რათა საკუთარი ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება შეძლოს.

3. მედიატორის ტრენინგპროგრამების, განათლების, გამოცდილებისა და მიდგომების შესახებ ინფორმაცია მხარეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

4. თუ მედიაციის პროცესში მედიატორი ამჩნევს, რომ მას მედიაციის წაყვანა ჯეროვნად არ შეუძლია, იგი კონკრეტული სირთულის შესახებ მხარეებთან მოითხოვს და მის გადასაწყვეტად კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს, რაც გულისხმობს (თუმცა არ ამოიწურება) პროცესიდან გასვლას ან სათანადო დახმარების მოთხოვნას.

5. თუ მედიატორის უნარი, წაიყვანოს მედიაციის პროცესი, შელახულია ნამლებით, ალკოჰოლით ან სხვა მიზეზების გამო, მედიატორმა არ უნდა ჩაატაროს იგი.

## მეხუთე სტანდარტი – კონფიდენციალობა

მედიატორმა მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალობა უნდა უზრუნველყოს – თუ მისი გამხელა ისევ მხარეების მიერ არ იქნება შეთანხმებული ან სამართლებრივი ნორმის მიერ არ იქნება განსაზღვრული:

1. თუ მხარეები მედიაციის პროცესში თანხმდებიან, რომ მედიატორი მიღებულ ინფორმაციას გააცხადებს, შესაბამისად, მას ამის უფლება მიეცემა.

2. მედიატორს არ აქვს უფლება, მედიაციის პროცესში თითოეული მხარის მონაწილეობისა და მათი ქცევის შესახებ მედიაციის პროცესისგან დამოუკიდებელ პირებს გაანდოს. თუმცა მედიატორს შეუძლია, ანგარიშის სახით წარმოადგინოს ინფორმაცია მხარის მედიაციის პროცესზე გამოცხადებისა და შეთანხმების მიღწევა/მიუღწევლობის შესახებ, თუ ეს ინფორმაცია სავალდებულო წესით მოთხოვნილია შესაბამისი ორგანოს მიერ.

3. თუ მედიატორი ჩართული იყო მედიაციის სწავლების, კვლევისა და შეფასების პროცესში, მისი მოვალეობაა მხარეების ანონიმურობის დაცვა და კონფიდენციალობის მოლოდინების გამართლება მხარეთა მხრიდან. მედიატორმა, რომელიც კერძო სესიებისას მხარეებს ხვდება, რომელიმე პირისთვის ინფორმაცია პირდაპირი და არაპირდაპირი გზით არ უნდა გააზიაროს, თუ საამისოდ არ არსებობს ინფორმაციის გამნდობი მხარის თანხმობა.

მედიატორის მოვალეობაა, მედიაციის პროცესში ჩართული მხარეებისთვის ინფორმაციის კონფიდენციალობას გაუსვას ხაზი.

მედიაციის პირობებიდან გამომდინარე, მხარეებს შესაძლოა კონფიდენციალობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოლოდინი ჰქონდეთ, რასაც მედიატორი ყურადღებით უნდა მოეკიდოს. მხარეებმა კონფიდენციალობასთან დაკავშირებით შესაძლოა საკუთარი პირობები შეიმუშაონ, ან კიდევ კერძო მედიატორისა თუ ინსტიტუტის მიერ დანესებული წესები გაიზიარონ.

## სტანდარტი მეექვსე – პროცესის ხარისხი

მედიატორმა პროცესი აღნიშნულ სტანდარტებთან შესაბამისად უნდა წარმართოს, ასევე იმ საკითხების გათვალისწინებით, რაც პუნქტუალობას, წესების დაცვას, დასწრებას, უსაფრთხოებას, ჩართულობას, პროცედურულ სამართლიანობას, კომპეტენტურობასა და ურთიერთპატივისცემას გულისხმობს.

1. მედიატორი თანახმაა, მუშაობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუდგეს, როდესაც იგი ეფექტური პროცესის ჩასატარებლად მზად არის;

2. მედიატორი მედიაციის პროცესში მხოლოდ მაშინ ჩაერთვება, როდესაც იგი მედიაციის პროცესის განრიგსა და დროის საკითხთან მიმართებით ყველა ჩართული მხარის მოლოდინს დააკმაყოფილებს.

3. მედიაციის პროცესში ადამიანების დასწრება თუ არდასწრება დამოკიდებულია მედიატორისა და მხარეების შეთანხმებაზე. მხარეები და მედიატორი შეთანხმდებიან, შესაძლებელია თუ არა ამა თუ იმ პირის (თუ პირების) პროცესისგან შემდგომი გამოთიშვა;

4. მედიატორმა მონაწილეთა შორის კეთილსინდისიერებისა და გულახდილობის აუცილებლობას უნდა გაუსვას ხაზი და მედიაციის პროცესში რაიმე სახის ფაქტების დამახინჯებისგან თავი შეიკავოს.

5. მედიატორის როლი სხვა პროფესიული როლებისგან არსებითად განსხვავდება. მედიატორის როლის არევა სხვა როლებთან პრობლემური საკითხია, ამგვარად, მან ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნა უნდა მოახერხოს. მედიატორს შეუძლია ისეთი ინფორმაციის უზრუნველყოფა მხარეებისთვის, რომელიც მის კვალიფიციურობასა და გამოცდილებაზე მიუთითებს. ეს, აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად, ნებადართულია.

6. მედიატორმა დავის გადაწყვეტის სხვა ფორმატში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა, გარდა მედიაციისა. ამასთან, მან დავის მედიაციისადმი მიკუთვნება უნდა წარმოაჩინოს, რათა

შესაბამისი რეგლამენტით განერილი წესებითა და დამცავი მექანიზმებით სარგებლობის, ასევე სხვა უფლებამოსილი ორგანოების მხარდაჭერა მოიპოვოს.

7. მედიატორს, საჭიროების მიხედვით, შეუძლია, მხარეებს დავის არბიტრაჟის წესით მორიგების, ნეიტრალური, სასამართლომდე შეფასებისა თუ სხვა ალტერნატიული საშუალებებით გადაჭრა ურჩიოს.

8. მედიატორი ერთსა და იმავე დავაზე სხვადასხვა როლს არ იკისრებს, თუკი საამისოდ მხარეებისგან მიღებული შეთანხმება არ არსებობს. ასეთი შემთხვევის დროს მედიატორმა პროცესის ტიპის ცვლილების შესახებ მხარეებს კიდევ ერთხელ უნდა აცნობოს და მათგან მხარდაჭერა მოიპოვოს. ამავდროულად, მედიატორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ, თუკი მას პროცესის ცვლილების საშუალება მიეცა და დამატებითი ფუნქციების შესრულება დაეკისრა, იგი განსხვავებული სტანდარტებისა თუ რეგლამენტის სივრცეში შეიძლება მოექცეს.

9. თუ მედიატორი კრიმინალური ქცევის ხელშემწყობ პროცესად გადაიქცა, მედიატორმა დაუყოვნებლივი ზომები უნდა მიიღოს, და თუ საჭირო გახდა, შეაფერხოს ან საერთოდ შეწყვიტოს პროცესი.

10. თუკი რომელიმე მხარე საქმის ვითარებას ვერ ჩასწვდა, ეს იქნება მედიატორში მონაწილეობის საკითხი, შეთანხმების ვარიანტები ან სხვა მედიატორის პროცესთან დაკავშირებული სირთულე, მედიატორმა პირობები კვლავინდებურად უნდა ახსნას და იმ მოდიფიკაციებზე (ცვლილებებზე) უნდა იფიქროს, რაც ჩართული მხარისთვის საკითხის გაცნობას გააადვილებს და თვითგამორკვევის პროცესს უზრუნველყოფს.

თუ მედიატორს ოჯახური ან მხარეთა შორის არსებული რაიმე ძალადობის შესახებ ეცნობა, მან შესაბამის ზომებს უნდა მიმართოს და, საჭიროების შემთხვევაში, მედიატორი ან დროებით შეწყვიტოს, ან საერთოდ გამოეთიშოს მას.

თუ მედიატორს სჯერა, რომ მონაწილის ქცევა (საკუთარი ქცევის ჩათვლით) მედიატორის პროცესზე აღნიშნული სტანდარტების საწინააღმდეგო ზეგავლენას იწვევს, მაშინ მან აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს მედიატორის პროცესის შეჩერების ან შეწყვეტის ჩათვლით.



გამომცემლობის  
რედაქტორი

თამარ გაბელაია

გარეკანის  
დიზაინერი  
დამკაბადონებელი

მარიამ ებრალიძე

ეკატერინე თეთრაშვილი

ISSN 1987-9199



9 771987 919005